

# **ადვინისტრაციული სელექცია**

## **ზიანის ანაზღაურება**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
**ადმინისტრაციულ საქმეებზე**

2021, №3

Decisions of the Supreme Court of Georgia  
**on Administrative Cases**  
(in Georgian)

2021, №3

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Verwaltungssachen**  
(in der georgischen Sprache)

2021, №3

Решения Верховного Суда Грузии  
**по административным делам**  
(на грузинском языке)

2021, №3

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

**ლიანა ლომიძე**

ტექნიკური რედაქტორი

**მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

## საკიეპელი

- 1. სახელმწიფო ქონების პრივატიზება**  
ადმინისტრაციული ხელშეკრულების კანონიერების შეფასება ..... 4  
სადავო უძრავი ქონების საჯარო აუქციონის ფორმით  
პრივატიზების კანონიერება ..... 20
- 2. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევის გამო**  
სამენარმეო საქმიანობისათვის სახელმწიფო საკუთრებაში  
არსებული უძრავი ქონების არამართლზომიერად  
სარგებლობისათვის შესაბამისი საფასურის გადახდა ..... 41  
სამხედრო პირის მიმართ კონტრაქტის  
დარღვევის გამო დაკისრებული შეუსაბამოდ მაღალი  
პირგასამტეხლოს შემცირება ..... 60
- 3. მატერიალური ზიანის ანაზღაურების საფუძველი**  
მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე  
ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულების წინაპირობები ..... 86  
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის  
მისი მოსამსახურის მიერ განხორციელებული  
ქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების  
დაკისრების ფარგლები ..... 140
- 4. მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველი**  
ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დამდგარი  
მორალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობები ..... 160  
მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობა ..... 178

# 1. სახელმწიფო ქონების პრივატიზება

## ადმინისტრაციული ხელშეკრულების კანონიერების შეფასება

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-698-690(2კ-2კს-15)

06 მარტი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე; მომხსენებელი)  
მ. ვაჩაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების და  
ხელშეკრულებების ბათილად ცნობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

სს „...ამ“ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ცაგერის სარეგისტრაციო სამსახურის, მესამე პირების: გ. ს-ის, ა. გ-ის, ლ. ლ-ის, რ. ბ-ის, ტ. ფ-ის, მ. კ-ის, მ. ს-ის, გ. მ-ის, ა. ა-ის, ვ. ა-ის, ა. ფ-ის, გ. ჯ-ის, ნ. მ-ის, მ. ფ-ის, დ. ყ-ის, მ. ფ-ის, ზ. ბ-ის, ზ. ფ-ის, თ. ფ-ის, ნ. ხ-ის, ნ. ფ-ის, ვ. გ-ის, ლ. ტ-ის, ო. ხ-ის მიმართ.

სარჩელის დაზუსტების შედეგად, მოსარჩელემ მოითხოვა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 21.09.2012წ. №13/297 მიმართვის, სახელმწიფოს სახელზე სადავო ქონების რეგისტრაციების შესახებ გადაწყვეტილებების სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ცაგერის სარეგისტრაციო სამსახურის 21.09.2012წ. №..., 27.09.2012წ. №..., 21.09.2012 წ. №..., 27.09.2012წ. №..., 21.09.2012წ. №..., 28.09.2012წ. №..., 27.09.2012 წ. №..., 21.09.2012 წ. №..., 27.09.2012 წ. №..., 21.09.2012 წ. №..., 27.09.2012წ. №..., 27.09.2012წ. №..., 11.10.2012წ. №..., 16.10.2012წ. №..., 21.09.2012 წ. №..., 28.09.2012 წ. №..., 28.09.2012წ. №..., 27.09.2012წ. №..., 21.09.2012წ. №..., 27.09.2012 წ. №..., 27.09.2012წ. №..., 28.09.2012წ. №..., 11.10.2012წ. №..., 21.09.2012წ. №..., 28.09.2012 წ. №..., 28.09.2012წ. №..., 27.09.2012წ.

№... და 11.10.2012წ. №... გადაწყვეტილებების, საქართველოს პრეზიდენტის 25.09.2012 წ. №25/09/05 განკარგულების, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ მ. ს-თან 27.09.2012წ. გაფორმებული, 27.09.2012წ. დ. ყ-თან გაფორმებული, 05.10.2012წ. ა. ა-თან გაფორმებული, 27.09.2012წ. გ. მ-თან გაფორმებული, 27.09.2012წ. მ. კ-ესთან გაფორმებული, 27.09.2012წ. ტ. ფ-ესთან გაფორმებული, 27.09.2012წ. რ. ბ-თან გაფორმებული, 27.09.2012წ. ნ. მ-ესთან გაფორმებული, 27.09.2012წ. თ. ფ-ესთან გაფორმებული, 27.09.2012წ. ზ. ფ-ესთან გაფორმებული, 27.09.2012წ. ლ. ლ-თან გაფორმებული, 27.09.2012წ. მ. ფ-ესთან გაფორმებული, 27.09.2012წ. გ. ს-ესთან გაფორმებული, 27.09.2012წ. გ. ჯ-ესთან გაფორმებული, 05.10.2012წ. ზ. ბ-თან გაფორმებული, 27.09.2012წ. ხ-თან გაფორმებული, 27.09.2012წ. ა. გ-თან გაფორმებული, 05.10.2012წ. ნ. ფ-ესთან გაფორმებული, 27.09.2012წ. ა. ფ-ესთან გაფორმებული, 28.09.2012წ. მ. ფ-ესთან გაფორმებული და 05.10.2012წ. ვ. ა-თან გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებების და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 18.02.2013წ. №1-1/37 ბრძანების ბათილად ცნობა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ კომპანიას საქმიანობის განხორციელების მიზნით საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გააჩნია ენერგო-ობიექტები, მათ შორის კომპანიის საკუთრებაშია ცაგერის რაიონში, სოფელ ...ში მდებარე ...ის უძრავ-მოძრავი ქონება. სს „...ას“ საკუთრების უფლება სოფელ ...ში მდებარე ... კვ.მ. მიწის ფართსა და მასზე განთავსებულ ... შენობა-ნაგებობაზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია 2008 წლის 18 იანვრიდან. საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტის სახით რეგისტრაციის საფუძველი გახდა: საქართველოს პრეზიდენტის 05.09.2007წ. №468 განკარგულება, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან 25.12.2007წ. დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება და ამავე სამინისტროს მიერ 27.12.2007წ. გაცემული №490-პ საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა.

19.12.2012წ. სს „...ამ“ განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ცაგერის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა მის საკუთრებაში რიცხული ფართის დაზუსტებული რეგისტრაცია. ცაგერის სარეგისტრაციო სამსახურის 25.12.2012წ. გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა ზედდების გამო, რადგან დადგინდა, რომ ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობები სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 21.09.12წ. №13/297 მიმართვის საფუძველზე აღირიცხა სახელმწიფოს საკუთრებად, საქართველოს პრეზიდენტის 25.09.2012 წ. №25/09/05 განკარგულების საფუძველზე მესამე პირებს პირდაპირი მი-

ყიდვის წესით მიეყიდათ სადავო ქონება, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მითითებულ პირებთან გაფორმდა 27.09.2012წ. და 28.09.2012წ. ნასყიდობის ხელშეკრულებები. შედეგად სადავო ქონება გადავიდა მესამე პირთა საკუთრებაში.

მოსარჩელე აღნიშნავს, რომ სადავო აქტებით ირღვევა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული საკუთრების უფლება, რადგან სოფ. ... ში მდებარე მიწა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები დღემდე სს „...ას“ საკუთრებაშია რეგისტრირებული, ამასთანავე, სადავოდ არ არის გამხდარი საკუთრების წარმოშობის არც ერთი საფუძველი, უფლებადამდგენი დოკუმენტები ძალაშია. ირღვევა „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის დებულებებიც, რადგან დაუშვებელია სახელმწიფოს მიერ უკვე განკარგული უძრავი ქონების სხვა პირებისათვის საკუთრების უფლებით გადაცემა. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ ისე მოითხოვა უძრავი ქონების სახელმწიფოს საკუთრებაში რეგისტრაცია, რომ არ გამოიკვლია საქმის გარემოებები, არ მიიწვია ადმინისტრაციულ წარმოებაში მოსარჩელე, როგორც დაინტერესებული პირი, არ გაითვალისწინა, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ მიწა უკვე გადაცემული იყო სს „...ას“ საკუთრებაში. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ მარეგისტრირებული ორგანოს მიერ დაირღვა „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 23-ე მუხლი, რადგან ნივთის მოსარჩელის საკუთრებაში რეგისტრაცია გამორიცხავდა ამ ნივთზე სარეგისტრაციოდ წარდგენილი უფლების რეგისტრაციას.

დავის საქალაქო სასამართლოში განხილვისას, მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე, საქმეში მესამე პირებად ჩაერთვნენ: გ. ს-ე, ა. გ-ი, ლ. ლ-ი, რ. ბ-ი, ტ. ფ-ე, მ. კ-ე, მ. ს-ი, გ. მ-ი, ა. ა-ი, ვ. ა-ი, ა. ფ-ე, გ. ჯ-ე, ნ. მ-ე, მ. ფ-ე, დ. ყ-ი, მ. ფ-ე, ზ. ბ-ი, ზ. ფ-ე, თ. ფ-ე, ნ. ხ-ი, ნ. ფ-ე, ვ. გ-ე, ლ. ტ-ი, ო. ხ-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 24.05.2013წ. გადაწყვეტილებით სს „...ას“ სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად. ბათილად იქნა ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ცაგერის სარეგისტრაციო სამსახურის 21.09.2012 წ. №..., 27.09.2012წ. №..., 21.09.2012წ. №..., 27.09.2012წ. №..., 21.09.2012წ. №..., 28.09.2012წ. №..., 27.09.2012წ. №..., 21.09.2012წ. №..., 27.09.2012წ. №..., 21.09.2012წ. №..., 27.09.2012წ. №..., 21.09.2012წ. №..., 27.09.2012წ. №..., 21.09.2012წ. №..., 27.09.2012წ. №..., 27.09.2012წ. №..., 27.09.2012წ. №..., 11.10.2012წ. №..., 16.10.2012წ. №..., 21.09.2012წ. №..., 28.09.2012წ. №..., 28.09.2012წ. №..., 27.09.2012წ. №..., 21.09.2012წ. №..., 27.09.2012წ. №..., 27.09.2012წ. №..., 28.09.2012წ. №..., 11.10.2012წ. №..., 21.09.2012წ. №..., 28.09.2012წ. №..., 28.09.2012წ.

№..., 27.09.2012წ. №... და 11.10.2012 წ. №... გადანყვეტილებები; სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ მ. ს-თან 27.09.2012წ. გაფორმებული, 27.09.2012წ. დ. ყ-თან გაფორმებული, 05.10.2012წ. ა. ა-თან გაფორმებული, 27.09.2012წ. გ. მ-თან გაფორმებული, 27.09.2012წ. მ. კ-ესთან გაფორმებული, 27.09.2012წ. ტ. ფ-ესთან გაფორმებული, 27.09.2012წ. რ. ბ-თან გაფორმებული, 27.09.2012წ. ნ. მ-ესთან გაფორმებული, 27.09.2012წ. თ. ფ-ესთან გაფორმებული, 27.09.2012წ. ზ. ფ-ესთან გაფორმებული, 27.09.2012წ. ლ. ლ-თან გაფორმებული, 27.09.2012წ. მ. ფ-ესთან გაფორმებული, 27.09.2012წ. გ.ს-ესთან გაფორმებული, 27.09.2012წ. გ. ჯ-ესთან გაფორმებული, 05.10.2012წ. ზ. ბ-თან გაფორმებული, 27.09.2012წ. ნ. ხ-თან გაფორმებული, 27.09.2012წ. ა. გ-თან გაფორმებული, 05.10.2012წ. ნ. ფ-ესთან გაფორმებული, 27.09.2012წ. ა. ფ-ესთან გაფორმებული, 28.09.2012წ. მ. ფ-ესთან გაფორმებული და 05.10.2012წ. ვ. ა-თან გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებები, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 21.09.2012წ. №13/297 აქტი და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 18.02.2013წ. №1-1/37 ბრძანება, ასევე გასაჩივრებულ ნაწილში საქართველოს პრეზიდენტის 25.09.2012წ. №25/09/05 განკარგულება.

სასამართლომ აღნიშნა, რომ გასაჩივრებული აქტებით შეიღობა სს „...ას“ საკუთრების უფლება, რომელიც არის ფაქტი და დაუშვებელია ბუნებაში მისი ზოგადი, აბსტრაქტული სახით არსებობა, შესაბამისად, დაუშვებელია რეგისტრირებული მონაცემები და ნამდვილი მდგომარეობა არ შეესაბამებოდეს ერთმანეთს.

სასამართლომ მიუთითა სასკ-ის 25<sup>1</sup>, სზაკ-ის 66-ე მუხლებზე, საქართველოს მთავრობის 17.09.2012 წ. №391 დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების“ ნორმებზე და აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გაასხვისოს მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება.

სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციული ხელშეკრულებები და ცაგერის სარეგისტრაციო სამსახურის გადანყვეტილებები საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, რადგან „საჯარო რეგისტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების განმავლობაში მარეგისტრირებული ორგანო იღებს გადანყვეტილებას რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ, თუ: რეგისტრირებული უფლება, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულება, მათში ცვლილება და მათი შეწყვეტა, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდ-

ვა ან საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა გამორიცხავს იმავე უძრავ ნივთზე სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი უფლების, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის ან საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციას. კონკრეტულ შემთხვევაში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ცაგერის სარეგისტრაციო სამსახური არ იყო უფლებამოსილი სს „...ას“ საკუთრების უფლების რეგისტრაციის არსებობის პირობებში მიეღო გადაწყვეტილება და იმავე ქონებაზე განეხორციელებინა მესამე პირთა საკუთრების უფლების რეგისტრაცია. ამასთანავე, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და ფიზიკურ პირებს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებები სსკ-ის 54-ე მუხლის თანახმად არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულ მოთხოვნას და ლახავს მესაკუთრის უფლებებს. სადავო უძრავი ქონება სს „...ას“ საკუთრებაში იყო, რის გამოც არ დაიშვებოდა ამ ქონების სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაცია, ხოლო შემდეგ მისი გასხვისება.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის თანახმად, უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობა ვლინდება საჯარო რეესტრის ამონაწერით, რეესტრის მონაცემთა მიმართ მოქმედებს სისრულისა და უტყუარობის პრეზუმფცია (312-ე მუხ.), ანუ საჯარო რეესტრში არსებული ჩანაწერი მიიჩნევა სწორად, ვიდრე ის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალადაკარგულად, ბათილად ან არარად არ იქნება ცნობილი. მოცემულ შემთხვევაში, სს „...ას“ საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე მხარეებს კანონით დადგენილი წესით სადავოდ არ გაუზღიდათ.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეთა მიერ წარდგენილი იქნა მორიგების აქტი, რომლის დამტკიცებაზე მხარეებს სააპელაციო პალატის 09.06.2015წ. განჩინებით ეთქვათ უარი. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 16.06.15წ. განჩინებით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ სსკ-ის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე სრულად გაიზიარა საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასება. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ დაუშვებელია ქონების აბსტრაქტული სახით არსებობა. ყველა გარემოების გამოკვლევის გა-



რეშე მესამე პირების სახელზე უფლების რეგისტრაციით ილახება სამართლებრივი უსაფრთხოება, იქმნება მდგომარეობა, როდესაც პირი არის რეალურად საკუთრების უფლების მატარებელი, თუმცა არ გააჩნია საკუთრების უფლების ობიექტი. ქონების კვლავ სახელმწიფოს სახელზე რეგისტრაციით და შემდგომ მესამე პირთათვის მიყიდვით მოსარჩელეს წაერთვა საკუთრების უფლება სადავო ქონებაზე, რაც წარმოადგენს საკუთრების უფლების ხელყოფას. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სამინისტროს სადავო ბრძანება გამოცემულია სზაკ-ის 96-ე მუხლის მოთხოვნების დარღვევით. სს „...ას“ სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის გამო, ცაგერის სარეგისტრაციო სამსახური არ იყო უფლებამოსილი სადავო უძრავი ქონება აღერიცხა სახელმწიფოს საკუთრებად, ხოლო შემდგომ მესამე პირებზე. სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ საკასაციო საჩივარში აღნიშნა, რომ სს „...ას“ საკუთრება რეგისტრირებული იყო დაუზუსტებელი სახით, რის გამოც შეუძლებელია მის ზუსტად იდენტიფიცირებაზე მსჯელობა. აღნიშნულის გამო დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მითითება იმის შესახებ, რომ სს „...ას“ საკუთრებაში არსებული და სახელმწიფოს სახელზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები ერთი და იგივეა. საქმეში დაცული არც ერთი დოკუმენტი არ ადასტურებს მითითებული უძრავი ქონების იდენტიფიკაციას. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ სადავო ქონება ბინების სახით შექმნილი აქვთ ფიზიკურ პირებს, რომლებიც კეთილსინდისიერი შემძენები არიან.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ საკასაციო საჩივარში აღნიშნა, რომ სააპელაციო პალატამ არასწორი შეფასება მისცა ფაქტობრივ გარემოებებს, კერძოდ, არ დგინდება მოსარჩელის საკუთრებაში დაუზუსტებელი სახით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთისა და სახელმწიფო სახელზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების იდენტიფიკაცია. დაუზუსტებელი რეგისტრაციის არსებობის დროს შეუძლებელია უძრავი ნივთის ადგილმდებარეობის ზუსტი იდენტიფიკაცია. კასატორი აღნიშნავს, რომ სს „...ას“ მიერ ქონების რეგისტრაციის დროს მოქმედებდა რეგისტრაციის სხვა სამართლებრივი რეჟიმი და არ არსებობდა ის ტექნიკური საშუალებები, რომლებიც დღეისათვის ხელმისაწვდომია და იძლევა კონკრეტული მიწის ნაკვეთის ზუსტი ადგილმდებარეობის დადგენის საშუალებას. ელექტრონული ვერსიის გარეშე წარმოდგენილი საკადასტრო აზომვითი მონაცემები ყველა შემ-

თხვევაში მიიჩნევა დაუზუსტებლად და არ იძლევა უძრავი ნივთის სრული იდენტიფიკაციის საშუალებას და პრაქტიკულად შეუძლებელია ელექტრონული საკადასტრო აზომვითი ნახაზით წარდგენილი (დაზუსტებული) მონაცემების შედარება არაელექტრონულ (დაუზუსტებელ) მონაცემებთან. იმის გამო, რომ სს „...ას“ საკუთრებაში არსებული მიწის ფართი არ არის რეგისტრირებული სახელმწიფო გეოდეზიურ კოორდინატთა ერთიან სისტემაში და საკუთრების უფლება რეგისტრირებულია დაუზუსტებელი მონაცემებით, არ არსებობს მისი სახელმწიფო გეოდეზიურ კოორდინატთა ერთიან სისტემაში იდენტიფიკაციის საშუალება. აღნიშნული გარემოება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, როგორც საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი ერთიან მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ, დადასტურდა ადმინისტრაციული წარმოების დროსაც, საჯარო რეესტრის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ შეუძლებელია სს „...ას“ მიერ 2008 წელს და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ 2012 წელს რეგისტრირებული ქონების იდენტიფიკაციის დადგენა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კასატორი თვლის, რომ არ არსებობდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 18.02.2013წ. №1-1/37 ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველი.

22.01.2020წ. განჩინებით საკასაციო პალატამ უარი თქვა მორიგების აქტის დამტკიცებაზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს კერძო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, ვინაიდან მორიგების აქტის პროექტი არ პასუხობდა კანონმდებლობის მოთხოვნებს, ხოლო მორიგების აქტის განახლებული რედაქციის წარმოსადგენად მხარეთათვის არაერთგზის ვადის მიცემის მიუხედავად, მხარეების მიერ წარმოდგენილი არ ყოფილა.

სსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივრები განხილული იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების და საკასაციო საჩივრების საფუძველების შესწავლის შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია, რომ სს „...ას“ საკუთრების უფლება სოფ. ...ში მდებარე ... კვ.მ. მიწის ფართსა და მასზე განთავსებულ ... შენობა-ნაგებობაზე რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში 18.01.08წ. საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტები: საქართველოს

პრეზიდენტის 05.09.2007წ. №468 განკარგულება, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან 25.12.2007წ. გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება და ამავე სამინისტროს მიერ 27.12.2007წ. გაცემული №490-პ საკუთრების დამადასტურებელი მონმობა. საქმის მასალებით დასტურდება, რომ „სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლების გადაცემის შესახებ“ კანონის საფუძველზე, საქართველოს პრეზიდენტის 05.09.07წ. №468 განკარგულებით, სს „...ას“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სხვა ქონებასთან ერთად, სააქციო საზოგადოებას საკუთრებაში გადაეცა (ვაგერის რაიონის სოფ. ...ში მდებარე ...ის ...ის (...)) ფუნქციონირებისათვის საჭირო უძრავ-მოძრავი ქონება, მათ შორის საჯარო რეესტრში №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ... კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთი, მასზე მდებარე ... ერთეული შენობა-ნაგებობით. საქართველოს პრეზიდენტის ხსენებული განკარგულების საფუძველზე 25.09.07წ. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და სს „...ას“ შორის საწარმო ნენით გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, ხოლო 27.12.09წ. ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ სს „...ას“ გადასცა საკუთრების დამადასტურებელი მონმობა №490-პ. აღნიშნული დოკუმენტების საფუძველზე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (ვაგერის სარეგისტრაციო სამსახურის 18.01.08წ. გადაწყვეტილებით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონება დარეგისტრირდა სს „...ას“ საკუთრებად და საჯარო რეესტრმა გასცა კიდევაც შესაბამისი ამონაწერი. ზემოაღნიშნული აქტები სადავო არ გამხდარა, ძალაშია, უძრავი ქონება საჯარო რეესტრში ამჟამადაც სააქციო საზოგადოების სახელზეა რეგისტრირებული. მოსარჩელის საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიუხედავად მითითებული ქონება სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 21.09.12წ. №13/297 მიმართვის საფუძველზე აღირიცხა სახელმწიფოს საკუთრებად, ხოლო საქართველოს პრეზიდენტის 25.09.2012წ. №25/09/05 განკარგულების და 28.09.2012წ. მესამე პირებთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებების საფუძველზე ფართები აღირიცხა მესამე პირთა საკუთრებაში.

მოსარჩელის საკუთრების უფლება დარეგისტრირდა დაუზუსტებელი სახით. მითითებული რეგისტრაციის განხორციელების დროს (18.01.2008წ.) მოქმედი „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ 28.12.05წ. კანონი ითვალისწინებდა უძრავი ნივთის სააღრიცხვო ბარათში დაზუსტებული ან დაუზუსტებელი ფართობის მითითებას. მოპასუხის და მესამე პირების საკუთრების უფლების რეგისტრაცია განხორციელდა „საჯარო რეესტრის შესახებ“

კანონის მოქმედების პერიოდში (27.09.2012წ., 28.09.2012წ.), და-  
ზუსტებული სახით. პალატა აღნიშნავს, რომ პირველად დაზუსტ-  
ებულ რეგისტრაციას არ აქვს მხოლოდ საცნობარო მნიშვნელო-  
ბა, უმართებულოა მისი დაყვანა მხოლოდ ფაქტობრივ აღრიცხვამ-  
დე, რომელიც აღრიცხვის ობიექტის მიმართ არ იწვევს რაიმე სა-  
მართლებრივ შედეგს (იხ. სუს. 28.02.13წ. №ბს-367-363(კ-12) გან-  
ჩინება). სააღრიცხვო მონაცემებს იურიდიული მნიშვნელობა გა-  
აჩნია, სარეგისტრაციო აღრიცხვის ოფიციალობა უზრუნველყოფი-  
ლია საჯარო რეესტრით. სარეგისტრაციო პროცედურას შედეგად  
მოსდევს უფლებადამდგენი დოკუმენტის გაცემა, რომელიც ადას-  
ტურებს იურიდიული ფაქტების კანონიერებას. რეგისტრაციას პრე-  
იუდიციული მნიშვნელობა აქვს, ის არის უფლებებისა და კანონიე-  
რი ინტერესების რეალიზაციის პირობა, რეგისტრაცია არის უძრავ  
ქონებაზე უფლების წარმოშობის, შეცვლის სახელმწიფოს მიერ და-  
დასტურების იურიდიული აქტი, რითაც რეგისტრაციის განმახორ-  
ციელებელი კისრულობს უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სა-  
მართალურთიერთობათა კომპლექსის დაცვის ვალდებულებას, სა-  
ხელმწიფო რეგისტრაცია მოწოდებულია სამოქალაქო ბრუნვის  
სტაბილურობის განმტკიცებისკენ, ის არის ტიტულის, პირის უფ-  
ლებების სახელმწიფო დაცვის ფორმალური პირობა. საჯარო რე-  
ესტრი, როგორც საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებე-  
ლი საჯარო დანესებულება, ფუნქციურ-სამართლებრივი ნიშნით  
შექმნილი ადმინისტრაციული ორგანოა. მის საქმიანობაზე ვრცელ-  
დება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის უმნიშ-  
ვნელოვანესი პრინციპები, მათ შორის, კანონიერებისა და კანონი-  
ერი ნდობის უფლების პრინციპები. საჯარო რეესტრის ძირითადი  
დანიშნულება მოწესრიგებული და საიმედო სამოქალაქო ბრუნვის  
დამკვიდრებაა. სწორედ საჯარო რეესტრში უძრავი ქონების და-  
რეგისტრირებით პირს უჩნდება კონკრეტულ ქონებაზე საკუთრე-  
ბის უფლების გარანტია, რაც, იმავდროულად, სახელმწიფოს მხრი-  
დან, მისი ამ უფლების დაცვის ვალდებულებაცაა. ამასთან, უძრავი  
ქონების რეგისტრაცია სახელმწიფოს ექსკლუზიური უფლება-  
მოსილებაა. ამის შემდეგ მოქმედებს სახელმწიფოს ქმედების კე-  
თილსინდისიერებისა და საჯარო რეესტრის მონაცემების უტყუა-  
რობის პრეზუმფცია, კანონი არ ითვალისწინებს, მესაკუთრის ინ-  
ფორმირების გარეშე, მისი ქონების გასხვისების შესაძლებლობას  
(საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 05.11.2013წ. №3/  
1/531 გადაწყვეტილება).

სსიპ ქონების მართვის სააგენტომ 21.09.12წ. №13/297 მიმარ-  
თვით, წარმოდგენილი ნახაზების ელვერსიების შესაბამისად, მო-  
ითხოვა ცაგერის მუნიციპალიტეტში, სოფ. ... ..ში მდებარე შენო-

ბა-ნაგებობების, მათზე დამაგრებული მიწის ნაკვეთებთან ერთად, სახელმწიფოს საკუთრებად რეგისტრაცია უძრავი ქონების სახელმწიფოს სახელზე რეგისტრაციის შემდგომ სააგენტომ განახორციელა ამავე ქონების კერძო პირებზე პირდაპირი მიყიდვა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიმართვა თავისი ბუნებით არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აქტის კანონიერების უცილობელ პირობას წარმოადგენს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევა, ადმინისტრაციულ წარმოებაში ყველა დაინტერესებული პირის ჩართვა. სააგენტოს მიერ უძრავი ქონების სახელმწიფოს სახელზე აღრიცხვის მოთხოვნის წარდგენა თავისთავად გულისხმობს დოკუმენტის არსებულ რეალობასთან შესაბამისობის დადგენის ვალდებულებას, ვინაიდან საქართველოს მთავრობის 17.09.12წ. №391 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების თანახმად სააგენტოს მიზანია სახელმწიფო ქონების მართვა, განკარგვა, სარგებლობაში გადაცემა, აგრეთვე სახელმწიფო ქონების აღრიცხვა-რეგისტრაციის უზრუნველყოფა, ამასთანავე, კომპეტენტურობა არის ადმინისტრაციული ორგანოს არა უფლება, არამედ ვალდებულება, შესაბამისად, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობდა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სადავო აქტის ბათილად ცნობის შესახებ მოთხოვნის ტრანსფორმირების საჭიროება, ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას სააქციო საზოგადოების წარმომადგენლის მიერ მოთხოვნის ტრანსფორმირებაზე უარის თქმა არ ადასტურებს 18.02.13წ. ბრძანებით საჩივრის დაკმაყოფილებაზე სამინისტროს მიერ უარის კანონიერებას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო არის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი იურიდიული პირი, სადავო ქონებაზე საკუთრების უფლება გაიცა სამინისტროს მიერ, შესაბამისად საფუძველს მოკლებულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ სააგენტოსთვის უცნობი იყო სადავო ქონების სს „...ას“ საკუთრებაში რეგისტრაცია.

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის 1.6. მუხლის თანახმად სახელმწიფო ქონების მართვასა და განკარგვას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო. აღნიშნული არ გულისხმობს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს უფლებას განკარგოს კერძო საკუთრებაში არსებული ქონება. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 21.09.12წ. №13/297 მი-

მართვის შედგენამდე ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო გამოერკვია ქონებაზე სხვა სუბიექტის საკუთრების უფლების არსებობა, რომლის დადგენა საქმეზე სრულყოფილი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების შედეგად სრულიად შესაძლებელი იყო. სზაკ-ის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადამიანის უფლებების და თავისუფლებების, საჯარო ინტერესებისა და კანონის უზენაესობის დაცვის უზრუნველყოფა კოდექსის მიზანს შეადგენს. სზაკ-ის 96-98 მუხლები ავალდებულებს ადმინისტრაციულ ორგანოს საქმის გარემოებების სრულყოფილად შესწავლის შემდეგ გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, სზაკ-ის ეს მოთხოვნა მოცემულ შემთხვევაში უგულებელყოფილია. „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქტივების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 05.09.07წ. №468 განკარგულების თანახმად, იმახად მოქმედი „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ კანონის 6.5 მუხლის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის 02.02.07წ. №35 განკარგულების გათვალისწინებით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქტივები, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, გადაეცა სს „...ას“, მათ შორის ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ. ...ში მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ... კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი (№...) მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით: ... შენობა; ...ი №..., ...ი №..., ...ი №..., ...ი №..., ...ი №..., ...ი №..., №..., №... სადავო აქტით – საქართველოს პრეზიდენტის 25.09.12წ. №25/09/05 განკარგულებით განხორციელდა ერთხელ უკვე განკარგული და სს „...ასთვის“ საკუთრებაში უკვე გადაცემული ქონების სხვა პირებზე პრივატიზება, სააქციო საზოგადოების საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებული აქტივების გაუქმების გარეშე. სზაკ-ის 66-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში დადოს ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონმდებლობის მოთხოვნებს. ცაგერის რაიონის სოფ. ....ში მდებარე ..... კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს.კ. ...), მასზე მდებარე ... შენობა-ნაგებობით, რეგისტრირებული იყო მოსარჩელეზე. სს „...ას“ საკუთრებაში აღრიცხულ უძრავ ქონებაზე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ მესამე პირებთან პრივატიზაციის ხელშეკრულებების დადება არღვევს სკ-ის 54-ე, სზაკ-ის 66-ე მუხლის მოთხოვნებს. უსაფუძვლო კასატორების მითითება კეთილსინდისიერი შემძენის უფლებების დამცავი ნორმების დარღვევებზე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულებით

ბის ბუნებიდან გამომდინარე კეთილსინდისიერი შემქმნის ინსტიტუტი არ გამორიცხავს ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესაძლებლობას (სუსგ 14.11.2013წ. №ბს-600-589(4კ-12)). საქმის მასალებით დგინდება, რომ ხელშეკრულებების დადებით მოსარჩელემ დაკარგა კუთვნილ მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლება. აღნიშნული გარემოება ადასტურებს, რომ მესამე პირებთან დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულებები მოსარჩელისათვის იყო შემზღუდავი ხასიათის, რომელთა გაფორმებამდე, სზაკ-ის 67.1 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრებოდა მოსარჩელისაგან ნერილობითი თანხმობის წარდგენის ვალდებულება, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. ადმინისტრაციული ხელშეკრულების მიმართ მოქმედებს სზაკ-ის მეხუთე თავით გათვალისწინებული სპეციალური ნორმები, ადმინისტრაციული ხელშეკრულების ბათილობის საფუძველები გათვალისწინებულია არა მხოლოდ სამოქალაქო კოდექსით, არამედ დამატებით ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითაც. ადმინისტრაციული ხელშეკრულების კანონიერების მიმართ განსაკუთრებული მოთხოვნები ვლინდება სზაკ-ის ისეთ დანაწესებში, როგორცაა ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მხოლოდ კანონით მისთვის მინიჭების ფარგლებში, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის დაუშვებლობა და სხვ.. ამდენად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების კანონიერება, ბრუნვის სტაბილურობის მოსაზრებები არ წარმოადგენს ერთადერთ მოთხოვნას ადმინისტრაციული ხელშეკრულებების მიმართ, სამართალურიერთობის ყველა მონაწილის პატივსადები ინტერესის სამართლიანი ბალანსის მიღწევა შესაძლებელია არა მხოლოდ სამოქალაქო, არამედ ადმინისტრაციული მოთხოვნების გათვალისწინების პირობებში (სუსგ 24.04.2014წ. საქმეზე №ბს-359-349(4კ-13)).

აღნიშნული გარემოებები ადასტურებს საქმის გარემოებების გამოკვლევის გარეშე ადმინისტრაციული აქტის მიღებას, რაც ქმნის სზაკ-ის 60<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებულ აქტის ბათილად ცნობის საფუძველს. შესაბამისად მართებულია ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 21.09.12წ. №13/297 მიმართვის და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 18.02.2013წ. №1-1/37 ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე გადაწყვეტილებები.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების განმავლობაში მარეგისტრირებელი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას

რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ თუ რეგისტრირებული უფ-  
ლება გამორიცხავს იმავე უძრავ ნივთზე სარეგისტრაციოდ წარ-  
დგენილი უფლების რეგისტრაციას. აღნიშნული ნორმის მიხედვით  
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ცაგერის სარეგისტრა-  
ციო სამსახური ვალდებული იყო მოპასუხის სახელზე საკუთრე-  
ბის რეგისტრაციამდე დაედგინა უძრავ ნივთზე უკვე რეგისტრი-  
რებული საკუთრების უფლება. „საჯარო რეესტრის შესახებ“ კა-  
ნონის 23-ე მუხლის თანახმად, რეგისტრაციაზე უარის თქმის ერთ-  
ერთ საფუძველს წარმოადგენს სარეგისტრაციო მოთხოვნის უკვე  
რეგისტრირებულ მონაცემებთან იდენტიურობა. ვინაიდან უძრავ  
ნივთზე რეგისტრირებული უფლება გამორიცხავს იმავე ნივთზე  
სარეგისტრაციოდ წარდგენილი უფლების რეგისტრაციას, მარეგის-  
ტრირებელი ორგანო ასეთ შემთხვევაში უნდა იღებდეს გადაწყვე-  
ტილებას სარეგისტრაციო წარმოებაზე უარის თქმის შესახებ. ამ-  
დენად, ადმინისტრაციულმა ორგანომ – საჯარო რეესტრის ეროვ-  
ნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურმა ახალი რეგისტრა-  
ციის განხორციელებამდე უნდა გამოიკვლიოს ნაკვეთის სხვა პი-  
რის სახელზე რეგისტრაციის არსებობა, შეადაროს სარეგისტრა-  
ციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაცია საარქივო ცნობას – ქალაქ-  
ღზე შესრულებულ საკადასტრო მონაცემებს თუ სააღრიცხვო ბა-  
რათებს და ამონაწერებს, დაადგინოს სადავო მიწის ნაკვეთის მო-  
მიჯნავედ მდებარე მიწის ნაკვეთების კოდები, მესაკუთრეები, გე-  
ოგრაფიული მდებარეობა, რათა სარწმუნოდ დაადგინოს საქმისათ-  
ვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტები და არ დაუშვას ერთი  
ნაკვეთის მიმართ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ჩანაწერის არსე-  
ბობა. გადამოწმების ვალდებულება საჯარო რეესტრის ეროვნულ  
სააგენტოს უფრო მაღალი ხარისხით წარმოემოზა იმის გათვალის-  
წინებითაც, რომ უპირატესად სახელდობრ თავად მარეგისტრირე-  
ბელი ორგანოსათვის არის ცნობილი რეესტრში რეგისტრირებული  
ყველა მიწის ნაკვეთის ელექტრონული სისტემით აღურიცხაობის  
შესახებ. სწრაფი რეგისტრაციის პრინციპის გატარება საფრთხეს  
არ უნდა უქმნიდეს სხვა სუბიექტების საკუთრების კონსტიტუცი-  
ურ უფლებას. საგულისხმოა, რომ განსახილველ შემთხვევაში სა-  
დავო არა მხოლოდ მიწის ნაკვეთის, არამედ მასზე განთავსებუ-  
ლი ... შენობის აღრიცხვა სახელმწიფოს და შემდგომში ფიზიკური  
პირების სახელზე. მითითებული შენობების არსებობის გათვალის-  
წინებით სადავო უძრავი ნივთის იდენტიფიცირება მარტივად იყო  
შესაძლებელი. სს „...ას“ ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფი-  
ლებაზე უარის თქმის შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და  
მდგრადი განვითარების სამინისტროს 18.02.13წ. № 1-1/37 სადავო  
ბრძანებაში და სამინისტროს საკასაციო საჩივარში იმის აღნიშვნა,



რომ სს „...ას“ მიერ ქონების რეგისტრაციისას მოქმედებდა რეგისტრაციის სხვა სამართლებრივი რეჟიმი და არ არსებობდა ის ტექნიკური საშუალებები, რომლებიც დღეისათვის ხელმისაწვდომია და იძლევა კონკრეტული მიწის ნაკვეთის ზუსტი ადგილმდებარეობის დადგენის საშუალებას (კერძოდ, 2008 წელს არ არსებობდა ამჟამად არსებული საკადასტრო ნახაზის აღრიცხვის ელექტონული პროგრამა), არ ადასტურებს საჯარო რეესტრის გადანყვეტილების და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 18.02.13წ. №1-1/37 ბრძანების კანონიერებას. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ რეგისტრაციის ახალი სისტემის დანიშნულება სანივთო უფლების უკეთესი დაცვაა და არა საკუთრების უფლების შეზღუდვა, ახალი კოორდინატთა სისტემის შემოღება შედეგად არ უნდა იწვევდეს ფორმალურ-სამართლებრივი პროცედურის შესრულებით მესაკუთრეზე უკვე რეგისტრირებული ნაკვეთის მესამე პირის მიერ დაუფლებას, არ უნდა ხელყოფდეს სამართლებრივ უსაფრთხოებას, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას, მანამდე წარმოებული რეგისტრაციების იურიდიული ძალის დაკარგვას, მარეგისტრირებელი ორგანოს, როგორც სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისა და საჯარო წესრიგის გარანტიის დანიშნულების შეცვლას. ამდენად, დასტურდება, რომ სადავო აქტები, მათ შორის ცაგერის სარეგისტრაციო სამსახურის გასაჩივრებული გადაწყვეტილებები, რომლითაც ფაქტობრივად საკუთრების უფლება დაკარგა მოსარჩელე მხარემ, ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს და სზაკ-ის 60<sup>1</sup> მუხლის თანახმად მართებულად იქნა ბათილად ცნობილი ქვედა ინსტანციის სამართლოების მიერ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საფუძველს მოკლებულია საკასაციო საჩივრების ავტორთა მოსაზრება იმის შესახებ, რომ არ დგინდება „...ას“ და სახელმწიფო სახელზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების იდენტიფიკაცია. სსკ-ის 407.2 მუხლის შესაბამისად სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსთვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დაუზუსტებელი ფორმით რეგისტრაცია არ ნიშნავს ნაკვეთის რეალური ადგილმდებარეობის არარსებობას, კასატორები ვერ უთითებენ სს „...ას“ კუთვნილი ნაკვეთის რაიმე სხვა ადგილმდებარეობას, ამასთანავე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და სადავო ხელშეკრულებების მხარეებს ქვედა ინსტანციების სასამართლოების გადანყვეტილებები არ გაუსაჩივრებიათ.

საკუთრება არის ფაქტი და დაუშვებელია ბუნებაში მისი აბსტრაქტული სახით არსებობა. მოპასუხე ადმინისტრაციული ორ-

განოების ქმედებები ლახავს სამართლებრივ უსაფრთხოებას, ქმნის მდგომარეობას, როდესაც პირი არის საკუთრების უფლების მატარებელი, თუმცა არ გააჩნია საკუთრების უფლების ობიექტი, რაც ეწინააღმდეგება საკუთრების უფლების არსს, რადგან არ არსებობს საკუთრების უფლება ამ უფლების ობიექტისაგან დამოუკიდებლად. საკასაციო პალატა თვლის, რომ საგანთა ნამდვილი მდგომარეობა და რეგისტრირებული მონაცემები უნდა იყოს თანხვედრაში, ხოლო დუბლირების და პარალელიზმის გამოვლენის შემთხვევაში უნდა გაირკვეს საკითხი იმის შესახებ, თუ რომელს გააჩნია უკეთესი სამართლებრივი საფუძველი. ვინაიდან სადავო მინის ნაკვეთი ამჟამად კვლავ რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში მოსარჩელის სახელზე, რეგისტრაცია და მისი საფუძველი ძალაშია და მისი კანონიერებაც ეჭვქვეშ არ დამდგარა, მის მიმართ მოქმედებს რეგისტრაციის კანონიერების და უტყუარობის პრეზუმფცია. აღნიშნულის გათვალისწინებით კანონმდებლობის მოთხოვნებს ეწინააღმდეგება იმავდროულად მესამე პირების საკუთრების უფლების რეგისტრაცია იმავე უძრავ ქონებაზე (საქმის მასალებით დასტურდება, რომ სს „...ას“ საკუთრების უფლება სოფ. ....ში მდებარე ... კვ.მ. მინის ფართსა და მასზე განთავსებულ ... შენობა-ნაგებობაზე საჯარო რეესტრში 18.01.08წ. არის რეგისტრირებული, ხოლო სახელმწიფოს სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია 2012 წელს განხორციელდა, სადავო სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 21.09.2012წ. მიმართვის საფუძველზე, შემდგომში კი უძრავი ქონება მესამე პირების საკუთრებაში აღირიცხა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მართებულია ქვედა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილება რეგისტრაციის საფუძველად მითითებული უფლების დამდგენი დოკუმენტების: სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 21.09.12წ. №13/297 მიმართვის, საქართველოს პრეზიდენტის 25.09.2012წ. №25/09/05 განკარგულების, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 18.02.2013წ. №1-1/37 ბრძანებისა და 28.09.2012წ. მესამე პირებთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობის შესახებ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სზაკ-ის 60<sup>1</sup>.4 მუხლი ითვალისწინებს კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას იმ შემთხვევაში, როდესაც იგი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული აქტი, როგორც სამართლის ნორმის (გენერალური მონესრიგების)

კონკრეტიზაციის და ინდივიდუალიზაციის აქტი, უნდა ემყარებოდეს სამართლებრივ საფუძველს. გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, რომლითაც მესამე პირებს საკუთრების უფლებით გადაეცათ სადავო უძრავი ქონება მოსარჩელე მხარისათვის არის შემზღუდავი, ვინაიდან ისინი ხელყოფენ მოსარჩელის საკუთრების უფლებას, პირის უფლების და ინტერესების არსებითად დარღვევა სზაკ-ის 60<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველი. საჯარო ორგანო მთელი თავისი ადმინისტრაციული რესურსით მონოძებულია უზრუნველყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების კანონიერება, ბრუნვის სტაბილურობის მოსაზრებები არ წარმოადგენს ერთადერთ მოთხოვნას ადმინისტრაციული ხელშეკრულებების მიმართ, სამართალურთიერთობის ყველა მონაწილის პატივსაღები ინტერესის სამართლიანი ბალანსის მიღწევა შესაძლებელია არა მხოლოდ სამოქალაქო, არამედ ადმინისტრაციული მოთხოვნების გათვალისწინების პირობებში. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელესა და მესამე პირთა ინტერესებს შორის, მარეგისტრირებული ორგანოს გარდა, დგას ქონების განმკარგავი რამდენიმე ორგანო – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა არის გაცილებით უფრო მაღალი, ვიდრე სამართლის რომელიმე სხვა სუბიექტის, რამდენადაც მიიჩნევა, რომ სახელმწიფო, მთელი მისი ადმინისტრაციული რესურსებით, თავადვე უნდა იყოს კანონიერების გარანტი (სუს 24.04.2014წ. №ბს-359-349(4კ-13) გადაწყვეტილება).

მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოების მიერ უგულებელყოფილია მოსარჩელის საკუთრების უფლება და კანონიერი ინტერესი, რაც სწორად იქნა შეფასებული სააპელაციო სასამართლოს მიერ. შესაბამისად, არ არსებობს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილების საფუძვლები.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 410-ე, 411-ე მუხლებით და

## **გ ა ლ ა ნ ე ს ი ტ ა :**

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 09.06.2015წ. განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **სადავო უპრავი ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების კანონიერება**

### **გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს სა ს ხ ე ლ ი ტ**

№ბს-252(კ-19)

21 მაისი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი**

**დავის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2017 წლის 31 მაისს შპს „...ამ“ სასარჩელო განცხადებით მიმართა ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხეების – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ბ. ჩ-ისა და ვ. ძ-ის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, შპს „...ას“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ...ში, რეკრეაციულ ზონაში საკუთრებაში აქვს უძრავი ქონება (ს.კ. №...), რომელიც წარმოადგენს 27 001 კვ.მ მიწას, მასზე განთავსებულ ...სა და ...ი ...სს. ...ი ფუნქციონირებს უკვე მრავალი წელია და ამ საქმიანობისათვის განუვლია მრავალმილიონიანი ინვესტიცია.

მოსარჩელის მითითებით, ...ს ეზო აღმოსავლეთით ესაზღვრე-

ბა ...ის ...ის ქუჩა, ...ს ლობიდან ქუჩის სავალ ნაწილამდე არის მრავალწლიანი ნარგავები (ფიჭვები) და ტროტუარი, რომელიც წარმოადგენს საზოგადოებრივი სარგებლობის სივრცეს და მისი საშუალებით გადაადგილდებიან, მათ შორის, მოსარჩელის დამსვენებლებიც. მოსარჩელის აღნიშვნით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა 31.08.2016 წელს მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, სადაც წარადგინა ამავე რიცხვში გამოცემული №... ბრძანება და საკუთრებაში დაარეგისტრირა ორი ნაკვეთი: 1. ს.კ. №... – 30 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი; 2. ს.კ. №... – 70 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

მოსარჩელის მითითებით, მუნიციპალიტეტსა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მიმართვის შედეგად გაირკვა, რომ 2017 წლის 7 ნოემბერს ორივე ნაკვეთი გატანილ იქნა აუქციონზე, აქედან ერთი – ს.კ. №... გასხვისებულ იქნა ფიზიკურ პირებზე – ბ. ჩ-სა და ვ. ძ-ეზე. შედეგად, მუნიციპალიტეტის მიერ 2016 წლის 30 დეკემბერს გაცემულ იქნა №... საკუთრების დამადასტურებელი მონმობა, უძრავი ქონება კი ამავე პირების საკუთრებაში საჯარო რეესტრში 2017 წლის 9 იანვარს დარეგისტრირდა.

მოსარჩელის განმარტებით, მუნიციპალიტეტის მიერ რეგისტრირებული უძრავი ქონება რეალურად წარმოადგენს ტროტუარს და რეკრეაციულ ზონაში არსებულ მწვანე ნარგავებს და მისი გასხვისება დაუშვებელია. ამასთან, ნაკვეთების გასხვისებითა და მასზე კონსტრუქციების ან/და შენობა-ნაგებობების განთავსებით მნიშვნელოვნად ფერხდება დამსვენებლების გადაადგილება როგორც ...ს ტერიტორიაზე, ისე მის გარეთ. მოსარჩელის მითითებით, იმ სახის სამენარმეო საქმიანობა, რომელსაც შპს „...ა“ ეწევა, წარმოადგენს დამსვენებლებისათვის სხვადასხვა სერვისების შეთავაზებას. მუნიციპალიტეტის მიერ რეკრეაციულ ზონაში ტროტუარებისა და ნარგავების კერძო პირებზე გასხვისება და მათზე ნაგებობების განთავსება კი მნიშვნელოვნად აბრკოლებს მოსარჩელის საქმიანობას. ამასთან, მოსარჩელის განმარტებით, ნაკვეთები მდებარეობს რეკრეაციულ ზონაში, ისინი წარმოადგენენ მუნიციპალიტეტის ქონების განუსხვისებელ კატეგორიას და მათი გასხვისება დაუშვებელია.

ამდენად, მოსარჩელემ უძრავი ქონების ს.კ. №... და ს.კ. №... საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანის ნაწილში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 2 ნოემბრის №273 სხდომის ოქმის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 2 ნოემბრის №59 განკარგულების, 2016 წლის 6 დეკემბრის საჯარო აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №... ოქმის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის 30 დეკემბრის №... საკუთრების დამადასტურებელი მონმობისა და 2016 წლის 20 დეკემბრის ნასყი-

დობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა მოითხოვა.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 8 ივნისის განჩინებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე; ყადაღა დაედო მოპასუხე სსიპ თვითმმართველი თემის – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას, მდებარე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ...ში, საკადასტრო კოდი №....

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 23 მარტის გადაწყვეტილებით მოსარჩელე შპს „...ას“ სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 2 ნოემბრის №273 სხდომის ოქმი უძრავი ქონების ს.კ. №... და ს.კ. №... საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანის ნაწილში; ბათილად იქნა ცნობილი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 2 ნოემბრის №59 განკარგულება უძრავი ქონების ს.კ. №... და ს.კ. №... ნაწილში; ბათილად იქნა ცნობილი 2016 წლის 6 დეკემბრის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას საჯარო აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი №...; ბათილად იქნა ცნობილი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის 30 დეკემბრის №... საკუთრების დამადასტურებელი მონუმობა; ბათილად იქნა ცნობილი 2016 წლის 20 დეკემბრის ნასყიდობის ხელშეკრულება №... ოზურგეთის მუნიციპალიტეტსა და ქონების შემძენებს – ბ. ჩ-სა და ვ. ძ-ეს შორის.

სასამართლომ მიუთითა „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების მეორე მუხლის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებზე, რომელთა თანახმად, განკარგვა არის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზება, სარგებლობის უფლებით გადაცემა, მართვის უფლებით გადაცემა ან სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა; პრივატიზება არის მუნიციპალიტეტის ქონების ფიზიკური ან/და იურიდიული პირისთვის საკუთრებაში გადაცემა, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ (შემდგომში – კოდექსი) დადგენილი ფორმითა და წესით.

დადგენილების მე-14 მუხლის თანახმად, საჯარო აუქციონის ფორმით მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზება ხორციელდება ამ წესის მე-5 მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად. დადგენილების მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ელექტრონული აუქციონის ფორმით მუნიციპალიტეტის ქონების (გარდა თბილისის ქო-

ნებისა) პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის შესაბამისად. დადგენილების მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ელექტრონული აუქციონის ფორმით მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზება შეიძლება განხორციელდეს უპირობოდ ან პირობებით. უპირობო ელექტრონული აუქციონისას, მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის ვალდებულებას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდა, ხოლო პირობებიანი ელექტრონული აუქციონისას, მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის ვალდებულებას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდა და მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ განსაზღვრული ელექტრონული აუქციონის პირობების შესრულება. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ელექტრონული აუქციონის ფორმით მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების მიზანია, საკუთრების უფლება მიენიჭოს ელექტრონულ აუქციონში მონაწილე იმ პირს, რომელიც ვაჭრობის პროცესში აუქციონატორს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს, ხოლო თუ ელექტრონული აუქციონი გამოცხადდა პირობებით – საკუთრების უფლება მიენიჭოს ელექტრონულ აუქციონში მონაწილე იმ პირს, რომელიც აიღებს ვალდებულებას, დააკმაყოფილოს გამოცხადებული პირობები და ვაჭრობის პროცესში აუქციონატორს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად კი, ელექტრონული აუქციონის ფორმით მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვრება ამ ნების მე-6 თავის შესაბამისად.

დადგენილების 34-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვრება არანაკლებ დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტი) დასკვნის საფუძველზე დადგენილი ფასის ოდენობით.

სასამართლომ მიუთითა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 106-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის მიხედვით, მუნიციპალიტეტის ქონებას განეკუთვნება: ა) მუნიციპალიტეტისთვის კანონით მიკუთვნებული ქონება; ბ) სახელმწიფოს მიერ მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადაცემული ქონება; გ) ავტონომიური რესპუბლიკის მიერ შესაბამისი მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადაცემული ქონება; დ) მუნიციპალიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი, შეძენილი ან რეგისტრირებული ქონება. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედ-

ვით, მუნიციპალიტეტის ქონება იყოფა ორ კატეგორიად – ძირითად (განუსხვისებელ) ქონებად და დამატებით ქონებად. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად კი, ძირითადი (განუსხვისებელი) ქონება არის მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების განხორციელების საფუძველი. ძირითადი ქონების გამოყენება შეიძლება მხოლოდ მუნიციპალიტეტის საჯარო ფუნქციების შესასრულებლად და უფლებამოსილების განსახორციელებლად.

სასამართლომ მიიჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული წარმოება ადგილობრივი ორგანოს სტრუქტურული ერთეულების მიერ არ იყო განხორციელებული სრულყოფილად, რის შედეგადაც, გაურკვეველი იყო ძირითადი ფაქტობრივი გარემოებები. კერძოდ, არ იყო დადგენილი, ქონება წარმოადგენდა ძირითად (განუსხვისებელ) ქონებას თუ არა. შესაძლებელი იყო თუ არა ქონების არასაჯარო ფუნქციით გამოყენება. სასამართლოს მითითებით, ადგილზე დათვალიერებისას დადგინდა, რომ არ იყო გამიჯნული საფეხმავლო გზა (ტროტუარი) და არსებული მასალებით შეუძლებელი იყო დადგენა, ხომ არ მოხდა საჯარო მიზნისთვის განკუთვნილი სივრცის გასხვისება. გაურკვეველი იყო ქონების შეფასების საფუძვლები. ასევე ადმინისტრაციული წარმოება საჯარო აუქციონის განხორციელებისას წარმოებული იყო შემჭიდროებულ ვადებში, დაჩქარებულად. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ როგორც აუქციონი, ასევე მისი შედეგები, ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 27 მარტის განჩინებით დაკმაყოფილდა შუამდგომლობა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის თაობაზე; ყადაღა დაედო მოპასუხეების – ბ. ჩ-ის (პ/ნ ...), ვ. ძ-ის (პ/ნ ...) თანასაკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას, მდებარეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ...ში, ს.კ. №....

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 23 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, ბ. ჩ-მა და ვ. ძ-ემ, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ბ. ჩ-ის და ვ. ძ-ის სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა; გაუქმდა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 23 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „...ს“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა; გაუქმდა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2017



ნლის 8 ივნისის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ (სსიპ თვითმმართველი თემი – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე მდებარე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ...ი – საკადასტრო კოდით №...); გაუქმდა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 27 მარტის განჩინება გადანყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით ბ. ჩ-ის და ვ. ძ-ის თანასაკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ (მდებარე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ...ი – საკადასტრო კოდით №...).

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 2016 წლის 23 ივნისის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ №3964 წერილით მიმართა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრს, რომელსაც აცნობა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას განსაზღვრული ჰქონდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ...ში მდებარე 70 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის განკარგვა, რის გამოც საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 ოქტომბრის №233 დადგენილების მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ითხოვა დადასტურება, ექვემდებარებოდა თუ არა აღნიშნული მიწის ნაკვეთი ბუნებრივ რესურსებზე (მ.შ. ნიაღზე) დამაგრებას.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის პირველი მოადგილის 2016 წლის 7 ივლისის წერილით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს ეცნობა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ...ში მდებარე 70 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, თანდართული საკადასტრო-აზომვითი ნახაზის საფუძველზე, არ ექვემდებარებოდა ბუნებრივ რესურსებზე, მათ შორის, ნიაღზე დამაგრებას.

სააპელაციო პალატამ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 23 აგვისტოს №5/43564 წერილით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას ეცნობა, რომ სააგენტო არ იყო წინააღმდეგი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ...ში მდებარე 43 კვ.მ, 70 კვ.მ, 40 კვ.მ, 30 კვ.მ და 34 კვ.მ მიწის ნაკვეთები დარეგისტრირებულიყო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე არ იყო განთავსებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობა და არ იმყოფებოდა კერძო სამართლის სუბიექტის სარგებლობაში ან საკუთრებაში.

საჯარო რეესტრის 2017 წლის 30 მაისის ამონაწერის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წლის 31 აგვისტოს №... ბრძანების საფუძველზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ...ში მდებარე 30 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მი-

ნის ნაკვეთი 2016 წლის 2 სექტემბერს დარეგისტრირდა სსიპ თვითმმართველი თემის – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლებით, საკადასტრო კოდით – №....

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საჯარო რეესტრის 2017 წლის 2 სექტემბრის ამონაწერის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წლის 31 აგვისტოს №... ბრძანების საფუძველზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ...ში მდებარე 70 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 2016 წლის 2 სექტემბერს დარეგისტრირდა სსიპ თვითმმართველი თემის – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლებით, საკადასტრო კოდით – №....

2016 წლის 2 ნოემბერს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 34 ხმით დაამტკიცა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი (პუნქტი 3.59) „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების წუსხის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

2016 წლის 2 ნოემბერს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ №59 განკარგულებით დაამტკიცა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების წუსხა თანახმად დანართისა. თანდართულ დანართში, სხვა მიწის ნაკვეთებთან ერთად, მითითებულია №... და №... საკადასტრო კოდის მქონე უძრავი ქონებებიც.

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის მასალებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ №... და №... საკადასტრო კოდის მქონე უძრავი ქონებები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ განსაკარგად გატანილ იქნა საჯარო აუქციონზე. აღნიშნული მიწის ნაკვეთებიდან №... საკადასტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთზე (70 კვ.მ) 2016 წლის 6 დეკემბერს გაიმარჯვეს ვ. ძ-ემ და ბ. ჩ-მა, ხოლო №... საკადასტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთი ისევ რჩება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში. შეთავაზებულმა თანხამ შეადგინა 7350 ლარი (ბეს გარეშე). ვ. ძ-ისა და ბ. ჩ-ის მიმართ გაიცა №... საკუთრების დამადასტურებელი მონმოზა და 2016 წლის 20 დეკემბერს გაფორმდა №... ნასყიდობის ხელშეკრულება.

2017 წლის 9 იანვარს №... საკუთრების დამადასტურებელი მონმობის საფუძველზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ...ში მდებარე 70 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებად საჯარო რეესტრში ვ. ძ-ე და ბ. ჩ-ი დარეგისტრირდნენ. მითითებულ უძრავ ქონებაზე სსიპ შემოსავლების სამსახურის 2016 წლის 24 მაისის №0611757 შეტყობინებით რეგისტრირებულია საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა.

სააპელაციო პალატამ ადგილზე დათვალიერების ოქმით დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო მიწის ნაკვეთი მდებარეობს შპს „...ას“ ლობიდან და ბოლომდე არ მიდის ცენტრალური გზის ავტომანქანის სავალ ნაწილთან. საავტომობილო გზის გასწვრივ ტროტუარი ცალკე გამოყოფილი არ არის. მოსარჩელის წარმომადგენლის მოსაზრებით, აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენდა რეკრეაციულ ზონას, სადაც სამომავლოდ უნდა გაკეთებულიყო ქვეითთა სავალი ნაწილი.

საჯარო რეესტრიდან ამონაწერებით სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ №... და №... საკადასტრო კოდის მქონე უძრავი ქონებების მიმდებარედ მდებარეობს კერძო პირთა მიწის ნაკვეთები, ასევე, მიწის ნაკვეთის ნაწილზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტს დადებული აქვს იჯარის ხელშეკრულება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქმის მასალებზე და აღნიშნა, რომ სადავოდ ქცეული 30 კვ.მ და 70 კვ.მ მიწის ნაკვეთები 2016 წლის 2 სექტემბრიდან, შესაბამისი უფლების დამდგენი დოკუმენტის საფუძველზე, რეგისტრირებულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ...ში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სტატუსით. საქმის მასალების შესაბამისად, მითითებული უძრავი ქონების საკუთრების უფლებით დასარეგისტრირებლად ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა შესაბამისი თანხმობა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსგან და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსგან სწორედ მისი შემდგომი განკარგვის მიზნით გამოითხოვა. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სადავო უძრავი ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებით მოსარჩელეს რაიმე სახის სამართლებრივი პრეტენზია სასამართლოში არ წარუდგენია, შესაბამისად „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემთა მიმართ მოქმედებს უტყუარობის პრეზუმფცია, ვიდრე ისინი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალადაკარგულად, ბათილად ან არარად არ იქნება ცნობილი.

სააპელაციო პალატის მითითებით, საყურადღებო იყო ის გარემოებაც, რომ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 ივნისის №274 დადგენილებით დამტკიცდა ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაცია, რომელშიც „საავტომობილო გზები და ქუჩები, საფეხმავლო-სარეკრეაციო გზები, საველოსიპედო ბილიკები, საზოგადოებრივი ღია სივრცეები, მიწის ნაკვეთები და შეზღუდვების მქონე მიწის ნაკვეთები ასახულია ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაზე – „მიწის ნაკვეთების საკუთრების ტიპები და შეზღუდვები“.

ლუდგები მიწის ნაკვეთებზე“. სააპელაციო პალატამ განმეორებით აღნიშნა, რომ სადავო მიწის ნაკვეთების ოზურგეთის მუნიციპალიტეტზე საკუთრების უფლებით დასარეგისტრირებლად შესაბამისი თანხმობა სახელმწიფოს სახით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ გასცა, რაც ასევე იძლეოდა იმ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ სადავო მიწის ნაკვეთები არ მდებარეობდა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 ივნისის №274 დადგენილებით განსაზღვრულ ისეთ ტერიტორიაზე, რაც გამორიცხავდა მისი განკერძოების შესაძლებლობას. ამდენად, ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ №... და №... საკადასტრო კოდის მქონე უძრავი ქონებები არ მიეკუთვნებოდა მუნიციპალიტეტის ძირითად (განუსხვისებელ) ქონებას. ამასთან, საგულისხმო იყო ისიც, რომ მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთები წარმოადგენდა კერძო პირთა საკუთრებას.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის დამატებითი ქონების განკერძოების პროცედურებს ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, რომლის 118-ე მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზება ხორციელდება საჯარო ან ელექტრონული აუქციონის ფორმით. კოდექსის 119-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ ინფორმაცია თბილისის შემთხვევაში ქვეყნდება აუქციონის განმახორციელებელი სუბიექტის – აუქციონატორის ვებგვერდზე, ადგილობრივ ან სხვა ბეჭდვით საინფორმაციო გამოცემაში და ვებგვერდზე [www.eauction.ge](http://www.eauction.ge), ხოლო სხვა მუნიციპალიტეტის შემთხვევაში – ადგილობრივ ან სხვა ბეჭდვით საინფორმაციო გამოცემაში და ვებგვერდზე [www.eauction.ge](http://www.eauction.ge). ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა შეიძლება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით. მუნიციპალიტეტის ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება და ვაჭრობა მიმდინარეობს ვებგვერდზე [www.eauction.ge](http://www.eauction.ge). ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, აუქციონის ფორმით მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის მიზანია საკუთრების/სარგებლობის უფლების მინიჭება აუქციონში მონაწილე იმ პირისთვის, რომელიც ვაჭრობის პროცესში მუნიციპალიტეტის ქონების განმკარგავ სუბიექტს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს, ხოლო თუ აუქციონი პირობებით გამოცხადდება – საკუთრების/სარგებლობის უფლების მინიჭება აუქციონში მონაწილე იმ პირისთვის, რომელიც აიღებს ვალდებულებას, დააკმაყოფილოს გამოცხადებული პირობები, და ვაჭრობის პროცესში მუნიციპალიტეტის ქონების განმკარგავ სუბიექტს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს. ამავე

მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, აუქციონში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებული პირი წარადგენს უფლებამოსილი ორგანოს მიერ წინასწარ განსაზღვრული ოდენობის უპირობო და გამოუხმობ საბანკო გარანტიას ან იხდის ბეს. ბეს გადახდას უთანაბრდება დაინტერესებული პირის საბანკო ანგარიშზე არსებული თანხის გაყინვა, რომელიც აუქციონატორს გადაერიცხება აუქციონის მონაწილის აუქციონში გამარჯვებისთანავე ან ამ კანონით დადგენილი აუქციონის წესისა და პირობების დარღვევის შემთხვევაში. დასახელებული მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად კი, აუქციონის შედეგები უქმდება, თუ აუქციონში გამარჯვებულმა: ა) ამ კანონით განსაზღვრულ ვადაში არ გადაიხადა საფასური; ბ) უარი განაცხადა ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერაზე.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 120-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება. ამავ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი შეიცავს მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების ძირითად პირობებს და მხარეთა უფლება-მოვალეობებს. ამ ოქმის საფუძველზე ფორმდება ნასყიდობის ხელშეკრულება. მითითებული მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, მუნიციპალიტეტის შექმნილი ქონების სრული ღირებულების ანაზღაურების ან/და აუქციონის პირობების შესრულების შემდეგ ქონების შემძენს ეძლევა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშვნით, საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ სადავო მინის ნაკვეთების საპრივატიზებო ნუსხაში ჩასმა გადაწყდა საჯაროდ მიმდინარე საკრებულოს სხდომაზე. ამასთან, ორივე მინის ნაკვეთი განსაკარგად გატანილ იქნა საჯარო აუქციონზე. აღნიშნული მინის ნაკვეთებიდან №... საკადასტრო კოდის მქონე მინის ნაკვეთზე (70 კვ.მ) 2016 წლის 6 დეკემბერს გაიმარჯვეს ვ. ძ-ემ და ბ. ჩ-მა, ხოლო №... საკადასტრო კოდის მქონე მინის ნაკვეთი ისევ რჩება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში.

სააპელაციო სასამართლომ საყურადღებოდ მიიჩნია ის გარემოება, რომ მოსარჩელეს აუქციონის პროცედურული დარღვევით მიმდინარეობის შესახებ რაიმე სახის მტკიცებულება სასამართლოში არ წარუდგენია. მისი მოსაზრებით, ადმინისტრაციულმა ორგანომ ქონების განკარგვის თაობაზე გადაწყვეტილებების მიღებისას დაარღვია საჯაროობის პრინციპი.

სააპელაციო პალატამ განმეორებით აღნიშნა, რომ სადავო მი-

ნის ნაკვეთების საპრივატიზებო ნუსხაში ჩასმა და საჯარო აუქციონზე განკარგვა განხორციელდა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით, რადროსაც არ დარღვეულა საჯაროობის პრინციპი – ქონების განკარგვა მოხდა საჯარო აუქციონის გზით, ხოლო საკრებულოს სხდომა ჩატარდა ღიად საკრებულოს ბიუროს მიერ გათვალისწინებული დღის წესრიგით, რაც ასახული იყო სხდომის ვიდეორჩანაწერზე. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელის პოზიცია საკრებულოს ბიუროს მხრიდან ქონების განკარგვის მიზანშეუწონლად მიჩნევის თაობაზე, დაუსაბუთებლად მიიჩნია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „...ამ“, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, მუნიციპალიტეტის მიერ განკარგული ქონება წარმოადგენს საჯარო სარგებლობის სივრცეს, რის გამოც, მისი განკარგვა დაუშვებელი იყო, მაგრამ თუკი მუნიციპალიტეტი მინც დააპირებდა ქონების გასხვისებას, მას უნდა განეხორციელებინა საჯარო ადმინისტრაციული წარმოება, რაც მოსარჩელეს მისცემდა შესაძლებლობას, განეხორციელებინა კანონით მინიჭებული უფლებები. კერძოდ, იგი შეძლებდა, მიემართა საკრებულოსათვის საკუთარი მოსაზრებებითა და წინადადებებით, რაც მას მისცემდა საშუალებას, დაესაბუთებინა მისაღები გადაწყვეტილების არამართებულობა და მავნე გავლენა საკურორტო გარემოზე. კასატორის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების შედეგად უგულებელყოფილ იქნა არა მარტო თვითმმართველი ერთეულის ქონების განკარგვის, არამედ, ზოგადად, თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპები – კანონიერება და საჯაროობა.

კასატორის აღნიშვნით, მუნიციპალური ქონების განკარგვა ნაწილობრივ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით რეგულირდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ასეთ დროს დაცული უნდა იყოს საჯაროობის მაღალი სტანდარტი. კასატორი მიუთითებს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 110-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტის ორგანოები მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე ქონებრივ უფლებებს ახორციელებენ მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კასატორი მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და აღნიშნავს, რომ

ადმინისტრაციული წარმოება უნდა ჩატარებულიყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით, რაც ინფორმირების და საჯაროობის გაცილებით მაღალ სტანდარტს გულისხმობს იმასთან შედარებით, რასაც მოცემულ შემთხვევაში ჰქონდა ადგილი. ამასთან, კასატორი მიუთითებს, რომ არც სხდომის ოქმში და არც ვიდეორჩანანერში არ ჩანს, რომელ ნაკვეთებზე იმსჯელა საკრებულომ, საკრებულოს სხდომაზე არ ყოფილა მოხსენებული ნაკვეთების მისამართი და საკადასტრო კოდი. შესაბამისად, როგორც წერილობითი ოქმის, აგრეთვე, აუდიოჩანანერის გაცნობისას გაურკვეველი იყო, რა ქონება იყიდებოდა აუქციონის წესით. კასატორის მითითებით, მიუხედავად მოთხოვნისა, მუნიციპალიტეტმა ასევე ვერ წარადგინა გასასხვისებელი უძრავი ქონების ნუსხის დანართის სახით გამოქვეყნებასთან დაკავშირებული მტკიცებულება.

კასატორის განმარტებით, საკრებულოს სხდომაზე საერთოდ არ ყოფილა წარდგენილი საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის 21.10.2016წ. №18 ოქმი, რომლის მიხედვითაც, კომისიამ, საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით, ორივე სადავო ქონების საპრივატიზებო ნუსხიდან ამოღება მოითხოვა. კასატორის მითითებით, ხსენებული დასკვნა საერთოდ არ ყოფილა წარდგენილი საკრებულოს სხდომაზე საკითხის განხილვისას, მეტიც, საკრებულოს სხდომის ოქმში მომხსენებელი კომისიის დასკვნაზე ყურადღებას არ ამახვილებს. კასატორის მოსაზრებით, ზემოხსენებულთან კავშირი აქვს, აგრეთვე, საკრებულოს ბიუროს სხდომასაც, რომელიც, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საკითხს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად ამზადებს. კასატორის მითითებით, ბიურომ ისე მიიჩნია საპრივატიზებო ნუსხა საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გასატანად, რომ საერთოდ არ უმსჯელია, რატომ ითხოვდა კომისია სადავო ნაკვეთების ნუსხიდან ამოღებას.

კასატორი, ასევე, აღნიშნავს, რომ ერთ-ერთი უძრავი ქონების შემძენები ბ. ჩ-ი და ვ. ძ-ე არიან. მათგან ბ. ჩ-ი იყო როგორც ნაკვეთების რეგისტრაციის, ისე მათი საპრივატიზებო ნუსხაში შეტანისა და აუქციონზე გამოტანის ინიციატორი და ყველა მოქმედება მისი განცხადების საფუძველზე იქნა განხორციელებული. კასატორის მითითებით, ყურადსაღებია ისიც, რომ ნაკვეთები გასხვისდა არა ელექტრონული, არამედ თავად მუნიციპალიტეტის მიერ ჩატარებული აუქციონით.

ამასთან, კასატორმა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით სახელმწიფო აუდიტის მიერ შედგენილი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯვის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის საქმეში მტკიცებულების სა-

ხით ჩართვის თაობაზე იშუამდგომლა. კასატორი აღნიშნავს, რომ ხსენებული დოკუმენტი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებ-გვერდზე 21.12.2018წ., ანუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღების შემდგომ გამოქვეყნდა, რის გამოც, მისი წარდგენა ქვედა ინსტანციის სასამართლოებში შეუძლებელი იყო.

კასატორის მითითებით, დასკვნა შეეხება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ უძრავი ქონების გასხვისებას 2016-2017 წლებში, მათ შორის, დასკვნაში საუბარია სადავოდ ქცეულ ნაკვეთებზეც. კასატორი ყურადღებას ამახვილებს დასკვნის შინაარსზე და აღნიშნავს, რომ მასში რამდენჯერმეა მოხსენებული სადავო ქონების შემძენი ბ. ჩ-ი, რომელსაც არაერთი ნაკვეთი აქვს შეძენილი. კასატორის განმარტებით, აღნიშნული ნაკვეთები მოხვედრილია საექვო გარიგებებს შორის. ამასთან, დასკვნაში საუბარია კონკრეტულად განსახილველ დავაზე და სადავო მიწის ნაკვეთებზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 1 მარტის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული შპს „...ას“ საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 11 აპრილის განჩინებით შპს „...ას“ საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაიწყო მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „...ას“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2016 წლის 23 ივნისს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ №3964 წერილით მიმართა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრს, რომელსაც აცნობა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას განსაზღვრული ჰქონდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ...ში მდებარე 70 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის განკარგვა, რის გამოც საქართველოს მთავრობის 2007



ნლის 24 ოქტომბრის №233 დადგენილების მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ითხოვა დადასტურება, ექვემდებარებოდა თუ არა აღნიშნული მიწის ნაკვეთი ბუნებრივ რესურსებზე (მ.შ. ნიაღზე) დამაგრებას.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის პირველი მოადგილის 2016 წლის 7 ივლისის წერილით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს ეცნობა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ...ში მდებარე 70 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, თანდართული საკადასტრო-აზომვითი ნახაზის საფუძველზე, არ ექვემდებარებოდა ბუნებრივ რესურსებზე, მათ შორის, ნიაღზე დამაგრებას.

დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად არის მიჩნეული, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 23 აგვისტოს №5/43564 წერილით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას ეცნობა, რომ სააგენტო არ იყო წინააღმდეგი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ...ში მდებარე 43 კვ.მ, 70 კვ.მ, 40 კვ.მ, 30 კვ.მ და 34 კვ.მ მიწის ნაკვეთები დარეგისტრირებულიყო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე არ იყო განთავსებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობა და არ იმყოფებოდა კერძო სამართლის სუბიექტის სარგებლობაში ან საკუთრებაში.

საჯარო რეესტრის 2017 წლის 30 მაისის ამონაწერის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წლის 31 აგვისტოს №... ბრძანების საფუძველზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ...ში მდებარე 30 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 2016 წლის 2 სექტემბერს დარეგისტრირდა სსიპ თვითმმართველი თემის – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლებით საკადასტრო კოდით – №....

დადგენილია, რომ საჯარო რეესტრის 2017 წლის 2 სექტემბრის ამონაწერის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წლის 31 აგვისტოს №... ბრძანების საფუძველზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ...ში მდებარე 70 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 2016 წლის 2 სექტემბერს დარეგისტრირდა სსიპ თვითმმართველი თემის – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლებით საკადასტრო კოდით – №....

2016 წლის 2 ნოემბერს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 34 ხმით დაამტკიცა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი (პუნქტი 3.59) „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

2016 წლის 2 ნოემბერს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ №59 განკარგულებით დაამტკიცა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა თანახმად დანართისა. თანდართულ დანართში სხვა მიწის ნაკვეთებთან ერთად მითითებულია №... და №... საკადასტრო კოდის მქონე უძრავი ქონებებიც.

საქმის მასალებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად არის მიჩნეული, რომ №... და №... საკადასტრო კოდის მქონე უძრავი ქონებები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ განსაკარგად გატანილ იქნა საჯარო აუქციონზე. აღნიშნული მიწის ნაკვეთებიდან №... საკადასტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთზე (70 კვ.მ) 2016 წლის 6 დეკემბერს გაიმარჯვეს ვ. ძ-ემ და ბ. ჩ-მა, ხოლო №... საკადასტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთი ისევ რჩება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში. შეთავაზებულმა თანხამ შეადგინა 7350 ლარი (ბეს გარეშე). ვ. ძ-ისა და ბ. ჩ-ის მიმართ გაიცა №... საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა და 2016 წლის 20 დეკემბერს გაფორმდა №... ნასყიდობის ხელშეკრულება.

2017 წლის 9 იანვარს №... საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის საფუძველზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ...ში მდებარე 70 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შესაკუთრებად საჯარო რეესტრში ვ. ძ-ე და ბ. ჩ-ი დარეგისტრირდნენ. მითითებულ უძრავ ქონებაზე სსიპ შემოსავლების სამსახურის 2016 წლის 24 მაისის №0611757 შეტყობინებით რეგისტრირებულია საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა.

ადგილზე დათვალიერების ოქმით დადგენილია, რომ სადავო მიწის ნაკვეთი მდებარეობს შპს „...ას“ ლობიდან და ბოლომდე არ მიდის ცენტრალური გზის ავტომანქანის სავალ ნაწილთან. საავტომობილო გზის გასწვრივ ტროტუარი ცალკე გამოყოფილი არ არის. მოსარჩელის წარმომადგენლის მოსაზრებით, აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენდა რეკრეაციულ ზონას, სადაც სამომავლოდ უნდა გაკეთებულიყო ქვეითთა სავალი ნაწილი.

საჯარო რეესტრიდან ამონაწერებით სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ №... და №... საკადასტრო კოდების მქონე უძრავი ქონებების მიმდებარედ მდებარეობს კერძო პირთა მიწის ნაკვეთები, ასევე, მიწის ნაკვეთის ნაწილზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტს დადებული აქვს იჯარის ხელშეკრულება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივ საფუძველებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებებს, მათი შექმნისა და საქმიანობის წესებს, მათ ფინანსებსა და ქონებას, ურ-

თიერთობებს მოქალაქეებთან, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან და საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობისა და პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის განხორციელების წესებს. მითითებული კოდექსის 106-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონება არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, მუნიციპალიტეტის ქონება იყოფა ორ კატეგორიად – ძირითად (განუსხვისებელ) ქონებად და დამატებით ქონებად. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ძირითადი (განუსხვისებელი) ქონება არის მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების განხორციელების საფუძველი. ძირითადი ქონების გამოყენება შეიძლება მხოლოდ მუნიციპალიტეტის საჯარო ფუნქციების შესასრულებლად და უფლებამოსილების განსახორციელებლად. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით კი, დამატებითი ქონება არის ქონება, რომელიც არ არის ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების ნაწილი და რომელიც მუნიციპალიტეტმა შეიძლება გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. მე-7 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისება დაუშვებელია, გარდა ამ კანონის 121-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა. დამატებითი ქონების გასხვისება დასაშვებია ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით.

საკასაციო პალატა, აგრეთვე, მიუთითებს, რომ მუნიციპალიტეტის დამატებითი ქონების განკერძოების პროცედურებს ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 118-ე მუხლი, რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზება ხორციელდება საჯარო ან ელექტრონული აუქციონის ფორმით. მითითებული კოდექსის 119-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მუნიციპალიტეტის ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ ინფორმაცია თბილისის შემთხვევაში ქვეყნდება აუქციონის განმახორციელებელი სუბიექტის - აუქციონატორის ვებგვერდზე, ადგილობრივ ან სხვა ბეჭდვით საინფორმაციო გამოცემაში და ვებგვერდზე [www.eauction.ge](http://www.eauction.ge), ხოლო სხვა მუნიციპალიტეტის შემთხვევაში – ადგილობრივ ან სხვა ბეჭდვით საინფორმაციო გამოცემაში და ვებგვერდზე [www.eauction.ge](http://www.eauction.ge). ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა შეიძლება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით. მუნიციპალიტეტის ქონების ელექტრონული აუქციონის

ფორმით პრივატიზების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება და ვაჭრობა მიმდინარეობს ვებგვერდზე [www.eauction.ge](http://www.eauction.ge). მითითებული მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, აუქციონის ფორმით მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის მიზანია საკუთრების/სარგებლობის უფლების მინიჭება აუქციონში მონაწილე იმ პირისთვის, რომელიც ვაჭრობის პროცესში მუნიციპალიტეტის ქონების განმკარგავ სუბიექტს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს, ხოლო თუ აუქციონი პირობებით გამოცხადდება – საკუთრების/სარგებლობის უფლების მინიჭება აუქციონში მონაწილე იმ პირისთვის, რომელიც აიღებს ვალდებულებას, დააკმაყოფილოს გამოცხადებული პირობები, და ვაჭრობის პროცესში მუნიციპალიტეტის ქონების განმკარგავ სუბიექტს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, აუქციონში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებული პირი წარადგენს უფლებამოსილი ორგანოს მიერ წინასწარ განსაზღვრული ოდენობის უპირობო და გამოუხმობ საბანკო გარანტიას ან იხდის ბეს. ბეს გადახდას უთანაბრდება დაინტერესებული პირის საბანკო ანგარიშზე არსებული თანხის გაყინვა, რომელიც აუქციონატორს გადაერიცხება აუქციონის მონაწილის აუქციონში გამარჯვებისთანავე ან ამ კანონით დადგენილი აუქციონის წესისა და პირობების დარღვევის შემთხვევაში. დასახელებული მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად კი, აუქციონის შედეგები უქმდება, თუ აუქციონში გამარჯვებულმა: ა) ამ კანონით განსაზღვრულ ვადაში არ გადაიხადა საფასური; ბ) უარი განაცხადა ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერაზე.

ამასთან, საკასაციო პალატა მიუთითებს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 120-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი შეიცავს მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების ძირითად პირობებს და მხარეთა უფლება-მოვალეობებს. ამ ოქმის საფუძველზე ფორმდება ნასყიდობის ხელშეკრულება. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით კი, მუნიციპალიტეტის შექმნილი ქონების სრული ღირებულების ანაზღაურების ან/და აუქციონის პირობების შესრულების შემდეგ ქონების შემძენს ეძლევა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა.

საკასაციო პალატა უპირველესად ყურადღებას ამახვილებს საქმეში წარმოდგენილ ფოტოსურათებზე, რომლებიც ნაკვეთის რეალურ მდგომარეობას ასახავს. ფოტოსურათებით ცალსახად დგინდება, რომ სადავო მიწის ნაკვეთები მოიცავს ტერიტორიას შპს „...ს“

საკუთრებაში არსებული ნაკვეთის ღირებულებიდან გზის სავალ ნაწილამდე, თუმცა საგულისხმოა ისიც, რომ საფეხმავლო გზა (ტროტუარი) არ არის განცალკევებით გამოყოფილი. აღნიშნულს ადასტურებს საქმეში არსებული ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 5 მარტის ადგილზე დათვლიერების ოქმი, კერძოდ, ადგილზე დათვლიერების შედეგად დადგინდა, რომ „სადავო მიწის ნაკვეთი მდებარეობს შპს „...ას“ ღირებულებიდან და ბოლომდე არ მიდის ცენტრალური გზის ავტომანქანის სავალ ნაწილთან. ტროტუარი ცალკე გამოყოფილი არ არის“. თუმცა ყურადსაღებია ისიც, რომ საქმეში არსებული მასალებით და სააპელაციო სასამართლოს მსჯელობით, არ დგინდება, წარმოადგენს თუ არა გასხვისებული მიწის ნაკვეთები საჯარო მიზნებისათვის განკუთვნილ სივრცეს. საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ მსჯელობის მიღმა დატოვა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის 21.10.2016წ. №18 ოქმი, რომლის მიხედვითაც, კომისიამ, საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით, ორივე სადავო ქონების საპრივატიზებო ნუსხიდან ამოღება მოითხოვა. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ კომისიის დასკვნის შეუფასებლობის პირობებში, სააპელაციო პალატას უნდა ემსჯელა, რატომ გამოთქვა იმავე საკრებულოს კონკრეტულმა კომისიამ სადავო უძრავ ქონებებთან მიმართებით საკითხის უკეთ შესწავლის ინიციატივა და რით იყო განპირობებული კომისიის მხრიდან ამგვარი მოთხოვნის დაყენება. თუმცა, გარდა იმისა, რომ განსახილველ შემთხვევაში, ერთი მხრივ, სადავოდ არის გამხდარი უძრავ ქონებათა საპრივატიზებო ნუსხაში მოხვედრისა და მისი გასხვისების დაშვების კანონიერება, მეორე მხრივ, მოსარჩელე სადავოდ ხდის მიწის ნაკვეთთა გასხვისების პროცედურულ მხარეს. კასატორი მიიჩნევს, რომ დარღვეულია საჯაროობის პრინციპი.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებებს აუქციონზე სადავო ქონებების მისამართისა და საკადასტრო კოდის განსაზღვრის გარეშე გამოტანის თაობაზე. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილია [www.eauction.ge](http://www.eauction.ge) ვებგვერდზე განთავსებული მონაცემები, საიდანაც დასტურდება, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ...ში მდებარე 30 კვ.მ და 70 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები საჯარო აუქციონის წესით გასასხვისებლად აუქციონზე იქნა გამოტანილი (1. განაცხადის №..., აუქციონის №..., ლოტის №...; 2. განაცხადის №....., აუქციონის №..., ლოტის №...). ამავე განაცხადების ფარგლებში განისაზღვრა უძრავი ქონების თვისებები, განათავსდა უძ-

რავი ქონებების მოკლე აღწერილობა, კერძოდ, მიეთითა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 30 კვ.მ და 70 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები მდებარეობდა ...ის ტერიტორიაზე, ...ის ქუჩის მიმდებარედ. ამასთან, თითოეულ მათგანთან მიმართებით, თვისებების/აღწერილობის გრაფაში მიეთითა საკადასტრო კოდიც. ამდენად, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას სადავო უძრავი ქონების შესაბამისი რეკვიზიტების მითითების გარეშე აუქციონზე გამოტანის შესახებ. თუმცა აღნიშნულის პარალელურად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღოს საჯარო აუქციონის განხორციელებისას ადმინისტრაციული წარმოების შემჭიდროებულ ვადებში, დაჩქარებულად, განხორციელების ფაქტი. მითითებული გარემოება საყურადღებო იყო იმ თვალსაზრისითაც, რომ ბ. ჩ-ისა და ვ. ძ-ის მიერ სადავო უძრავი ქონება შეძენილ იქნა სანყის ღირებულებასთან საკმაოდ მიახლოებულ ფასად. საეჭვო ფაქტობრივ მდგომარეობას ამძაფრებს ისიც, რომ სადავო უძრავი ქონების გასხვისება განხორციელდა არა ელექტრონული, არამედ საჯარო აუქციონის წესით.

ამასთან, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს კასატორის მიერ საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე. კერძოდ, კასატორმა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შედგენილი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯვის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის საქმეში მტკიცებულების სახით ჩართვის თაობაზე იშუამდგომლა. ხსენებული ანგარიში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულია 2018 წლის 21 დეკემბერს, ანუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, რის გამოც ქვედა ინსტანციის სასამართლოები მოკლებული იყვნენ შესაძლებლობას, გადაწყვეტილების მიღების პროცესში გაეთვალისწინებინათ აღნიშნული ანგარიშის შინაარსი. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ანგარიში საყურადღებოა იმ კუთხით, რომ მასში საუბარია 2016-2017 წლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ აუქციონის ჩატარების პროცედურული მხარის დაცულობაზე, შემდგარ გარიგებათა არაკეთილსინდისიერებაზე. დასკვნაში ფიგურირებს სადავო ქონების შემძენი ბ. ჩ-იც. მასში, ასევე, მითითებულია განსახილველ დავაზეც. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ზემოხსენებული ანგარიში შესაძლებელია გავლენას ახდენდეს შესაბამის პერიოდში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გამართულ, მათ შორის, სადავო უძრავ ქონებებთან მიმართებით ჩატარებულ აუქციონთა კანონიერებაზე. იგი შეიძლება შეიცავდეს გან-

სახილველი დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ინფორმაციას. ამასთან, საყურადღებოა კასატორის შემდგომი შუამდგომლობები, კერძოდ, საგულისხმოა, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს 04.07.2018 წლის წერილიც, რომელშიც საუბარია უძრავი ქონების შემფასებლის მიერ უძრავი ქონებების ყოველგვარი ნახვისა და დათვალეირების გარეშე გასხვისებაზე. კასატორმა აგრეთვე წარმოადგინა ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2019 წლის 5 თებერვლის განჩინება. აღნიშნული განჩინებით ყადაღა დაედო 2015-2017 წლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ გასხვისებულ ყველა ნაკვეთს (306 ნაკვეთი), მათ შორის, ვ. ძისა და ბ. ჩ-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს, საკადასტრო კოდით №.... ხსენებული დოკუმენტაციით დასტურდება, რომ დაწყებული სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში ქრთამის აღებისა და გაყალბებული დასკვნების წარდგენის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის წარმოება მიმდინარეობს №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის გასხვისების ფაქტზეც.

საკასაციო პალატა ასევე აღნიშნავს, რომ კასატორმა ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2019 წლის 24 თებერვლის განჩინების საქმეზე მტკიცებულების სახით დართვის თაობაზეც იშუამდგომლა. კასატორი წარმოდგენილი შუამდგომლობითა და ზემოხსენებულ განჩინებაში დაფიქსირებული ინფორმაციით ბ. ჩ-ის არაკეთილსინდისიერებისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიუკერძოებლობის ეჭვქვეშ დაყენებას ცდილობს.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლზე, რომლის თანახმად, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივართან დაკავშირებით მიმდინარე სამართალწარმოების ფარგლებში, კასატორის მიერ წარმოდგენილია დასაშვები და დასაბუთებული საკასა-

ციო პრეტენზია. საკასაციო საჩივარსა თუ შემდგომ შუამდგომლობებზე თანდართული ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის სასამართლოს მხრიდან შეფასება არსებით მნიშვნელობას იძენს საქმის მართებულად გადაწყვეტის კუთხით. თუმცა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მოკლებულია დამატებით მტკიცებულებათა მოპოვება-შეფასების შესაძლებლობას. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილოს საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახულ ინფორმაციაზე, გამოიკვლიოს და შეაფასოს მასში წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები და განსაზღვროს, წარმოდგენილი მტკიცებულებებით ასახული ინფორმაცია ახდენს თუ არა ზეგავლენას განსახილველი დავის შედეგზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „...ას“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. შპს „...ას“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



## 2. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევის გამო

სამეწარმეო საქმიანობისათვის სახელმწიფო  
საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების  
არამართლზომიერად სარგებლობისათვის შესაბამისი  
საფასურის გადახდა

**განჩინება**  
**საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-489(2კ-19)

28 მაისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი  
ქონების არამართლზომიერად სარგებლობისთვის თანხის დაკის-  
რება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

2017 წლის 24 აპრილს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა  
სააგენტომ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალა-  
ქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუ-  
ხის – შპს „...ის“ მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, ქ. თბილისში, ...ის ქ. №51-ში მდებარე  
4683 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი (ნაკვ. №...) (ს.კ. №...) და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები (2640 კვ.მ) ირიცხება  
სახელმწიფოს საკუთრებაში. შპს „ჩ...ო დაწესებულების ...ი“  
აღნიშნული უძრავი ქონებით არამართლზომიერად სარგებლობდა  
და მას სამეწარმეო საქმიანობისთვის იყენებდა.

მოსარჩელის მითითებით, 2003 წლის 27 აგვისტოს ქირავნობის  
ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „ჩ...ო დაწესებულების ...ს“ 10  
წლის ვადით სარგებლობის უფლებით გადაეცა ქ. თბილისში, ...ის  
№51-ში მდებარე შენობა (2411 კვ.მ) მიმდებარე მიწის ნაკვეთით  
(4683 კვ.მ). მოსარჩელის განმარტებით, ქალაქ თბილისის სახელ-  
მწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს 2007  
წლის 6 თებერვლის №2-22/275 წერილით ...ს გაეგზავნა შეთავაზე-  
ბა ყოველწლიური ქირის, ნაცვლად 32 300 ლარისა, 55 000 აშშ დო-

ლარის ეკვივალენტი ლარით განსაზღვრის თაობაზე. ამასთან, მოპასუხეს ეცნობა, რომ ახალი პირობებით ხელშეკრულების გაფორმების შეთავაზებაზე (ოფერტზე) უარის ან ერთი წლის განმავლობაში თანხმობის (აქცეპტის) განუცხადებლობის შემთხვევაში, ადრე დადებული ხელშეკრულების მოქმედება შეწყვეტილად ჩაითვლებოდა. მოსარჩელის მითითებით, ვინაიდან შეთავაზებაზე ...ის აქცეპტი განხორციელდა დაგვიანებით – 2009 წლის 17 თებერვალს, 2008 წლის 6 თებერვლიდან ხელშეკრულების მოქმედება შეწყდა. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ ...ის მიერ შესრულებულია ქირის გადახდის ვალდებულება ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღის – 2008 წლის 6 თებერვლის ჩათვლით.

მოსარჩელის მითითებით, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს №000470117 დასკვნის თანახმად, ქ. თბილისში, ...ის ქ. №51-ში მდებარე №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების მთლიანი ყოველთვიური საიჯარო ქირის საბაზრო ღირებულება, 2012 წლის 17 სექტემბრიდან 2013 წლის დეკემბრის ჩათვლით, შეადგენდა 17 558 ლარს, 2014 წლის იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით – 18 652 ლარს, 2015 წლის იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით – 24 024 ლარს, ხოლო 2016 წლის იანვრიდან 2016 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით შეადგენდა 22 319 ლარს.

მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხეს არაერთხელ გაეგზავნა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან გაფრთხილების წერილები (22.12.2016წ. №7/65075 და 24.02.2017წ. №7/9197), რომლითაც განესაზღვრა ვადა ვალდებულების შესასრულებლად, თუმცა უშედეგოდ.

ამდენად, მოსარჩელემ მოპასუხისათვის – შპს „...ისათვის“ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სასარგებლოდ, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლობიერი სარგებლობისათვის, 1 037 953 ლარის გადახდის დავლება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეს – შპს „...ს“ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სასარგებლოდ, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლობიერი სარგებლობისთვის, 1 037 953 ლარის გადახდა დაეკისრა.

საქალაქო სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერით დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „...ი“ სსიპ საჯარო

რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მენარმე სუბიექტად და-  
რეგისტრირდა 1996 წლის 15 აგვისტოს, რომლის სამართლებრივ  
ფორმას წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგა-  
დოება, საიდენტიფიკაციო კოდი – ..., იურიდიული მისამართი – სა-  
ქართველო, თბილისი, ...ის რაიონი, ...ის ქ. №51.

საქმეში წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერით დას-  
ტურდება, რომ ქ. თბილისში, ...ის ქ. №51-ში მდებარე 4683 კვ.მ არა-  
სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი (ნაკვ. №...) (ს.კ. №...) და მას-  
ზე არსებული შენობა-ნაგებობები (2640 კვ.მ) საკუთრების უფლე-  
ბით ირიცხება სახელმწიფოს სახელზე.

დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ ქ. თბილისში, ...ის ქ. №51-ში  
მდებარე 4683 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთით (ნაკვ.  
№...) (ს.კ. №...) და მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით (2640 კვ.მ)  
არამართლზომიერად სარგებლობდა და სამეწარმეო საქმიანობი-  
სათვის იყენებდა შპს „...ი“.

სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი სსიპ ლევან სამხარაუ-  
ლის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს  
2017 წლის 27 იანვრის №000470117 ექსპერტიზის დასკვნით დად-  
გენილად მიიჩნია, რომ ქ. თბილისში, ...ის ქ. №51-ში მდებარე №...  
საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების მთლიანი  
ყოველთვიური საიჯარო ქირის საბაზრო ღირებულება, 2012 წლის  
17 სექტემბრიდან 2013 წლის დეკემბრის ჩათვლით, შეადგენდა 17  
558 ლარს, 2014 წლის იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით – 18 652  
ლარს, 2015 წლის იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით – 24 024 ლარს,  
ხოლო 2016 წლის იანვრიდან 2016 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით კი  
– 22 319 ლარს.

ამასთან, სასამართლო სხდომაზე მოპასუხე მხარის წარმომად-  
გენლების მიერ წარმოდგენილ იქნა შპს „ა...ის“ მიერ 2017 წლის 23  
აგვისტოს გაცემული ქ. თბილისში, ...ის ქ. №51-ში მდებარე სახელ-  
მწიფო საკუთრებაში არსებული ფართის საიჯარო ქირის საბაზრო  
ღირებულების შეფასების ანგარიში, რომლითაც მისი გამცემი ას-  
კვნის, რომ შესაფასებელი ქონების საიჯარო ქირის საბაზრო ღი-  
რებულება შეადგენს: 2012 წლისთვის 122 126 ლარს წელიწადში,  
რაც ყოველთვიურად შეადგენს 10 177 ლარს. 2013 წლისთვის – წე-  
ლიწადში 123 714 ლარს, ყოველთვიურად – 10 309 ლარს; 2014 წლის-  
თვის – წელიწადში 130 642 ლარს, ყოველთვიურად – 10 887 ლარს;  
2015 წლისთვის – წელიწადში 138 611 ლარს, ყოველთვიურად – 11  
551 ლარს; 2016 წლისთვის – 138 334 ლარს წელიწადში, ყოველთვი-  
ურად – 11 527 ლარს. შეფასების შედეგად საიჯარო ქირა ასევე  
მოიცავს დღგ-ს თანხას.

საქმის მასალებით დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ სსიპ სა-

ხელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 22 დეკემბრის №7/65075 წერილით შპს „...ს“ ეცნობა, რომ ქ. თბილისში, ...ის ქ. №51-ში მდებარე 4683 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ნაკვ. №...) (ს.კ. №...) და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები (2640 კვ.მ) წარმოადგენდა სახელმწიფოს საკუთრებას, რომლითაც არამართლზომიერად სარგებლობდა შპს „...ი“ და მას სამეწარმეო საქმიანობისთვის იყენებდა. სააგენტოს მიერ ჩატარებული ღონისძიებების შედეგად შპს „...ს“ ეთხოვა, უზრუნველყო სამეწარმეო საქმიანობისთვის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლზომიერად სარგებლობის შესაბამისი საფასურის გადახდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში 2012 წლის 17 სექტემბრიდან არამართლზომიერი სარგებლობის მთელი პერიოდისათვის (2016 წლის 10 დეკემბრამდე).

სასამართლოს მიერ დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 24 თებერვლის №7/9197 წერილით შპს „...ს“ ეცნობა, რომ ქ. თბილისში, ...ის ქ. №51-ში მდებარე 4683 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი (ნაკვ. №...) (ს.კ. №...) და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები (2640 კვ.მ) წარმოადგენდა სახელმწიფოს საკუთრებას, რომლითაც არამართლზომიერად სარგებლობდა შპს „...ი“ და მას სამეწარმეო საქმიანობისთვის იყენებდა. შპს „...ს“ კვლავ ეთხოვა უზრუნველყო სამეწარმეო საქმიანობისთვის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლზომიერად სარგებლობის საფასურის გადახდა 2012 წლის 17 სექტემბრიდან 2013 წლის დეკემბრის ჩათვლით 17 558 ლარის, 2014 წლის იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით – 18 652 ლარს, 2015 წლის იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით – 24 024 ლარის, ხოლო 2016 წლის იანვრიდან 2016 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით – 22 319 ლარის (253 692 ლარის) ოდენობით.

საქალაქო სასამართლომ, აგრეთვე, დადგენილად მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი შპს „...ის“ დირექტორის 2016 წლის 2 დეკემბრის განცხადებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს ეცნობა, რომ ქ. თბილისში, ...ის ქ. №51-ში მდებარე შენობა-ნაგებობა გამოთავისუფლებული იყო, რის გამოც იგი ითხოვდა აღნიშნული შენობა-ნაგებობის იმავე წლის 10 დეკემბრამდე ჩაბარებას.

სასამართლომ გაიზიარა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2017 წლის 27 იანვრის №000470117 ექსპერტიზის დასკვნაში მოყვანილი გარემოებები და შეფასებები.

სასამართლომ არ უარყო მოპასუხე მხარის მიერ წარმოდგენილი შეფასების ანგარიში და მისი გამომცემი იურიდიული პირის მი-

ერ განეული შრომა ჩატარებულ კვლევასთან მიმართებით, თუმცა იქვე განმარტა, რომ მოსარჩელე მხარის მიერ წარმოდგენილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნა უფრო მეტი ლეგიტიმაციის მქონე იყო. კერძოდ, სასამართლომ მიუთითა საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №255 დადგენილებით დამტკიცებულ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დებულებაზე“ და აღნიშნა, რომ ბიუროს მოცემული დებულებისა და შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე ჰქონდა მომეტებული პასუხისმგებლობა, პირნათლად შეესრულებინა მასზე დაკისრებული უფლებამოსილებები, საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საქართველოს მთავრობის წინაშე ანგარიშვალდებულება კი მის მიერ გამოცემულ ექსპერტიზის დასკვნებს მეტ ლეგიტიმაციას აძლევდა. შესაბამისად, სასამართლომ გაიზიარა მასში გადმოცემული შეფასებები, რაც მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მოპასუხის მიერ წარდგენილი შეფასების ანგარიშიდან და წარმოადგენდა ამ უკანასკნელის მიერ დაკვეთით შესრულებულ სამუშაოს მის მიერვე დასმული კითხვის ფარგლებში.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე, 105-ე და 131-ე მუხლებზე და განმარტა, რომ მოპასუხემ ვერ უზრუნველყო მტკიცება იმისა, თუ რატომ უნდა გაეზიარებინა სასამართლოს მის მიერ წარმოდგენილი შეფასებების ანგარიში, გარდა იმისა, რომ მასში მოთხოვნილ თანხასთან მიმართებით საგრძნობლად ნაკლები თანხა იყო მითითებული. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხემ ვერ დაადასტურა, თუ რა იქნა დარღვეული სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ დასკვნის შედგენისას, რაც მის ლეგიტიმაციას ეჭვქვეშ დააყენებდა და, შესაბამისად, გამორიცხავდა მისი გაზიარების შესაძლებლობას.

სასამართლომ მიუთითა „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის 1<sup>3</sup> პუნქტზე, რომლის თანახმად, სახელმწიფო ქონებით მოსარგებლე, რომელსაც არ აქვს ამ ქონებით მართლზომიერად სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი და რომელიც ქონებას სამენარმეო საქმიანობისათვის (კომერციული მიზნით) იყენებს, ვალდებულია, ქონების მმართველის წერილობითი მოთხოვნის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხადოს სარგებლობაში გადაცემის საფასური, საბაზრო ღირებულების შესაბამისად (საექსპერტო/აუდიტო-

რული დასკვნის საფუძველზე), საჯარო რეესტრში სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაციის მომენტიდან სარგებლობის მთელი პერიოდისათვის.

სასამართლომ დამატებით მიუთითა „სახელმწიფო ქონების შე-სახებ“ საქართველოს კანონის 49<sup>2</sup> მუხლზე, რომლის თანახმად, ფიზიკური და იურიდიული პირები გათავისუფლდნენ სამენარმეო საქმიანობისათვის (კომერციული მიზნით) სახელმწიფო ქონებით არამართლობიერად სარგებლობისათვის ამ კანონის 36-ე მუხლის 1<sup>3</sup> პუნქტის შესაბამისად, 2012 წლის 17 სექტემბრამდე სარგებლობის პერიოდისათვის გადასახდელი, სახელმწიფო ქონების სარგებლობაში გადაცემის საფასურის გადახდის ვალდებულებისაგან. თუ საჯარო რეესტრში სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაცია 2012 წლის 17 სექტემბრის შემდეგ განხორციელდა, ფიზიკური და იურიდიული პირები გათავისუფლდნენ სამენარმეო საქმიანობისათვის (კომერციული მიზნით) სახელმწიფო ქონებით არამართლობიერად სარგებლობისათვის ამ კანონის 36-ე მუხლის 1<sup>3</sup> პუნქტის შესაბამისად საფასურის გადახდის ვალდებულებისაგან საჯარო რეესტრში სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაციის მომენტამდე არსებული პერიოდისათვის.

სასამართლომ აღნიშნა, რომ, განსახილველ შემთხვევაში, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო მოპასუხეზე სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლობიერი სარგებლობისთვის თანხის დაკისრებას ითხოვდა 2012 წლის 17 სექტემბრიდან. დასახელებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებითა და მხარეთა განმარტებებით დასტურდებოდა, რომ სახეზე იყო შპს „...ის“ მიერ ვალდებულების არაჯეროვნად და არაკეთილსინდისიერად შესრულების ფაქტი, აღნიშნულის საწინააღმდეგო მტკიცებულება კი საქმეში წარმოდგენილი არ იყო. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი საფუძვლიანი იყო, რის გამოც, იგი უნდა დაკმაყოფილებულიყო და მოპასუხე – შპს „...ს“ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სასარგებლოდ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლობიერი სარგებლობისთვის 1 037 953 (მილიონ ოცდაჩვიდმეტი ათას ცხრაას ორმოცდაცამეტი) ლარის გადახდა უნდა დაკისრებოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „...მა“, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა პალატის 2018 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს „...ის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; შპს „...ს“ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სასარგებლოდ 1005653 ლარის გადახდა დაეკისრა.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტება ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნის მეტი ლეგიტიმაციის საკითხთან მიმართებით. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ აპელანტი ვერ მიუთითებდა ბიუროს მიერ გაცემული კონკრეტული დასკვნის მომზადებისას კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევასა თუ ფაქტობრივ უსწორობებზე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ საიჯარო ქირის გაანგარიშებისას სწორად იხელმძღვანელა ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით.

ამასთან, სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მოსარჩელე მოითხოვდა მოპასუხისთვის თანხის დაკისრებას 2012 წლის 17 სექტემბრიდან 2016 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე გაანგარიშებით. საქმეში წარმოდგენილი შპს „ა...ის“ დასკვნის მიხედვით კი, თანხა დაანგარიშებული იყო 2017 წლის პერიოდზეც. ამდენად, აღნიშნული დასკვნა არ უნდა იყო გაზიარებული მოცემული დავის გადასაწყვეტად.

სააპელაციო პალატამ ასევე ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სადავო პერიოდში – 2012 წლის 17 სექტემბრიდან 2016 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით, აპელანტის მიერ განხორციელებული იყო გადახდები, მათ შორის, 2012 წლის 22 ნოემბერს საწარმოს მიერ გადახდილი იყო 8075 ლარი, 2013 წლის 25 თებერვალს – 8075 ლარი, ასევე, 2003 წლის 31 ივლისს კომპანიის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი იყო 16150 ლარი, რომლის დაწინაურებად მითითებული იყო შენობის იჯარის საავანსო ღირებულება და რომელიც, ხელშეკრულების მიხედვით, უნდა ჩათვლილიყო 2013 წლის ბოლო 6 თვის ქირის გადასახადში. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტისთვის თანხის დაკისრებისას გათვალისწინებულ უნდა ყოფილიყო მითითებული გადახდები და მოსარჩელის მიერ მოთხოვნილ თანხას უნდა გამოკლებოდა ...ის მიერ 2003 წლის 31 ივლისს, 2012 წლის 22 ნოემბერსა და 2013 წლის

25 თებერვალს გადახდილი 32 300 ლარი. აღნიშნულის გათვალისწინებით კი, შპს „...ს“ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სასარგებლოდ 1005653 ლარის გადახდა უნდა დაკისრებოდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „...მა“, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მითითებით, სასამართლოს დადგენილად უნდა მიეჩნია, რომ არამართლზომიერი სარგებლობის პერიოდმა შეადგინა დრო – 2012 წლის 17 სექტემბრიდან 2016 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით და ამ დროის განმავლობაში მოპასუხეს ეკისრებოდა ქონების სარგებლობისათვის ექსპერტიზის მიერ დადგენილი თანხის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტში სწორედ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის 1<sup>3</sup> პუნქტიდან გამომდინარე, ხოლო თუკი მხარეს უსაფუძვლოდ ჰქონდა გადახდილი შეწყვეტილი იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე საიჯარო ქირა აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს ანგარიშზე, კასატორის მოსაზრებით, აღნიშნული ქირის საკითხის განხილვა და გადაწყვეტა სხვა სამართლებრივი ნორმების საფუძველზე იყო შესაძლებელი.

კასატორის – შპს „...ის“ მითითებით, სააპელაციო პალატამ ფაქტობრივად განაცხადა, რომ რა შინაარსის დასკვნაც არ უნდა წარადგინოს მხარემ სხვა საექსპერტო დაწესებულებიდან, მიუხედავად იმისა, რომ მას ამ საექსპერტო დაწესებულების მიმართ არავითარი პრეტენზია არ გააჩნია, სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა, გამომდინარე იქიდან, რომ იგი მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის წინაშე ანგარიშვალდებული, უფრო მეტი ლეგიტიმაციის მქონეა. კასატორი მიუთითებს, რომ ამგვარი დაშვებით უძრავი ქონების საიჯარო ფასის განსაზღვრა მხოლოდ ხელისუფლების ექსკლუზიურ კომპეტენციად უნდა იქნეს განხილული. კა-



სატორი მიიჩნევს, რომ აღნიშნული განმარტების გაზიარება და ძალაში დატოვება დაამკვიდრებს არასწორ სასამართლო პრაქტიკას და საფრთხეს შეუქმნის დამოუკიდებელ საექსპერტო დაწესებულებათა საქმიანობასა და ავტორიტეტს. ამასთან, კასატორის მოსაზრებით, აღნიშნული პირდაპირ არღვევს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპს. კასატორი, აგრეთვე, განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოსთვის არავითარ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა.

კასატორი ასევე მიუთითებს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა მოპასუხეს არ მისცეს საშუალება, სასამართლოს წინაშე უკეთ დაესაბუთებინა მის მიერ წარდგენილი დასკვნის სისწორე და უპირატესობა მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარდგენილ დასკვნასთან მიმართებით, რამდენადაც 2017 წლის 24 აგვისტოს გამართულ სასამართლო სხდომაზე, კასატორის მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს მხრიდან მას ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ეთქვა უარი სასამართლო სხდომაზე ექსპერტის დაბარებაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 12 აპრილისა და 18 ივნისის განჩინებებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და შპს „...ის“ საკასაციო საჩივრები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 10 ოქტომბრის განჩინებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და შპს „...ის“ საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მათი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და შპს „...ის“ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქმეში წარმოდგენილი მე-

წარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერით დასტურდება, რომ შპს „...“ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მეწარმე სუბიექტად დარეგისტრირდა 1996 წლის 15 აგვისტოს, რომლის სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საიდენტიფიკაციო კოდი – ..., იურიდიული მისამართი – საქართველო, თბილისი, ...ის რაიონი, ...ის ქ. №51.

საქმეში წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერით დასტურდება, რომ ქ. თბილისში, ...ის ქ. №51-ში მდებარე 4683 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი (ნაკვ. №...) (ს.კ. №...) და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები (2640 კვ.მ) საკუთრების უფლებით ირიცხება სახელმწიფოს სახელზე.

დადგენილია, რომ ქ. თბილისში, ...ის ქ. №51-ში მდებარე 4683 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთით (ნაკვ. №...) (ს.კ. №...) და მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით (2640 კვ.მ) არამართლობიერად სარგებლობდა და სამეწარმეო საქმიანობისათვის იყენებდა შპს „...“.

საქმეში წარმოდგენილია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2017 წლის 27 იანვრის №000470117 ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც დადგენილია, რომ ქ. თბილისში, ...ის ქ. №51-ში მდებარე №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების მთლიანი ყოველთვიური საიჯარო ქირის საბაზრო ღირებულება, 2012 წლის 17 სექტემბრიდან 2013 წლის დეკემბრის ჩათვლით, შეადგენდა 17 558 ლარს, 2014 წლის იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით – 18 652 ლარს, 2015 წლის იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით – 24 024 ლარს, ხოლო 2016 წლის იანვრიდან 2016 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით კი – 22 319 ლარს.

ამასთან, სასამართლო სხდომაზე მოპასუხე მხარის წარმომადგენლების მიერ წარმოდგენილ იქნა შპს „...ის“ მიერ 2017 წლის 23 აგვისტოს გაცემული ქ. თბილისში, ...ის ქ. №51-ში მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართის საიჯარო ქირის საბაზრო ღირებულების შეფასების ანგარიში, რომლითაც მისი გამცემი ასკვნის, რომ შესაფასებელი ქონების საიჯარო ქირის საბაზრო ღირებულება შეადგენს: 2012 წლისთვის ნელინადში 122 126 ლარს, რაც ყოველთვიურად შეადგენს 10 177 ლარს; 2013 წლისთვის – ნელინადში 123 714 ლარს, ყოველთვიურად – 10 309 ლარი; 2014 წლისთვის – ნელინადში 130 642 ლარს, ყოველთვიურად – 10 887 ლარს; 2015 წლისთვის – ნელინადში 138 611 ლარს, ყოველთვიურად – 11 551 ლარს; 2016 წლისთვის – 138 334 ლარს ნელინადში, ყოველთვიურად – 11 527 ლარს. შეფასების შედეგად საიჯარო ქირა ასევე

მოიცავს დღგ-ს თანხას.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 22 დეკემბრის №7/65075 წერილით შპს „...ს“ ეცნობა, რომ ქ. თბილისში, ...ის ქ. №51-ში მდებარე 4683 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ნაკვ. №...) (ს.კ. №...) და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები (2640 კვ.მ) წარმოადგენდა სახელმწიფოს საკუთრებას, რომლითაც არამართლზომიერად სარგებლობდა შპს „...ი“ და მას სამეწარმეო საქმიანობისთვის იყენებდა. სააგენტოს მიერ ჩატარებული ღონისძიებების შემდგომ შპს „...ს“ ეთხოვა, უზრუნველეყო სამეწარმეო საქმიანობისთვის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლზომიერად სარგებლობის შესაბამისი საფასურის გადახდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში 2012 წლის 17 სექტემბრიდან არამართლზომიერი სარგებლობის მთელი პერიოდისათვის (2016 წლის 10 დეკემბრამდე).

დადგენილია, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 24 თებერვლის №7/9197 წერილით შპს „...ს“ ეცნობა, რომ ქ. თბილისში, ...ის ქ. №51-ში მდებარე 4683 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი (ნაკვ. №...) (ს.კ. №...) და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები (2640 კვ.მ) წარმოადგენდა სახელმწიფოს საკუთრებას, რომლითაც არამართლზომიერად სარგებლობდა შპს „...ი“ და მას სამეწარმეო საქმიანობისთვის იყენებდა. შპს „...ს“ კვლავ ეთხოვა უზრუნველეყო სამეწარმეო საქმიანობისთვის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლზომიერად სარგებლობის საფასურის გადახდა 2012 წლის 17 სექტემბრიდან 2013 წლის დეკემბრის ჩათვლით – 17 558 ლარის, 2014 წლის იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით – 18 652 ლარს, 2015 წლის იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით – 24 024 ლარის, ხოლო 2016 წლის იანვრიდან 2016 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით – 22 319 ლარის (253 692 ლარის) ოდენობით.

ამასთან, საქმის მასალებით დადგენილია, რომ საქმეში წარმოდგენილი შპს „...ის“ დირექტორის 2016 წლის 2 დეკემბრის განცხადებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს ეცნობა, რომ ქ. თბილისში, ...ის ქ. №51-ში მდებარე შენობა-ნაგებობა გამოთავისუფლებული იყო, რის გამოც იგი ითხოვდა აღნიშნული შენობა-ნაგებობის იმავე წლის 10 დეკემბრამდე ჩაბარებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით არამართლზომიერად სამეწარმეო მიზნებისთვის სარგებლობის გამო შპს „...ისთვის“ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სასარგებლოდ თანხის დაკისრება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვასთან, განკარგვასა და სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს ანესრიგებს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის პირველი მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ქონების მართვასა და განკარგვას ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო. მითითებული კანონის 36-ე მუხლის 1<sup>3</sup> პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ქონებით მოსარგებლე, რომელსაც არ აქვს ამ ქონებით მართლზომიერად სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი და რომელიც ქონებას სამენარმეო საქმიანობისათვის (კომერციული მიზნით) იყენებს, ვალდებულია, ქონების მმართველის წერილობითი მოთხოვნის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხადოს სარგებლობაში გადაცემის საფასური, საბაზრო ღირებულების შესაბამისად (საექსპერტო/აუდიტორული დასკვნის საფუძველზე), საჯარო რეესტრში სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაციის მომენტიდან სარგებლობის მთელი პერიოდისათვის.

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 49<sup>2</sup> მუხლის თანახმად კი, ფიზიკური და იურიდიული პირები გათავისუფლდნენ სამენარმეო საქმიანობისათვის (კომერციული მიზნით) სახელმწიფო ქონებით არამართლზომიერად სარგებლობისათვის ამ კანონის 36-ე მუხლის 1<sup>3</sup> პუნქტის შესაბამისად, 2012 წლის 17 სექტემბრამდე სარგებლობის პერიოდისათვის გადასახდელი, სახელმწიფო ქონების სარგებლობაში გადაცემის საფასურის გადახდის ვალდებულებისაგან. თუ საჯარო რეესტრში სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაცია 2012 წლის 17 სექტემბრის შემდეგ განხორციელდა, ფიზიკური და იურიდიული პირები გათავისუფლდნენ სამენარმეო საქმიანობისათვის (კომერციული მიზნით) სახელმწიფო ქონებით არამართლზომიერად სარგებლობისათვის ამ კანონის 36-ე მუხლის 1<sup>3</sup> პუნქტის შესაბამისად საფასურის გადახდის ვალდებულებისაგან საჯარო რეესტრში სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაციის მომენტამდე არსებული პერიოდისათვის.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ცხადყოფს, რომ მიუხედავად ხელშეკრულებისა და იჯარის რეგისტრაციის შეწყვეტისა, მოპასუხე 2016 წლის 10 დეკემბრამდე შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე აგრძელებდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების

ფლობასა და სარგებლობას. ამასთან, საქმის განხილვის ეტაპზე სადავოდ არ ქცეულა ის ფაქტი, რომ შპს „...ი“ უძრავ ქონებას სწორედ სამენარმო საქმიანობისთვის იყენებდა. ამდენად, სახეზეა „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის 1<sup>3</sup> პუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო ქონებით მოსარგებლისთვის – შპს „...ისთვის“ სახელმწიფოს სასარგებლოდ თანხის დაკისრების საფუძვლები. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ უძრავი ქონებით არამართლზომიერი ფლობის ფაქტს არ უარყოფს თავად მოპასუხეც. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით შპს „...ი“ სადავოდ ხდის მხოლოდ ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მხრიდან მოსარჩელის მიერ წარდგენილი სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო დასკვნის უპირობო გაზიარებას და მის მიერ წარდგენილი დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნის უარყოფას. შესაბამისად, კასატორი მიიჩნევს, რომ მისთვის დაკისრებული თანხის ოდენობა არ შეესაბამება სადავო პერიოდში არსებულ რეალური საბაზრო ღირებულებით განსაზღვრულ საიჯარო ქირათა ჯამურ ოდენობას.

საკასაციო პალატა განმეორებით მიუთითებს, რომ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის 1<sup>3</sup> პუნქტის მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელი საფასურის ოდენობა განისაზღვრება საბაზრო ღირებულების შესაბამისად, საექსპერტო/აუდიტორული დასკვნის საფუძველზე. საქმეში წარმოდგენილია, ერთი მხრივ, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2017 წლის 27 იანვრის №000470117 ექსპერტიზის დასკვნა, მეორე მხრივ კი, შპს „ა...ის“ მიერ მომზადებული შეფასების ანგარიში. საგულისხმოა, რომ ეს უკანასკნელი სადავო ქონების საიჯარო ქირას შესაბამისი პერიოდების მიხედვით სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთან შედარებით, გაცილებით ნაკლებად აფასებს.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნისათვის უპირატესობის მინიჭებას. კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ბიუროს დებულებისა და შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე ჰქონდა მომეტებული პასუხისმგებლობა, პირნათლად შეესრულებინა მასზე დაკისრებული უფლებამოსილებები, საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საქართველოს მთავრობის წინაშე ანგარიშვალდებულება კი მის მიერ გამოცემულ ექსპერტიზის დასკვნებს მეტ ლეგიტიმაციას აძლევდა.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაცი-

ული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლზე, რომლის თანახმად, მხარეები ადმინისტრაციული საქმის განხილვისას სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს ეს ფაქტები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. ამავე კოდექსის 105-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამავე კოდექსის 172-ე მუხლის თანახმად კი, ექსპერტის დასკვნა სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის და მისი შეფასება ხდება 105-ე მუხლით დადგენილი წესით, მაგრამ სასამართლოს უარი დასკვნის მიღებაზე დასაბუთებულ უნდა იქნეს საქმეზე გამოტანილ გადანყვეტილებაში ან განჩინებაში.

ზემოაღნიშნულ სამართლებრივ საფუძვლებზე დაყრდნობით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის განხილვისას არავითარი მტკიცებულება არ იქნეს წინასწარ დადგენილ ძალას. შესაბამისად, სასამართლო ვალდებულია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მტკიცებულებებს საკუთარი შინაგანი რწმენით აფასებდეს, რომელიც თავის მხრივ, მტკიცებულებათა ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას უნდა ემყარებოდეს. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მხრიდან სისპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნის უპირობო გაზიარებამ მისთვის წინასწარ დადგენილი ძალის მინიჭება განაპირობა. დაუშვებელია, საქართველოს მთავრობასთან ანგარიშვალდებულების გამო, ბიუ-

როს მიერ გაცემული საექსპერტო დასკვნა სხვა დასკვნებთან შედარებით მაღალი ლეგიტიმაციით სარგებლობდეს. საექსპერტო დასკვნა ფასდება გაცემული შინაარსით. ის ფაქტი, რომ დამოუკიდებელი საექსპერტო საქმიანობა უშუალოდ საქართველოს მთავრობის მხრიდან მონიტორინგს არ ექვემდებარება, არ გულისხმობს იმას, რომ დამოუკიდებელი ექსპერტი სახელმწიფოს მიმართ ანგარიშვალდებულებით არ აღიჭურვება. კერძოდ, საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 14 სექტემბრის №223 ბრძანებით დამტკიცებულ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის დებულებაზე“, რომლის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური (შემდგომ – სამსახური) არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეყნუწებო დაწესებულება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროს სახელმწიფო ზედამხედველობას. ამავე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად, სამსახური თავისი ფუნქციების განხორციელებისას მოქმედებს სახელმწიფოს სახელით. სამსახური პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის წინაშე.

ამასთან, საკასაციო პალატა მიუთითებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 12 ივლისის №ნ-9 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესის“ პირველ მუხლზე, რომლის თანახმად, ეს წესი განსაზღვრავს საქართველოში აუდიტორული საქმიანობის (მომსახურების) (შემდგომ – აუდიტორული მომსახურების) ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომ – სამსახური) მიერ აუდიტორის და აუდიტორული (აუდიტური) ფირმის (შემდგომ – აუდიტორული ფირმა) და აუდიტორული ფირმის გარიგების პარტნიორის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის (შემდგომ – მონიტორინგი) განხორციელების ადმინისტრირების საფუძველზე, სამსახურის მიერ რისკის მართვის, პროფესიული ორგანიზაციის მიერ გაცემული დიაგნოსტიკური ანგარიშის (შემდგომ – დიაგნოსტიკური ანგარიში) წარდგენის, მონიტორინგის განმახორციელებელი პირების (შემდგომ – მონიტორინგის სამუშაო ჯგუფი) მიერ პროცედურების გონივრულად და სამართლიანად წარმართვის, წინასწარი და საბოლოო შედეგების განხილვის, რეკომენდაციის

გაცემის, გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრისა და მონიტორინგის ანგარიშის გასაჩივრების პროცედურებს. მითითებული წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონიტორინგს ექვემდებარება: ა) აუდიტორი; ბ) აუდიტორული ფირმა ან/და მისი ყველა გარიგების პარტნიორი, რომელიც აუდიტორულ მომსახურებას უწევდა ან/და უწევს სუბიექტს, არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს; გ) აუდიტორი ან აუდიტორული ფირმა და მისი ყველა გარიგების პარტნიორი, რომელიც აუდიტორულ მომსახურებას უწევდა ან/და უწევს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოსა და სხვა პირს, რომელთათვისაც შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილია ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ან საქმიანობის დამოუკიდებელი აუდიტის ჩატარების მოთხოვნა.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტები განსაზღვრავს აუდიტორული საქმიანობის ზედამხედველობის საკითხებს. ამასთან, ყურადსაღებია, რომ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური, რომელიც უშუალოდ ზედამხედველობს სახელმწიფოში მიმდინარე აუდიტორული მომსახურების პროცესს, თავისი ფუნქციების განხორციელებისას მოქმედებს სახელმწიფოს სახელით და იგი პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის წინაშე. ამდენად, დამოუკიდებელ საექსპერტო დაწესებულებათა თუ ექსპერტთა საქმიანობას სახელმწიფო არ ტოვებს კონტროლს მიღმა. ამგვარი დაწესებულებები ექვემდებარებიან ზედამხედველობას იმ ორგანოს მხრიდან, რომელიც, თავის მხრივ, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის წინაშეა ანგარიშვალდებული. შესაბამისად, დამოუკიდებელი საექსპერტო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტებიც საქართველოს მთავრობის არაპირდაპირი ზედამხედველობის ქვეშ ექცევიან.

საკასაციო პალატა ასევე განმარტავს, რომ საქართველოს მთავრობის წინაშე ანგარიშვალდებულების მოტივით სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მომზადებული დასკვნისათვის მაღალი ლეგიტიმაციის მინიჭება დამოუკიდებელი ექსპერტების საქმიანობისათვის საფრთხის შემცველია. კერძოდ, ამგვარი განმარტების სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრება ხელს შეუწყობს დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ მომზადებული დასკვნების სანდოობის ხარისხის შემცირებას, რამდენადაც, ბუნებრივია, საქმეში ურთიერთსაინააღმდეგო ორი დასკვნის არსებობის შემთხვევაში, რომელთაგან ერთი სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერ-



ტიზის ეროვნული ბიუროს მიერ არის გაცემული, ხოლო მეორე – დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ, ცალსახა უპირატესობა ბიუროს მიერ გაცემულ დასკვნას მიენიჭება. ასეთ პირობებში, ბიუროს მიერ მომზადებული საექსპერტო დასკვნა, ფაქტობრივად, იქნება წინასწარი ძალის მქონე, რადგანაც იგი დამოუკიდებელ აუდიტორთა მიერ მომზადებულ დასკვნებთან მიმართებით უპირობოდ მაღალი ლეგიტიმაციით ისარგებლებს. აღნიშნულის საპირისპიროდ, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საექსპერტო დასკვნის მიმართ არსებული სასამართლოს შინაგანი რწმენა უნდა ეფუძნებოდეს უფლებამოსილი პირის მიერ წარდგენილი დასკვნის შინაარსობრივ მხარეს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, საქმეში არსებული ორი საექსპერტო დასკვნით განსაზღვრულ საიჯარო ქირათა ჯამური ღირებულებები ერთმანეთთან საკმაოდ დიდ ცდომილებაშია, რაზეც სააპელაციო სასამართლოც ამახვილებს ყურადღებას. საგულისხმოა, რომ საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან მხოლოდ საქართველოს მთავრობის წინაშე სისპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ანგარიშვალდებულების მოტივით ბიუროს მიერ გაცემული დასკვნისათვის უპირატესობის მინიჭებას. საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 172-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ექსპერტის დასკვნა სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის და მისი შეფასება ხდება 105-ე მუხლით დადგენილი წესით, მაგრამ სასამართლოს უარი დასკვნის მიღებაზე დასაბუთებულ უნდა იქნეს საქმეზე გამოტანილ გადანყვეტილებაში ან განჩინებაში.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეში წარმოდგენილ დოკუმენტებზე, რომლითაც დგინდება, რომ ქალაქ თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს 2007 წლის 6 თებერვლის №2-22/275 წერილით შპს „...ს“ გაეგზავნა შეთავაზება ყოველწლიური ქირის, ნაცვლად 32 300 ლარისა, 55 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარით განსაზღვრის თაობაზე. მოპასუხეს ეცნობა, რომ ახალი პირობებით ხელშეკრულების გაფორმების შეთავაზებაზე (ოფერტზე) უარის ან ერთი წლის განმავლობაში თანხმობის (აქცეპტის) განუცხადებლობის შემთხვევაში, ადრე დადებული ხელშეკრულების მოქმედება შეწყვეტილად ჩაითვლებოდა. მოსარჩელის მითითებით, ვინაიდან შეთავაზებაზე ...ის აქცეპტი განხორციელდა დაგვიანებით – 2009 წლის 17 თებერვალს, 2008 წლის 6 თებერვლიდან ხელშეკრულების მოქმედება შეწყდა.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოპასუხეს ჯერ კიდევ

2007-2008 წლებში 55000 აშშ დოლარად (ეკვივალენტით ლარში) შეეთავაზა ქ. თბილისში, ...ის ქ. №51-ში მდებარე 4683 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთისა (ნაკვ. №...) (ს.კ. №...) და მასზე არსებული შენობა-ნაგებობების (2640 კვ.მ) თაობაზე იჯარის ხელშეკრულების გაფორმება. ცხადია, განვლილი დროისა და ეროვნული ვალუტის მიმართ უცხოური ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის ცვალებადობის გათვალისწინებით, შეთავაზებული ფასი სამომავლოდაც განიცდიდა პერიოდულ მატებას. ამასთან, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით მიუთითებს, რომ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს 4683 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთისა და 2640 კვ.მ შენობა-ნაგებობების იჯარის წესით გაცემა. ამდენად, უძრავი ქონების ფართობისა და ზემოაღნიშნულ გარემოებათა მხედველობაში მიღებით, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს შპს „ა...ის“ მიერ გაცემული შეფასების ანგარიშის შედეგებს, რამდენადაც მიიჩნევს, რომ სადავო პერიოდთან მიმართებით დაფიქსირებული ჯამური საიჯარო ქირის ოდენობა, რეალურ საბაზრო ღირებულებასთან შედარებით, შეუთავსებლად დაბალია. თავის მხრივ, თანხა, რომელიც სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მომზადებული დასკვნით განისაზღვრა, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, შეესაბამება ქ. თბილისში, ...ის ქ. №51-ში მდებარე 4683 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთისა (ნაკვ. №...) (ს.კ. №...) და მასზე არსებული შენობა-ნაგებობების (2640 კვ.მ) 2012 წლის 17 სექტემბრიდან 2016 წლის 10 დეკემბრის დროის მონაკვეთში არსებულ რეალურ საბაზრო ღირებულებას.

ამასთან, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სადავო პერიოდში, 2012 წლის 17 სექტემბრიდან 2016 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით, შპს „ა...ის“ მიერ განხორციელებულია გადახდები, მათ შორის, 2012 წლის 22 ნოემბერს საწარმოს მიერ გადახდილია 8 075 ლარი, 2013 წლის 25 თებერვალს – 8 075 ლარი, ასევე, 2003 წლის 31 ივლისს კომპანიის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილია 16 150 ლარი, რომლის დანიშნულებად მითითებულია შენობის იჯარის საავანსო ღირებულება და რომელიც, ხელშეკრულების მიხედვით, უნდა ჩათვლილიყო 2013 წლის ბოლო 6 თვის ქირის გადასახადში. ამდენად, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ მოპასუხისათვის თანხის დაკისრებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს მითითებული გადახდები და მოსარჩელის მიერ მოთხოვნილ თანხას უნდა გამოაკლდეს ...ის მიერ 2003 წლის 31 ივლისს, 2012 წლის 22 ნოემბერსა და 2013 წლის 25 თებერვალს გადახდილი 32 300 ლარი. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მიუხედავად სააპელაციო სასა-

მართლოს მიერ საქმეში წარმოდგენილ საექსპერტო დასკვნებთან მიმართებით განვითარებული მსჯელობების გაუზიარებლობისა, შედეგობრივად, შპს „...ს“ მართებულად დაეკისრა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სასარგებლოდ 1 005 653 ლარის გადახდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და შპს „...ს“ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და შპს „...ს“ საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სამხედრო პირის მიმართ კონტრაქტის დარღვევის  
გამო დაკისრებული შეუსაბამოდ მაღალი  
პირბასამტახლოს შემცირება.**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სასჯელით**

№ბს-570(კ-19)

2 აპრილი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი**

**დავის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, თანხის დაკისრება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2018 წლის 6 თებერვალს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – ნ. ჩ-ის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 2014 წლის 5 მაისს, ნ. ჩ-სა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის გაფორმდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2013 წლის 29 აპრილის №... ბრძანებით დამტკიცებული №... კონტრაქტი, რომლის 6.2.1. პუნქტით განისაზღვრა, რომ კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის სამხედრო მოსამსახურეს ეკისრებოდა ჯარიმა 18 000 (თვრამეტი ათასი) ლარის ოდენობით. მისივე განმარტებით, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2014 წლის 7 მაისის №... ბრძანებით, სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მსმენელი ნ. ვ. ჩ-ი განვეულ იქნა და ჩაირიცხა საკონტრაქტო (პროფესიულ) სამხედრო სამსახურში, კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების თანახმად და მიენიჭა პირველადი სამხედრო წოდება „რიგითი“, 2014 წლის 5 მაისიდან.

მოსარჩელემ განმარტა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის 2017 წლის 15 დეკემბრის №... ბრძანებით, საქართველოს შეიარაღებული ძალების ...ო ჯარების აღმოსავლეთ სარდლობის ...ი ბრიგადის მე-... უზრუნველყოფის ბატალიონის სამედიცინო ...ის სამედიცინო ...ის სამედიცინო

მხარდამჭერი ჯგუფის ...ი ექიმი, უფროსი ლეიტენანტი ნ. ვ. ჩ-ი, პირადი პატაკის საფუძველზე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან რეზერვში. ამდენად, ნ. ჩ-ი სამსახურიდან დათხოვნილ იქნა „კონტრაქტის პირობების დარღვევის“ გამო და შესაბამისად, მას თავდაცვის სამინისტროს (სახელმწიფო ბიუჯეტის) სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ჯარიმა – 18 000 (თვრამეტი ათასი) ლარი.

ამდენად, მოსარჩელემ ნ. ჩ-ისთვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (სახელმწიფო ბიუჯეტის) სასარგებლოდ ჯარიმის თანხის – 18 000 ლარის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში 2018 წლის 16 მარტს ნ. ჩ-მა შეგებებული სარჩელი წარადგინა მოპასუხის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ.

შეგებებული სარჩელის ავტორის განმარტებით, დაინიშნა საქართველოს შეიარაღებული ძალების ...ო ჯარების აღმოსავლეთ სარდლობის მე-... ..ის ბრიგადის უზრუნველყოფის ბატალიონის სამედიცინო ...ის სამედიცინო ...ის სამედიცინო მხარდამჭერი ჯგუფის ...ი ექიმის თანამდებობაზე. იგი აღნიშნულს არ დაეთანხმა, ვინაიდან პროფესიით არის ...ი და არ აქვს სამედიცინო განათლება. შესაბამისად, მოსარჩელემ არაერთხელ მიმართა უშუალო უფროსს, მეთაურს და ყველა იმ პირს, ვისაც შეეძლო მის განცხადებაზე რეაგირების მოხდენა და აცნობა, რომ მას არ გააჩნდა შესაბამისი კვალიფიკაცია დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად. ხელმძღვანელი პირების დაპირების მიუხედავად, იგი იღებდა ისეთ დავალებებს, რომელთა შესრულება ცალსახად სამედიცინო განათლების/ლიცენზიის მქონე პირის შესასრულებელი იყო. საბოლოოდ, ხელმძღვანელობასთან მოხდა ზეპირსიტყვიერი შეთანხმება, რომ მას დაეტოვებინა სამსახური პირადი განცხადების საფუძველზე, ფინანსური ვალდებულებების დაკისრების გარეშე. ფორმლობის დაცვისათვის, ნ. ჩ-მა დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების მოთხოვნით განცხადება დაწერა საქართველოს შეიარაღებული ძალების ...ო ჯარების აღმოსავლეთ სარდლობის ...ი ბრიგადის ადმინისტრაციულ შენობაში, იქ არსებული ფორმით.

შეგებებული სარჩელის ავტორის განმარტებით, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის 2017 წლის 15 დეკემბრის ბრძანება მისი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ არის უკანონო, ვინაიდან მას კონტრაქტის პირობები არ დაურღვევია. მოსარჩელე მოითხოვს ბრძანების საფუძველი – „კონტრაქტის პირობების დარღვევა“ შეიცვალოს და გათავისუფლების საფუძველად ბრძანებაში მიეთითოს – „მხარეთა შეთანხმებით“.

ამდენად, შეგებებული სარჩელის ავტორმა ნ. ჩ-ის მიერ „კონტრაქტის პირობების დარღვევის“ საფუძველზე სამსახურიდან დათხოვნის ნაწილში საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის 2017 წლის 15 დეკემბრის MOD... ბრძანების ბათილად ცნობა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ და „თ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მესამე დანაწესის (მხარეთა შეთანხმება) საფუძველზე ნ. ჩ-ის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ ბრძანების გამოცემის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხე ნ. ჩ-ს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (სახელმწიფო ბიუჯეტის) სასარგებლოდ 18 000 ლარის ანაზღაურება დაევალა; ნ. ჩ-ის შეგებებული სარჩელი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგინებულ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ 2014 წლის 5 მაისს ნ. ჩ-სა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის გაფორმდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2013 წლის 29 აპრილის №... ბრძანებით დამტკიცებული №... კონტრაქტი, რომლის 2.1. პუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურე ვალდებულია იმსახუროს ამ კონტრაქტის მოქმედების ვადის განმავლობაში. კონტრაქტის მოქმედების ვადა შეადგენს მსმენელად ყოფნის პერიოდისა და კურსის დასრულების შემდეგ ოფიცრად 6 (ექვსი) კალენდარული წლის ვადით სამხედრო სამსახურის ჯამს. კონტრაქტის მოქმედება იწყება მსმენელად ჩარიცხვის დღიდან და ეს თარიღი აღინიშნება კონტრაქტის პირველ გვერდზე, რაც იმავდროულად ითვლება კონტრაქტის ძალაში შესვლის თარიღად. ამავე კონტრაქტის 6.2. პუნქტის თანახმად, თუ მოსამსახურე ვადამდე დაითხოვება სამსახურიდან კანონმდებლობით გათვალისწინებული იმ საფუძველებით, რომელიც წარმოადგენს ფინანსური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს ან/და ამ კონტრაქტის 6.1.1, 6.1.4, 6.1.5, 6.1.6, 6.1.7, 6.1.8, 6.1.9 პუნქტებით განსაზღვრული იმ საფუძველებით, რომელიც მისი მიზეზით არის გამოწვეული, მას ეკისრება ჯარიმის სახით აუნაზღაუროს სამინისტროს თანხები, კერძოდ: 6.2.1. პუნქტით განისაზღვრა, რომ ოთხი წლის სამსახურის გავლის პერიოდში სამხედრო მოსამსახურეს ეკისრება ჯარიმა 18 000 (თვრამეტი ათასი) ლარის ოდენობით.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2014 წლის 7 მაისის MOD... ბრძანებით, სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართვე-

ლოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მსმენელი – ნ. ვ. ჩ-ი განვეულ და ჩარიცხულ იქნა საკონტრაქტო (პროფესიულ) სამხედრო სამსახურში, კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების თანახმად და მიენიჭა პირველადი სამხედრო წოდება – „რიგითი“, 2014 წლის 5 მაისიდან.

საქმის მასალებით დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ 2015 წლის 2 თებერვლიდან 2015 წლის 19 ივნისამდე პერიოდში ნ. ჩ-მა გაიარა სამხედრო-სამედიცინო ... ოფიცერთა მომზადების პროგრამა და საგამოცდო კომისიის 2015 წლის 17 ივნისის №... გადაწყვეტილებით მიენიჭა ძირითადი სამხედრო განათლების მქონე ოფიცრის კვალიფიკაცია სამხედრო-სამედიცინო სპეციალობით. აღნიშნული პროგრამა მოიცავდა: 1. პირველი სამედიცინო დახმარების საინსტრუქციო კურსს; 2. ზოგად საგნებს (კერძო დაზღვევის მიმოხილვა; საბრძოლო სტრესი; შეიარაღებული კონფლიქტების სამართალი); 3. ზოგად საექიმო გადამზადებას (სამხედრო ჰოსპიტალი); 4. პრევენციულ მედიცინასა და სამხედრო ჰიგიენას; 4. სამედიცინო ლოგისტიკურ უზრუნველყოფასა და დოკუმენტაციას; 5. სამედიცინო უზრუნველყოფის დაგეგმვას.

დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის 2015 წლის 23 ივნისის MOD ... ბრძანებით, ლეიტენანტი – ნ. ვ. ჩ-ი დაინიშნა საქართველოს შეიარაღებული ძალების ...ო ჯარების მე... ..ის ბრიგადის უზრუნველყოფის ბატალიონის სამედიცინო ...ის სამედიცინო მხარდამჭერი ჯგუფის ...ის ექიმის (საშტატო კატეგორია „უფროსი ლეიტენანტი“, შტატი №...) თანამდებობაზე, 2015 წლის 19 ივნისიდან, გათავისუფლდა რა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ... ოფიცერთა სკოლის მსმენელის თანამდებობიდან (საშტატო კატეგორია „ლეიტენანტი“).

დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის 2016 წლის 9 დეკემბრის MOD ... ბრძანებით, ლეიტენანტი – ნ. ვ. ჩ-ი დაინიშნა საქართველოს შეიარაღებული ძალების ...ო ჯარების აღმოსავლეთ სარდლობის ...ის ბრიგადის მე... უზრუნველყოფის ბატალიონის სამედიცინო ...ის სამედიცინო მხარდამჭერი ჯგუფის ... ექიმად (საშტატო კატეგორია „უფროსი ლეიტენანტი“, შტატი №...) 2016 წლის 19 დეკემბრიდან, გათავისუფლდა რა საქართველოს შეიარაღებული ძალების ...ო ჯარების აღმოსავლეთ სარდლობის მე... ..ის ბრიგადის უზრუნველყოფის ბატალიონის სამედიცინო ...ის სამედიცინო მხარდამჭერი ჯგუფის ...ის ექიმის (საშ-

ტატო კატეგორია „უფროსი ლეიტენანტი“, შტატი №...) თანამდებობიდან.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის 2017 წლის 3 აგვისტოს MOD ... ბრძანებით, საქართველოს შეიარაღებული ძალების ...ო ჯარების აღმოსავლეთ სარდლობის ...ი ბრიგადის მე-... უზრუნველყოფის ბატალიონის სამედიცინო ...ის სამედიცინო ...ის სამედიცინო მხარდამჭერი ჯგუფის ...ი ექიმი, უფროსი ლეიტენანტი – ნ. ჩ-ი, სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, მივლინებულ იქნა გენერალური შტაბის სამედიცინო დეპარტამენტის უფროსის განკარგულებაში 2017 წლის 7 აგვისტოდან შემდგომ განკარგულებამდე.

დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის 2017 წლის 9 აგვისტოს MOD ... ბრძანებით საქართველოს შეიარაღებული ძალების ...ო ჯარების აღმოსავლეთ სარდლობის ...ი ბრიგადის მე-... უზრუნველყოფის ბატალიონის სამედიცინო ...ის სამედიცინო ...ის სამედიცინო მხარდამჭერი ჯგუფის ...ი ექიმი, უფროსი ლეიტენანტი – ნ. ჩ-ი, სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, მივლინებულ იქნა გენერალური შტაბის სამედიცინო დეპარტამენტის უფროსის განკარგულებაში 2017 წლის 21 აგვისტოდან შემდგომ განკარგულებამდე.

საქართველოს შეიარაღებული ძალების ...ო ჯარების აღმოსავლეთ სარდლობის ...ი ბრიგადის მე-... უზრუნველყოფის ბატალიონის სამედიცინო ...ის სამედიცინო ...ის სამედიცინო მხარდამჭერი ჯგუფის ...მა ექიმმა – ნ. ჩ-მა 2017 წლის 5 დეკემბრის MOD ... პატაკით მიმართა ამავე ბატალიონის მეტაურს და მოითხოვა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნა. პატაკში ნ. ჩ-მა აღნიშნა, რომ აღარ სურდა შემდგომი სამხედრო სამსახურის გაგრძელება. პირად შემადგელობასთან და ხელმძღვანელობასთან არანაირი პრეტენზია არ გააჩნდა. ამასთან, გაცნობილი იყო კონტრაქტის პირობების დარღვევის შემდგომ შედეგებს და საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის 2017 წლის 27 მარტის №... ტელეფონოგრამას, რაზეც თანხმობას აცხადებდა.

დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ნ. ჩ-ის პატაკის საფუძველზე, დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად. ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, ნ. ჩ-ი გაფრთხილებულ იქნა მის მიმართ კონტრაქტის დარღვევის გამო გათვალისწინებული ფინანსური პასუხისმგებლობის (18 000 (თვრამეტი ათასი) ლარის) სახელ-



მნიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდევინებისათვის საჭირო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებასთან დაკავშირებით.

საქართველოს შეიარაღებული ძალების ...ო ჯარების აღმოსავლეთ სარდლობის ...ი ბრიგადის მე-... უზრუნველყოფის ბატალიონის ...-ის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა 2017 წლის 6 დეკემბერს ნ. ჩ-თან ჩაატარა გასაუბრება, რასთან დაკავშირებითაც, შედგა გასაუბრების ფურცელი. გასაუბრების ფურცელში დაფიქსირდა, რომ უფროსი ლეიტენანტი – ნ. ჩ-ი წარდგენილ იქნა კონტრაქტის შეწყვეტასა და საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნაზე, კონტრაქტის პირობების დარღვევის საფუძველზე. ამასთან, ნ. ჩ-ი გაეცნო უფლება-მოვალეობას იმ სამხედრო პირებისა, რომლებიც ჯარიდან დაითხოვებიან აღნიშნული სტატუსით და აღნიშნა, რომ ჯარიდან დათხოვნასთან დაკავშირებით, მას მეთაურთან არანაირი პრეტენზია და თხოვნა არ გააჩნდა. გასაუბრების ფურცლის გაცნობის ფაქტი ხელმოწერით დაადასტურა ნ. ჩ-მა.

საქმის მასალებით დადგინდა ფაქტობრივ გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის 2017 წლის 15 დეკემბრის MOD ... ბრძანებით, საქართველოს შეიარაღებული ძალების ...ო ჯარების აღმოსავლეთ სარდლობის ...ი ბრიგადის მე-... უზრუნველყოფის ბატალიონის სამედიცინო ...ის სამედიცინო ...ის სამედიცინო მხარდამჭერი ჯგუფის ...ი ექიმი (საშტაბო კატეგორია „უფროსი ლეიტენანტი“, შტატი №...), უფროსი ლეიტენანტი – ნ. ვ. ჩ-ი, „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის (კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო) საფუძველზე, გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან რეზერვში.

სამხედრო მოსამსახურის, უფროსი ლეიტენანტის – ნ. ვ. ჩ-ის ნამსახურობის პერიოდმა ვადამდე შეწყვეტილი კონტრაქტის გაფორმებიდან მის შეწყვეტამდე შეადგინა 3 (სამი) წელი, 7 (შვიდი) თვე და 13 (ცამეტი) დღე.

დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ ...ო ჯარების აღმოსავლეთ სარდლის 2017 წლის 23 თებერვლის №44 ბრძანებით დამტკიცდა ...ი ექიმის ფუნქციონალური მოვალეობები, კერძოდ, მის ძირითად ფუნქციონალურ მოვალეობებად განისაზღვრა: ავადმყოფების დროული ევაკუაცია უახლოეს სავაკუაციო ეტაპებზე და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა ევაკუაციის დროს, ხოლო დამატებით ფუნქციონალურ მოვალეობებად – ზემდგომის და-

ვალების შესრულება საქართველოს შეიარაღებულ ძალებში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში.

საქმის მასალებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების ...ო ჯარების აღმოსავლეთ სარდლობის ...ი ბრიგადის მე-... უზრუნველყოფის ბატალიონის სამედიცინო ...ის სამედიცინო ...ის სამედიცინო მხარდამჭერი ჯგუფის ...ი ექიმის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში, ნ. ჩ-ს არ შეუსრულებია ექიმის მოვალეობა და არ გასულა სადღეღამისო განწესში (ბრიგადის ლაზარეთი, სამედიცინო პუნქტი). იგი ასრულებდა მხოლოდ დანიშნული თანამდებობიდან გამომდინარე დამტკიცებულ ფუნქციონალურ მოვალეობებს და, მისი კვალიფიკაციის გათვალისწინებით, აკმაყოფილებდა ...ი ექიმის თანამდებობას.

სასამართლო სხდომაზე მონმის სტატუსით გამოკითხულმა მ. მ-ემ განმარტა, რომ იგი მსახურობს შეიარაღებულ ძალებში ...ი ბრიგადის ექიმად მას შემდეგ, რაც 2016 წელს განხორციელდა პირველი და მე-... ბრიგადების რეორგანიზაცია, მათი გაერთიანების გზით. მითითებულ პერიოდში, ნ. ჩ-ი უკვე დანიშნული იყო ...ი ექიმის თანამდებობაზე და იგი მ. მ-ეს არ ექვემდებარებოდა. მას ჰყავდა მონყოების მეთაური, ასმეთაური და ბატალიონის მეთაური. მ. მ-ის განმარტებით, ...ი ექიმის ფუნქციებში შედის პირველადი დახმარების განწვევა და შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, პაციენტის ევაკუაცია დანიშნულების ადგილზე. მისივე განმარტებით, ნ. ჩ-ი საბრძოლო მორიგეობებზე, ლაზარეთში, სამედიცინო ...ში არ ყოფილა და ასრულებდა მხოლოდ ...ი ექიმის ფუნქციას, როდესაც მივლინებული იყო სამედიცინო პუნქტში.

მონმის განმარტებით, ნ. ჩ-ი საბრძოლო მორიგეობებს არ ასრულებდა, ვინაიდან ... ექიმს ეს უფლებამოსილება არ გააჩნია. მისივე განმარტებით, ...ი ექიმის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს საჭიროების შემთხვევაში პაციენტის შესაბამისი ტრანსპორტით ევაკუაცია და პირველადი სამედიცინო დახმარება, რაშიც იგულისხმება ჭრილობის შეხვევა, სისხლდენის შეჩერება, პაციენტის ვიზუალური დათვალიერება, პირველადი დახმარების განწვევა და დროული ევაკუაცია. ამასთან, პირველადი დახმარების აღმოჩენა იმაზეა დამოკიდებული, თუ რა მდგომარეობაშია პაციენტი, რა აქვს დაზიანებული და ა.შ. შეიძლება ჭრილობა იყოს, შეიძლება სამხედრო მოსამსახურეს გული წაუვიდეს. მ. მ-ის განცხადებით, პირველადი დახმარების განწვევისათვის აუცილებელი არ არის პირს ჰქონდეს უმაღლესი სამედიცინო განათლება. მისი აღმოჩენა შეუძლია ჩვეულებრივ სამხედროსაც. მით უფრო, მათთან არიან სამედიცინო

განათლების არმქონე საბრძოლო მედიკოსები, რომლებსაც პირველადი დახმარების განწევა ევალებათ.

მონმემ აღნიშნა, რომ მის ფუნქციებში არ შედის, დაადგინოს ნ. ჩ-ის განათლების ...ი ექიმის თანამდებობასთან შესაბამისობა, შესაბამისად, მისთვის არაა ცნობილი, რამდენად შესაძლებელია მოსარჩელის განათლების მქონე პირი დაინიშნოს ...ი ექიმის თანამდებობაზე. მისთვის ცნობილი იყო, რომ ნ. ჩ-ი არ ეთანხმებოდა თავის თანამდებობას. ამის შესახებ მათ შორის საუბარი რამდენჯერმე იყო, მაგრამ ნ. ჩ-ის გადანიშვნა არ შედიოდა მის ფუნქციებში. ასევე, აღნიშნულ ინფორმაციას ფლობდა სამედიცინო დეპარტამენტიც და მას ურჩიეს, რომ არ წასულიყო სამსახურიდან, დალოდებოდა სხვა თანამდებობაზე ვაკანტური ადგილის გამოჩენას. იყო შემთხვევები, როდესაც ნ. ჩ-ი მივლინებული იყო სამედიცინო დეპარტამენტში, 4-5 თვით. ისინი ნ. ჩ-ს მაქსიმალურად უწყობდნენ ხელს, გაეწეო შესაბამისი კურსი. ამ მიზნით მივლინებული იყო სამედიცინო დეპარტამენტში. ვინაიდან სათანადო თანამდებობის არქონის გამო, ნ. ჩ-ი ვერ გადაინიშნა, მან მიიღო გადაწყვეტილება შეიარაღებული ძალებიდან წასვლის თაობაზე. მ. მ-ის ინფორმაციით, ნ. ჩ-ი თავის თანამდებობას აპროტესტებდა დანიშვნისთანავე, რაზეც ინფორმირებული იყო ზემდგომი სამედიცინო დეპარტამენტი.

მონმის სტატუსით გამოკითხულმა მ. მ-ემ აღნიშნა, რომ ნორმატიული აქტით არის განსაზღვრული, რა არის პირველადი სამედიცინო დახმარება. სიტუაციიდან გამომდინარე, ... ექიმს შეიძლება მოუწიოს ნემსის გაკეთებაც. ნ. ჩ-ის შემთხვევაში, მისი განათლება არ იძლეოდა საშუალებას, რომ იგი დანიშნულიყო მორიგე, სადღეღამისო ექიმად. მისი განმარტებით, ვინც წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის ეროვნულ სასწავლო ცენტრ „...ში“ იღებს შესაბამის განათლებას, მას აუცილებლად შეუძლია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა და შესაძლებელია მისი ...ი ექიმის თანამდებობაზე დანიშვნა. თუმცა, მ. მ-ემ აღნიშნა, რომ იგი არ ფლობდა ინფორმაციას, კონკრეტულად რა შეისწავლა ნ. ჩ-მა მივლინებებისა თუ კურსების გავლის დროს.

სასამართლო სხდომაზე მონმის სტატუსით გამოკითხულმა რ. ძ-ემ განმარტა, რომ იგი იყო ...ი ბრიგადის ხელმძღვანელი და მის დაქვემდებარებაში იყო 3500 პირი. ამასთან, იგი წარმოადგენდა ბოლო ხელმძღვანელ რგოლს და ნ. ჩ-ს ჰყავდა სხვა უშუალო უფროსები. რ. ძ-ე ნ. ჩ-ს იცნობდა ისე, როგორც სხვა სამხედრო მოსამსახურეებს. ბოლოს, როდესაც ნ. ჩ-მა წასვლა გადაწყვიტა, ისინი შეხვდნენ ერთმანეთს და შეკითხვაზე, რით დახმარებოდა, ნ. ჩ-მა უპასუხა, რომ ის ვერ დაეხმარებოდა. რ. ძ-ემ ნ. ჩ-ი გააფრთხილა,

რომ წასვლის შემთხვევაში კონტრაქტის დარღვევას ექნებოდა ადგილი. ნ. ჩ-მა მეთაურსაც დაუნერა პატაკი, რომ გაცნობიერებული ჰქონდა მისი მხრიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის ფაქტი და თანახმა იყო პასუხისმგებლობის დაკისრებაზე. ამის შემდეგ იგი მივლინებულიც იყო სამედიცინო დეპარტამენტში.

რ. ძ-ემ განმარტა, რომ იგი არ წარმოადგენდა კონტრაქტის დადებაზე უფლებამოსილ პირს და აქედან გამომდინარე, მოკლებული იყო შესაძლებლობას, ნ. ჩ-ისთვის მიეცა დაპირება სამსახურიდან წასვლის შემთხვევაში პასუხისმგებლობის დაკისრება/არდაკისრებასთან დაკავშირებით. აღნიშნულზე მას კონსულტაცია უნდა გაეწეო სამედიცინო დეპარტამენტთან ან შეიარაღებულ ძალებთან. მისი ინფორმაციით, წასვლის შემთხვევაში არსებობს პუნქტი „მხარეთა შეთანხმება“, რომლის დროსაც ადგილი უნდა ჰქონდეს ავადმყოფობას, მძიმე ოჯახურ პირობებს ან სხვა შესაბამის დასაბუთებულ გარემოებას.

რ. ძ-ემ აღნიშნა, რომ ფუნქციები იყო ცენტრალიზებული და ნ. ჩ-ის თანამდებობაზე დანიშვნა უნდა მომხდარიყო სამედიცინო დეპარტამენტის ან ... შემადგენლობის თანხმობით. ნ. ჩ-ს ჰყავდა ბატალიონის ხელმძღვანელი და, როგორც რ. ძ-ე ფლობს ინფორმაციას, ნ. ჩ-ი არ ასრულებდა დაკისრებულ ფუნქციებს. იგი არსად არ დაფიქსირებულა, როგორც მორიგე ექიმი. რაც შეეხება პირველად სამედიცინო დახმარებას, მისი აღმოჩენა ნებისმიერ სამხედროს შეუძლია. მონმის განმარტებით, ნ. ჩ-ი პირად საუბრებში წასვლის მიზეზად აცხადებდა, რომ არ იყო ექიმი და როგორც ექიმს, იქ მომავალი არ გააჩნდა, ვერ განვითარდებოდა. როდესაც ნ. ჩ-მა მას მიმართა თხოვნით, რომ ვერ ასრულებდა თავის ფუნქციებს, იგი მივლინებული იყო სამედიცინო დეპარტამენტში. ამასთან, მათთან სხვასაც ჰქონდა მსგავსი პრობლემა, თუმცა ეს უკანასკნელი აგრძელებდა სამსახურს.

რ. ძ-ემ დასმულ შეკითხვასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ...ი ექიმის ფუნქცია არის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა და პაციენტის ევაკუაცია, რომელიც ყველა ჯარისკაცს შეუძლია. ამასთან, მონმემ მიუთითა, რომ მისთვის უცნობი იყო, ...ი ექიმის თანამდებობაზე დანიშვნისათვის თუ რა მოთხოვნებია დაწესებული. ასევე, უცნობი იყო, რა კურსი გაირა ნ. ჩ-მა. მისი ინფორმაციით, ნ. ჩ-ი მივლინებული იყო სამედიცინო დეპარტამენტში და ეს მივლინება შეწყვიტა სამსახურიდან წასვლის გამო. შესაბამისად, რ. ძ-ესთან მივიდა წასვლასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებით. იგი გაფრთხილებულ იქნა შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრებასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში კი, თუ ნ. ჩ-ი არ ეთანხმებოდა მას, უნდა ეცნობებინა რ. ძ-ისთვის,

რომელიც შესაბამის უწყებებს მიმართავდა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული იყო ისეთი არსებითი პირობები, რომელთა შეუსრულებლობისათვის ხელშეკრულების მონაწილე მხარეს წარმოეშვა ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯარიმისა ანაზღაურების ვალდებულება. კერძოდ, საქმის მასალებით დადასტურებულ გარემოებებს წარმოადგენდა, რომ ნ. ჩ-მა, რომელმაც 2014 წელს გააფორმა ექვსწლიანი კონტრაქტი, საქართველოს შეიარაღებული ძალებში იმსახურა 3 წელი 7 თვე და დღე. ამასთან, მან 2017 წლის 5 დეკემბერს პირადად მიმართა უფლებამოსილ პირს კონტრაქტის შეწყვეტის მოთხოვნით, იმ დროს, როდესაც მას არანაირი პრეტენზია ოფიციალურად არ დაუფიქსირებია.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. ამავე კოდექსის 317-ე მუხლის შესაბამისად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, ხოლო 316-ე მუხლის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო დაეთანხმა მოსარჩელე ადმინისტრაციულ ორგანოს ნ. ჩ-ისათვის ფინანსური პასუხისმგებლობის დაკისრებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, განხორციელდა ხელშეკრულების (კონტრაქტის) შეუსრულებლობა, ხოლო ვალდებულება უნდა შესრულებულიყო ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. სასამართლოს მითითებით, საყურადღებო იყო ის გარემოება, რომ ხელშეკრულების (კონტრაქტის) სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულების შინაარსი, რაც თავისთავად გულისხმობს ნების გამოვლენას კონტრაქტის მონაწილე პირებს შორის. ამასთან, კონტრაქტი დადებულად ჩაითვლება, თუ მხარეები, მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხის მიერ დარღვეულ იქნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული იმგვარი პირობები, რაც მას ვალდებულებას აკისრებდა მოსარჩელისათვის ანაზღაურებინა კონტრაქტით განსაზღვრული ფულადი თანხა. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც ნ. ჩ-ი პირადი პატაკის საფუძველზე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობი-

დან და დათხოვნილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალები-დან რეზერვში და სახეზეა მისი მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა, სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც მოპასუხე ნ. ჩ-ს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ჯარიმის სახით 18 000 (თვრამეტი ათასი) ლარის ანაზღაურება უნდა დავალებოდა.

რაც შეეხება ნ. ჩ-ის შეგებებულ სარჩელს, სასამართლომ მიიჩნია, რომ იგი უსაფუძვლო იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო. კერძოდ, სასამართლომ არ გაიზიარა შეგებებული სარჩელის ავტორის პოზიცია იმ გარემოებაზე, რომ მისი სამსახურიდან დათხოვნა უნდა მომხდარიყო არა კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო, არამედ მხარეთა შეთანხმებით, ხოლო ეს უკანასკნელი კი გამორიცხავდა მისთვის ფინანსური პასუხისმგებლობის დაკისრებას. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქმეში არ იყო წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ნ. ჩ-სა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის რაიმე სახის შეთანხმებას. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ნ. ჩ-ის მხრიდან ადგილი ჰქონდა კონტრაქტის პირობების, კერძოდ, ვადის დარღვევას და ის ამის შესახებ ინფორმირებული იყო თავიდანვე, საფუძველს იყო მოკლებული ხსენებულ გარემოებაზე მითითება. ამასთან, რაც შეეხებოდა იმ გარემოებას, რომ ნ. ჩ-ს დაკისრებული ჰქონდა მისი განათლებისათვის შეუსაბამო ფუნქციები, სასამართლომ მიუთითა საქმეში წარმოდგენილი მასალებით დადგენილად მიჩნეულ ფაქტობრივ გარემოებებზე, აგრეთვე, მოწმეთა ჩვენებებზე და აღნიშნა, რომ მითითებული გარემოება არ შეიძლებოდა გამხდარიყო გასაჩივრებული გადანყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც განსახილველი დავის საგანს არ წარმოადგენდა კონკრეტულ თანამდებობაზე მისი დანიშვნის შესახებ მიღებული გადანყვეტილების კანონიერება.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ნ. ჩ-ის სასარჩელო მოთხოვნა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებასთან დაკავშირებით გამომდინარეობდა პირველი სასარჩელო მოთხოვნიდან. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველს, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა ახალი აქტის გამოცემის დავალების სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ჩ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და მის მიერ წარდგენილი შეგებებული სარჩელით გათვალისწინებული მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 13 თებერვლის განჩინებით ნ. ჩ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მათი სამართლებრივი შეფასებები და მიიჩნია, რომ იმ პირობებში, როდესაც ნ. ჩ-ი პირადი პატაკის საფუძველზე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დათხოვნილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან რეზერვში – სახეზე იყო მისი მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა, რაც ქმნიდა ნ. ჩ-ის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ჯარის მის სახით 18000 (თვრამეტი ათასი) ლარის ანაზღაურების საფუძველს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 13 თებერვლის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. ჩ-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა.

კასატორის მითითებით, სასამართლოს უნდა გამოეყენებინა „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ და „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონები, რომლებშიც ერთმნიშვნელოვნადაა განსაზღვრული, რომ ...ი ექიმის თანამდებობის შესაბამისი პირი მხოლოდ და მხოლოდ უმაღლესი აკრედიტირებული სამედიცინო სასწავლებლის დიპლომირებული კურსდამთავრებულია. კასატორი განმარტავს, რომ იგი არაერთხელ იძულებული შეიქმნა, სამედიცინო მომსახურება ჯარისკაცებისათვის კრიტიკულ სიტუაციაში გაენია და გაეკეთებინა ის, რაც მას არ შეეძლო. სწორედ ამის საფუძველზე მიიღო მან გადაწყვეტილება, დაეტოვებინა სამსახური.

კასატორის მითითებით, სასამართლომ უმნიშვნელოდ მიიჩნია ის გარემოება, რომ ნ. ჩ-ს სამსახურიდან დათხოვნის შესახებ განცხადება საკუთარი ხელით არ შეუდგენია. ამასთან, სასამართლომ არ გაითვალისწინა და გადაწყვეტილებაშიც არ ასახა ის გარემოე-

ბა, რომ ნ. ჩ-ს თავდაცვის სამინისტრომ არ მისცა შესაძლებლობა, თავისუფალი ფორმით დაენერა განცხადება თანამდებობის დატოვების შესახებ. კასატორი მიუთითებს, რომ მას განცხადება წინასწარ, სპეციალურად შედგენილი ფორმით გადასცეს. მიუხედავად იმისა, რომ იგი ითხოვდა, მიეცათ მისთვის საშუალება განცხადება თავისუფალი ფორმით დაენერა, მას განუმარტეს, რომ სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადება მხოლოდ აღნიშნული ფორმით ინერებოდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 25 აპრილის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ნ. ჩ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 4 ივლისის განჩინებით ნ. ჩ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ჩ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 13 თებერვლის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო ნ. ჩ-ის შეგებებული სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2014 წლის 5 მაისს ნ. ჩ-სა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის გაფორმდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2013 წლის 29 აპრილის №... ბრძანებით დამტკიცებული №... კონტრაქტი, რომლის 2.1. პუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურე ვალდებულია იმსახუროს ამ კონტრაქტის მოქმედების ვადის განმავლობაში. კონტრაქტის მოქმედების ვადა შეადგენს მსმენელად ყოფნის პერიოდისა და კურსის დასრულების შემდეგ ოფიცრად 6 (ექვსი) კალენდარული წლის ვადით სამხედრო სამსახურის ჯამს. კონტრაქტის მოქმედება იწყება მსმენელად ჩარიცხვის დღიდან და ეს თარიღი აღინიშნება კონტრაქტის პირველ გვერდზე, რაც იმავდროულად ითვლება კონ-



ტრაქტის ძალაში შესვლის თარიღად. ამავე კონტრაქტის 6.2. პუნქტის თანახმად, თუ მოსამსახურე ვადამდე დაითხოვება სამსახურიდან კანონმდებლობით გათვალისწინებული იმ საფუძვლებით, რომელიც წარმოადგენს ფინანსური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს ან/და ამ კონტრაქტის 6.1.1, 6.1.4, 6.1.5, 6.1.6, 6.1.7, 6.1.8, 6.1.9 პუნქტებით განსაზღვრული იმ საფუძვლებით, რომელიც მისი მიზეზით არის გამოწვეული, მას ეკისრება ჯარიმის სახით აუნაზღაროს სამინისტროს თანხები, კერძოდ: 6.2.1. პუნქტით განისაზღვრა, რომ ოთხი წლის სამსახურის გავლის პერიოდში სამხედრო მოსამსახურეს ეკისრება ჯარიმა 18 000 (თვრამეტი ათასი) ლარის ოდენობით.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2014 წლის 7 მაისის MOD ... ბრძანებით, სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მსმენელი – ნ. ვ. ჩ-ი განვეულ და ჩარიცხულ იქნა საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურში, კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების თანახმად და მიენიჭა პირველადი სამხედრო წოდება – „რიგითი“, 2014 წლის 5 მაისიდან.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2015 წლის 2 თებერვლიდან 2015 წლის 19 ივნისამდე პერიოდში ნ. ჩ-მა გაიარა სამხედრო-სამედიცინო ... ოფიცერთა მომზადების პროგრამა და საგამოცდო კომისიის 2015 წლის 17 ივნისის №... გადაწყვეტილებით მიენიჭა ძირითადი სამხედრო განათლების მქონე ოფიცრის კვალიფიკაცია სამხედრო-სამედიცინო სპეციალობით. აღნიშნული პროგრამა მოიცავდა: 1. პირველი სამედიცინო დახმარების საინსტრუქციო კურსს; 2. ზოგად საგნებს (კერძო დაზღვევის მიმოხილვა; საბრძოლო სტრესი; შეიარაღებული კონფლიქტების სამართალი); 3. ზოგად საექიმო გადამზადებას (სამხედრო ჰოსპიტალი); 4. პრევენციულ მედიცინასა და სამხედრო ჰიგიენას; 4. სამედიცინო ლოგისტიკურ უზრუნველყოფასა და დოკუმენტაციას; 5. სამედიცინო უზრუნველყოფის დაგეგმვას.

დადგენილია, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის 2015 წლის 23 ივნისის MOD ... ბრძანებით, ლეიტენანტი – ნ. ვ. ჩ-ი დაინიშნა საქართველოს შეიარაღებული ძალების ...ო ჯარების მე-... ...ი ბრიგადის უზრუნველყოფის ბატალიონის სამედიცინო ...ის სამედიცინო ...ის სამედიცინო მხარდაჭერი ჯგუფის ...ი ექიმის (საშტატო კატეგორია „უფროსი ლეიტენანტი“, შტატი №...) თანამდებობაზე, 2015 წლის 19 ივნისიდან, გათავისუფლდა რა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ... ოფიცერთა სკოლის მსმენელის თანამდებო-

ბიდან (საშტატო კატეგორია „ლეიტენანტი“).

დადგენილია, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის 2016 წლის 9 დეკემბრის MOD ... ბრძანებით, ლეიტენანტი – ნ. ვ. ჩ-ი დაინიშნა საქართველოს შეიარაღებული ძალების ...ო ჯარების აღმოსავლეთ სარდლობის ...ი ბრიგადის მე-... უზრუნველყოფის ბატალიონის სამედიცინო ...ის სამედიცინო ...ის სამედიცინო მხარდამჭერი ჯგუფის ... ექიმად (საშტატო კატეგორია „უფროსი ლეიტენანტი“, შტატი №...) 2016 წლის 19 დეკემბრიდან, გათავისუფლდა რა საქართველოს შეიარაღებული ძალების ...ო ჯარების აღმოსავლეთ სარდლობის მე-... ...ი ბრიგადის უზრუნველყოფის ბატალიონის სამედიცინო ...ის სამედიცინო ...ის სამედიცინო მხარდამჭერი ჯგუფის ...ი ექიმის (საშტატო კატეგორია „უფროსი ლეიტენანტი“, შტატი №...) თანამდებობიდან.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის 2017 წლის 3 აგვისტოს MOD ... ბრძანებით, საქართველოს შეიარაღებული ძალების ...ო ჯარების აღმოსავლეთ სარდლობის ...ი ბრიგადის მე-... უზრუნველყოფის ბატალიონის სამედიცინო ...ის სამედიცინო ...ის სამედიცინო მხარდამჭერი ჯგუფის ...ი ექიმი, უფროსი ლეიტენანტი – ნ. ჩ-ი, სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, მივლინებულ იქნა გენერალური შტაბის სამედიცინო დეპარტამენტის უფროსის განკარგულებაში 2017 წლის 7 აგვისტოდან შემდგომ განკარგულებამდე.

დადგენილია, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის 2017 წლის 9 აგვისტოს MOD ... ბრძანებით საქართველოს შეიარაღებული ძალების ...ო ჯარების აღმოსავლეთ სარდლობის ...ი ბრიგადის მე-... უზრუნველყოფის ბატალიონის სამედიცინო ...ის სამედიცინო ...ის სამედიცინო მხარდამჭერი ჯგუფის ...ი ექიმი, უფროსი ლეიტენანტი – ნ. ჩ-ი, სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, მივლინებულ იქნა გენერალური შტაბის სამედიცინო დეპარტამენტის უფროსის განკარგულებაში 2017 წლის 21 აგვისტოდან შემდგომ განკარგულებამდე.

საქართველოს შეიარაღებული ძალების ...ო ჯარების აღმოსავლეთ სარდლობის ...ი ბრიგადის მე-... უზრუნველყოფის ბატალიონის სამედიცინო ...ის სამედიცინო ...ის სამედიცინო მხარდამჭერი ჯგუფის ...მა ექიმმა – ნ. ჩ-მა 2017 წლის 5 დეკემბრის MOD ... პატაკით მიმართა ამავე ბატალიონის მეთაურს და მოითხოვა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნა. პატაკში ნ. ჩ-მა აღნიშნა, რომ აღარ სურდა შემდგომი სამხედრო სამსახურის გაგრძელება. პირად შემადგელობასთან და ხელმძღვანელობასთან არანაირი პრეტენზია არ გააჩნდა. ამასთან, გაცნობილი იყო კონტრაქტის პირობების დარღვევის შემდგომ შედეგებს და საქართვე-

ლოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის 2017 წლის 27 მარტის №... ტელეფონოგრამას, რაზეც თანხმობას აცხადებდა.

დადგენილია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ნ. ჩ-ის პატაკის საფუძველზე, დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად. ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, ნ. ჩ-ი გაფრთხილებულ იქნა მის მიმართ კონტრაქტის დარღვევის გამო გათვალისწინებული ფინანსური პასუხისმგებლობის (18 000 (თვრამეტი ათასი) ლარის) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდევენებისათვის საჭირო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებასთან დაკავშირებით.

საქართველოს შეიარაღებული ძალების ...ო ჯარების აღმოსავლეთ სარდლობის ...ი ბრიგადის მე-... უზრუნველყოფის ბატალიონის ...-ის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა 2017 წლის 6 დეკემბერს ნ. ჩ-თან ჩაატარა გასაუბრება, რასთან დაკავშირებითაც, შედგა გასაუბრების ფურცელი. გასაუბრების ფურცელში დაფიქსირდა, რომ უფროსი ლეიტენანტი – ნ. ჩ-ი წარდგენილ იქნა კონტრაქტის შეწყვეტასა და საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნაზე, კონტრაქტის პირობების დარღვევის საფუძველზე. ამასთან, ნ. ჩ-ი გაეცნო უფლება-მოვალეობას იმ სამხედრო პირებისა, რომლებიც ჯარიდან დაითხოვებიან აღნიშნული სტატუსით და აღნიშნა, რომ ჯარიდან დათხოვნასთან დაკავშირებით, მას მეთაურთან არანაირი პრეტენზია და თხოვნა არ გააჩნდა. გასაუბრების ფურცლის გაცნობის ფაქტი ხელმოწერით დაადასტურა ნ. ჩ-მა.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის 2017 წლის 15 დეკემბრის MOD ... ბრძანებით, საქართველოს შეიარაღებული ძალების ...ო ჯარების აღმოსავლეთ სარდლობის ...ი ბრიგადის მე-... უზრუნველყოფის ბატალიონის სამედიცინო ...ის სამედიცინო ...ის სამედიცინო მხარდამჭერი ჯგუფის ...ი ექიმი (საშტატო კატეგორია „უფროსი ლეიტენანტი“, შტატი №...), უფროსი ლეიტენანტი – ნ. ვ. ჩ-ი, „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის (კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო) საფუძველზე, გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან რეზერვში.

სამხედრო მოსამსახურის, უფროსი ლეიტენანტის – ნ. ვ. ჩ-ის ნამსახურობის პერიოდმა ვადამდე შეწყვეტილი კონტრაქტის გა-

ფორმებიდან მის შეწყვეტამდე შეადგინა 3 (სამი) წელი, 7 (შვიდი) თვე და 13 (ცამეტი) დღე.

დადგენილია, რომ ...ო ჯარების აღმოსავლეთ სარდლის 2017 წლის 23 თებერვლის №44 ბრძანებით დამტკიცდა ...ი ექიმის ფუნქციონალური მოვალეობები, კერძოდ, მის ძირითად ფუნქციონალურ მოვალეობებად განისაზღვრა: ავადმყოფების დროული ევაკუაცია უახლოეს საევაკუაციო ეტაპებზე და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა ევაკუაციის დროს, ხოლო დამატებით ფუნქციონალურ მოვალეობებად – ზემდგომის დავალების შესრულება საქართველოს შეიარაღებულ ძალებში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების ...ო ჯარების აღმოსავლეთ სარდლობის ...ი ბრიგადის მე-... უზრუნველყოფის ბატალიონის სამედიცინო ...ის სამედიცინო ...ის სამედიცინო მხარდაჭერი ჯგუფის ...ი ექიმის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში, ნ. ჩ-ს არ შეუსრულებია ექიმის მოვალეობა და არ გასულა სადღელამისო განწესში (ბრიგადის ლაზარეთი, სამედიცინო პუნქტი). იგი ასრულებდა მხოლოდ დანიშნული თანამდებობიდან გამომდინარე დამტკიცებულ ფუნქციონალურ მოვალეობებს და, მისი კვალიფიკაციის გათვალისწინებით, აკმაყოფილებდა ...ი ექიმის თანამდებობას.

სასამართლო სხდომაზე მოწმის სტატუსით გამოკითხულმა მ. მ-ემ განმარტა, რომ იგი მსახურობს შეიარაღებულ ძალებში ...ი ბრიგადის ექიმად მას შემდეგ, რაც 2016 წელს განხორციელდა პირველი და მე-... ბრიგადების რეორგანიზაცია, მათი გაერთიანების გზით. მითითებულ პერიოდში, ნ. ჩ-ი უკვე დანიშნული იყო ...ი ექიმის თანამდებობაზე და იგი მ. მ-ეს არ ექვემდებარებოდა. მას ჰყავდა მონყობის მეთაური, ასმეთაური და ბატალიონის მეთაური. მ. მ-ის განმარტებით, ...ი ექიმის ფუნქციებში შედის პირველადი დახმარების განწესი და შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, პაციენტის ევაკუაცია დანიშნულების ადგილზე. მისივე განმარტებით, ნ. ჩ-ი საბრძოლო მორიგეობებზე, ლაზარეთში, სამედიცინო ...ში არ ყოფილა და ასრულებდა მხოლოდ ...ი ექიმის ფუნქციას, როდესაც მივლინებული იყო სამედიცინო პუნქტში.

მოწმის განმარტებით, ნ. ჩ-ი საბრძოლო მორიგეობებს არ ასრულებდა, ვინაიდან ... ექიმს ეს უფლებამოსილება არ გააჩნია. მისივე განმარტებით, ...ი ექიმის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს საჭიროების შემთხვევაში პაციენტის შესაბამისი ტრანსპორტით ევაკუაცია და პირველადი სამედიცინო დახმარება, რაშიც იგულისხმება ჭრილობის შეხვევა, სისხლდენის შეჩერება, პაციენტის ვიზუალური დათვალიერება, პირველადი დახმარების განწესი და დროუ-

ლი ევაკუაცია. ამასთან, პირველადი დახმარების აღმოჩენა იმაზეა დამოკიდებული, თუ რა მდგომარეობაშია პაციენტი, რა აქვს დაზიანებული და ა.შ. შეიძლება ქრილობა იყოს, შეიძლება სამხედრო მოსამსახურეს გული წაუვიდეს. მ. მ-ის განცხადებით, პირველადი დახმარების განწვევისათვის აუცილებელი არ არის პირს ჰქონდეს უმაღლესი სამედიცინო განათლება. მისი აღმოჩენა შეუძლია ჩვეულებრივ სამხედროსაც. მით უფრო, მათთან არიან სამედიცინო განათლების არმქონე საბრძოლო მედიკოსები, რომლებსაც პირველადი დახმარების განწვევა ევალებათ.

მონმემ აღნიშნა, რომ მის ფუნქციებში არ შედიოდა, დაედგინა ნ. ჩ-ის განათლების ...ი ექიმის თანამდებობასთან შესაბამისობა, შესაბამისად, მისთვის არ იყო ცნობილი, რამდენად შესაძლებელი იყო მოსარჩელის განათლების მქონე პირი დაენიშნა ...ი ექიმის თანამდებობაზე. მისთვის ცნობილი იყო, რომ ნ. ჩ-ი არ ეთანხმებოდა თავის თანამდებობას. ამის შესახებ მათ შორის საუბარი რამდენჯერმე იყო, მაგრამ ნ. ჩ-ის გადანიშვნა არ შედიოდა მის ფუნქციებში. ასევე, აღნიშნულ ინფორმაციას ფლობდა სამედიცინო დეპარტამენტიც და მას ურჩიეს, რომ არ წასულიყო სამსახურიდან, დალოდებოდა სხვა თანამდებობაზე ვაკანტური ადგილის გამოჩენას. იყო შემთხვევები, როდესაც ნ. ჩ-ი მივლინებული იყო სამედიცინო დეპარტამენტში, 4-5 თვით. ისინი ნ. ჩ-ს მაქსიმალურად უწყობდნენ ხელს, გაველო შესაბამისი კურსი. ამ მიზნით, იგი მივლინებული იყო სამედიცინო დეპარტამენტში. ვინაიდან სათანადო თანამდებობის არქონის გამო ნ. ჩ-ი ვერ გადაინიშნა, მან მიიღო გადაწყვეტილება შეიარაღებული ძალებიდან წასვლის თაობაზე. მ. მ-ის ინფორმაციით, ნ. ჩ-ი თავის თანამდებობას აპროტესტებდა დანიშვნისთანავე, რაზეც ინფორმირებული იყო ზემდგომი სამედიცინო დეპარტამენტი.

მონმის სტატუსით გამოკითხულმა მ. მ-ემ აღნიშნა, რომ ნორმატიული აქტით არის განსაზღვრული, რა არის პირველადი სამედიცინო დახმარება. სიტუაციიდან გამომდინარე, ... ექიმს შეიძლება მოუწიოს ნემსის გაკეთებაც. ნ. ჩ-ის შემთხვევაში, მისი განათლება არ იძლეოდა საშუალებას, რომ იგი დანიშნულიყო მორიგე, სადღეღამისო ექიმად. მისი განმარტებით, ვინც წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის ეროვნულ სასწავლო ცენტრ „...ში“ იღებს შესაბამის განათლებას, მას აუცილებლად შეუძლია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა და შესაძლებელია მისი ...ი ექიმის თანამდებობაზე დანიშვნა. თუმცა, მ. მ-ემ აღნიშნა, რომ იგი არ ფლობდა ინფორმაციას, კონკრეტულად რა შეისწავლა ნ. ჩ-მა მივლინებისა თუ კურსების გავლის დროს.

სასამართლო სხდომაზე მონმის სტატუსით გამოკითხულმა რ.

ძ-ემ განმარტა, რომ იგი იყო ...ი ბრიგადის ხელმძღვანელი და მის დაქვემდებარებაში იყო 3500 პირი. ამასთან, იგი წარმოადგენდა ბოლო ხელმძღვანელ რეგულს და ნ. ჩ-ს ჰყავდა სხვა უშუალო უფროსები. რ. ძ-ე ნ. ჩ-ს იცნობდა ისე, როგორც სხვა სამხედრო მოსამსახურეებს. ბოლოს, როდესაც ნ. ჩ-მა წასვლა გადაწყვიტა, ისინი შეხვდნენ ერთმანეთს და შეკითხვაზე, რით დახმარებოდა, ნ. ჩ-მა უპასუხა, რომ ის ვერ დაეხმარებოდა. რ. ძ-ემ ნ. ჩ-ი გააფრთხილა, რომ წასვლის შემთხვევაში კონტრაქტის დარღვევას ექნებოდა ადგილი. ნ. ჩ-მა მეთაურსაც დაუწერა პატაკი, რომ გაცნობიერებული ჰქონდა მისი მხრიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის ფაქტი და თანახმა იყო პასუხისმგებლობის დაკისრებაზე. ამის შემდეგ იგი მივლინებულიც იყო სამედიცინო დეპარტამენტში.

რ. ძ-ემ განმარტა, რომ იგი არ წარმოადგენდა კონტრაქტის დადებაზე უფლებამოსილ პირს და აქედან გამომდინარე, მოკლებული იყო შესაძლებლობას, ნ. ჩ-ისთვის მიეცა დაპირება სამსახურიდან წასვლის შემთხვევაში პასუხისმგებლობის დაკისრება/არდაკისრებასთან დაკავშირებით. აღნიშნულზე მას კონსულტაცია უნდა გაეწეო სამედიცინო დეპარტამენტთან ან შეიარაღებულ ძალებთან. მისი ინფორმაციით, წასვლის შემთხვევაში არსებობს პუნქტი „მხარეთა შეთანხმება“, რომლის დროსაც ადგილი უნდა ჰქონდეს ავადმყოფობას, მიიმე ოჯახურ პირობებს ან სხვა შესაბამის დასაბუთებულ გარემოებას.

რ. ძ-ემ აღნიშნა, რომ ფუნქციები იყო ცენტრალიზებული და ნ. ჩ-ის თანამდებობაზე დანიშვნა უნდა მომხდარიყო სამედიცინო დეპარტამენტის ან ... შემადგენლობის თანხმობით. ნ. ჩ-ს ჰყავდა ბატალიონის ხელმძღვანელი და, როგორც რ. ძ-ე ფლობს ინფორმაციას, ნ. ჩ-ი არ ასრულებდა დაკისრებულ ფუნქციებს. იგი არსად არ დაფიქსირებულა, როგორც მორიგე ექიმი. რაც შეეხება პირველად სამედიცინო დახმარებას, მისი აღმოჩენა ნებისმიერ სამხედროს შეუძლია. მონმის განმარტებით, ნ. ჩ-ი პირად საუბრებში წასვლის მიზეზად აცხადებდა, რომ არ იყო ექიმი და როგორც ექიმს, იქ მომავალი არ გააჩნდა, ვერ განვითარდებოდა. როდესაც ნ. ჩ-მა მას მიმართა თხოვნით, რომ ვერ ასრულებდა თავის ფუნქციებს, იგი მივლინებული იყო სამედიცინო დეპარტამენტში. ამასთან, მათთან სხვასაც ჰქონდა მსგავსი პრობლემა, თუმცა ეს უკანასკნელი აგრძელებდა სამსახურს.

რ. ძ-ემ დასმულ შეკითხვასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ...ი ექიმის ფუნქცია არის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა და პაციენტის ევაკუაცია, რომელიც ყველა ჯარისკაცს შეუძლია. ამასთან, მონმემ მიუთითა, რომ მისთვის უცნობი იყო, ...ი ექიმის თანამდებობაზე დანიშვნისათვის თუ რა მოთხოვნებია და-

წესებული. ასევე, უცნობი იყო, რა კურსი გაირა ნ. ჩ-მა. მისი ინფორმაციით, ნ. ჩ-ი მივლინებული იყო სამედიცინო დეპარტამენტში და ეს მივლინება შეწყვიტა სამსახურიდან წასვლის გამო. შესაბამისად, რ. ძ-ესთან მივიდა წასვლასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებით. იგი გაფრთხილებულ იქნა შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრებასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში კი, თუ ნ. ჩ-ი არ ეთანხმებოდა მას, უნდა ეცნობებინა რ. ძ-ისთვის, რომელიც შესაბამის უწყებებს მიმართავდა.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 მარტის №238 დადგენილებით დამტკიცებულ „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ დებულებაზე, რომლითაც განსაზღვრულია საქართველოს სამხედრო ძალებში სამხედრო სამსახურის გავლის წესები საკონტრაქტო (პროფესიული) და კადრის სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებისათვის. დებულების I თავის მე-3 პუნქტის თანახმად, დებულება ვრცელდება საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეებზე. ამავე დებულების VI თავის პირველი და მე-11 პუნქტების მიხედვით, საკონტრაქტო (პროფესიული) სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებზე ითვლებიან პირები, რომლებმაც მოიხადეს კანონით დადგენილი სამხედრო ვალდებულება ან უამისოდ და გადაიან სამხედრო სამსახურს ხელშეკრულების (კონტრაქტის) საფუძველზე. საკონტრაქტო (პროფესიული) სამსახურის სამხედრო მოსამსახურეთა სამხედრო სამსახურიდან დათხოვნა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ამავე დებულების XVIII თავით დარეგულირებულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში სამხედრო სამსახურის გასაველად გაფორმებული კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, კონტრაქტით გათვალისწინებული ფინანსური პასუხისმგებლობის დაკისრების, ფინანსური პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების, მისი გადავადების ან შემცირების საფუძველები და წესი. ამ თავის პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამხედრო სამსახურის გასაველად გაფორმებული კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, ამ კონტრაქტით განსაზღვრული ოდენობის ფინანსური პასუხისმგებლობა წარმოიქმნება, თუ სამხედრო მოსამსახურე სამხედრო სამსახურიდან დაითხოვეს „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ (გარდა ატესტაციის შედეგების გამო მოსამსახურის დათხოვნის შემთხვევებისა), „ე“, „ვ“, „ზ“ და „თ“ („თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დათხოვნისას კონტრაქტის პირობების დარღვევის შემთხვევაში) ქვეპუნქტების საფუძველზე.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების ...ო ჯარების აღმოსავლეთ სარდლობის ...ი ბრიგადის მე-... უზრუნველყოფის ბატალიონის სამედიცინო ...ის სამედიცინო ...ის სამედიცინო მხარდამჭერი ჯგუფის ...მა ექიმმა ნ. ჩ-მა 2017 წლის 5 დეკემბრის MOD ... პატაკით მიმართა ამავე ბატალიონის მეთაურს და მოითხოვა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნა. აღნიშნულის გათვალისწინებით, დაინიშნა ადმინისტრაციული წარმოება, რომლის ფარგლებშიც, ნ. ჩ-ი გაფრთხილებული იქნა მის მიმართ კონტრაქტის დარღვევის გამო გათვალისწინებული ფინანსური პასუხისმგებლობის (18 000 (თვრამეტი ათასი) ლარის) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდევენებისათვის საჭირო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებასთან დაკავშირებით.

ამასთან, საქართველოს შეიარაღებული ძალების ...ო ჯარების აღმოსავლეთ სარდლობის ...ი ბრიგადის მე-... უზრუნველყოფის ბატალიონის ...-ის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა 2017 წლის 6 დეკემბერს ნ. ჩ-თან ჩაატარა გასაუბრება. გასაუბრების ოქმში, რომელსაც ხელს აწერს ნ. ჩ-ი, დაფიქსირდა, რომ უფროსი ლეიტენანტი ნ. ჩ-ი წარდგენილი იქნა კონტრაქტის შეწყვეტაზე და საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნაზე, კონტრაქტის პირობების დარღვევის საფუძველით. ამავე გასაუბრების ოქმის თანახმად, ნ. ჩ-ი გაეცნო უფლება-მოვალეობას სამხედრო პირობებისათვის, რომლებიც ჯარიდან დათხოვნილი იქნებიან აღნიშნული სტატუსით; ასევე, მას არანაირი პრეტენზია და თხოვნა არ გააჩნია მეთაურთან ჯარიდან დათხოვნასთან დაკავშირებით.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ მოცემულ შემთხვევაში, მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებით განისაზღვრა ისეთი არსებითი პირობები, რომელთა შეუსრულებლობისათვის ხელშეკრულების მონაწილე მხარეს წარმოეშვა ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯარიმის ანაზღაურების ვალდებულება. კერძოდ, საქმის მასალებით დადასტურებულ გარემოებებს წარმოადგენს, რომ ნ. ჩ-მა, რომელმაც 2014 წელს გააფორმა ექვსწლიანი კონტრაქტი, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში იმსახურა 3 წელი, 7 თვე და 13 დღე. ამასთან, მან 2017 წლის 5 დეკემბერს პირადად მიმართა უფლებამოსილ პირს კონტრაქტის შეწყვეტის მოთხოვნით, იმ დროს, როდესაც მას არანაირი პრეტენზია ოფიციალურად არ დაუფიქსირებია.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის მეორე ნაწილი განსაზღვრავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციუ-



ლი ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება როგორც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, ისე სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. ამავე კოდექსის 317-ე მუხლის შესაბამისად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება. ამავე კოდექსის 316-ე მუხლის თანახმად კი, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ იმ პირობებში, როდესაც ნ. ჩ-ი პირადი პატაკის საფუძველზე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დათხოვნილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან რეზერვში – სახეზეა მისი მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა, რაც ქმნის ნ. ჩ-ისათვის ჯარიმის სახით თანხის დაკისრების საფუძველს. ამასთან, საკასაციო სასამართლო, მართალია, იზიარებს სააპელაციო პალატის შეფასებებს ნ. ჩ-ის მხრიდან კონტრაქტის პირობების დარღვევასთან დაკავშირებით, თუმცა მიიჩნევს, რომ კონტრაქტით გათვალისწინებული ჯარიმის ოდენობა აშკარად შეუსაბამოა, რაც იძლევა მისი შემცირების ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძველს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პირგასამტეხლო წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 416-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ერთ-ერთ დამატებით საშუალებას. აღნიშნული კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის. ამავე კოდექსის 418-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად კი, ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ, თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება, აღემატებოდეს შესაძლო ზიანს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ვალდებულების არსი მის შესრულებაშია, ხოლო შესრულების ვალდებულება პირველ რიგში ხელშეკრულებით გათვალისწინებული შედეგის დადგომას გულისხმობს. სწორედ ამიტომ, ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მხარეებს შეუძლიათ გამოიყენონ კანონმდებლობით გათვალისწინებული საშუალებები.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ

კოდექსის ნორმები და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ. ამდენად, ადმინისტრაციული ხელშეკრულების მხარეები სარგებლობენ სახელშეკრულებო თავისუფლებით, გაითვალისწინონ პირგასამტეხლო ვალდებულების ჯეროვნად შეუსრულებლობისთვის და დამოუკიდებლად განსაზღვრონ მათი ოდენობა.

საკასაციო პალატა მიუთითებს მხარეთა შორის გაფორმებული კონტრაქტის 6.2. პუნქტზე, რომლის თანახმად, თუ მოსამსახურე ვადამდე დაითხოვება სამსახურიდან კანონმდებლობით გათვალისწინებული იმ საფუძველებით, რომელიც წარმოადგენს ფინანსური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს ან/და ამ კონტრაქტის 6.1.1, 6.1.4, 6.1.5, 6.1.6, 6.1.7, 6.1.8., 6.1.9 პუნქტებით განსაზღვრული იმ საფუძველებით, რომელიც მისი მიზეზით არის გამოწვეული, მას ეკისრება ჯარიმის სახით აუნაზღაუროს სამინისტროს თანხები, კერძოდ: 6.2.1. პუნქტით განისაზღვრა, რომ ოთხი წლის სამსახურის გავლის პერიოდში სამხედრო მოსამსახურეს ეკისრება ჯარიმა 18 000 (თვრამეტი ათასი) ლარის ოდენობით.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სასამართლოს ამოცანაა მხარე დაიცვას უსამართლო და სამოქალაქო ბრუნვისთვის მიუღებელი ტვირთისაგან, ვინაიდან ურთიერთობის დამყარებისას მხარეები ყოველთვის ვერ საზღვრავენ მათი თავისუფალი ნების მოსალოდნელ შედეგებს. სასამართლოს მინიჭებული აქვს უფლება მოსილგება შეამციროს „შეუსაბამოდ მაღალი“ პირგასამტეხლო, როცა ამას საჭიროებს დაზარალებულის ინტერესები. სასამართლო მხედველობაში იღებს არამართო მის ქონებრივ, არამედ ყველა სხვა პატივსადებ ინტერესს. სასამართლო აფასებს, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან.

განსახილველ შემთხვევაში, მართალია, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით ვალდებულების შეუსრულებლობისათვის დადგენილი პირგასამტეხლოს სახე – ჯარიმა, მხარეთა მიერ არის შეთანხმებული, მაგრამ არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ჯარიმის ოდენობა ამკარად შეუსაბამოა და იგი მძიმე მატერიალურ პირობებში აყენებს მხარეს. მხარეთა შორის გაფორმებული კონტრაქტი შეწყდა ნ. ჩ-ის პირადი პატაკის გამო და ადგილი არ ჰქონია კონტრაქტით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების დარღვევას. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით, არსებობს დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხის გონივრულ ფარგლებში 1000 ლარამდე შემცირების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველები.

საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეები ვალდებული არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლება-მოვალეობები. კეთილსინდისიერად ქცევის ვალდებულება ემყარება სამართალში საზოგადოდ მოქმედ კეთილსინდისიერების ვარაუდს. კონტრაქტის გაფორმების ძირითად საფუძვლად მიჩნეული უნდა იქნეს არა სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესების დაპირისპირება, არამედ მათი სოლიდარობა ერთმანეთის მიმართ. ამასთან, კეთილსინდისიერების პრინციპი არის როგორც ნორმატიული, ასევე სუბიექტური ნების განმარტების ინსტრუმენტი, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს იმასაც, რომ, მართალია, კონტრაქტის ქცევა უნდა შეესაბამებოდეს ფორმალურად მოქმედ მატერიალურ სამართალსა თუ კონტრაქტის პირობებს, მაგრამ მისი განხორციელება კონკრეტულ შემთხვევებში არ უნდა იყოს უსამართლო ან/და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მეორე მხარის საფუძვლიან ნდობას. კეთილსინდისიერების პრინციპი ძირითადად გულისხმობს იმას, რომ კონტრაქტმა მხედველობაში მიიღოს მეორე მხარის ინტერესები. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს ნ. ჩ-ისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების როგორც მატერიალური, ასევე ფორმალური საფუძველი, რომლის ოდენობაც უნდა განისაზღვროს 1 000 ლარით.

ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს, რომ მსგავსი კატეგორიის დავებთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაეს სასამართლოს ჩამოყალიბებული აქვს ერთიანი სასამართლო პრაქტიკა, რომლის თანახმად, პირისათვის კონტრაქტით დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა არაერთ დავაში იქნა მიჩნეული შეუსაბამოდ და არაგონივრულად, რამაც დაკისრებული თანხის შემცირების ფაქტობრივ-სამართლებრივი წინაპირობების წარმოშობა განაპირობა (იხ. მაგალითად, სუს 16.05.2019წ. №ბს-230(კ-19) განჩინება).

რაც შეეხება ნ. ჩ-ის შეგებებულ სარჩელს, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს. კერძოდ, საქმის მასალებში წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სადავოდ გამხდარი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო ნ. ჩ-ის პირადი პატაკის საფუძველზე, სადაც აღნიშნული იყო, რომ მას აღარ სურდა სამხედრო სამსახურის გაგრძელება. წარმოების მასალებში ფიქსირდება, რომ უფროსი ლეიტენანტი – ნ. ჩ-ი წარდგენილ იქნა კონტრაქტის შეწყვეტაზე და საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნაზე, კონტრაქტის პირობების დარღვევის სა-

ფუძვლით. ამასთან, მას პირად შემადგენლობასთან და ხელმძღვანელობასთან არანაირი პრეტენზია, მოთხოვნა არ გააჩნდა. იგი გაცნობილი იყო კონტრაქტის პირობების დარღვევის შემდგომ შედეგებს, კერძოდ, მის მიმართ კონტრაქტის დარღვევის გამო გათვალისწინებული ფინანსური პასუხისმგებლობის – 18000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდევინებისათვის საჭირო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებასთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მითითებას იმ გარემოებაზე, რომ შესაძლოა, ნ. ჩ-ს დაკისრებული ჰქონდა მისი განათლებისათვის შეუსაბამო ფუნქციები, თუმცა განსახილველ დავის საგანს არ წარმოადგენს კონკრეტულ თანამდებობაზე მისი დანიშვნის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება და აღნიშნული არც თავის დროზე გაუხდია სადავოდ ნ. ჩ-ს. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის პოზიციას იმ გარემოებაზე, რომ მისი სამსახურიდან დათხოვნა უნდა მომხდარიყო არა კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო, არამედ მხარეთა შეთანხმებით, რისი გათვალისწინებითაც, გამოირიცხებოდა მისთვის ფინანსური პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობა. კასატორის მიერ საქმის განხილვის არც ერთ სტადიაზე არ იქნა წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ნ. ჩ-სა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის რაიმე სახის შეთანხმებას. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ნ. ჩ-ის მხრიდან ადგილი ჰქონდა კონტრაქტის პირობების, კერძოდ, ვადის დარღვევას და ის ინფორმირებული იყო შესაბამის შედეგებზე, რაც დასტურდება საქმის მასალებში წარმოდგენილი არაერთი დოკუმენტით, საფუძველს მოკლებულია აღნიშნულ გარემოებაზე მითითება. შესაბამისად, არ არსებობს ნ. ჩ-ის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ნ. ჩ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 13 თებერვლის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ, მოპასუხე ნ. ჩ-ს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (სახელმწიფო ბიუჯეტის) სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 1 000 (ერთი ათასი) ლარის ანაზღაურება; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს. ნ. ჩ-ის შეგებებული სარჩელი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს

მიმართ არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ამასთან, ნ. ჩ-ს (პ/ნ ...) უნდა დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით 16.03.2018წ. საგადასახადო დავალებით გადახდილი 50 (ორმოცდაათი) ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი №300773150.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. ნ. ჩ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 13 თებერვლის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. მოპასუხეს – ნ. ჩ-ს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (სახელმწიფო ბიუჯეტის) სასარგებლოდ დაეკისროს ჯარიმის თანხის – 1 000 (ერთი ათასი) ლარის ანაზღაურება;
5. დანარჩენ ნაწილში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
6. ნ. ჩ-ის შეგვებული სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
7. ნ. ჩ-ს (პ/ნ ...) დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით 16.03.2018წ. საგადასახადო დავალებით გადახდილი 50 (ორმოცდაათი) ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი №300773150;
8. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **3. მატერიალური ზიანის ანაზღაურების საფუძველი**

#### **მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე ადმინისტრაციული ორბანოს ვალდებულების წინაპირობები**

##### **ბანძინება საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-1505(კ-18)

26 სექტემბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი**

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

##### **აღწერილობითი ნაწილი:**

2014 წლის 14 აპრილს ვ. ნ-მა და ნ. ნ-მა სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურისა და მ. ს-ას მიმართ.

მოსარჩელეებმა მ. ს-ასა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურისათვის ვ. ნ-ის სასარგებლოდ, ზიანის სახით, სოლიდარულად 3 986 აშშ დოლარის დაკისრება, მ. ს-ასა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურისათვის ნ. ნ-ის სასარგებლოდ, ზიანის სახით, სოლიდარულად 9 072 აშშ დოლარის დაკისრება, მ. ს-ასათვის 2014 წლის 24 თებერვლიდან სასამართლოს გადაწყვეტილების სრულად აღსრულებამდე ნ. ნ-ის სასარგებლოდ ზიანის (იჯარის ქირის თანხის) სახით ყოველთვიურად 648 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება, მ. ს-ასა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურისათვის სოლიდარულად ვ. ნ-ის მიერ განეული საპროცესო ხარჯის – 261 ლარის გადახდის დაკისრება და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურისათვის ნ. ნ-ის მიერ განეული საპროცესო ხარჯის 474 ლარის გადახდის დაკისრება მოითხოვეს.

ამავე სარჩელით მოსარჩელეებმა მოითხოვეს საქართველოს სა-

მოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე და 198-ე მუხლების შესაბამისად სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, კერძოდ, ყადაღის დადება მ. ს-ას საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე: ქ. თბილისი, ...ას გამზირი №7ა, მე-2 სართულზე მდებარე უძრავი ქონება, ფართით 51.57 კვ.მ, საკადასტრო კოდი: №... .

მოსარჩელეთა მითითებით, სარჩელის აღძვრის საფუძველს მოპასუხეების მიერ მათზე მიყენებული ზიანის ანაზღაურება წარმოადგენდა, რაც გამოიხატა იმაში, რომ მოპასუხეებმა არასწორად განახორციელეს საჯარო რეესტრში ნ-ების კუთვნილი ქონების მ. ს-ას სახელზე რეგისტრაცია, რის საფუძველზეც ნ-ებს წაერთვათ თავიანთი კუთვნილი ქონების განკარგვის შესაძლებლობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 14 აპრილის განჩინებით მოსარჩელების – ვ. ნ-ისა და ნ. ნ-ის შუამდგომლობა, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, დაკმაყოფილდა; სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, ყადაღა დაედო მ. ს-ას საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებას: ქ. თბილისი, ...ას გამზირი №7ა, მე-2 სართულზე მდებარე უძრავი ქონება, ფართით 51.57 კვ.მ, საკადასტრო კოდი: №... .

2015 წლის 21 აპრილს მოსარჩელებმა დაზუსტებული სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, ხოლო 27 აპრილს მოსარჩელებმა განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და კვლავ დააზუსტეს სასარჩელო მოთხოვნები. კერძოდ, მოსარჩელებმა ვ. ნ-ის სასარგებლოდ მოპასუხეებისთვის სოლიდარულად 4746 აშშ დოლარის (3352 აშშ დოლარი 4 თვის იჯარის ქირა, 1394 აშშ დოლარი სასამართლო ხარჯები), ნ. ნ-ის სასარგებლოდ სოლიდარულად 11732 აშშ დოლარის (14 თვის იჯარის ქირა), ნ. ნ-ის სასარგებლოდ 2014 წლის 24 თებერვლიდან სასამართლოს გადაწყვეტილების სრულად აღსრულებამდე ზიანის სახით (იჯარის ქირის თანხის) ყოველთვიურად 838 აშშ დოლარის გადახდის, ვ. ნ-ის მიერ განეული საპროცესო ხარჯის 261 ლარის გადახდის, ვ. ნ-ის მიერ განეული საპროცესო ხარჯის 474 ლარის გადახდის, მოსარჩელების სასარგებლოდ წარმომადგენლისათვის განეული პროცესის ხარჯის სახით 700 ლარის გადახდისა და მოსარჩელების სასარგებლოდ საჯარო რეესტრში ყადაღის რეგისტრაციისთვის განეული 21 ლარის გადახდის დაკისრება მოითხოვეს.

2016 წლის 9 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართულ სასამართლოს მთავარ სხდომაზე დაზუსტდა მოპასუხეთა წრე, კერძოდ, მოპასუხედ მიეთითა სსიპ საჯარო რეესტრის

ეროვნული სააგენტო და მ. ს-ა.

2017 წლის 30 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სასარჩელო მოთხოვნაზე ნაწილობრივ უარის თქმისა და სასარჩელო მოთხოვნების დაზუსტების შესახებ განცხადებით მიმართა მოსარჩელების წარმომადგენელმა, რომელმაც თანხის მოპასუხეებზე სოლიდარულად დაკისრების ნაცვლად მოითხოვა ზიანის ანაზღაურება მხოლოდ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსგან და უარი თქვა მ. ს-ას მიმართ წაყენებულ მოთხოვნაზე.

ამდენად, წარმომადგენელი განცხადებით მოსარჩელებმა საბოლოოდ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის ვ. ნისა და ნ. ნ-ის სასარგებლოდ 2012 წლის 24 აგვისტოდან სასამართლოს გადაწყვეტილების სრულად აღსრულებამდე ყოველთვიურად 882 აშშ დოლარის ზიანის სახით ეკვივალენტით ლარში გადახდის, ზიანის სახით 1200 აშშ დოლარის ეკვივალენტით ლარში გადახდის, აგრეთვე, ზიანის სახით განეული საპროცესო ხარჯის – 346 ლარის გადახდისა და მიმდინარე სასამართლო ხარჯების სახით მთლიანობაში 2079 ლარის გადახდის დაკისრება მოითხოვეს.

2017 წლის 4 ივლისს დანიშნულ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელებმა მხარი დაუჭირეს წარდგენილ განცხადებას და მ. ს-ას მიმართ არსებული მოთხოვნის ნაწილში საქმის წარმოების შეწყვეტა მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 4 ივლისის განჩინებით ნ. და ვ. ნ-ების სარჩელზე, მოპასუხეების – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და მ. ს-ას მიმართ, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის თაობაზე, მოსარჩელეთა მიერ უარის თქმის გამო, მოპასუხე მ. ს-ას მიმართ არსებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში საქმის წარმოება შეწყდა.

2017 წლის 5 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას განცხადებით მიმართა მ. ს-ას წარმომადგენელმა – დ. ს-ამ და სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 14 აპრილის განჩინების გაუქმება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 4 სექტემბრის განჩინებით მ. ს-ას განცხადება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 14 აპრილის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 14 აპრილის განჩინების



ნებით (საქმე №3/1246-14) გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და ყადაღა მოეხსნა თბილისში, ...ას (...ის) გამზირი №7ა, მე-2 სართულზე მდებარე უძრავ ქონებას, ფართი 51.57 კვ.მ, საკადასტრო კოდი: №... .

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით ნ. ნ-ისა და ვ. ნ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგინებულ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ 2012 წლის 21 ივნისს ქ. თბილისში, ...ას გამზ. №7ა, მე-2 სართულზე მდებარე უძრავ ნივთზე – 42.42 კვ.მ ფართზე (საკადასტრო კოდით №...), დარეგისტრირდა ვ. ნ-ის საკუთრების უფლება. 2012 წლის 25 დეკემბერს ზემოაღნიშნულ ქონებაზე რეგისტრირებულ იქნა ნ. ნ-ის საკუთრების უფლება. უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად მითითებულია – ჩუქების ხელშეკრულება, დამონშემების თარიღი 2012 წლის 20 დეკემბერი.

ამასთან, 2012 წლის 15 თებერვალს ქ. თბილისში, ...ას გამზ. №7ა, მე-2 სართულზე მდებარე უძრავ ნივთზე, ფართი 51.57 კვ.მ (საკადასტრო კოდით №...), დარეგისტრირდა მ. ს-ას საკუთრების უფლება. უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად მითითებულია – ნასყიდობის ხელშეკრულება, დამონშემების თარიღი 2012 წლის 9 თებერვალი.

დადგინებულ ფაქტობრივ გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ 2012 წლის 20 აგვისტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს წარედგინა მ. ს-ას №... განცხადება, რომლითაც მოთხოვნილ იქნა უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია, მდებარე: ქ. თბილისი, ...ას გამზირი №7ა, მე-2 სართული. განცხადებაზე თანდართული იყო: წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბუთი; შიდა აზომვითი ნახაზი, საერთო ფართით 71.82 კვ.მ, მომზადებული შპს „...ის“ მიერ.

თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 24 აგვისტოს №... გადაწყვეტილებით, აღნიშნული ნახაზის საფუძველზე, 71.82 კვ.მ ფართზე დარეგისტრირდა მ. ს-ას საკუთრების უფლება.

საქალაქო სასამართლომ საქმის მასალებით დადგინებულ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ შპს „...ის“ 2012 წლის 4 სექტემბრის წერილით საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ეცნობა, რომ 2012 წლის 16 აგვისტოს კომპანიას მიმართა დ. ს-ამ, რომელმაც მისი შვილის – მ. ს-ას კუთვნილი ფართის (მდებარე ...ას გამზ. №7ა, რეესტრში დარეგისტრირებულია 51.57 კვ.მ) დაზუსტებული აზომვითი ნახაზის მომზადება მოითხოვა. ჩატარებული აზომვითი სამუშაოების საფუძველზე, მომზადდა აზომვითი ნახაზი. დ. ს-ამ კომ-

პანიის სპეციალისტები შეიყვანა შეცდომაში და დამატებით ააზომინა ამავე სართულზე მის მომიჯნავედ არსებული სადავო ფართი, რის შემდეგაც კუთვნილი ფართი გაიზარდა და შეადგინა 71.82 კვ.მ, რაც დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში. მიმართვით მოთხოვნილია წარდგენილი შიდა აზომვითი ნახაზის გაუქმება და ძველი საჯარო რეესტრის ამონაწერის აღდგენა, სადაც მ. ს-ას საკუთრებად რეგისტრირებულია 51.57 კვ.მ.

საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, შპს „...ისა“ და ვ. ნ-ის განცხადებების საფუძველზე, 2012 წლის 3 ოქტომბრის წერილით მიმართა საქართველოს პროკურატურას იმ საფუძველით, რომ საქმეში შესაძლებელი იყო გამოკვეთილიყო სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები. ამასთან, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, შპს „...ის“ 2012 წლის 4 სექტემბრის №... და ვ. ნ-ის 2012 წლის 6 სექტემბრის №... ადმინისტრაციულ საჩივრებზე, პროკურატურის მიერ სათანადო დასკვნის მიღებამდე, საქმის განხილვა გადაიდო.

სასამართლოს მიერ საქმის მასალებით დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ აღნიშნული მიმართვით გადაგზავნილი მასალები გაუერთიანდა ვ. ნ-ის 2012 წლის 11 ნოემბრის განცხადების საფუძველზე ვაკე-საბურთალოს შს სამმართველოს მე-2 განყოფილებაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლის პირველი ნაწილით დაწყებულ გამოძიებას სისხლის სამართლის №007111112003 საქმეზე.

საქმის მასალებით დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ ვ. ნ-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ, მესამე პირი – მ. ს-ა. სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა – ქ. თბილისში, ...ას გამზირი №7ა-ში მ. ს-ას სახელზე საკუთრების უფლებით №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ფართზე ცვლილების რეგისტრაციის შესახებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 24 აგვისტოს №... გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან ბათილად ცნობა და რეგისტრირებულ მონაცემებში 2012 წლის 24 აგვისტომდე არსებული მონაცემების აღდგენა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 28 სექტემბრის განჩინებით (საქმე №3/3946-12) დაკმაყოფილდა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ ვ. ნ-ის 2012 წლის 27 სექტემბრის განცხადება და სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე საჯარო

რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს აეკრძალა რეგისტრაციისა და ნებისმიერი ცვლილების განხორციელება მ. ს-ას სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე, მდებარე თბილისი, ...ას გამზ. №7ა (საკადასტრო კოდი – №...).

საქალაქო სასამართლომ დადგინდა ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით (საქმე №3/3946-12) ვ. ნ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 24 აგვისტოს №... გადაწყვეტილება და მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესწავლისა და გამოკვლევის შემდეგ, კანონით დადგინდა ვადაში, მ. ს-ას სახელზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაციასთან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „თ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის მე-14 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე სადავო რეგისტრაციის განხორციელებისას არ გამოუკვლევია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები. კერძოდ, სადავო რეგისტრაციის განხორციელებით გაიზრდებოდა თუ არა უძრავი ნივთის მდებარე ქ. თბილისი, ...ას გამზირი №7ა, მე-2 სართულის მთლიანი ფართი მაშინ, როდესაც საჯარო რეესტრში დაცული ინფორმაციის თანახმად, მე-2 სართულის საერთო ფართი შეადგენს – 278,30 კვ.მ. ამას გარდა, სასამართლოს მიერ 2013 წლის 13 თებერვალს განხორციელებული ადგილზე დათვალიერებით დადასტურდა, რომ მ. ს-ას მიერ რეალურად დაკავებული ფართი დათვალიერების მომენტისათვის არ წარმოადგენდა ერთ სისტემაში გაერთიანებულ, ურთიერთდაკავშირებულ და იზოლირებულ ფართს. სასამართლომ იმ გარემოებებზეც მიუთითა, რომ შპს „...ის“ დირექტორმა საჯარო რეესტრს განცხადებით აცნობა, რომ დაზუსტებული ნახაზის მომზადებისას სპეციალისტები შეეყვანილ იქნენ შეცდომაში, რის გამოც მათ მიერ დამატებით განხორციელდა ამავე სართულზე არსებული მომიჯნავე ფართის აზომვა, რის შედეგადაც მ. ს-ას ფართი გაიზარდა 71.82 კვ.მ ფართით. ამასთან, სასამართლო სხდომაზე, მე-

სამე პირის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ აზომეითი ნახაზის მომზადების პერიოდისათვის ფართი გამიჯნული იყო კედლით, რაც სარეგისტრაციოდ წარდგენილ ნახაზზე არ არის ასახული. ამდენად, აღნიშნული საკითხი საჭიროებდა დამატებით გამოკვლევას.

საქმის მასალებით დადგენილ გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 10 ოქტომბრის №... გადაწყვეტილებით მ. ს-ას უარი ეთქვა 2012 წლის 5 ოქტომბრის განცხადებით მოთხოვნილ უძრავ ნივთზე, მდებარე ქ. თბილისი, ...ას გამზირი №7ა, რეგისტრირებულ უფლებებში ცვლილების რეგისტრაციაზე. (საფუძველი – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 28 სექტემბრის №3/3946-12 განჩინებით რეგისტრირებული აკრძალვა).

2013 წლის 18 მარტს ვ. ნ-მა განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, რომლითაც ქ. თბილისში, ...ას გამზირი №7ა-ში მდებარე უძრავ ნივთზე (საკადასტრო კოდი – №...) რეგისტრირებული მონაცემების კანონიერების შემოწმება და ჩანაწერის გაუქმება მოითხოვა.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ მიუთითა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლზე, 29-ე მუხლის მე-3 პუნქტზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 185-ე მუხლზე, მე-80 მუხლის მე-4 ნაწილზე და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 17 აპრილის №... გადაწყვეტილებით ვ. ნ-ს უარი ეთქვა 2013 წლის 18 მარტის №... ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2014 წლის 24 თებერვლის №... გადაწყვეტილებით სასამართლოს აქტის საფუძველზე, ქ. თბილისში, ...ას გამზირი №7ა-ში მდებარე უძრავ ქონებასთან დაკავშირებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ.

სასამართლომ დადგენილ გარემოებად მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 28 თებერვლის №3/3946-12 გადაწყვეტილების საფუძველზე, 2014 წლის 24 თებერვალს, მ. ს-ას საკუთრების უფლება რეგისტრირებულია ქ. თბილისში, ...ას გამზირი №7ა, მე-2 სართულზე მდებარე ფართის (საკადასტრო კოდი – №...) 51.57 კვ.მ-ზე.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2014 წლის 24 თებერვლის №... გადაწყვეტილებით მ. ს-ას უარი ეთქვა 2014 წლის 24 თებერვლის განცხადებით მოთხოვნილ უძრავ ნივთზე, მდებარე თბილისი, ...ას გამზირი №7ა,

რეგისტრირებულ უფლებებში ცვლილების რეგისტრაციაზე. (საფუძველი – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 28 სექტემბრის №3/3946-12 განჩინებით რეგისტრირებული აკრძალვა).

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 29 აგვისტოს №... წერილით ვ. ნ-ს, 2014 წლის 6 აგვისტოს №... განცხადების პასუხად, ეცნობა, რომ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით (საქმე №3/3946-12) სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 24 აგვისტოს №... გადაწყვეტილება და მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად, კანონით დადგენილ ვადაში, მ. ს-ას სახელზე რეგისტრირებულ უფლებებში ცვლილების რეგისტრაციასთან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ საჯარო რეესტრის წერილის შესაბამისად, წარდგენილი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის მიერ უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის ელექტრონულ პროგრამაში 2014 წლის 24 თებერვალს დარეგისტრირდა №... და №... სარეგისტრაციო განცხადებები, რომლებზეც მიღებულ იქნა რეგისტრაციის შესახებ №... (24.02.2014) და რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №... (24.02.2014) გადაწყვეტილებები. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის მიერ მიღებული რეგისტრაციის შესახებ №... (24.02.2014) გადაწყვეტილებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 24 აგვისტოს №... გადაწყვეტილება გაუქმდა და აღდგა ბათილად ცნობილ რეგისტრაციამდე არსებული მდგომარეობა – უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში მ. ს-ას საკუთრების უფლების საგნად მიეთითა ქ. თბილისში, ...ას გამზირის №7ა-ში მდებარე 51.57 კვ.მ უძრავი ნივთი (საკადასტრო კოდი – №...).

საქალაქო სასამართლოს მითითებით, წერილში აღნიშნული იყო, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-

თა კოლეგიის 2013 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილების შესაბამისად, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტმა იმსჯელა მ. ს-ას სახელზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაციის მოთხოვნაზე. იმის გათვალისწინებით, რომ სარეგისტრაციოდ წარდგენილი უფლების ობიექტზე – ქ. თბილისში, ...ას გამზირის №7ა-ში მდებარე უძრავ ნივთზე (საკადასტრო კოდი – №...) რეგისტრირებული იყო ყადაღა, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონი კი გამორიცხავდა აღნიშნულ უძრავ ნივთზე წარდგენილი უფლების რეგისტრაციას, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის მიერ მიღებულ იქნა რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №... (24.02.2014) გადაწყვეტილება. შესაბამისად, ამ გადაწყვეტილების მიღების პროცესში სარეგისტრაციო სამსახურის მიერ არსებითად არ იქნა გამოკვლეული და შეფასებული მ. ს-ას მიერ რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაციის მიზნით წარდგენილი დოკუმენტაცია/ინფორმაცია (მათ შორის, შიდა აზომვითი ნახაზები). აღნიშნულიდან გამომდინარე, რეგისტრაციის შესახებ №... (24.02.2014) გადაწყვეტილების მიღების პროცესში სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის უფლებამოსილი პირის მიერ დადგინდა ქ. თბილისში, ...ას გამზირის №7ა-ში მდებარე 71.82 კვ.მ-ზე მ. ს-ას საკუთრების უფლების რეგისტრაციისას ე.წ. „გადაფარვის“, ანუ მ. ს-ას მიერ სხვისი საკუთრების უფლების ობიექტის/მისი ნაწილის მითვისების ფაქტი. მ. ს-ას მიერ სხვისი საკუთრების უფლების ობიექტის/მისი ნაწილის მითვისების ფაქტის დადგენას საფუძვლად დაედო სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენილი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება (საქმე №3/3946-12), კერძოდ, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის 7.2 პუნქტით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები. ვინაიდან დაინტერესებულ პირს – მ. ს-ას უარი ეთქვა ქ. თბილისში, ...ას გამზირის №7ა-ში მდებარე 51.57 კვ.მ უძრავ ნივთზე (საკადასტრო კოდი – №...) რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაციის მოთხოვნაზე, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის უფლებამოსილი პირის მიერ არსებითად არ იქნა გამოკვლეული და შეფასებული №... განცხადებას თანდართული დოკუმენტაცია/ინფორმაცია (მათ შორის, შიდა აზომვითი ნახაზები). შესაბამისად, სარეგისტრაციო წარმოების პროცესში უტყუარად არ დადგენილა, შიდა აზომვით ნახაზზე ასახული ფართობის რომელი ნაწილი და ვისი საკუთრების უფლების საგანი იქნა გადაფარული, მითვისებული მ. ს-ას მიერ.

ამასთან, საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ წერილის თანახმად, ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები სრულად იქნებოდა გამოკვლეული, შეფასებული და ურთიერთშეჯერებული სარეგისტრაციო მოთხოვნის დაკმაყოფილების, კერძოდ, ქ. თბილისში, ...ას გამზირის №7ა-ში მდებარე უძრავ ნივთზე (საკადასტრო კოდი – №...) რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაციის შემთხვევაში.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 2 სექტემბრის №... გადაწყვეტილებით გადაწყდა თბილისში, ...ას გამზ. №7ა, მე-2 სართულზე არსებული უძრავი ქონების სისტემური ნუმერაციის განხორციელება. მათ შორის, მ. ს-ას საკუთრებაში არსებულ უნომრო ფართს (საკადასტრო კოდი – №...) მიენიჭა №5 და მისამართი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: თბილისი, ...ის გამზირი №7ა, ფართი №5. ასევე, ნ. ნ-ის საკუთრებაში არსებულ უნომრო ფართს (საკადასტრო კოდი – №...) მიენიჭა №3 და მისამართი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: თბილისი, ...ის გამზირი №7ა, ფართი №3.

2015 წლის 19 ივნისს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს განცხადებით მიმართა ვ. ნ-მა და თბილისში, ...ის გამზირი №7ა-ში მდებარე უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია მოითხოვა.

საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2015 წლის 22 ივნისის №... გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა და განმცხადებელს განესაზღვრა 30 დღის ვადა შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დოკუმენტის წარსადგენად. კერძოდ, გადაწყვეტილების მიხედვით, წარდგენილი არ იყო სააგენტოს მიერ განეული მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია/ინფორმაცია. ასევე, დაინტერესებულ პირს უნდა წარედგინა ვ. ნ-ის წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი შესაბამისი უფლებამოსილებით. ამასთან, განმარტებულ იქნა, რომ მოთხოვნილი ცვლილების რეგისტრაცია ვერ განხორციელდებოდა, სანამ სარეგისტრაციო დოკუმენტაციაზე თანდართული შპს „დ...ის“ მიერ შესრულებული აზომვითი ნახაზის შესაბამისად (დანართი №2) არ განხორციელდებოდა ცვლილება №... საკადასტრო კოდით მ. ს-ას საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ ფართში.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2015 წლის 23 ივლისის №... გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში დაინტერესებული პირის მიერ შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარუდგენლობის გამო

სარეგისტრაციო წარმოება შეწყდა.

სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2015 წლის 23 ივლისის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით ნ. ნ-მა (წარმომადგენელი – ვ. ნ-ი) საჩივრით მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 12 ოქტომბრის №... გადაწყვეტილებით ადმინისტრაციული საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2015 წლის 22 ივნისის №... და 2015 წლის 23 ივლისის №... გადაწყვეტილებები; სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტს დაევალა №... განცხადების საფუძველზე დაწყებული სარეგისტრაციო წარმოების განახლება და მ. ს-ას თანხმობის მოთხოვნით სარეგისტრაციოდ წარდგენილ ობიექტზე ცვლილების რეგისტრაციის თაობაზე სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მიხედვით, მ. ს-ას მიერ ცვლილების რეგისტრაციის გაუქმების დროს სასამართლოს მიერ დავალბებული იყო საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევა, რაც ვერ განხორციელდა, ვინაიდან უძრავ ნივთზე რეგისტრირებული იყო საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვა, რის გამოც მ. ს-ას არ მიეცა საშუალება, წარედგინა კორექტირებული საკადასტრო აზომვითი ნახაზი არსებული მდგომარეობით ცვლილების რეგისტრაციისათვის. ამასთან, დაინტერესებული პირის მიერ სარეგისტრაციოდ წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნით დგინდებოდა საჯარო რეესტრში რეგისტრირებულისაგან განსხვავებული მდგომარეობა, კერძოდ, ის რომ მ. ს-ასა და ნ. ნ-ის უძრავი ნივთები მდებარეობდა ერთ სივრცეში გაერთიანებულ ფართში და მყარი საზღვარი მათ უძრავ ნივთებს შორის არ არსებობდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის მიერ მოთხოვნილი უნდა ყოფილიყო მ. ს-ას თანხმობა №... სარეგისტრაციო განცხადებით მოთხოვნილ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციისთვის შესახებ. შესაბამისად, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ №... (22.06.2015 წ.) გადაწყვეტილება მითითებულ ნაწილში ბათილად იქნა ცნობილი.

საქმის მასალებით დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2015 წლის 26 ოქტომბრის №... გადაწყვეტილებით



შეჩერდა ვ. ნ-ის 2015 წლის 19 ივნისის №... განცხადების საფუძველზე დაწყებული სარეგისტრაციო წარმოება. კერძოდ, მარეგისტრირებელმა ორგანომ მიიჩნია, რომ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად აუცილებელი იყო მ. ს-ას თანხმობის წარდგენა აზომვითი ნახაზების შესაბამისად ცვლილების განხორციელებასთან დაკავშირებით.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2015 წლის 30 ნოემბრის №... გადაწყვეტილებით შეჩერდა ვ. ნ-ის 2015 წლის 19 ივნისის №... განცხადების საფუძველზე დაწყებული სარეგისტრაციო წარმოება. კერძოდ, მარეგისტრირებელმა ორგანომ მიიჩნია, რომ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად აუცილებელი იყო მ. ს-ას თანხმობის წარდგენა აზომვითი ნახაზების შესაბამისად ცვლილების განხორციელებასთან დაკავშირებით.

საკალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ გადაწყვეტილებაში დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე მითითებულია: დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია ქალაქი თბილისში, ...ის გამზირი №7ა-ში მდებარე უძრავ ნივთზე (საკადასტრო კოდი – №...). სარეგისტრაციო წარმოების პროცესში დადგინდა, რომ სარეგისტრაციო ფართი წარმოადგენს №... საკადასტრო კოდით მ. ს-ას საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ ფართთან ერთ სისტემაში მყოფ ფართს და ამასთანავე, იცვლება დაინტერესებული პირის საკუთრების უფლებით რეგისტრირებული ფართის კონფიგურაცია.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 27 ივნისის №... გადაწყვეტილებით დადასტურდა რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის №... (24.02.2014) გადაწყვეტილების კანონიერება. გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ იმსჯელა სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ №... (30.11.2015 წ.) გადაწყვეტილების კანონიერებაზე და 2015 წლის 30 ნოემბრის №... გადაწყვეტილებით მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება იყო კანონიერი, შესაბამისად, ნ. ნ-ის წარმომადგენლის – ვ. ნ-ის №... სარეგისტრაციო განცხადების მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის აუცილებელი იყო მ. ს-ას თანხმობა. თავის მხრივ, სააგენტოში დაცული სასამართლოს გადაწყვეტილებით დავალებული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისთვის აუცილებელი იყო იმ პირთა ინტერესების გათვალისწინება, რომელთა უფლებებზეც, შეიძლებოდა, გავლენა მოეხდინა მ. ს-ას რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაციას.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილების მიხედვით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტში წარდგენილი იყო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც სარეგისტრაციო სამსახურს დავალებული ჰქონდა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის შედეგად ახალი გადაწყვეტილების მიღება. აღნიშნულთან დაკავშირებით, სააგენტომ ყურადღება გაამახვილა რეგისტრირებული საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის საფუძველზე, კერძოდ, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სამართლებრივ ბუნებაზე და მიუთითა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი, თავისი არსით, წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის სამართლებრივ საშუალებას, რომლის გამოყენებაც დაიშვება მოსარჩელის განცხადების საფუძველზე მოპასუხის მიმართ, იმ მიზნით, რომ არ გაძნელდეს ან შეუძლებელი არ გახდეს საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების წარმდგენი მოსარჩელის მიზანს, საბოლოო ჯამში, მოპასუხის სანინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება და მისი დაუბრკოლებელი აღსრულების უზრუნველყოფა წარმოადგენს. მოცემულ შემთხვევაში, სარეგისტრაციო დოკუმენტს წარმოადგენდა სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლისთვისაც რეგისტრირებული საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვა დაბრკოლებას არ წარმოადგენდა შეზღუდვის შინაარსის გათვალისწინებით. განსახილველ შემთხვევაში, დგინდებოდა, რომ სარეგისტრაციო ობიექტზე რეგისტრირებული იყო საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვა, ხოლო სასამართლოს მიერ დავალებული იყო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევა (არა რეგისტრაცია), რაც შეუძლებელი იყო დაინტერესებული პირების, მათ შორის, ნ. ნ-ის ინტერესების გათვალისწინებით, რომელიც თანხმობას არ აცხადებდა წარდგენილი აზომვითი ნახაზით რეგისტრაციაზე, ხოლო წინამდებარე წარმოების ფარგლებში მ. ს-ას წარმომადგენლის – დ. ს-ას განმარტებით, არ აპირებდა კორექტირებული აზომვითი ნახაზის წარდგენას. ამასთან, მესაკუთრეთა შორის სადავო იყო მათ საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჯარო რეესტრის მიერ სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, პრევენციული დაცვა აზრს დაკარგავდა. შესაბამისად, კანონიერი იყო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის №... (24.02.2014) გადაწყვეტილება.

საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სა-

რეგისტრაციო სამსახურის 2016 წლის 7 დეკემბრის №... გადაწყვეტილებით შეჩერდა ნ. ნ-ის 2016 წლის პირველი დეკემბრის №... განცხადების საფუძველზე დაწყებული სარეგისტრაციო წარმოება. გადაწყვეტილების მიხედვით, განცხადებაზე თანდართულია: 1. წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, 2. განცხადება, 3. კრების ოქმი №14, ნოტარიულად დამონმებული 4. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 5. სართულის გეგმა (3 ცალი), 6. გადაწყვეტილება №..., 7. ექსპერტიზის დასკვნა 8. სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი (2 ცალი).

გადაწყვეტილებით დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 1. დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია, მდებარე ქალაქი თბილისი, ...ის გამზირი №7ა, სართული 2, ფართი №3; 2. საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული და დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე მარეგისტრირებელმა ორგანომ მიიჩნია, რომ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის აუცილებელი იყო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემად კანონმდებლობით გათვალისწინებულზე მეტი ვადა, რაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა და სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების საფუძველს წარმოადგენდა.

საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2016 წლის 15 დეკემბრის №... გადაწყვეტილების მიხედვით, განმცხადებელი – ნ. ნ-ი, 2016 წლის პირველი დეკემბრის №8... განცხადება, განცხადებაზე დამატებით წარდგენილია: განცხადება, გადაწყვეტილება №..., გადაწყვეტილება №..., გადაწყვეტილება №..., ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საქმე №3/3946-12 სასამართლო განჩინების ასლი, გადაწყვეტილება №..., საქმე №3/3946-12 სასამართლო განჩინების ასლი (28.09.2012 წ.), მეორე სართულის გეგმის ნახაზები (3 ფურცელი). მითითებულია, რომ შეჩერების საფუძველი არ აღმოიფხვრა. დამატებითი დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარდგენა დასაშვებია 9 იანვარი, 2017 წლამდე.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2017 წლის 6 იანვრის №... გადაწყვეტილებით ნ. ნ-ის 2016 წლის პირველი დეკემბრის №... განცხადების საფუძველზე დაწყებული სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა. გადაწყვეტილების მიხედვით, წარდგენილი სარეგისტრაციო განაც-

ხადით მოთხოვნილია რეგისტრირებულ უფლებებაში ცვლილების რეგისტრაცია უძრავ ნივთზე მდებარე ქ. თბილისში, ...ის გამზირი №7ა, სართული 2, ფართი №3 და ცვლილების დამადასტურებელ დოკუმენტად წარდგენილია შპს „დ...ის“ მიერ შესრულებული, აღნიშნულ მისამართზე, მეორე სართულზე მდებარე ფართის შიდა აზომვითი ნახაზი და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „...ის“ №14 კრების ოქმი; განცხადებას, აგრეთვე, თან ერთვის სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა. უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის მონაცემებით დგინდება, რომ ქ. თბილისში, ...ის გამზ. №7ა-ში მდებარე უძრავი ნივთი (საკადასტრო კოდი – №..., მე-2 სართული) რეგისტრირებულია ნ. ნ-ის საკუთრებად და სარეგისტრაციო დოკუმენტებში დაცულია შიდა აზომვითი ნახაზი; უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის მონაცემებით, მე-2 სართულზე, აგრეთვე, რეგისტრირებულია მ. ს-ას საკუთრების უფლება 51.57 კვ.მ უძრავ ნივთზე (საკადასტრო კოდი – №...), აღნიშნული 51.57 კვ.მ წარმოიშვა 45 კვ.მ-ის დაზუსტებით, რომელიც, თავის მხრივ, წარმოიშვა თავდაპირველი საკადასტრო კოდის (მე-2 სართულის ფართობის) დაყოფით. უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში აღნიშნულ მისამართზე მე-2 სართულზე ასევე რეგისტრირებულია ფართი №ნა, 17.25 კვ.მ თ. ც-ის საკუთრების უფლებით, აღნიშნული ფართი წარმოადგენს დაუზუსტებელ უძრავ ნივთს და მისი ზუსტი მდებარეობა და კონფიგურაცია საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემებით არ დგინდება.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ გადაწყვეტილებაში მითითებული იყო „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტზე, 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტზე და განმარტებული იყო, რომ განცხადებით მოთხოვნილ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად დამატებით წარსადგენი იყო წარდგენილი აზომვითი ნახაზების შესაბამისად ცვლილების განხორციელებასთან დაკავშირებით მ. ს-ასა და თ. ც-ის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად დამოწმებული თანხმობა. შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარსადგენად განსაზღვრულ იქნა 30 კალენდარული დღე.

საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შიდა კონტროლის სამსახურის მიერ განხორციელდა დისციპლინური წარმოება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან 2015 წლის 20 ოქტომბრის კორესპონდენციით გაგზავნილი ნ. ნ-ის წარმომადგენლის ვ. ნ-ის №..., №... და №... განცხადებებისა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ საა-

გენტოში შეტანილი 2015 წლის 26 ნოემბრის №... განცხადებების საფუძველზე, რაზედაც მომზადდა 2015 წლის 9 დეკემბრის №... დასკვნა. დასკვნის შესაბამისად, შიდა კონტროლის სამსახურმა მიზანშეწონილად არ მიიჩნია, რომ №... სარეგისტრაციო წარმოების განმახორციელებელი პირის, ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგისტრაციის სამსახურის შემდგომი რეგისტრაციის განყოფილების უფროსის – ა. ქ-ისა და №... სარეგისტრაციო წარმოების განმახორციელებელი პირის, ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგისტრაციის სამსახურის შემდგომი რეგისტრაციის განყოფილების რეგისტრატორის – თ. ჩ-ის მიმართ გამოყენებული ყოფილიყო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2009 წლის 20 იანვრის №35 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შრომის შინაგანაწესის“ 32-ე მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა. რაც შეეხება №... სარეგისტრაციო წარმოების განმახორციელებელ პირს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის განყოფილების უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემისა და სარგებლობის უფლების რეგისტრაციის სექტორის მთავარ სპეციალისტს – თ. ა-ს, სამსახურებრივი მოკვლევის შედეგად დადგინდა მის მიერ დისციპლინური დარღვევის ფაქტი, მაგრამ ვინაიდან იგი აღარ წარმოადგენდა სააგენტოში დასაქმებულ პირს, მის მიმართ ვერ იქნებოდა გამოყენებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, რადგანაც შრომის შინაგანაწესის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ სააგენტოში დასაქმებული პირების მიმართ. №..., №... და №... სარეგისტრაციო წარმოებების განმახორციელებელ პირებთან მიმართებით აღნიშნული იყო, რომ სარეგისტრაციო წარმოებების დასრულების დღიდან გასული იყო 3 წელზე მეტი, შრომის შინაგანაწესის 38<sup>7</sup> მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის დადასტურების შემთხვევაშიც, მათ მიმართ ვერ იქნებოდა გამოყენებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტის დ. მ-ის 2013 წლის 21 მაისის დასკვნის მიხედვით, თბილისში, ...ას №7ა-ში საჯარო რეესტრის თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის ბაზაში დარეგისტრირებული მონაცემების მიხედვით, ვ. ნ-ის მიერ დღეისთვის ჩუქების ხელშეკრულებით გადაცემული 42.42 კვ.მ ნ-ის სახელზე განთავსებულია აღნიშნული მისამართის მე-2 სართულზე, ანტრესოლში და კიბის უჯრედში, ხოლო 27.83 კვ.მ მ. ს-ას მიერ დაკავებულ 71.82 კვ.მ

ფართში. თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში ნ. ნ-ის სახელზე რეგისტრირებული 42.42 კვ.მ ფართის გამიჯვნა სრული იზოლირებით ისე, რომ არ მომხდარიყო საერთო კომერციული ფართის სანყისის საბაზრო ღირებულების შემცირება, შესაძლებელი იყო ორი ვარიანტით, რაც მოცემული იყო დანართებში.

2014 წლის 18 თებერვალს თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ მიღებულ იქნა ვ. ნ-ის განცხადება, რომელმაც თბილისში, ...ას №7ა, მე-2 სართულზე მდებარე უძრავი ქონების (27.83 კვ.მ) მფლობელის დაფიქსირება და ამავე მფლობელის მიერ აღნიშნული ფართის სარგებლობის პერიოდის ფაქტების დადგენა მოითხოვა.

საქალაქო სასამართლოს მიერ საქმის მასალებით დადგენილ გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს №14000060 ოქმის მიხედვით, ფაქტის დამდგენი 2014 წლის 21 თებერვალს გამოცხადდა ქ. თბილისში, ...ას გამზ. №7ა, მე-2 სართულზე განთავსებული ფართის მდგომარეობის დასაფიქსირებლად. მისამართზე მას დახვდა პიროვნება, რომელმაც ფართში ფოტო და ვიდეოგადაღების განხორციელებაზე უარი უთხრა, ამასთან, აღნიშნულ ფართში განთავსებულია სილამაზის სალონი წარწერით – „...“.

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2015 წლის 31 მარტის №001831315 დასკვნის შესაბამისად, შპს „გ...-ის“ მიერ ასახული ფართი განთავსებულია ფაქტობრივად არსებულ სართულზე, როგორც ეს დანართ №2-ზეა ნაჩვენები, რა შემთხვევაშიც იგი მოიცავს მ. ს-ას ფაქტობრივად დაკავებული ფართის 19.89 კვ.მ-ს.

ამასთან, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2015 წლის 7 სექტემბრის №005277515 დასკვნის შესაბამისად, თბილისში, ...ის გამზირი №7ა-ში არსებული №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 51.57 კვ.მ ფართის იდენტიფიკაცია (ადგილმდებარეობის განსაზღვრა) შეუძლებელია. შესაბამისად, მდებარეობს თუ არა ერთმანეთის მომიჯნავედ №... და №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონებები, ექსპერტიზისთვის უცნობია. №001831315 დასკვნაში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ნ. ნ-ის სახელზე №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 42.42 კვ.მ ფართიდან 19.98 კვ.მ ფართი ფაქტობრივი მდგომარეობით დაკავებული აქვს მ. ს-ას (იხ. დანართი №4), ხოლო დარჩენილი 20.81 კვ.მ ფართი (ფართში არაა შესული კედლის ფართი) ფაქტობრივი მდგომარეობით საერთო სარგებლობაშია (მხოლოდ ნ. ნ-ის ფაქტობრივ მფლობელობაში არაა), ვინაიდან იგი წარმოადგენს კიბის უჯრედსა და შემოსასვლელს, რომლითაც ხდება მეორე სართულზე არსებულ ფართებთან და-

კავშირება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნ. ნ-ის სახელზე რეგისტრირებული 42.42 კვ.მ ფართი ფაქტობრივ მდგომარეობასთან, როგორც ადგილმდებარეობით, ასევე, ფართით განსხვავდება. რაც შეეხება მ. ს-ას, მის ფაქტობრივ მფლობელობაშია მე-2 სართულზე არსებული ფართიდან, 83.27 კვ.მ ფართი (აღნიშნული ფართის განსაზღვრა მოხდა №001831315 დასკვნის მომზადების პერიოდში, კერძოდ, აღნიშნული ფართები მითითებული იქნა მ. ს-ას წარმომადგენლის მიერ), რაც მ. ს-ას სახელზე №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ფართზე 87.27-51.57=35.7 კვ.მ-ით მეტია, ხოლო მ. ს-ას ფაქტობრივად დაკავებული და რეგისტრირებული ფართების ადგილმდებარეობის შედარებაზე ექსპერტიზა ვერ იმსჯელებს, ვინაიდან №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 51.57 კვ.მ ფართის იდენტიფიკაცია შეუძლებელია და შესაბამისად, შეუძლებელია იმაზე მსჯელობა, გამიჯნულია თუ არა №... და №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ფართები ერთმანეთისაგან. შპს „გ...-ის“ მიერ შესრულებულ გეგმაზე (რომლის მიხედვითაც მოხდა №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 42.42 კვ.მ ფართის რეგისტრაცია) არსებული ინფორმაციიდან დგინდება, რომ 42.42 ფართიდან 14.59 ფართი წარმოადგენს კიბის უჯრედს.

2012 წლის 16 თებერვალს მ. ს-ასა (მეიჯარე) და შპს „ა...ეს“ (მოიჯარე) შორის დადებულია თბილისში, ...ის ქ. №7ა, მე-2 სართულზე მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი – №...) იჯარის ხელშეკრულება. იჯარის ვადა განსაზღვრულია 2014 წლის 31 დეკემბრამდე. საიჯარო გადასახადი შეადგენს ყოველთვიურად 1200 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში.

საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ შპს „აუ...ის“ 2014 წლის 5 მაისის დასკვნით, 2012 წლის სექტემბრის თვიდან 2014 წლის აპრილის თვემდე თბილისში, ...ას გამზირი №7ა-ში მდებარე შენობაში გასაქირავებელი ფართის სავარაუდო საშუალო საიჯარო საბაზრო ფასი, საინფორმაციო წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, ერთ კვ.მ-ზე განისაზღვრა 23.80 აშშ დოლარის ოდენობით.

ამასთან, 2012 წლის 13 სექტემბერს პ. კ-ესა (ადვოკატი) და ვ. ნ-ს (კლიენტი) შორის დადებულია საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება, რომლის საგანს წარმოადგენს საადვოკატო მომსახურების განხორციელება ადმინისტრაციული წარმოების საქმის ფარგლებში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სა-რეგისტრაციო სამსახურისა და მ. ს-ას მიმართ, რომელიც დაკავშირებულია მ. ს-ას სახელზე საკუთრების უფლებით №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ფართზე ცვლილების რეგისტრაციის შესახებ თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 24

ავგისტოს №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობასთან. საადვოკატო მომსახურების საფასური განისაზღვრა 1200 აშშ დოლარის ოდენობით. 2014 წლის 4 მარტის აქტით მხარეთა მიერ დადასტურებულია ურთიერთვალდებულებათა შესრულება.

2012 წლის 27 სექტემბერს პ. კ-ის მიერ სახელმწიფო ხაზინაში გადახდილია 50 ლარი, დანიშნულება – ვ. ნ-ის საქმეზე სახელმწიფო ბაჟი.

საქალაქო სასამართლომ დადგინდა ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ 2012 წლის 28 სექტემბერს შპს „გე...ა“ და ვ. ნ-ს შორის დადებულია ხელშეკრულება თბილისში, ...ას №7ა, მე-2 სართულის შიდა აზომვის ჩატარების თაობაზე. ხელშეკრულების ფასი განისაზღვრა 200 ლარით, რაც ვ. ნ-ის მიერ 2012 წლის 29 სექტემბერს იქნა გადახდილი.

2012 წლის 6 ნოემბერს ვ. ნ-ის მიერ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსათვის გადახდილია 75 ლარი, დანიშნულება – ექსპერტიზა 039810-2012/03/1.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის ან სხვა პირის სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის სახელმწიფოს პასუხისმგებლობის განსაკუთრებულ წესს ადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-209-ე მუხლები. კერძოდ, აღნიშნული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ამასთან, სასამართლოს აღნიშვნით, იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებლის ქმედება არსებითად არ განსხვავდებოდა კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მიუთითებით, იმ გამოწვევის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მო-



ვალეობას სხვა პირის მიმართ, სახელმწიფო (მუნიციპალიტეტი) ან ის ორგანო, რომელშიც აღნიშნული მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე სახელმწიფოსთან (მუნიციპალიტეტთან) ერთად, სოლიდარულად აგებს პასუხს. ამავე კოდექსის 992-ე მუხლის მიხედვით კი, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.

სასამართლომ განმარტა, რომ მითითებული მუხლების თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. იმისათვის, რომ წარმოიშვას ზიანის ანაზღაურების წინაპირობა, სახეზე უნდა იყოს პირის მართლსაწინააღმდეგო მოქმედება (უმოქმედობა), წარმოშობილი ზიანი და მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი. სასამართლოს განმარტებით, ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა წარმოადგენს დელიქტური პასუხისმგებლობის დადგომის სავალდებულო პირობას და გამოიხატება იმაში, რომ პირველი წარმოშობს მეორეს. პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანი იყო ზიანის მიმყენებლის მოქმედების (უმოქმედობის) პირდაპირი და გარდაუვალი შედეგი.

სასამართლოს აღნიშვნით, განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩევეები მიუთითებდნენ, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უკანონო ქმედებით, კერძოდ, მათი კუთვნილი ფართის მ. ს-ას სახელზე რეგისტრაციით, მიადგათ მატერიალური ზიანი. უფრო კონკრეტულად, საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ვ. ნ-ი და ნ. ნ-ი მიუთითებდნენ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებაზე და აღნიშნავდნენ, რომ მითითებული გადაწყვეტილებით არა მხოლოდ დადასტურდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უკანონო ქმედება, არამედ მოპასუხეს უნდა განეხორციელებინა საქმეთა გარემოებების გამოკვლევა და აღერიცხა სადავო ფართზე საკუთრების უფლება კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, რაც მოპასუხის მიერ არ განხორციელებულა. მოსარჩევეთა განმარტებით, კანონიერ ძალაში შესული გადაწვეტილების აღუსრულებლობამ ხელყო მათი უფლებები და მიაყენა ზიანი.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის

24 აგვისტოს №... გადაწყვეტილებით, მ. ს-ას 2012 წლის 20 აგვისტოს განცხადების საფუძველზე და მასზე დართული ნახაზის გათვალისწინებით, თბილისში, ...ას გამზირი №7ა-ში, მე-2 სართულზე მდებარე 71.82 კვ.მ ფართზე დარეგისტრირდა მ. ს-ას საკუთრების უფლება. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით კი (საქმე №3/3946-12) ვ. ნ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 24 აგვისტოს №... გადაწყვეტილება, მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს კი საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესწავლისა და გამოკვლევის შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, მ. ს-ას სახელზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაციასთან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულება პირის უფლებების დაცვის გარანტიაა. ამასთან, გადაწყვეტილების აღსრულება გამოიხატება გადაწყვეტილების შესაბამისად მის შესრულებაში. სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ დაწყებული იყო სარეგისტრაციო წარმოება, რომლის ფარგლებშიც მოპასუხის მიერ გამოცემული იყო შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები. კერძოდ, მოპასუხემ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით გათვალისწინებული საკითხის მონესრიგებაში გამოყო და დამოუკიდებლად განიხილა ორი საკითხი:

1. რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, რომლის ფარგლებშიც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2014 წლის 24 თებერვლის №... გადაწყვეტილებით, თბილისში, ...ას გამზირი №7ა-ში მდებარე უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, დაკმაყოფილდა მოთხოვნა და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ. შედეგად, 2014 წლის 24 თებერვალს, მ. ს-ას საკუთრების უფლება რეგისტრირებული იყო თბილისში, ...ას გამზირი №7ა, მე-2 სართულზე მდებარე ფართის (საკადასტრო კოდი – №...) 51.57 კვ.მ-ზე.

2. საქმის გარემოებათა გამოკვლევა და ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, რომლის

ფარგლებშიც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2014 წლის 24 თებერვლის №... გადან-  
ყვეტილებით მ. ს-ას უარი ეთქვა 2014 წლის 24 თებერვლის განცხა-  
დებით მოთხოვნილ უძრავ ნივთზე, მდებარე თბილისი, ...ას გამზი-  
რი №7ა, რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია-  
ზე. საჯარო რეესტრმა აღნიშნულის საფუძველად მიუთითა თბილი-  
სის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგი-  
ის 2012 წლის 28 სექტემბრის №3/3946-12 განჩინებით რეგისტრი-  
რებულ აკრძალვაზე.

ამდენად, სასამართლოს მითითებით, დადგენილი იყო, რომ 2014  
წლის 24 თებერვლიდან აღდგენილი იყო საჯარო რეესტრის მიერ  
2012 წლის 24 აგვისტოს რეგისტრაციის შესახებ გადანყვეტილე-  
ბის მიღებამდე არსებული მდგომარეობა. სასამართლოს კანონიერ  
ძალაში შესული გადანყვეტილებით დავალებულ მ. ს-ას სახელზე  
რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაციასთან და-  
კავშირებით კი დაწყებული იყო სარეგისტრაციო წარმოება და მი-  
ღებული იყო გადანყვეტილება რეგისტრაციაზე უარის თქმის შე-  
სახებ. ამრიგად, სასამართლოს გადანყვეტილების აღსრულების  
მიზნით მოპასუხეს სასამართლოს გადანყვეტილებით დავალებულ  
ყველა საკითხზე ჰქონდა ნამსჯელი, რის საფუძველზეც გამოცე-  
მული იყო შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.  
ამდენად, სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელეთა არგუმენტი,  
რომ ადგილი ჰქონდა მოპასუხის უმოქმედობას, რადგან არ იყო აღ-  
სრულებული სასამართლო გადანყვეტილება, რამეთუ ცალსახად  
დგინდებოდა მოპასუხის მიერ სარეგისტრაციო წარმოების დაწყე-  
ბა და საკითხის გადანყვეტა. რაც შეეხება მოპასუხის მიერ გამო-  
ცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქ-  
ტების კანონიერებას, მათ სასამართლოს გადანყვეტილებასთან  
შესაბამისობას, სასამართლომ განმარტა, რომ ზიანის ანაზღაურე-  
ბის წინაპირობად კანონმდებლობით განსაზღვრული მართლსაწი-  
ნააღმდეგო ქმედების არსებობა მხოლოდ კანონით გათვალისწი-  
ნებული წესით უნდა დადგინდეს, რაც ნიშნავს, რომ ქმედების უკა-  
ნონობა უნდა დადასტურდეს მტკიცებულებათა ერთობლიობითა  
და კანონით დადგენილი წესით. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევა-  
ში, გამოცემული იყო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტები, აუცილებელი იყო, რომ მათი უკანონობა და-  
დასტურებულიყო სათანადო წესით, რამეთუ უკანონო აქტის გა-  
მოცემის შემთხვევაშიც კი, კანონით დადგენილ ვადაში მისი გასა-  
ჩივრების უფლების გამოუყენებლობა ინვეეს ინდივიდუალური ად-  
მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ძალმოსილ აქტებად მიჩ-  
ნებისა და მათთვის შესასრულებლად სავალდებულო ძალის მინი-

ჭების აუცილებლობას. შესაბამისად, სასამართლომ განმარტა, რომ აქტივით გათვალისწინებული მოწესრიგებაც კანონიერად ითვლება და წარმოშობს სავალდებულო შედეგებს.

სასამართლომ მიუთითა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის მიხედვით, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება გაასაჩივროს მისი ოფიციალურად გაცნობიდან, ხოლო გადაწყვეტილების გამოქვეყნების შემთხვევაში – გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

სასამართლომ განმარტა, რომ ვინაიდან საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე განხორციელებული იყო კონკრეტული ქმედებები, რაც გამოხატული იყო გადაწყვეტილების მიღებით, ხოლო მოცემული აქტების უკანონობა კანონით დადგენილი წესით დადასტურებული არ იყო, ამასთან, სასამართლო მოცემული დავის ფარგლებში უფლებამოსილი არ იყო, ემსჯელა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერებაზე, სახეზე არ იყო სასამართლოს გადაწყვეტილების აღუსრულებლობით გამონვეული ზიანის ანაზღაურების უპირობო და სავალდებულო ელემენტი – მოპასუხის ქმედების უკანონობა, რომლის კანონით გათვალისწინებული წესით დადგენის შემდგომაც მოსარჩელეებს შეიძლებოდა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წარმოშობოდათ.

რაც შეეხება მიუღებელი შემოსავლის მიღების თაობაზე მოსარჩელის მოთხოვნას, რომელიც მოიცავს პერიოდს 2012 წლის 24 აგვისტოს რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან, სასამართლომ განმარტა, რომ მართალია, აღნიშნული გადაწყვეტილება ცნობილი იყო ბათილად, ამდენად, ხსენებულ ნაწილში უდავოდ დასტურდებოდა მოპასუხის ქმედების უკანონობა, თუმცა ზიანის ანაზღაურებისათვის მართლსაწინააღმდეგო ქმედება უნდა იყოს ზიანის გამომწვევი, ე.ი. მას აუცილებლად უნდა მოჰყვეს პირის უფლებათა და კანონით დაცულ ინტერესთა ხელყოფა, რაც მოცემულ ეტაპზე უდავოდ დადგენილად ვერ მიიჩნევა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.

სასამართლომ განმარტა, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება არა მხოლოდ დამდგარი ზიანი, არამედ მიუღებელი შემოსავალიც.

მიუღებელი შემოსავალი წარმოადგენს სავარაუდო შემოსავალს, მაგრამ მისი დადგენისათვის გათვალისწინებულ უნდა იქნეს, თუ რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მიღება. ზიანის ანაზღაურების ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანი კი ისაა, რომ ზიანი უნდა იყოს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგი. მართალია, მიუღებელი შემოსავლის არსი მდგომარეობს მის მიუღებლობაში, მაგრამ სასამართლომ უნდა შეაფასოს, რომ არა ზიანის მიმყენებლის ქმედება, რამდენად მიიღებდა მხარე ამ სარგებელს და რამდენად რეალური იქნებოდა აღნიშნული. ამრიგად, მიუღებელი შემოსავლის მტკიცება არ უნდა ეფუძნებოდეს აბსტრაქტულ, მხოლოდ მოსაზრებაზე დამყარებულ გარემოებებს, არამედ უნდა დასტურდებოდეს კონკრეტული ფაქტებითა და მტკიცებულებებით.

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით (საქმე №3/3946-12), მართალია, ბათილად იქნა ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 24 აგვისტოს №... გადაწყვეტილება, მაგრამ მნიშვნელოვანი იყო გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი. კერძოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილება განხორციელდა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევის გარეშე. ამდენად, საქალაქო სასამართლოს განმარტებით, ზემოხსენებულ დავაში სასამართლომ დაადგინა არა ის გარემოება, რომ სადავო ფართზე საკუთრების უფლება ვერ წარმოეშობოდა მ. ს-ას ან რომ აღნიშნული ფართი აუცილებლად ნ. და ვ. ნის საკუთრების ობიექტს წარმოადგენდა, არამედ სასამართლომ ჩათვალა, რომ სადავო გარემოებები დამატებით უნდა შესწავლილიყო და რეგისტრაცია სწორედ მას შემდეგ განხორციელებულიყო, რაც, იმთავითვე, არ გამოორიცხავდა ბათილად ცნობილი თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 24 აგვისტოს №... გადაწყვეტილების მსგავსად საკითხის გადაწყვეტასაც. იმ პირობებში, როდესაც საკითხი, თუ ფაქტობრივად ვის მფლობელობაში იყო სადავო ფართი 2012 წლის 24 აგვისტომდე, ვის გააჩნდა მასზე რეალურად საკუთრების უფლება, დადგენილი და დადასტურებული არ იყო, აღნიშნული არც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით და არც საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით ცალსახად არ დასტურდებოდა, შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ ნაწილშიც სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლო იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო. ზიანის ანაზღაურების წინაპირობა შეიძლებოდა წარმოშობილიყო მხოლოდ მა-

შინ, თუკი დადასტურდებოდა, რომ მ. ს-ა ფლობდა მოსარჩელეთა კუთვნილ ფართს შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების გარეშე და რომ მისი საკუთრების უფლების რეგისტრაცია თავიდან-თვე კანონსაწინააღმდეგო იყო, რაც დღეის მდგომარეობით დადასტურებული არ იყო.

თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 24 აგვისტოს №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის სასარჩელო მოთხოვნის წარდგენის შედეგად დაწყებული სასამართლო წარმოებისას გაწყვეტილი საპროცესო ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით, სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილებაზე (საქმე №ას-165-158-2013) და მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა ფაქტობრივ-სამართლებრივად დაუსაბუთებელი იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ნ. ნ-მა და ვ. ნ-მა, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელების დაკმაყოფილება მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 24 ივლისის განჩინებით ნ. ნ-ისა და ვ. ნ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, ამ გარემოებებთან დაკავშირებით გაკეთებული სამართლებრივი შეფასებები და მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად გადაწყვიტა მოცემული დავა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 24 ივლისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ნ. ნ-მა და ვ. ნ-მა, რომლებმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

კასატორები განმარტავენ, რომ 2014 წლის 24 თებერვლის №... გადაწყვეტილებით განხორციელებულ 71.82 კვ.მ ფართის 51.57 კვ.მ-მდე ცვლილების რეგისტრაცია სააგენტომ განახორციელა ფიქტიურად, ციფრების მანიპულირებით, 2013 წლის 28 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ.

კასატორები მიუთითებენ, რომ ზიანის ანაზღაურებისათვის უნდა არსებობდეს სახელმწიფოს სახელით მოქმედი პირის ქმედებით პირისათვის ზიანის მიყენების ფაქტი; პირისათვის მიყენებუ-

ლი ზიანი გამოწვეული უნდა იყოს სუბიექტის უკანონო ქმედებით და უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი უკანონო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. კასატორი მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომელიც ადგენს სახელმწიფო ორგანოს ან მისი თანამდებობის პირის სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხს, ხოლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სახელმწიფო ან საჯარო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას, ის ორგანო, რომელშიც მუშაობს აღნიშნული სუბიექტი, სოლიდარულად აგებს პასუხს სახელმწიფოსთან ერთად. ამავე კოდექსის 992-ე მუხლის მიხედვით კი, პირი, რომელიც სხვა პირის მართლსაწინააღმდეგოდ განზრახ ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.

კასატორთა განმარტებით, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილ პირთა მხრიდან განხორციელებულმა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებმა მოსარჩელე მხარეს შეუზღუდა კანონით დაცული საკუთრების უფლება და მიაყენა მას მატერიალური ზიანი, ვინაიდან სააგენტოს მიერ უკანონო რეგისტრაციის განხორციელების გამო მოსარჩელე ვერ განსაზღვრავს მის საკუთრებაში რეგისტრირებულ ფართს და ამ უფლებას უკანონოდ იყენებს მ. ს-ა, რომელსაც საკუთრებაში ფორმალურად დარეგისტრირებული აქვს 71.82 კვ.მ, რეალურად კი, სააგენტომ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებით 2012 წლის 24 აგვისტოს №... გადაწყვეტილებით მ. ს-ას დაურეგისტრირა 89.44 კვ.მ, ორი ერთმანეთისაგან ტიხრით გამოყოფილი ფართი, რომელშიც შედის მოსარჩელის საკუთრებაში 2008 წლის 19 ივნისიდან დარეგისტრირებული 42.42 კვ.მ.

კასატორები განმარტავენ, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებებით განხორციელებული 71.82 კვ.მ და 51.57 კვ.მ ფართების რეგისტრაციები დადასტურებულია, რომ არის გაყალბებულ მონაცემებზე დაფუძნებული, რის გამოც აღნიშნული ფართები არა სადავო ობიექტზე, არამედ საერთოდ არ არსებობს.

კასატორები მიუთითებენ, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ კანონსაწინააღმდეგო მოქმედების ან უმოქმედობის საფუძველზე მიღებული უკანონო გადაწყვეტილებები მატერიალურ ზიანს აყენებენ კასატორებს და უზღუდავენ მათ კანონით დაცული საკუთრების უფლებით სარგებლობის შესაძლებ-

ლობას. კასატორთა განმარტებით, გასაჩივრებული განჩინება სამართლებრივ წინააღმდეგობაშია 2013 წლის 28 თებერვლის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებასთან, რაც წარმოადგენს მისი გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს.

კასატორთა მოსაზრებით, მართლსაწინააღმდეგოდ განხორციელებული ფართის რეგისტრაციით სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა მ. ს-ას საკუთრებაში კანონსაწინააღმდეგოდ დაარეგისტრირა 17.16 კვ.მ და 72.28 კვ.მ ფართები. ამ უკანასკნელში კი მან დაარეგისტრირა მოსარჩელის კუთვნილი 37.87 კვ.მ ფართი, რითიც სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო კანონსაწინააღმდეგოდ მოქმედებით მოსარჩელეებს აყენებს მატერიალურ ზიანს. კასატორები მიიჩნევენ, რომ 2012 წლის 24 აგვისტოდან 2013 წლის 28 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ფორმალურ აღსრულებამდე და მას შემდეგაც მ. ს-ას საკუთრებაში სააგენტოს კანონსაწინააღმდეგოდ მოქმედებით დღემდე დარეგისტრირებულია 89.44 კვ.მ ფართი, რითიც მოსარჩელეებს დღემდე ადგებათ მატერიალური ზიანი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 20 დეკემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ნ. და ვ. ნ-ების საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 14 მარტის განჩინებით ნ. და ვ. ნ-ების საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. და ვ. ნ-ების საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 24 ივლისის განჩინება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: სასამართლომ დადგინილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ 2012 წლის 21 ივნისს ქ. თბილისში, ...ას გამზ. №7ა, მე-2 სართულზე მდებარე უძრავ ნივთზე – 42.42 კვ.მ ფართზე (საკადასტრო კოდით №...), დარეგისტრირდა ვ. ნ-ის საკუთრების უფლება. 2012 წლის 25 დეკემბერს ზემოაღნიშ-



ნულ ქონებაზე რეგისტრირებულ იქნა ნ. ნ-ის საკუთრების უფლება. უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად მითითებულია – ჩუქების ხელშეკრულება, დამონმების თარიღი 2012 წლის 20 დეკემბერი.

2012 წლის 15 თებერვალს ქ. თბილისში, ...ას გამზ. №7ა, მე-2 სართულზე მდებარე უძრავ ნივთზე, ფართი 51.57 კვ.მ (საკადასტრო კოდით №...) დარეგისტრირდა მ. ს-ას საკუთრების უფლება. უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად მითითებულია – ნასყიდობის ხელშეკრულება, დამონმების თარიღი 2012 წლის 9 თებერვალი.

დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ 2012 წლის 20 აგვისტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს წარედგინა მ. ს-ას №... განცხადება, რომლითაც მოთხოვნილ იქნა უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია, მდებარე: ქ. თბილისი, ...ას გამზირი №7ა, მე-2 სართული. განცხადებაზე თანდართული იყო: წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბუთი; შიდა აზომვითი ნახაზი, საერთო ფართით 71.82 კვ.მ, მომზადებული შპს „...ის“ მიერ. თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 24 აგვისტოს №... გადაწყვეტილებით, აღნიშნული ნახაზის საფუძველზე, 71.82 კვ.მ ფართზე დარეგისტრირდა მ. ს-ას საკუთრების უფლება.

სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ შპს „...ის“ 2012 წლის 4 სექტემბრის წერილით საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ეცნობა, რომ 2012 წლის 16 აგვისტოს კომპანიას მიმართა დ. ს-ამ, რომელმაც მისი შვილის – მ. ს-ას კუთვნილი ფართის (მდებარე ...ას გამზ. №7ა, რეესტრში დარეგისტრირებულია 51.57 კვ.მ) დაზუსტებული აზომვითი ნახაზის მომზადება მოითხოვა. ჩატარებული აზომვითი სამუშაოების საფუძველზე, მომზადდა აზომვითი ნახაზი. დ. ს-ამ კომპანიის სპეციალისტები შეიყვანა შეცდომაში და დამატებით ააზომინა ამავე სართულზე მის მომიჯნავედ არსებული სადავო ფართი, რის შემდეგაც კუთვნილი ფართი გაიზარდა და შეადგინა 71.82 კვ.მ, რაც დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში. მიმართვით მოთხოვნილია წარდგენილი შიდა აზომვითი ნახაზის გაუქმება და ძველი საჯარო რეესტრის ამონაწერის აღდგენა, სადაც მ. ს-ას საკუთრებად რეგისტრირებულია 51.57 კვ.მ.

საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, შპს „...ისა“ და ვ. ნ-ის განცხადებების საფუძველზე, 2012 წლის 3 ოქტომბრის წერილით მიმართა საქართველოს პროკურატურას იმ საფუძველით, რომ საქმეში შესაძლებელი იყო გამოკვეთილიყო სისხლის სამართლის

დანაშაულის ნიშნები. ამასთან, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, შპს „...ის“ 2012 წლის 4 სექტემბრის №... და ვ. ნ-ის 2012 წლის 6 სექტემბრის №... ადმინისტრაციულ საჩივრებზე, პროკურატურის მიერ სათანადო დასკვნის მიღებამდე, საქმის განხილვა გადაიდო.

სასამართლოს მიერ საქმის მასალებით დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ აღნიშნული მიმართვით გადაგზავნილი მასალები გაუერთიანდა ვ. ნ-ის 2012 წლის 11 ნოემბრის განცხადების საფუძველზე ვაკე-საბურთალოს შს სამმართველოს მე-2 განყოფილებაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლის პირველი ნაწილით დაწყებულ გამოძიებას სისხლის სამართლის №00711112003 საქმეზე.

საქმის მასალებით დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ ვ. ნ-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ, მესამე პირი – მ. ს-ა. სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა – ქ. თბილისში, ...ას გამზირი №7ა-ში მ. ს-ას სახელზე საკუთრების უფლებით №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ფართზე ცვლილების რეგისტრაციის შესახებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 24 აგვისტოს №... გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან ბათილად ცნობა და რეგისტრირებულ მონაცემებში 2012 წლის 24 აგვისტომდე არსებული მონაცემების აღდგენა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 28 სექტემბრის განჩინებით (საქმე №3/3946-12) დაკმაყოფილდა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ ვ. ნ-ის 2012 წლის 27 სექტემბრის განცხადება და სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს აეკრძალა რეგისტრაციისა და ნებისმიერი ცვლილების განხორციელება მ. ს-ას სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე, მდებარე თბილისი, ...ას გამზ. №7ა (საკადასტრო კოდი – №...).

სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით (საქმე №3/3946-12) ვ. ნ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურ-

რის 2012 წლის 24 აგვისტოს №... გადაწყვეტილება და მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესწავლისა და გამოკვლევის შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, მ. ს-ას სახელზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაციასთან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „თ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის მე-14 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე სადავო რეგისტრაციის განხორციელებისას არ გამოუკვლევიან საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები. კერძოდ, სადავო რეგისტრაციის განხორციელებით გაიზრდებოდა თუ არა უძრავი ნივთის მდებარე ქ. თბილისი, ...ას გამზირი №7ა, მე-2 სართულის მთლიანი ფართი მაშინ, როდესაც საჯარო რეესტრში დაცული ინფორმაციის თანახმად, მე-2 სართულის საერთო ფართი შეადგენს – 278,30 კვ.მ. ამას გარდა, სასამართლოს მიერ 2013 წლის 13 თებერვალს განხორციელებული ადგილზე დათვალიერებით დადასტურდა, რომ მ. ს-ას მიერ რეალურად დაკავებული ფართი დათვალიერების მომენტისათვის არ წარმოადგენდა ერთ სისტემაში გაერთიანებულ, ურთიერთდაკავშირებულ და იზოლირებულ ფართს. სასამართლომ იმ გარემოებებზეც მიუთითა, რომ შპს „...ის“ დირექტორმა საჯარო რეესტრს განცხადებით აცნობა, რომ დაზუსტებული ნახაზის მომზადებისას სპეციალისტები შეყვანილ იქნენ შეცდომაში, რის გამოც მათ მიერ დამატებით განხორციელდა ამავე სართულზე არსებული მომიჯნავე ფართის აზომვა, რის შედეგადაც მ. ს-ას ფართი გაიზარდა 71.82 კვ.მ ფართით. ამასთან, სასამართლო სხდომაზე, მე-სამე პირის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ აზომვითი ნახაზის მომზადების პერიოდისათვის ფართი გამიჯნული იყო კედლით, რაც სარეგისტრაციოდ წარდგენილ ნახაზზე არ არის ასახული. ამდენად, აღნიშნული საკითხი საჭიროებდა დამატებით გამოკვლევას.

საქმის მასალებით დადგენილ გარემოებებზე იქნა მიჩნეული, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 10 ოქტომბრის №... გადაწყვეტილებით მ. ს-ას უარი ეთქვა 2012 წლის 5 ოქტომბრის განცხადებით მოთხოვნილ უძრავ ნივთზე, მდებარე ქ. თბილისი, ...ას გამზირი №7ა, რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაციასზე. (საფუძ-

ველი – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 28 სექტემბრის №3/3946-12 განჩინებით რეგისტრირებული აკრძალვა).

2013 წლის 18 მარტს ვ. ნ-მა განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, რომლითაც ქ. თბილისში, ...ას გამზირი №7ა-ში მდებარე უძრავ ნივთზე (საკადასტრო კოდი – №...) რეგისტრირებული მონაცემების კანონიერების შემოწმება და ჩანაწერის გაუქმება მოითხოვა.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ მიუთითა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლზე, 29-ე მუხლის მე-3 პუნქტზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 185-ე მუხლზე, მე-80 მუხლის მე-4 ნაწილზე და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 17 აპრილის №... გადაწყვეტილებით ვ. ნ-ს უარი ეთქვა 2013 წლის 18 მარტის №... ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სა-რეგისტრაციო სამსახურის 2014 წლის 24 თებერვლის №... გადაწყვეტილებით სასამართლოს აქტის საფუძველზე, ქ. თბილისში, ...ას გამზირი №7ა-ში მდებარე უძრავ ქონებასთან დაკავშირებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ.

სასამართლომ დადგინდოვს გარემოებად მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 28 თებერვლის №3/3946-12 გადაწყვეტილების საფუძველზე, 2014 წლის 24 თებერვალს, მ. ს-ას საკუთრების უფლება რეგისტრირებულია ქ. თბილისში, ...ას გამზირი №7ა, მე-2 სართულზე მდებარე ფართის (საკადასტრო კოდი – №...) 51.57 კვ.მ-ზე.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2014 წლის 24 თებერვლის №... გადაწყვეტილებით მ. ს-ას უარი ეთქვა 2014 წლის 24 თებერვლის განცხადებით მოთხოვნილ უძრავ ნივთზე, მდებარე თბილისი, ...ას გამზირი №7ა, რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაციაზე (საფუძველი – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 28 სექტემბრის №3/3946-12 განჩინებით რეგისტრირებული აკრძალვა).

საქალაქო სასამართლომ დადგინდოვს მიიჩნია, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 29 აგვისტოს №... წერილით ვ. ნ-ს, 2014 წლის 6 აგვისტოს №... განცხადების პასუხად, ეცნობა, რომ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით (საქმე №3/3946-12)

სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 24 აგვისტოს №... გადანყვეტილება და მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად, კანონით დადგენილ ვადაში, მ. ს-ას სახელზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაციასთან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

სასამართლომ დადგინილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ საჯარო რეესტრის წერილის შესაბამისად, წარდგენილი სასამართლო გადანყვეტილების აღსრულების მიზნით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის მიერ უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის ელექტრონულ პროგრამაში 2014 წლის 24 თებერვალს დარეგისტრირდა №... და №... სარეგისტრაციო განცხადებები, რომლებზეც მიღებულ იქნა რეგისტრაციის შესახებ №... (24.02.2014) და რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №... (24.02.2014) გადანყვეტილებები. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის მიერ მიღებული რეგისტრაციის შესახებ №... (24.02.2014) გადანყვეტილებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 24 აგვისტოს №... გადანყვეტილება გაუქმდა და აღდგა ბათილად ცნობილ რეგისტრაციამდე არსებული მდგომარეობა – უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში მ. ს-ას საკუთრების უფლების საგნად მიეთითა ქ. თბილისში, ...ას გამზირის №7ა-ში მდებარე 51.57 კვ.მ უძრავი ნივთი (საკადასტრო კოდი – №...).

საქალაქო სასამართლოს მითითებით, წერილში აღნიშნული იყო, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 28 თებერვლის გადანყვეტილების შესაბამისად, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტმა იმსჯელა მ. ს-ას სახელზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაციის მოთხოვნაზე. იმის გათვალისწინებით, რომ სარეგისტრაციოდ წარდგენილი უფლების ობიექტზე – ქ. თბილისში, ...ას გამზირის №7ა-ში მდებარე უძრავ ნივთზე (საკადასტრო კოდი – №...) რეგისტრირებული იყო ყადაღა, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონი კი გამორიცხავდა აღნიშნულ უძრავ ნივთზე წარდგენილი უფლების რეგისტრაციას, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის მიერ მიღებულ იქნა რეგისტრაცია-

ზე უარის თქმის შესახებ №... (24.02.2014) გადაწყვეტილება. შესაბამისად, ამ გადაწყვეტილების მიღების პროცესში სარეგისტრაციო სამსახურის მიერ არსებითად არ იქნა გამოკვლეული და შეფასებული მ. ს-ას მიერ რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაციის მიზნით წარდგენილი დოკუმენტაცია/ინფორმაცია (მათ შორის, შიდა აზომებითი ნახაზები). აღნიშნულიდან გამომდინარე, რეგისტრაციის შესახებ №... (24.02.2014) გადაწყვეტილების მიღების პროცესში სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის უფლებამოსილი პირის მიერ დადგინდა ქ. თბილისში, ...ას გამზირის №7ა-ში მდებარე 71.82 კვ.მ-ზე მ. ს-ას საკუთრების უფლების რეგისტრაციისას ე.წ. „გადაფარვის“, ანუ მ. ს-ას მიერ სხვისი საკუთრების უფლების ობიექტის/მისი ნაწილის მითვისების ფაქტი. მ. ს-ას მიერ სხვისი საკუთრების უფლების ობიექტის/მისი ნაწილის მითვისების ფაქტის დადგენას საფუძვლად დაედო სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენილი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება (საქმე №3/3946-12), კერძოდ, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის 7.2 პუნქტით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები. ვინაიდან დაინტერესებულ პირს – მ. ს-ას უარი ეთქვა ქ. თბილისში, ...ას გამზირის №7ა-ში მდებარე 51.57 კვ.მ უძრავ ნივთზე (საკადასტრო კოდი – №...) რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაციის მოთხოვნაზე, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის უფლებამოსილი პირის მიერ არსებითად არ იქნა გამოკვლეული და შეფასებული №... განცხადებას თანდართული დოკუმენტაცია/ინფორმაცია (მათ შორის, შიდა აზომებითი ნახაზები). შესაბამისად, სარეგისტრაციო წარმოების პროცესში უტყუარად არ დადგენილა, შიდა აზომებით ნახაზზე ასახული ფართობის რომელი ნაწილი და ვისი საკუთრების უფლების საგანი იქნა გადაფარული, მითვისებული მ. ს-ას მიერ.

ამასთან, საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ წერილის თანახმად, ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები სრულად იქნებოდა გამოკვლეული, შეფასებული და ურთიერთშეჯერებული სარეგისტრაციო მოთხოვნის დაკმაყოფილების, კერძოდ, ქ. თბილისში, ...ას გამზირის №7ა-ში მდებარე უძრავ ნივთზე (საკადასტრო კოდი – №...) რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაციის შემთხვევაში.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 2 სექტემბრის №... გადაწყვეტილებით გადაწყდა თბილისში, ...ას გამზ. №7ა, მე-2 სართულზე არსებული უძრავი ქონების სისტემური ნუმერაციის განხორციელება. მათ შორის, მ. ს-ას საკუთრებაში არსებულ

უნომრო ფართს (საკადასტრო კოდი – №...) მიენიჭა №5 და მისამართი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: თბილისი, ...ის გამზირი №7ა, ფართი №5. ასევე, ნ. ნ-ის საკუთრებაში არსებულ უნომრო ფართს (საკადასტრო კოდი – №...) მიენიჭა №3 და მისამართი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: თბილისი, ...ის გამზირი №7ა, ფართი №3.

2015 წლის 19 ივნისს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს განცხადებით მიმართა ვ. ნ-მა და თბილისში, ...ის გამზირი №7ა-ში მდებარე უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია მოითხოვა.

სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2015 წლის 22 ივნისის №... გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა და განმცხადებელს განესაზღვრა 30 დღის ვადა შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დოკუმენტის წარსადგენად. კერძოდ, გადაწყვეტილების მიხედვით, წარდგენილი არ იყო სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია/ინფორმაცია. ასევე, დაინტერესებულ პირს უნდა წარადგინა ვ. ნ-ის წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი შესაბამისი უფლებამოსილებით. ამასთან, განმარტებულ იქნა, რომ მოთხოვნილი ცვლილების რეგისტრაცია ვერ განხორციელდებოდა, სანამ სარეგისტრაციო დოკუმენტაციაზე თანდართული შპს „დ...ის“ მიერ შესრულებული აზომვითი ნახაზის შესაბამისად (დანართი №2) არ განხორციელდებოდა ცვლილება №... საკადასტრო კოდით მ. ს-ას საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ ფართში.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2015 წლის 23 ივლისის №... გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში დაინტერესებული პირის მიერ შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარუდგენლობის გამო სარეგისტრაციო წარმოება შეწყდა.

სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2015 წლის 23 ივლისის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით ნ. ნ-მა (წარმომადგენელი – ვ. ნ-ი) საჩივრით მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 12 ოქტომბრის №... გადაწყვეტილებით ადმინისტრაციული საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2015 წლის 22 ივნისის №... და 2015 წლის 23 ივლისის №... გადაწყვეტილებები;

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტს დაევალა №... განცხადების საფუძველზე დაწყებული სარეგისტრაციო წარმოების განახლება და მ. ს-ას თანხმობის მოთხოვნით სარეგისტრაციოდ წარდგენილ ობიექტზე ცვლილების რეგისტრაციის თაობაზე სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

სასამართლომ მიუთითა, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მიხედვით, მ. ს-ას მიერ ცვლილების რეგისტრაციის გაუქმების დროს სასამართლოს მიერ დავალებული იყო საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევა, რაც ვერ განხორციელდა, ვინაიდან უძრავ ნივთზე რეგისტრირებული იყო საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვა, რის გამოც მ. ს-ას არ მიეცა საშუალება, წარედგინა კორექტირებული საკადასტრო აზომვითი ნახაზი არსებული მდგომარეობით ცვლილების რეგისტრაციისათვის. ამასთან, დაინტერესებული პირის მიერ სარეგისტრაციოდ წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნით დგინდებოდა საჯარო რეესტრში რეგისტრირებულისაგან განსხვავებული მდგომარეობა, კერძოდ, ის რომ მ. ს-ასა და ნ. ნ-ის უძრავი ნივთები მდებარეობდა ერთ სივრცეში გაერთიანებულ ფართში და მყარი საზღვარი მათ უძრავ ნივთებს შორის არ არსებობდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის მიერ მოთხოვნილი უნდა ყოფილიყო მ. ს-ას თანხმობა №... სარეგისტრაციო განცხადებით მოთხოვნილ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციისთვის შესახებ. შესაბამისად, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ №... (22.06.2015 წ.) გადაწყვეტილება მითითებულ ნაწილში ბათილად იქნა ცნობილი.

საქმის მასალებით დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2015 წლის 26 ოქტომბრის №... გადაწყვეტილებით შეჩერდა ვ. ნ-ის 2015 წლის 19 ივნისის №... განცხადების საფუძველზე დაწყებული სარეგისტრაციო წარმოება. კერძოდ, მარეგისტრირებელმა ორგანომ მიიჩნია, რომ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად აუცილებელი იყო მ. ს-ას თანხმობის წარდგენა აზომვითი ნახაზების შესაბამისად ცვლილების განხორციელებასთან დაკავშირებით.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2015 წლის 30 ნოემბრის №... გადაწყვეტილებით შეჩერდა ვ. ნ-ის 2015 წლის 19 ივნისის №... განცხადების საფუძველზე დაწყებული სარეგისტრაციო წარმოება. კერძოდ, მარეგისტრირებელმა ორგანომ მიიჩნია, რომ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად აუცილებელი იყო მ. ს-ას თანხმობის წარდგენა აზომ-



ვითი ნახაზების შესაბამისად ცვლილების განხორციელებასთან დაკავშირებით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ გადანყვეტილებაში დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე მითითებულია: დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია ქალაქი თბილისში, ...ის გამზირი №7ა-ში მდებარე უძრავ ნივთზე (საკადასტრო კოდი – №...). სარეგისტრაციო წარმოების პროცესში დადგინდა, რომ სარეგისტრაციო ფართი წარმოადგენს №... საკადასტრო კოდით მ. ს-ას საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ ფართთან ერთ სისტემაში მყოფ ფართს და ამასთანავე, იცვლება დაინტერესებული პირის საკუთრების უფლებით რეგისტრირებული ფართის კონფიგურაცია.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 27 ივნისის №...გადანყვეტილებით დადასტურდა რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის №... (24.02.2014) გადანყვეტილების კანონიერება. გადანყვეტილებაში მითითებულია, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ იმსჯელა სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ №... (30.11.2015 წ.) გადანყვეტილების კანონიერებაზე და 2015 წლის 30 ნოემბრის №... გადანყვეტილებით მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადანყვეტილება იყო კანონიერი, შესაბამისად, ნ. ნ-ის წარმომადგენლის – ვ. ნ-ის №... სარეგისტრაციო განცხადების მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის აუცილებელი იყო მ. ს-ას თანხმობა. თავის მხრივ, სააგენტოში დაცული სასამართლოს გადანყვეტილებით დავალებული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისთვის აუცილებელი იყო იმ პირთა ინტერესების გათვალისწინება, რომელთა უფლებებზეც, შეიძლებოდა, გავლენა მოეხდინა მ. ს-ას რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაციას.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადანყვეტილების მიხედვით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტში წარდგენილი იყო სასამართლოს გადანყვეტილება, რომლითაც სარეგისტრაციო სამსახურს დავალებული ჰქონდა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის შედეგად ახალი გადანყვეტილების მიღება. აღნიშნულთან დაკავშირებით, სააგენტომ ყურადღება გაამახვილა რეგისტრირებული საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის საფუძველზე, კერძოდ, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სამართლებრივ ბუნებაზე და მიუთითა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი, თავისი არსით, წარმოადგენს სასამართლო გადანყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის სამართლებრივ საშუ-

ალებას, რომლის გამოყენებაც დაიშვება მოსარჩელის განცხადების საფუძველზე მოპასუხის მიმართ, იმ მიზნით, რომ არ გაძნელდეს ან შეუძლებელი არ გახდეს საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების წარმდგენი მოსარჩელის მიზანს, საბოლოო ჯამში, მოპასუხის სანინალმდგეო გადაწყვეტილების მიღება და მისი დაუბრკოლებელი აღსრულების უზრუნველყოფა წარმოადგენს. მოცემულ შემთხვევაში, სარეგისტრაციო დოკუმენტს წარმოადგენდა სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლისთვისაც რეგისტრირებული საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვა დაბრკოლებას არ წარმოადგენდა შეზღუდვის შინაარსის გათვალისწინებით. განსახილველ შემთხვევაში, დგინდებოდა, რომ სარეგისტრაციო ობიექტზე რეგისტრირებული იყო საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვა, ხოლო სასამართლოს მიერ დავალებული იყო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევა (არა რეგისტრაცია), რაც შეუძლებელი იყო დაინტერესებული პირების, მათ შორის, ნ. ნ-ის ინტერესების გათვალისწინებით, რომელიც თანხმობას არ აცხადებდა წარდგენილი აზომებითი ნახაზით რეგისტრაციას, ხოლო წინამდებარე წარმოების ფარგლებში მ. ს-ას წარმომადგენლის – დ. ს-ას განმარტებით, არ აპირებდა კორექტირებული აზომებითი ნახაზის წარდგენას. ამასთან, მესაკუთრეთა შორის სადავო იყო მათ საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჯარო რეესტრის მიერ სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, პრევენციული დაცვა აზრს დაკარგავდა. შესაბამისად, კანონიერი იყო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის №... (24.02.2014) გადაწყვეტილება.

სასამართლოს მიერ დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2016 წლის 7 დეკემბრის №... გადაწყვეტილებით შეჩერდა ნ. ნ-ის 2016 წლის პირველი დეკემბრის №... განცხადების საფუძველზე დაწყებული სარეგისტრაციო წარმოება. გადაწყვეტილების მიხედვით, განცხადებაზე თანდართული იყო: 1. წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, 2. განცხადება, 3. კრების ოქმი №14, ნოტარიულად დამოწმებული 4. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 5. სართულის გეგმა (3 ცალი), 6. გადანყვეტილება №..., 7. ექსპერტიზის დასკვნა 8. სასამართლოს გადანყვეტილების ასლი (2 ცალი).

გადაწყვეტილებით დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 1. დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია, მდებარე ქალა-

ქი თბილისი, ...ის გამზირი №7ა, სართული 2, ფართი №3; 2. საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული და დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე მარეგისტრირებელმა ორგანომ მიიჩნია, რომ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის აუცილებელი იყო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემად კანონმდებლობით გათვალისწინებულზე მეტი ვადა, რაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა და სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების საფუძველს წარმოადგენდა.

სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2016 წლის 15 დეკემბრის №... გადაწყვეტილების მიხედვით, განმცხადებელი – ნ. ნ-ი, 2016 წლის პირველი დეკემბრის №... განცხადება, განცხადებაზე დამატებით წარდგენილია: განცხადება, გადაწყვეტილება №..., გადაწყვეტილება №..., გადაწყვეტილება №..., ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საქმე №3/3946-12 სასამართლო განჩინების ასლი, გადაწყვეტილება №..., საქმე №3/3946-12 სასამართლო განჩინების ასლი (28.09.2012 წ.), მეორე სართულის გეგმის ნახაზები (3 ფურცელი). მითითებულია, რომ შეჩერების საფუძველი არ აღმოიფხვრა. დამატებითი დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარდგენა დასაშვები იყო 9 იანვარი, 2017 წლამდე.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2017 წლის 6 იანვრის №... გადაწყვეტილებით ნ. ნ-ის 2016 წლის პირველი დეკემბრის №... განცხადების საფუძველზე დაწყებული სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა. გადაწყვეტილების მიხედვით, წარდგენილი სარეგისტრაციო განაცხადით მოთხოვნილია რეგისტრირებულ უფლებამოსი ცვლილების რეგისტრაცია უძრავ ნივთზე მდებარე ქ. თბილისი, ...ის გამზირი №7ა, სართული 2, ფართი №3 და ცვლილების დამადასტურებელ დოკუმენტად წარდგენილია შპს „დ...ის“ მიერ შესრულებული, აღნიშნულ მისამართზე, მეორე სართულზე მდებარე ფართის შიდა აზომვითი ნახაზი და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „...ის“ №14 კრების ოქმი, განცხადებას, აგრეთვე, თან ერთვის სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა. უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის მონაცემებით დგინდება, რომ ქ. თბილისში, ...ის გამზ. №7ა-ში მდებარე უძრავი ნივთი (საკადასტრო კოდი – №..., მე-2 სართული) რეგისტრირებულია ნ. ნ-ის საკუთრებად და სარეგისტრაციო დოკუმენტებში დაცულია ში-

და აზომვითი ნახაზი; უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის მონაცემებით, მე-2 სართულზე, აგრეთვე, რეგისტრირებულია მ. ს-ას საკუთრების უფლება 51.57 კვ.მ უძრავ ნივთზე (საკადასტრო კოდი – №...), აღნიშნული 51.57 კვ.მ წარმოიშვა 45 კვ.მ-ის დაზუსტებით, რომელიც, თავის მხრივ, წარმოიშვა თავდაპირველი საკადასტრო კოდის (მე-2 სართულის ფართობის) დაყოფით. უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში აღნიშნულ მისამართზე მე-2 სართულზე ასევე რეგისტრირებულია ფართი №ნა, 17.25 კვ.მ თ. ც-ის საკუთრების უფლებით, აღნიშნული ფართი წარმოადგენს დაუზუსტებელ უძრავ ნივთს და მისი ზუსტი მდებარეობა და კონფიგურაცია საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემებით არ დგინდება.

სასამართლომ აღნიშნა, რომ გადაწყვეტილებაში მითითებული იყო „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტზე, 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტზე და განმარტებული იყო, რომ განცხადებით მოთხოვნილ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად დამატებით წარსადგენი იყო წარდგენილი აზომვითი ნახაზების შესაბამისად ცვლილების განხორციელებასთან დაკავშირებით მ. ს-ასა და თ. ც-ის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად დამონმებული თანხმობა. შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარსადგენად განსაზღვრულ იქნა 30 კალენდარული დღე.

სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შიდა კონტროლის სამსახურის მიერ განხორციელდა დისციპლინური წარმოება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან 2015 წლის 20 ოქტომბრის კორესპონდენციით გაგზავნილი ნ. ნ-ის წარმომადგენლის ვ. ნ-ის №..., №... და №... განცხადებებისა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში შეტანილი 2015 წლის 26 ნოემბრის №... განცხადებების საფუძველზე, რაზედაც მომზადდა 2015 წლის 9 დეკემბრის №... დასკვნა. დასკვნის შესაბამისად, შიდა კონტროლის სამსახურმა მიზანშეწონილად არ მიიჩნია, რომ №... სარეგისტრაციო წარმოების განმახორციელებელი პირის, ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგისტრაციის სამსახურის შემდგომი რეგისტრაციის განყოფილების უფროსის – ა. ქ-ისა და №... სარეგისტრაციო წარმოების განმახორციელებელი პირის, ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგისტრაციის სამსახურის შემდგომი რეგისტრაციის განყოფილების რეგისტრატორის – თ. ჩ-ის მიმართ გამოყენებული ყოფილიყო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2009 წლის 20 იანვრის №35 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის ეროვნული

ნული სააგენტოს შრომის შინაგანანგის“ 32-ე მუხლით გათვალის-  
წინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა. რაც შეეხება  
№... სარეგისტრაციო წარმოების განმახორციელებელ პირს, საჯა-  
რო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო  
სამსახურის უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის განყო-  
ფილების უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემისა და სარ-  
გებლობის უფლების რეგისტრაციის სექტორის მთავარ სპეცია-  
ლისტს – თ. ა-ს, სამსახურებრივი მოკვლევის შედეგად დადგინდა  
მის მიერ დისციპლინური დარღვევის ფაქტი, მაგრამ ვინაიდან იგი  
აღარ წარმოადგენდა სააგენტოში დასაქმებულ პირს, მის მიმართ  
ვერ იქნებოდა გამოყენებული დისციპლინური პასუხისმგებლობის  
ზომა, რადგანაც შრომის შინაგანანგის 32-ე მუხლის პირველი პუნ-  
ქტის თანახმად, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა შეიძ-  
ლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ სააგენტოში დასაქმებული პი-  
რების მიმართ. №..., №... და №... სარეგისტრაციო წარმოებების გან-  
მახორციელებელ პირებთან მიმართებით აღნიშნული იყო, რომ სა-  
რეგისტრაციო წარმოებების დასრულების დღიდან გასული იყო 3  
ნელზე მეტი, შრომის შინაგანანგის 38<sup>7</sup> მუხლის პირველი პუნქტის  
თანახმად, დისციპლინური გადაცდომის დადასტურების შემთხვე-  
ვაშიც, მათ მიმართ ვერ იქნებოდა გამოყენებული დისციპლინური  
პასუხისმგებლობის ზომა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ დამოუკიდებელი სა-  
სამართლო ექსპერტის დ. მ-ის 2013 წლის 21 მაისის დასკვნის მი-  
ხედვით, თბილისში, ...ას №7ა-ში საჯარო რეესტრის თბილისის სა-  
რეგისტრაციო სამსახურის ბაზაში დარეგისტრირებული მონაცე-  
მების მიხედვით, ვ. ნ-ის მიერ დღეისთვის ჩუქების ხელშეკრულე-  
ბით გადაცემული 42.42 კვ.მ ნ-ის სახელზე განთავსებულია აღნიშ-  
ნული მისამართის მე-2 სართულზე, ანტრესოლში და კიბის უჯრედ-  
ში, ხოლო 27.83 კვ.მ მ. ს-ას მიერ დაკავებულ 71.82 კვ.მ ფართში.  
თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში ნ. ნ-ის სახელზე რეგისტრი-  
რებული 42.42 კვ.მ ფართის გამიჯვნა სრული იზოლირებით ისე, რომ  
არ მომხდარიყო საერთო კომერციული ფართის სანყისი საბაზრო  
ღირებულების შემცირება, შესაძლებელი იყო ორი ვარიანტით, რაც  
მოცემული იყო დანართებში.

2014 წლის 18 თებერვალს თბილისის სააღსრულებო ბიუროს მი-  
ერ მიღებულ იქნა ვ. ნ-ის განცხადება, რომელმაც თბილისში, ...ას  
№7ა, მე-2 სართულზე მდებარე უძრავი ქონების (27.83 კვ.მ) მფლო-  
ბელის დაფიქსირება და ამავე მფლობელის მიერ აღნიშნული ფარ-  
თის სარგებლობის პერიოდის ფაქტების დადგენა მოითხოვა.

სასამართლოს მიერ საქმის მასალებით დადგენილ გარემოებად  
იქნა მიჩნეული, რომ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს

№F14000060 ოქმის მიხედვით, ფაქტის დამდგენი 2014 წლის 21 თებერვალს გამოცხადდა ქ. თბილისში, ...ას გამზ. №7ა, მე-2 სართულზე განთავსებული ფართის მდგომარეობის დასაფიქსირებლად. მისამართზე მას დახვდა პიროვნება, რომელმაც ფართში ფოტო და ვიდეოგადაღების განხორციელებაზე უარი უთხრა, ამასთან, აღნიშნულ ფართში განთავსებულია სილამაზის სალონი წარწერით – „...“.

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2015 წლის 31 მარტის №001831315 დასკვნის შესაბამისად, შპს „გ...-ის“ მიერ ასახული ფართი განთავსებულია ფაქტობრივად არსებულ სართულზე, როგორც ეს დანართ №2-ზეა ნაჩვენები, რა შემთხვევაშიც იგი მოიცავს მ. ს-ას ფაქტობრივად დაკავებული ფართის 19.89 კვ.მ-ს.

ამასთან, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2015 წლის 7 სექტემბრის №005277515 დასკვნის შესაბამისად, თბილისში, ...ის გამზირი №7ა-ში არსებული №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 51.57 კვ.მ ფართის იდენტიფიკაცია (ადგილმდებარეობის განსაზღვრა) შეუძლებელია. შესაბამისად, მდებარეობს თუ არა ერთმანეთის მომიჯნავედ №... და №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონებები, ექსპერტიზისთვის უცნობია. №001831315 დასკვნაში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ნ. ნ-ის სახელზე №... სააკადასტრო კოდით რეგისტრირებული 42.42 კვ.მ ფართიდან 19.98 კვ.მ ფართი ფაქტობრივი მდგომარეობით დაკავებული აქვს მ. ს-ას (იხ. დანართი №4), ხოლო დარჩენილი 20.81 კვ.მ ფართი (ფართში არაა შესული კედლის ფართი) ფაქტობრივი მდგომარეობით საერთო სარგებლობაშია (მხოლოდ ნ. ნ-ს ფაქტობრივ მფლობელობაში არაა), ვინაიდან იგი წარმოადგენს კიბის უჯრედსა და შემოსასვლელს, რომლითაც ხდება მეორე სართულზე არსებულ ფართებთან დაკავშირება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნ. ნ-ის სახელზე რეგისტრირებული 42.42 კვ.მ ფართი ფაქტობრივ მდგომარეობასთან, როგორც ადგილმდებარეობით, ასევე, ფართით განსხვავდება. რაც შეეხება მ. ს-ას, მის ფაქტობრივ მფლობელობაშია მე-2 სართულზე არსებული ფართიდან, 83.27 კვ.მ ფართი (აღნიშნული ფართის განსაზღვრა მოხდა №001831315 დასკვნის მომზადების პერიოდში, კერძოდ, აღნიშნული ფართები მითითებული იქნა მ. ს-ას წარმომადგენლის მიერ), რაც მ. ს-ას სახელზე №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ფართზე 87.27-51.57=35.7 კვ.მ-ით მეტია, ხოლო მ. ს-ას ფაქტობრივად დაკავებული და რეგისტრირებული ფართების ადგილმდებარეობის შედარებაზე ექსპერტიზა ვერ იმსჯელებს, ვინაიდან №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 51.57

კვ.მ ფართის იდენტიფიკაცია შეუძლებელია და შესაბამისად, შეუძლებელია იმაზე მსჯელობა, გამიჯნულია თუ არა №... და №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ფართები ერთმანეთისაგან. შპს „გ...-ის“ მიერ შესრულებულ გეგმაზე (რომლის მიხედვითაც მოხდა №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 42.42 კვ.მ ფართის რეგისტრაცია) არსებული ინფორმაციიდან დგინდება, რომ 42.42 ფართიდან 14.59 ფართი წარმოადგენს კიბის უჯრედს.

2012 წლის 16 თებერვალს მ. ს-ასა (მეიჯარე) და შპს „ა...ეს“ (მოიჯარე) შორის დადებულია თბილისში, ...ის ქ. №7ა, მე-2 სართულზე მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი – №...) იჯარის ხელშეკრულება. იჯარის ვადა განსაზღვრულია 2014 წლის 31 დეკემბრამდე. საიჯარო გადასახადი შეადგენს ყოველთვიურად 1200 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში.

სასამართლოს მიერ დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ შპს „აუ...ის“ 2014 წლის 5 მაისის დასკვნით, 2012 წლის სექტემბრის თვიდან 2014 წლის აპრილის თვემდე თბილისში, ...ას გამზირი №7ა-ში მდებარე შენობაში გასაქირავებელი ფართის სავარაუდო საშუალო საიჯარო საბაზრო ფასი, საინფორმაციო წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, ერთ კვ.მ-ზე განისაზღვრა 23.80 აშშ დოლარის ოდენობით.

ამასთან, 2012 წლის 13 სექტემბერს პ. კ-ესა (ადვოკატი) და ვ. ნ-ს (კლიენტი) შორის დადებულია საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება, რომლის საგანს წარმოადგენს საადვოკატო მომსახურების განხორციელება ადმინისტრაციული წარმოების საქმის ფარგლებში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სა-რეგისტრაციო სამსახურისა და მ. ს-ას მიმართ, რომელიც დაკავშირებულია მ. ს-ას სახელზე საკუთრების უფლებით №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ფართზე ცვლილების რეგისტრაციის შესახებ თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 24 აგვისტოს №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობასთან. საადვოკატო მომსახურების საფასური განისაზღვრა 1200 აშშ დოლარის ოდენობით. 2014 წლის 4 მარტის აქტით მხარეთა მიერ დადასტურებულია ურთიერთვალდებულებათა შესრულება.

2012 წლის 27 სექტემბერს პ. კ-ის მიერ სახელმწიფო ხაზინაში გადახდილია 50 ლარი, დანიშნულება – ვ. ნ-ის საქმეზე სახელმწიფო ბაჟი.

სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ 2012 წლის 28 სექტემბერს შპს „გე...ა“ და ვ. ნ-ს შორის დადებულია ხელშეკრულება თბილისში, ...ას №7ა, მე-2 სართულის შიდა აზომვის ჩატარების თაობაზე. ხელშეკრულების ფასი განისაზღვრა 200 ლარით, რაც ვ. ნ-ის მიერ 2012 წლის 29 სექტემბერს იქნა გადახდი-

ლი.

2012 წლის 6 ნოემბერს ვ. ნ-ის მიერ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსათვის გადახდილია 75 ლარი, დანიშნულება – ექსპერტიზა 039810-2012/03/1.

საკასაციო პალატა უპირველესად მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტზე (ამჟამად მოქმედი რედაქციის მე-19 მუხლი), რომლის თანახმად, საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შექენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „აღნიშნული კონსტიტუციური დებულებით აღიარებულია საკუთრების ინსტიტუტის, როგორც დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ საფუძვლად არსებული ღირებულების კონსტიტუციური მნიშვნელობა, რომელიც ინდივიდის პიროვნული თავისუფლებისა და ინდივიდუალური თვითრეალიზების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს. „საკუთრების უფლება ადამიანის არა მარტო არსებობის ელემენტარული საფუძველია, არამედ უზრუნველყოფს მის თავისუფლებას, მისი უნარისა და შესაძლებლობების ადეკვატურ რეალიზაციას, ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვას. ყოველივე ეს კანონზომიერად განაპირობებს ინდივიდის კერძო ინიციატივებს ეკონომიკურ სფეროში, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური ურთიერთობების, თავისუფალი მეწარმეობის, საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, ნორმალურ, სტაბილურ სამოქალაქო ბრუნვას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის №1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელიძევილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, „იმისათვის, რომ პირმა შეძლოს საკუთრების უფლებით პრაქტიკული სარგებლობა, არ არის საკმარისი მისთვის აბსტრაქტული საკუთრებითი გარანტიის მინიჭება. მან ასევე უნდა ისარგებლოს იმგვარი სამოქალაქო, კერძოსამართლებრივი წესრიგით, რომელიც შესაძლებელს გახდის საკუთრების უფლებით შეუფერხებელ სარგებლობას და, შესაბამისად, სამოქალაქო ბრუნვის განვითარებას. საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტია მოიცავს ისეთი საკანონმდებლო ბაზის შექმნის ვალდებულებას, რომელიც უზრუნველყოფს საკუთრებითი უფლების პრაქტიკულ რეალიზებას და შესაძლებელს გახდის სა-



კუთრების შექმნის გზით ქონების დაგროვებას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-33).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით განმტკიცებული საკუთრების უფლება არ არის მხოლოდ დეკლარაციული ხასიათის. იგი წარმოადგენს მთელი რიგი ქონებრივი ურთიერთობებისა და სხვაგვარი სამართლებრივი შედეგების წარმოშობის უმთავრეს წინაპირობას. ამასთან, საკუთრების უფლების დაცულობის უზრუნველყოფის საჭიროება არ არის ფორმალური და სწორედ აღნიშნული წარმოადგენს დემოკრატიული სახელმწიფოს ქვაკუთხედს, რამდენადაც საკუთრების უფლების დაცვით მიღწეულ უფლების ქმედით რეალიზებაზეა დამოკიდებული საქართველოს კონსტიტუციით რეგლამენტირებულ ადამიანის მთელ რიგ უფლებათა შემდგომი განხორციელება. საკუთრების უფლების გარანტირებულობა და მისი კონსტიტუციური მოწესრიგება განაპირობებს, მათ შორის, პირის შესაძლებლობას, საკუთარი სურვილის შესაბამისად, თავისუფალი ნების საფუძველზე განკარგოს და შეიძინოს ქონებრივი უფლებები. საქართველოს კონსტიტუციის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის 21-ე მუხლის სამართლებრივი შინაარსიდან გამომდინარე, სახელმწიფო კისრულობს, ერთი მხრივ, პოზიტიურ ვალდებულებას, საკუთრების უფლების რეალიზაციისათვის სათანადო ფაქტობრივი თუ სამართლებრივი გარანტიების შექმნის გზით უზრუნველყოს თავისუფალი ნების გამოხატვის საფუძველზე საკუთრების უფლების ობიექტის ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის შესაძლებლობა, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფო ნეგატიური ვალდებულების ფარგლებში, ვალდებულია თავად არ ხელყოს ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით გათვალისწინებული საკუთრების უფლება.

ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საკუთრების უფლება აღიარებულია არა მხოლოდ ეროვნული, არამედ საერთაშორისო აქტებითაც, კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით, რომელიც ადგენს, რომ ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს საკუთრება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში. ამასთან, წინარე დებულებები არანაირად არ აკნინებს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ისეთი კანონები, რომელთაც ის აუცილებლად მიიჩნ

ნეგს საერთო ინტერესების შესაბამისად საკუთრებით სარგებლობის კონტროლისათვის, ან გადასახდებისა თუ მოსაკრებლების ან ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად. ხსენებული დანაწესი უზრუნველყოფს საკუთრების უფლების კვალიფიციურ დაცვას, ამასთან, მუხლი სახელმწიფო ორგანოებს ანიჭებს ფართო დისკრეციას, ჩაერიონ ამ უფლებაში: უშვებს პირის საკუთრების ჩამორთმევას „საზოგადოებრივი საჭიროებისთვის“ და მეორე პუნქტი უფლებამოსილს ხდის სახელმწიფოს, დაადგინოს „თავისი შეხედულებისამებრ აუცილებელი კანონმდებლობა“ გადასახადებთან და სხვა შემოწირულობასა თუ სახდელებთან დაკავშირებით (იხ. სპამპინატო იტალიის წინააღმდეგ (Spampinato v. Italy), No. 23123/04, განჩინება 29.03.07.).

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლში ასახული პოზიტიური ვალდებულება მოითხოვს საკუთრების უფლების დასაცავად კონკრეტული ღონისძიებების გატარებას, „ფიზიკურ პირებსა თუ კომპანიებს შორის სამართალწარმოების შემცველ საქმეებთან მიმართებითაც კი“ (სოვტრანსავტო ჰოლდინგი უკრაინის წინააღმდეგ (Sovtransavto Holding v. Ukraine), No. 48553/99, 25.9.02. 54-ე პარაგრაფი). ეს კი კონკრეტულად იმას გულისხმობს, რომ „სახელმწიფოები ვალდებული არიან უზრუნველყონ სასამართლო პროცედურები, რომლებიც სთავაზობს აუცილებელ პროცედურულ გარანტიებს და, შესაბამისად, შესაძლებელს ხდის ეროვნული სასამართლოებისთვისა და ტრიბუნალებისთვის, კერძო პირებს შორის ნებისმიერ დავაზე აწარმოონ სამართალწარმოება ეფექტიანად და სამართლიანად“ (სოვტრანსავტო ჰოლდინგი უკრაინის წინააღმდეგ (Sovtransavto Holding v. Ukraine), No. 48553/99, 25.09.02. 96-ე პარაგრაფი).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 30 აპრილის №ბს-585-572(4კ-14) განჩინებაში ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებებსა და დასკვნებზე, კერძოდ, „უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების მოპოვებისა და ფიქსაციის უპირობო გზა მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაციაა და ამ უფლების ნამდვილობაც რეესტრის მონაცემებით დგინდება. სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის შესაბამისად, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემდგომში ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. ამავე კოდექსის 311-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საჯარო რეესტრი არის ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა, ყადაღისა და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის წარმოშობის, მათში ცვლილების და მათი შენ-

ყვეტის, ასევე უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვების წარმოშობის და მასში ცვლილების შესახებ მონაცემთა ერთობლიობა. 311<sup>1</sup>-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე დადებული გარიგებები ძალაში შედის ამ გარიგებებით განსაზღვრული უფლებების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

რეგისტრაცია წარმოშობს ვარაუდს, რომ რეგისტრირებული უფლება არსებობს და ეკუთვნის კონკრეტულ პირს, რომელიც რეგისტრირებულია რეესტრში (და ვარაუდს, რომ უფლება, რომელიც გაუქმდა, აღარ არსებობს). სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე. ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა.

საქართველოში უფლებათა რეგისტრაცია დამფუძნებელი ეფექტის პრინციპს ემყარება, რაც გულისხმობს, რომ საკუთრების უფლების გადაცემა ან ხელშეკრულებით რეალური უფლების წარმოშობა დასრულდება მხოლოდ რეგისტრაციის შემდგომ. რეგისტრაცია არის უძრავ ქონებაზე უფლების წარმოშობის, შეცვლის სახელმწიფოს მხრიდან დადასტურების იურიდიული აქტი. საჯარო რეესტრს გააჩნია სამართლებრივი გარანტიის ფუნქცია, კერძოდ, მესაკუთრეს, საჯარო რეესტრში რეგისტრაციით დაცული აქვს თავისი საკუთრება სხვისი ხელყოფისაგან, ხოლო შემძენი, თავის მხრივ, ენდობა საჯარო რეესტრის ჩანაწერს“.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საჯარო რეესტრი აღჭურვილია საკუთრების უფლების არა მხოლოდ ფორმალური ფიქსაციის ფუნქციით, არამედ სამართლებრივი გარანტიის ფუნქციის შესრულების ფარგლებში, იგი უზრუნველყოფს რეესტრში რეგისტრირებული საკუთრების უფლების დაცვასაც. საჯარო რეესტრის სამართლებრივი გარანტიის ფუნქციის ქმედითი შესრულება დაკავშირებულია როგორც საკუთრების უფლების მართებული რეგისტრაციის შედეგად საკუთრების უფლების ფაქტობრივი რეალიზაციისათვის რეესტრში შესაბამისი გარანტიების შექმნასთან, აგრეთვე, უკვე რეგისტრირებული მონაცემების ხელშეუხებლობისა და მათი ხელყოფისაგან დაცვის უზრუნველყოფასთან. შესაბამისად, სამართლებრივი გარანტიის ფუნქციის შესრულება არ ამოიწურება მარტოოდენ უკვე არსებული სარეგისტრაციო ჩანაწერების დაცვით, არამედ უპირველესად, არსებითია ის, რომ საჯარო რეესტრმა მოახდინოს ამგვარ ჩანაწერთა გამართული, სრულყოფილი რეგისტრაცია, იმისათვის, რომ მესაკუთრემ

შედლოს აბსტრაქტულად რეგისტრირებული საკუთრების უფლების პრაქტიკული რეალიზება, კერძოდ, საკუთრების უფლების ობიექტის ფაქტობრივი ფლობა, სარგებლობა და განკარგვა. ცხადია, მესაკუთრის მიერ უძრავი ქონების სრული პრაქტიკული გამოყენება წარმოუდგენელია საკუთრების უფლების ობიექტის ზუსტი ადგილმდებარეობის, კონფიგურაციის, ფართობისა და სხვა მნიშვნელოვანი კრიტერიუმების განსაზღვრის შესაძლებლობის წართმევის პირობებში. ამდენად, რეესტრი ვალდებულია მესაკუთრეს ხელი შეუწყოს მისი საკუთრების უფლების იმ მდგომარეობით რეგისტრაციაში, რა მდგომარეობითაც იგი პრაქტიკულად არსებობს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 28 თებერვლის №ბს-367-363(კ-12) გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებებსა და დასკვნებზე, კერძოდ: „საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საკუთრება არის ფაქტი და დაუშვებელია ბუნებაში მისი აბსტრაქტული სახით არსებობა. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება შესაძლებლად მიიჩნევა და ფაქტიურად ეთანხმება სარეგისტრაციო მონაცემის შეუსაბამობას, საკითხის ამგვარი გადაწყვეტა ლახავს სამართლებრივ უსაფრთხოებას, ქმნის მდგომარეობას, როდესაც პირი არის საკუთრების უფლების მატარებელი თუმცა არ გააჩნია საკუთრების უფლების ობიექტი, რაც ეწინააღმდეგება საკუთრების უფლების არსს, რადგან არ არსებობს საკუთრების უფლება ამ უფლების ობიექტისაგან დამოუკიდებლად. სადავო სამართალურთიერთობის ასეთი გადაწყვეტით ხ. მ-ის სახელზე იარსებებს რეგისტრირებული უფლება ქონებაზე, ხოლო თავად ქონება ანუ უფლების ობიექტი სახეზე არ იქნება, რაც მესაკუთრის უფლებებიდან და სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის ინტერესებიდან გამომდინარე დაუშვებელია“.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საკუთრების უფლება ვერ იარსებებს, როგორც უფლების ობიექტისაგან გამოცალკევებული ჰიპოთეტური მოცემულობა. ამდენად, თუკი ფაქტობრივად არ არსებობს ქონება, მისი გადაცემა და მასზე პირის ფაქტობრივი გამგებლობის განხორციელების შესაძლებლობა, არ არსებობს თავად საკუთრების უფლება. საკასაციო პალატა მიიჩნევა, რომ საჯარო რეესტრში უძრავ ქონებაზე სანივთო უფლებათა რეგისტრაციის მიზანი აღნიშნული უფლებების უკეთესი დაცვაა და არა საკუთრების უფლების შეზღუდვა. ამდენად, რეესტრის მიერ საკუთრების ადგილმდებარეობის, მისი კონფიგურაციის განუსაზღვრელობა ან არასწორი განსაზღვრა აფერხებს საკუთრების უფლების რეალიზაციას, ქმნის მესამე პირთა მხრიდან რეესტრში რე-

გისტირებული უფლების შელახვის რისკს, მაშინ, როდესაც საჯარო რეესტრის არსებობის მიზანს სამართლებრივი უსაფრთხოებისა და სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის დაცვა უნდა წარმოადგენდეს. ცხადია, ხსენებულ პირობათა დაცვა პრაქტიკულად წარმოუდგენელია იმ პირობებში, როდესაც მესაკუთრეს ეზღუდება უფლება, მოახდინოს საკუთარი უძრავი ქონების ზუსტი კონფიგურაციის განსაზღვრა, რამდენადაც სწორედ ასეთ პირობებში იქმნება მესამე პირთა მხრიდან არაზუსტი კონფიგურაციით რეგისტრირებული საკუთრების უფლების შელახვის რისკი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელები მოითხოვენ ზიანის ანაზღაურებას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსგან, რამდენადაც მიიჩნევენ, რომ მოპასუხის უკანონო მოქმედებებით ვერ ხერხდება მათი მხრიდან საკუთრების უფლების ობიექტით სარგებლობა, რაც ზიანს აყენებს მათ. აღნიშნული მოთხოვნის კანონისმიერი საფუძვლების დადგენის მიზნით, მნიშვნელოვანია დადგინდეს ზიანის მიყენების ფაქტი, ასევე ქმედება, რომელიც საფუძვლად დაედო მოსარჩელებისთვის ზიანის მიყენებას. ამასთან, ქმედება უნდა ატარებდეს მართლსაწინააღმდეგო ხასიათს.

დადგენილია, რომ თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 24 აგვისტოს №... გადაწყვეტილებით, მ. ს-ას 2012 წლის 20 აგვისტოს განცხადების საფუძველზე და მასზე დართული ნახაზის გათვალისწინებით, თბილისში, ...ას გამზირი №7ა, მე-2 სართულზე მდებარე 71.82 კვ.მ ფართზე დარეგისტრირდა მ. ს-ას საკუთრების უფლება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით კი (საქმე №3/3946-12) ვ. ნ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 24 აგვისტოს №... გადაწყვეტილება, მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესწავლისა და გამოკვლევის შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, მ. ს-ას სახელზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაციასთან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემა დაევალა.

მოცემულ შემთხვევაში, კასატორები მიუთითებენ, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უკანონო ქმედებით, კერძოდ, მათი კუთვნილი ფართის მ. ს-ას სახელზე რეგისტრაციით, მიადგათ მატერიალური ზიანი. კასატორები განმარტავენ, რომ თბილი-

სის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით არა მხოლოდ დადასტურდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უკანონო ქმედება, არამედ მოპასუხეს დაევალა საქმეთა გარემოებების გამოკვლევა და სადავო ფართზე საკუთრების უფლების აღრიცხვა კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, რაც არ განხორციელებულა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილებაზე შპს „იზა“ და ნოდარ მაკრახიძე საქართველოს წინააღმდეგ (განაცხადი №28537/02), სადაც სასამართლომ განმარტა, რომ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება მოიცავს ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას. ეს უფლება არარეალური იქნებოდა, თუ მაღალი ხელშემკვრელი მხარის ეროვნული სამართლებრივი სისტემა შესაძლებელს გახდიდა, ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილება ერთი მხარის საზიანოდ არაქმედითი დარჩენილიყო. კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს (სხვა პრეცედენტთა შორის იხ. *Burdov v. Russia*, no. 59498/00, §34, *ECHR 2002-III*; *Hornsby v. Greece*, judgment of 19 March 1997, Reports of Judgments and Decisions 1997-II, p. 510, §40). მიუხედავად ამისა, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება გარკვეული ვადით, საზოგადოებრივ წესრიგთან დაკავშირებული სირთულეების მოგვარების აუცილებლობიდან გამომდინარე, შესაძლებელია, გამართლებული იყოს განსაკუთრებული გარემოებების შემთხვევაში (*Prodan v. Moldova*, no. 49806/99, § 53, *ECHR 2004-...* (ამონარიდები)).

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულება პირის უფლებების დაცვის გარანტიაა და გადაწყვეტილების აღსრულება გამოიხატება გადაწყვეტილების შესაბამისად მის შესრულებაში. საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ დაიწყო სარეგისტრაციო ნარმოება და გამოსცა შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები. კერძოდ, მოპასუხემ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით გათვალისწინებული საკითხის მოწესრიგებაში გამოყო და დამოუკიდებლად განიხილა ორი საკითხი: 1. რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, რომლის ფარგლებშიც საჯარო რეესტრის ეროვნული

სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2014 წლის 24 თებერვლის №... გადაწყვეტილებით, თბილისში, ...ას გამზირი №7ა-ში მდებარე უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, დაკმაყოფილდა მოთხოვნა და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ. შედეგად, 2014 წლის 24 თებერვალს, მ. ს-ას საკუთრების უფლება რეგისტრირებულია ქ. თბილისში, ...ას გამზირი №7ა, მე-2 სართულზე მდებარე ფართის (საკადასტრო კოდი №...) 51.57 კვ.მ-ზე. 2. საქმის გარემოებათა გამოკვლევა და ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, რომლის ფარგლებშიც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2014 წლის 24 თებერვლის №... გადაწყვეტილებით მ. ს-ას უარი ეთქვა 2014 წლის 24 თებერვლის განცხადებით მოთხოვნილ უძრავ ნივთზე, მდებარე თბილისი, ...ას გამზირი №7ა, რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაციაზე. საჯარო რეესტრმა აღნიშნულის საფუძველად მიუთითა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 28 სექტემბრის №3/3946-12 განჩინებით რეგისტრირებულ აკრძალვაზე.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ 2014 წლის 24 თებერვლიდან სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ აღდგენილ იქნა 2012 წლის 24 აგვისტოს რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე არსებული მდგომარეობა. მ. ს-ას სახელზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაციასთან დაკავშირებით კი დაიწყო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დავალებული სარეგისტრაციო წარმოება და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ. შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით მოპასუხეს სასამართლოს გადაწყვეტილებით დავალებულ ყველა საკითხზე აქვს ნამსჯელი და გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით (საქმე №3/3946-12), მართალია, ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 24 აგვისტოს №... გადაწყვეტილება, მაგრამ მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი. კერძოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილება განხორციელდა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევის გარეშე. ამდენად, სასამართლომ დაადგინა არა ის გარემოება, რომ სადავო

ფართზე მ. ს-ას საკუთრების უფლება ვერ წარმოეშობოდა ან რომ აღნიშნული ფართი აუცილებლად ნ. და ვ. ნ-ის საკუთრების ობიექტს წარმოადგენდა, არამედ სასამართლომ ჩათვალა, რომ სადავო გარემოებები დამატებით უნდა შესწავლილიყო და რეგისტრაცია დამატებითი მოკვლევის შემდგომ განხორციელებულიყო, რაც არ გამოორიცხავდა სადავო საკითხის იმავე შედეგით გადაწყვეტის ალბათობასაც. აქვე საგულისხმოა ისიც, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მხრიდან სრულად იქნა გაზიარებული კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით განსაზღვრული მითითებები, კერძოდ, აღდგენილ იქნა ის მდგომარეობა, რაც გასაჩივრებული აქტების გამოცემამდე არსებობდა.

ამასთან, კასატორთა მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებასთან მიმართებით, აგრეთვე, ეფუძნება იმ ფაქტობრივ მოცემულობას, რომელიც ქ. თბილისში, ...ას გამზ. №7ა-ში მდებარე II სართულზე არსებობს. კერძოდ, მოსარჩელები სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მხრიდან ზიანის ანაზღაურებას მოითხოვენ სავარაუდოდ მ. ს-ას მიერ მათი ქონების ფაქტობრივი დაუფლების გამო, რაც შეუძლებელს ხდის მათი საკუთრების უფლების პრაქტიკულ რეალიზაციას. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მ. ს-ას მიერ ნ. ნ-ის კუთვნილი ფართის ფაქტობრივი დაუფლების დამკვეთის პირობებშიც კი, კასატორები ვერ ასაბუთებენ, რა მიზეზობრივი კავშირი არსებობს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებულ რეგისტრაციებსა და მ. ს-ას მიერ ნ. ნ-ის კუთვნილი ფართის თვითნებურ დაუფლებას შორის, მით უფრო, იმ პირობებში, როდესაც არ არის დადასტურებული, რომ მ. ს-ა მოსარჩელეთა კუთვნილ ფართს შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების გარეშე ფლობდა და მისი საკუთრების უფლების რეგისტრაცია თავიდანვე კანონსაწინააღმდეგო იყო. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუკი კასატორები მიიჩნევენ, რომ ქ. თბილისში, ...ას გამზ. №7ა, II სართულზე მდებარე სავარაუდოდ მათი კუთვნილი ფართი მ. ს-ას მიერ არის დაკავებული, მათ აქვთ უფლება, ზიანის ანაზღაურების ფაქტობრივ-სამართლებრივი შესაძლებლობები ეძიონ სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში.

თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 24 აგვისტოს №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის სასარჩელო მოთხოვნის წარდგენის შედეგად დაწყებული სამართალწარმოების დროს გაწეული საპროცესო ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 27 იანვრის საქმე №ას-165-158-2013 გადაწყვეტილებაზე, სადაც საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის V თავი ეძღვნე-



ბა პროცესის ხარჯებს. კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, პროცესის ხარჯებს შეადგენს სასამართლო ხარჯები და სასამართლოსგარეშე ხარჯები. იმავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით განმარტებულია, თუ რას შეადგენს თითოეული მათგანი. კერძოდ, სასამართლო ხარჯებს შეადგენს სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები, ხოლო სასამართლოსგარეშე ხარჯებს წარმოადგენს ადვოკატისათვის განეული ხარჯები, დაკარგული ხელფასი (განაცდური), მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად განეული ხარჯები, აგრეთვე მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები. სახელმწიფო ბაჟი წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტში სავალდებულო შესატანს. რაც შეეხება საქმის განხილვასთან დაკავშირებულ ხარჯებს, მათი ამომწურავი ჩამონათვალი მოცემულია საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლში, რომლის თანახმადაც, საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯებია: მონმეების, სპეციალისტებისა და ექსპერტებისათვის მისაცემი თანხები; თარჯიმნად მონვეული პირებისათვის მისაცემი თანხები; ადგილობრივ დათვალეიერებებზე განეული ხარჯები; სასამართლოს დავალებით ფაქტების კონსტატაციაზე განეული ხარჯები; მოპასუხის მოძებნის ხარჯები; სასამართლო გადანყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯები; ადვოკატისათვის სახელმწიფო სალაროდან გადახდილი თანხები; სპეციალურ საქესპერტო დაწესებულებაში სასამართლო ექსპერტიზის ჩატარების ხარჯები. ამდენად, მითითებული მუხლის ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს იმ პირებისათვის ასანაზღაურებელ ხარჯებს, რომლებიც დახმარებას უწევენ სასამართლოს (მონმეები, სპეციალისტები, ექსპერტები, თარჯიმნები და ა.შ.)“.

ამავე გადანყვეტილებაში საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ „მოგებული მხარის სასარგებლოდ წაგებული მხარისათვის პროცესის ხარჯების დაკისრების სამართლებრივი საფუძველები მოცემულია საპროცესო კოდექსის 53-ე და 54-ე მუხლებში. ზოგადი პრინციპი ასეთია – იმ მხარის მიერ გალებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. საკასაციო პალატა მხარეთა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ საპროცესო კანონმდებლობა პროცესის ხარჯების საკითხის განხილვის თაობაზე რაიმე სპეციალური წარმოების სახეს არ იცნობს, გარდა კოდექსის 261-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა“. „ამასთან, სასამართლოს ყოველთვის შეუძლია გამოიტანოს გადანყვეტილება პროცესის ხარჯების თაობაზე, თუკი ამას მხა-

რეები მოითხოვენ და დაადასტურებენ სათანადო მტკიცებულებებით. სასამართლოსთვის მინიჭებული ამგვარი ლეგიტიმური უფლება გამომდინარეობს საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-5 ნაწილის დებულებიდან, რომლის მიხედვითაც, გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს მითითებას სასამართლო ხარჯების განაწილების თაობაზე. საპროცესო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის ხდება თითოეულ ინსტანციის სასამართლოში ცალ-ცალკე და იმის მიხედვით, თუ როგორ შეცვლის ზემდგომი ინსტანციის სასამართლო გადანყვეტილებას, ამას მოჰყვება პროცესის ხარჯების განაწილების ცვლილებაც. ამდენად, საკასაციო პალატის შეფასებით, ვინაიდან არსებობს დავის გადანყვეტასთან ერთად იმავე დავაზე განეული ხარჯების დაბრუნების სამართლებრივი მექანიზმი, ხოლო საპროცესო კანონი სპეციალურ რეგულაციას არ იცნობს, მხარეებმა პროცესის ხარჯების დაბრუნების (მეორე მხარისათვის მათ სასარგებლოდ დაკისრება) შესახებ უნდა მიუთითონ ძირითად სასარჩელო მოთხოვნასთან ერთად, წინააღმდეგ შემთხვევაში, ივარაუდება, რომ მათ პრეტენზია პროცესის ხარჯებთან დაკავშირებით არ გააჩნიათ. ამასთან, მხარეებს არ უნდა შეეზღუდოთ პროცესის ხარჯების მოთხოვნის უფლება საქმის მომზადების დასრულების შემდგომ, ან საქმის ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში განხილვის ეტაპზე, თუკი ხარჯების საკითხი სწორედ საქმის განხილვის ამ სტადიაზე წარმოიშვა და მანამდე მხარისთვის ამ ფაქტის შესახებ ობიექტურად ცნობილი ვერ იქნებოდა. რაც შეეხება საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლით დადგენილ პროცედურებს (დამატებითი გადანყვეტილების გამოტანა), საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მითითებული მუხლი ითვალისწინებს ისეთი ხარვეზის აღმოფხვრის მექანიზმებს, როდესაც მართალია მხარემ მოითხოვა პროცესის ხარჯების დაბრუნება სასამართლოსაგან, მაგრამ სასამართლოს თავისი მიზეზით გამორჩა მხედველობიდან ამ საკითხის გადანყვეტა (261.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი). გასათვალისწინებელია, რომ დამატებითი გადანყვეტილების გამოტანის საკითხის დასმა ვადითაა შეზღუდული, კერძოდ, 261-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დამატებითი გადანყვეტილების გამოტანის საკითხი შეიძლება დაისვას გადანყვეტილების გამოცხადებიდან 7 დღის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება. ზემოთ მოყვანილ ნორმათა ანალიზი, ასევე საკასაციო სასამართლოს მიერ განვითარებული მსჯელობა, იძლევა ცალსახა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იმის თაობაზე, რომ მხარე საპროცესო კანონმდებლობით საკმარისად არის დაცული, რათა მან პროცესის მოგების შემთხვევაში დაიბრუნოს მის მიერ განეული ხარჯები და აღდგეს პირვანდელ მდგომარეობაში.

რეობაში, შესაბამისად, დავის გადაწყვეტისას ამ უფლების რეალიზაციაზე უარის თქმა მხარეს ართმევს უფლებას აღძრას დამოუკიდებელი სარჩელი სხვა დავაზე განეულ ხარჯებთან დაკავშირებით“. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სასარჩელო მოთხოვნა მითითებულ ნაწილში ფაქტობრივ-სამართლებრივად დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები, რის გამოც ნ. და ვ. ნ-ების საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 24 ივლისის განჩინება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ნ. და ვ. ნ-ების საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 24 ივლისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის მისი  
მოსამსახურის მიერ განხორციელებული ქმედებით  
გამონევილი ზიანის ანაზღაურების დაკისრების  
ფარგლები**

**ბანჩინება  
საქართველოს სახელით**

№ბს-797(კ-19)

2 ივლისი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ა. წულაძე**

**დავის საგანი:** მატერიალური ზიანის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2016 წლის 29 ივლისს ი. ს-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 2012 წელს გადაწყვიტა ბინის შეძენა. მისმა ნაცნობმა კ. შ-ემ უთხრა, რომ ...ში იყიდებოდა მისი ბიძაშვილის ბინა, რომელიც ნახა მოსარჩელემ და შეთანხმდნენ ფასზე. მოსარჩელე და კ. შ-ე მივიდნენ საჯარო რეესტრში ბინის გადასაფორმებლად, სადაც კ. შ-ემ წარადგინა ბინის დოკუმენტაცია და ბინის მეპატრონის – ა. შ-ის გამოგზავნილი მინდობილობა კ. შ-ის სახელზე. 2012 წლის 23 იანვარს საჯარო რეესტრის თანამშრომელმა შეადგინა ნასყიდობის ხელშეკრულება, რის საფუძველზეც მოსარჩელემ გადაიხადა 26 000 აშშ დოლარი და ბინაზე მისი საკუთრების უფლება დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში.

2014 წელს ა. შ-ემ სასამართლოში შეიტანა სარჩელი და მოითხოვა მოსარჩელის საკუთრების უფლების გადანყვეტილების ბათილად ცნობა იმ საფუძველით, რომ ა. შ-ეს მის მიერ გაცემული მინდობილობით კ. შ-ისთვის არ დაუვალებია ბინის გაყიდვა, მას მხოლოდ ამ ბინის დოკუმენტაციის მომზადება დაავალა, ბინის შემდგომი გაყიდვის მიზნით. საქალაქო სასამართლოს გადანყვეტილებით ა. შ-ეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ ი. ს-ს ჰქონდა კანონიერი ნდობა ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ. სააპელაციო სასამართლომ კი გა-

აუქმა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და 2015 წლის 26 ნოემბერს მიღებული გადაწყვეტილებით ბათილად ცნო სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილება ბინაზე ი. ს-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ა. შ-ის მიერ 2011 წლის 14 ნოემბერს გაცემული მინდობილობით კ. შ-ეს მინიჭებული ჰქონდა ენარმოებინა მოლაპარაკებები მისი ბინის გაყიდვასთან დაკავშირებით, მაგრამ მას ბინის გასხვისების უფლებამოსილება არ მინიჭებია.

მოსარჩელის მითითებით, აღნიშნულის შესახებ მან არ იცოდა, რადგან ეჭვი არ შეუტანია; როდესაც კ. შ-ემ სარეგისტრაციოდ წარადგინა დოკუმენტები, საჯარო რეესტრის თანამშრომელმა გადასინჯა და შემდეგ შეადგინა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოაწერეს მან და კ. შ-ემ, ხოლო მათი ხელმოწერები დაამონმა საჯარო რეესტრის თანამშრომელმა.

მოსარჩელის განმარტებით, მან ბინაზე დაკარგა საკუთრების უფლება და ამასთან ერთად იზარალა ამ ბინაში გადახდილი თანხა 26 000 აშშ დოლარის ოდენობით. მისთვის მიყენებული ზარალი კი გამოიწვია სარეგისტრაციო სამსახურის მოსამსახურე პირის ქმედებამ, რომელმაც გულისყურით არ წაიკითხა წარდგენილი მინდობილობა და დაამონმა ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის გაყიდვის უფლებამოსილებაც მინიჭებული არ ჰქონდა კ. შ-ეს. საჯარო რეესტრის მოსამსახურის მიერ არასათანადო დოკუმენტის წარდგენის ფაქტი რომ აღმოჩენილიყო ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებისას და საკუთრების უფლების რეგისტრაციისას, ბინაში აღარ გადაიხდიდა თანხას და ზარალიც თავიდან იქნებოდა აცილებული, ასევე არ გარემონტებდა ბინას, რაზეც დამატებით განია 17435 აშშ დოლარი. მოსარჩელის მითითებით, ზემოაღნიშნული გარემოებები დადასტურებულია სასამართლო გადაწყვეტილებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის მისი მოსამსახურის ქმედებით გამოწვეული ზიანის, 26 000 აშშ დოლარის (ანაზღაურების მომენტისათვის) ექვივალენტი ლარის ოდენობით მისთვის მიყენებული ზარალის გადახდისა და სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, საპროცესო ხარჯების, მათ შორის ადვოკატის მომსახურების ხარჯის გადახდის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 8 დეკემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაება კ. შ-ე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილებით ი. ს-ის სარ-

ჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ უკრაინა, ...აა ოლქი, ქ. ...ის ნოტარიუსის მიერ 2011 წლის 14 ნოემბერს დამონმებული მინდობილობით, ა. შ-ემ მიაწავა უფლებამოსილება კ. შ-ეს, წარმოედგინა მისი ინტერესები, მათ შორის ერთიანი რეესტრის ორგანოებში, სანოტარო ბიუროებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან მოლაპარაკებების წარმოებასთან დაკავშირებით და დოკუმენტების მომზადების საკითხებში, მის საკუთრებაში არსებული ბინის გაყიდვასთან დაკავშირებით, რომელიც მდებარეობს მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, ...ა მე-3 მ/რ, მე-4 კვარტალი, კორპ. 60, ბინა №4. რისთვისაც მიაწავა უფლებამოსილება აწარმოოს ზეპირი და წერილობითი მოლაპარაკებები, წარადგინოს და ხელი მოაწეროს მისი სახელით განცხადებებს და სხვა დოკუმენტებს, მიიღოს ყველა საჭირო ცნობა და დოკუმენტები მის საკუთრებაში არსებული ბინის გაყიდვასთან დაკავშირებით.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, 2012 წლის 23 იანვარს ა. შ-ის წარმომადგენელმა კ. შ-ემ (გამყიდველი), რომელიც მოქმედებდა ნოტარიუს ტ.ო. პ-ის მინდობილობით, გაყიდა და ი. ს-იმ (მყიდველი) იყიდა ა. შ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი, მდებარე – ქ. თბილისი, ...ა მე-3 მ/რ, კვარტალი IV, კორპ. 60, ბინა №4. ნასყიდობის საგნის ღირებულება განისაზღვრა 26000 აშშ დოლარით, რაც მყიდველის მიერ სრულად იქნა გადახდილი. აღინიშნა, რომ ხელშეკრულების ტექსტი სრულად შეესაბამება და გამოხატავს მხარეთა ნებას, რასაც ადასტურებენ მხარეთა ხელმოწერით. ხელმოწერილია გამყიდველის და მყიდველის მიერ.

საჯარო რეესტრიდან ამონაწერის – მინის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №.... – თანახმად, უძრავი ნივთი, მდებარე – ქალაქ თბილისი, დასახლება ...ა, მიკრო/რაიონი III, კვარტალი IV, კორპ. 60, ბინა №4 (68,99 კვ.მ) ა. შ-ის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრირებული იქნა 17.01.2012 წელს.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 24 იანვრის №... გადაწყვეტილებით (რეგისტრაციის შესახებ), საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებით უძრავ ნივთზე, მდებარე – ქ. თბილისი, ...ა მე-3 მ/რ, მე-4 კვარტალი, კორპ. 60, ბინა №4-ზე საკუთრების უფლება რეგისტრირებულ იქნა ი. ს-ის სახელზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებით (საქმე №3/638-

14) მოსარჩელე ა. შ-ის სარჩელი მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 24 იანვრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით (საქმე №3ბ/1108-15) აპელანტის – ა. შ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. ბათილად იქნა ცნობილი მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 24 იანვრის №... გადაწყვეტილება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 7 ივნისის განჩინების (საქმე №ბს-253-251(3კ-16)) თანახმად, კასატორების – კ. შ-ის, ი. ს-ის და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დაუშვებლად. უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, 2016 წლის 1 თებერვალს ი. ს-სა (გამყიდველი) და გ. რ-ს (მყიდველი) შორის დაიდო უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, როლითაც უძრავი ნივთის, მდებარე – ქ. თბილისი, ...ა მე-3 მ/რ, კვარტალი IV, კორპ. 60, ბინა №4, მესაკუთრე გახდა ფ/პ გ. რ-ი. ნასყიდობის საგნის ღირებულება განისაზღვრა 39000 (ოცდაცხრამეტი ათასი) აშშ დოლარით, რაც მყიდველის მიერ სრულად იქნა გადახდილი. აღინიშნა, რომ ხელშეკრულების ტექსტი სრულად შეესაბამება და გამოხატავს მხარეთა ნებას, რასაც ადასტურებენ მხარეთა ხელმოწერით. ხელშეკრულება ხელმოწერილია გამყიდველის და მყიდველის მიერ.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 3 თებერვლის №... გადაწყვეტილებით (რეგისტრაციის შესახებ) უძრავი ნივთი, მდებარე – ქ. თბილისი, ...ა მე-3 მ/რ, კვარტალი IV, კორპ. 60, ბინა №4, საკუთრების უფლებით აღირიცხა გ. რ-ის სახელზე.

საჯარო რეესტრიდან ამონაწერის – მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №.... – თანახმად, უძრავი ნივთი, მდებარე – ქალაქ თბილისი, ...ა, მიკრო/რაიონი III, კვარტალი IV, კორპ. 60, ბინა №4 (68,99 კვ.მ), გ. რ-ის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრირებული იქნა 03.02.2016 წელს.

2016 წლის 26 თებერვალს, დაინტერესებულმა პირმა ი. ს-მა განცხადებით (რეგისტრაციის №...) მიმართა მარეგისტრირებელ ორგანოს და მოითხოვა ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმება და

პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა. განცხადებას თან ერთვოდა „შეთანხმება“ ი. ს-სა (გამყიდველი) და გ. რ-ს (მყიდველი) შორის ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმებისა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შესახებ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 1 მარტის №... გადაწყვეტილებით (რეგისტრაციის შესახებ) ი. ს-ის მოთხოვნა, უძრავ ნივთზე, მდებარე – ქალაქ თბილისი, ...ა, მიკრო/რაიონი III, კვარტალი IV, კორპ. 60, ბინა №4, ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმებისა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შესახებ დაკმაყოფილდა.

საჯარო რეესტრიდან ამონაწერის – მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №.... – თანახმად, უძრავი ნივთი, მდებარე – ქალაქ თბილისი, დასახლება ...ა, მიკრო/რაიონი III, კვარტალი IV, კორპ. 60, ბინა №4 (68,99 კვ.მ), ი. ს-ის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრირებული იქნა 01.03.2016 წელს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, 2016 წლის 21 ოქტომბერს ა. შ-ეს (გამყიდველი) და დ. თ-ს (მყიდველი) შორის დაიდო უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც უძრავი ნივთის, მდებარე – ქ. თბილისი, ...ა მე-3 მ/რ, კვარტალი IV, კორპ. 60, ბინა №4, შესაკუთრე გახდა ფ/პ დ. თ. ნასყიდობის საგნის ღირებულება განისაზღვრა 28 (ოცდარვა ათასი) აშშ დოლარით, რაც მყიდველის მიერ სრულად იქნა გადახდილი. აღინიშნა, რომ ხელშეკრულების ტექსტი სრულად შეესაბამება და გამოხატავს მხარეთა ნებას, რასაც ადასტურებენ მხარეთა ხელმოწერით. ხელშეკრულება ხელმოწერილია გამყიდველის და მყიდველის მიერ.

საჯარო რეესტრიდან ამონაწერის – მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №.... – თანახმად, უძრავი ნივთი, მდებარე – ქალაქ თბილისი, დასახლება ...ა, მიკრო/რაიონი III, კვარტალი IV, კორპ. 60, ბინა №4 (68,99 კვ.მ), დ. თ-ის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრირებული იქნა 21.10.2016 წელს.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 42.9 მუხლზე, რომლის შესაბამისად, ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან. ამასთან, სასამართლომ მითითებულ კონსტიტუციურ ნორმასთან დაკავშირებით მოიხმო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებები, ასევე მიუთითა სა-



ქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებებზე.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების მიერ მიყენებული ზიანისათვის დადგენილია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავის დებულებებით. იქედან გამომდინარე, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, კოდექსის 207-ე მუხლით განისაზღვრა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამონაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. ამ კოდექსის 208.1. მუხლის (2017 წლის 1 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005.1. მუხლის შესაბამისად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს. ხსენებული კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად კი, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.

ამრიგად, სასამართლომ აღნიშნა, რომ პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. იმისათვის, რომ წარმოიშვას ზიანის ანაზღაურების წინაპირობა, სახეზე უნდა იყოს: 1) პირის მართლსაწინააღმდეგო მოქმედება (უმოქმედობა), 2) წარმოშობილი ზიანი, 3) მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი. ამასთან, ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა წარმოადგენს დელიქტური პასუხისმგებლობის დადგომის სა-

ვალდებულო პირობას და გამოიხატება იმაში, რომ პირველი წარმომოშობს მეორეს. პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანი იყო ზიანის მიმყენებლის მოქმედების (უმოქმედობის) პირდაპირი და გარდაუვალი შედეგი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება; ხოლო ამავე კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კი, ვალდებულების წარმომოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის) უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან. ვალდებულებითი სამართალი აწესრიგებს ისეთ ვალდებულებებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, რომელთა დარღვევისათვის დამრღვევს სასამართლოს მეშვეობით შეიძლება დაეკისროს შესრულება ან ზიანის ანაზღაურება. სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილი ვალდებულების წარმოშობის წინაპირობად მიიჩნევს როგორც ხელშეკრულებას, ასევე, დელიქტს, უსაფუძვლო გამდიდრებას ან კანონით გათვალისწინებულ სხვა საფუძვლებს.

სასამართლოში მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის (საქმე №ბს-52-47(კ-13), 23.07.2013წ.) განმარტებაზე, რომ „დელიქტური ვალდებულება ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებაა და არა სახელშეკრულებო ვალდებულების ერთ-ერთი სახეა. ზიანი შეიძლება იყოს ხელშეკრულების დარღვევიდან წარმოშობილი ვალდებულების დარღვევის შედეგი, ხოლო დელიქტის დროს კი თვით ზიანის მიყენების ფაქტი წარმოადგენს ვალდებულების წარმოშობის საფუძველს, რომელი ვალდებულების ძალითაც დაზარალებულს უფლება აქვს, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება მიმყენებლისაგან. ამასთან, ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება შესაძლებელია, თუ სახეზეა ზიანი, ზიანი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი“.

სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეს მიაჩნია, რომ მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მოსამსახურის ქმედების – 2012 წლის 23 იანვარს ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული საკუთრების უფლების რეგისტრაციის, კერძოდ, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 24 იანვრის №... გადაწყვეტილების თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით (საქმე №3ბ/

1108-15) ბათილად (უძრავი ქონების მის სახელზე საკუთრების უფლების აღრიცხვის) ცნობის შედეგად მას მიადგა ზიანი და ითხოვს მისთვის მიყენებული ზიანის – ოცდაექვსი ათასი აშშ დოლარის (ანაზღაურების მომენტისათვის) ექვივალენტი ლარის მის სასარგებლოდ გადახდას. მოსარჩელის გამარტებით, აღნიშნული თანხა წარმოადგენს მის მიერ, საცხოვრებელი ბინის (ქ. თბილისი, ...ა მე-3 მ/რ, კვარტალი IV, კორპ. 60, ბინა №4) შეძენის გამო, ბინის მესაკუთრე ა. შ-ის წარმომადგენლის – კ. შ-ისათვის გადახდილ თანხას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში მხარეები სადავოდ არ ხდიან და ადასტურებენ იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ მოსარჩელე ი. ს-ს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აღნიშნული თანხის უკან დაბრუნება მესამე პირის კ. შ-ისათვის არ მოუთხოვია. ამასთან, მოსარჩელე ი. ს-სა და ა. შ-ის წარმომადგენელს, კ. შ-ეს შორის 2012 წლის 23 იანვარს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება (სარეგისტრაციო დოკუმენტი) სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით გაუქმებული არ ყოფილა. სასამართლოს მოსაზრებით, იმისათვის, რომ შეფასდეს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების სამართლებრივი ხასიათი, უნდა დადგინდეს მოპასუხის მიერ განხორციელებული ქმედება – ნასყიდობის ხელშეკრულების (სარეგისტრაციო დოკუმენტი – რაც სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით სადავოდ არ გამხდარა) საფუძველზე უძრავი ნივთის მოსარჩელის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვა წარმოადგენს თუ არა კანონით დადგენილ მოთხოვნათა დარღვევას. საქმის მასალების მიხედვით, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია და ყურადღება მიაქცია იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომ მოსარჩელე ი. ს-მა მის მიერ 2012 წლის 23 იანვარს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე შეძენილი უძრავი ნივთი, მდებარე – ქ. თბილისი, ...ა მე-3 მ/რ, კვარტალი IV, კორპ. 60, ბინა №4, 2016 წლის 1 თებერვალის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გაასხვისა გ. რ-ზე. შესაბამისად, აღნიშნული უძრავი ნივთი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 3 თებერვალს №... გადანყვეტილებით საკუთრების უფლებით აღრიცხა გ. რ-ის სახელზე. ამასთან, მხარეთა (ი. ს-ი და გ. რ-ი) შეთანხმებით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 1 მარტის №...-03 გადანყვეტილებით გაუქმდა 2016 წლის 1 თებერვალის ნასყიდობის ხელშეკრულება, აღდგა პირვანდელი მდგომარეობა და უძრავი ნივთი, მდებარე – ქალაქ თბილისი, დასახლება ...ა, მიკრო/რაიონი III, კვარტალი IV, კორპ. 60, ბინა №4 (68,99 კვ.მ), საკუთრების უფლებით 01.03.2016 წელს რეგისტრირებული იქნა მოსარჩელე ი. ს-ის სახელზე.

სასამართლოს მითითებით, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქარ-

თველოს კანონის მე-5 მუხლით, საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემთა მიმართ მოქმედებს უტყუარობის პრეზუმფცია, ვიდრე ისინი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალადაკარგულად, ბათილად ან არარად არ იქნება ცნობილი. ამრიგად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 1 მარტის №...-03 გადაწყვეტილებით, უძრავი ნივთი, მდებარე – ქალაქ თბილისი, ..., მიკრო/რაიონი III, კვარტალი IV, კორპ. 60, ბინა №4 (68,99 კვ.მ), 01.03.2016 წელს საკუთრების უფლებით ისევე აღირიცხა მოსარჩელე ი. ს-ის სახელზე. ამასთან, საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ძალადაკარგულად, ბათილად ან არარად არ იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 1 მარტის №... გადაწყვეტილება.

სასამართლოს მოსაზრებით, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს, ანუ უნდა არსებობდეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ქმედებასა (მოქმედება ან უმოქმედობა) და დამდგარ შედეგს (ზიანი) შორის პირდაპირი და უშუალო მიზეზობრივი კავშირი. ამასთანავე, ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება, რომელმაც პირისათვის ზიანი გამოიწვია, უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებიდან და არსებობდეს ბრალეული, განზრახი ან უხეში გაუფრთხილებელი ბრალის სახით, რაც გამოიხატება ადმინისტრაციული ორგანოს მიზანმიმართულ უმოქმედობაში, ან უხეშ გაუფრთხილებლობაში, ანუ ადმინისტრაციული ორგანო შეგნებულად უნდა უშვებდეს პირისათვის ზიანის მიმყენებელი გარემოების დადგომას ან/და არ ახორციელებდეს მისთვის კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს ზიანის თავიდან აცილების მიზნით. ამასთან, ზიანის მიყენებისა და მისი ანაზღაურების საფუძვლების არსებობის შემონმებისათვის, არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებას წარმოადგენს, დადგინდეს მოპასუხის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების ხასიათი, კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დარღვეულ იქნა თუ არა მასზედ კანონით დაკისრებული ვალდებულებები და აღნიშნულმა დარღვევამ შედეგობრივად გამოიწვია თუ არა მოსარჩელისთვის ზიანის მიყენება. სასამართლომ განმარტა, რომ იმისათვის, რომ წარმოიშვას ზიანის ანაზღაურების წინაპირობა, სახეზე უნდა იყოს პირის მართლსაწინააღმდეგო მოქმედება (უმოქმედობა), წარმოშობილი ზიანი და მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი. ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობ-

რივი კავშირის არსებობა წარმოადგენს დელიქტური პასუხისმგებლობის დადგომის სავალდებულო პირობას და გამოიხატება იმაში, რომ პირველი წარმოშობს მეორეს. პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანი იყო ზიანის მიმყენებლის მოქმედების (უმოქმედობის) პირდაპირი და გარდაუვალი შედეგი.

მითითებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ურთიერთშეჯერების შედეგად, სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში არ დასტურდება მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების შედეგად, მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების ფაქტი (მითუმეტეს რომ მოსარჩელეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ფიზიკური პირი კ. შ-ისაგან არ მოუთხოვია გადაცემული თანხის 26 000 აშშ დოლარის უკან დაბრუნება, ხოლო კ. შ-ის განმარტებით, მან გადაცემული თანხიდან მხოლოდ 2000 აშშ დოლარი გადასცა ა. შ-ეს), ამდენად, არ არსებობს მოსარჩელე ი. ს-ის სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. ს-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 26 თებერვლის განჩინებით ი. ს-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სამართლოს დასკვნები საქმის სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სამართლებრივი თვალსაზრისით სწორად შეაფასა საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები; თავის მხრივ, აპელანტმა სააპელაციო საჩივარში ვერ გააქარწყლა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გაკეთებული სამართლებრივი დასკვნები, ვერ მიუთითა და ვერ წარადგინა ისეთი არგუმენტები, რომლებზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა საქმეზე დადგენილი ფაქტების სხვაგვარი სამართლებრივი შეფასება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 26 თებერვალს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ი. ს-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა. ამასთან, კასატორმა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის თაობაზე იშუამდგომლა.

კასატორის განმარტებით, მან სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 24 იანვრის №... გადაწყვეტილებით დაირეგისტრირა საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე. გარიგების რეგისტრაციისას მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილება და ვალდებულება იყო შეემონებინა გარიგების მხარის სათანადოობა, ამ შემთხვევაში რეგისტრირებული უძრავი ნივთის გამყიდველის ანუ მისი მესაკუთრის ვინაობა და რადგან გარიგებას არეგისტრირებდა წარმომადგენლის მეშვეობით, შეესწავლა წარმომადგენლობის შინაარსი და გარიგება არ დაეშვა არასათანადო მხარეებს შორის. სასამართლომ სწორედ აღნიშნული ფაქტი დაადგინა და ბათილად ცნო სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 24 იანვრის №... გადაწყვეტილება. კასატორის მითითებით, მან სრულად გადაუხადა გარიგების ღირებულება გამყიდველს, ანუ მის წარმომადგენელს და ამით მისი ვალდებულება გარიგებასთან დაკავშირებით ამოიწურა. კასატორი დაუსაბუთებლად მიიჩნევს სასამართლოს მსჯელობას მასზედ, რომ იმ შემთხვევაში თუ მინდობილმა პირმა თანხა მიითვისა, მას სასამართლო წესით ნივთის შემძენი უნდა ედავოს და არა გამყიდველი. კასატორის მითითებით, ამგვარი დასაბუთება გადის სამოქალაქო კოდექსით დადგენილი გარიგების შინაარსიდან.

კასატორი აღნიშნავს, რომ მას კანონიერი ნდობა გააჩნდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლის მიერ გაწეული კონსულტაციისა, რაც დადასტურდა მისი თანდასწრებით ნასყიდობის ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის დადასტურებისა და შესაბამისი გადაწყვეტილებით და ამონაწერით.

კასატორის მითითებით, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილია მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს კანონსაწინააღმდეგო ქმედება. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად გამოცხადდა, ვინაიდან ჩაითვალა, რომ ამ აქტით შეილახა საჯარო რეესტრის მონაცემებით რეგისტრირებული მესაკუთრის უფლება, ხოლო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგინდა ზარალის მიმყენებელი პირის ვინაობაც და შესაბამისად გასაჩივრებული გადაწყვეტილება სამართლებრივად და ფაქტობრივად ეწინააღმდეგება იმავე დავის საგანზე მიღებულ და კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებას.

კასატორი მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 42.9 მუხლზე (ამჟამად მოქმედი რედაქციის 18.4 მუხლი), ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე-209-ე მუხლებზე, სამოქალაქო კოდექსის 1005-ე, 992-ე მუხლებზე. კასატორის მითითებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება შინაარსს აცლის კონსტიტუციით დადგენილ გარანტიას, არამართლზომიერი ქმედებით მიყენებული ზიან-

ნის ანაზღაურებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 14 ივნისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ი. ს-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 5 მარტის განჩინებით ი. ს-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე. ი. ს-ის შუამდგომლობა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ი. ს-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 26 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე ი. ს-ი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის მისი მოსამსახურის ქმედებით გამოწვეული ზიანის, 26 000 აშშ დოლარის (ანაზღაურების მომენტისათვის) ექვივალენტი ლარის ოდენობით მისთვის მიყენებული ზარალის გადახდის დავალებას ითხოვს. მოსარჩელის მითითებით, მისთვის მიყენებული ზარალი გამოიწვია სარეგისტრაციო სამსახურის მოსამსახურე პირის ქმედებამ, რომელმაც გულისყურით არ წაიკითხა წარდგენილი მინდობილობა და დაამონჟა ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის გაყიდვის უფლებამოსილებაც მინიჭებული არ ჰქონდა კ. შ-ეს. საჯარო რეესტრის მოსამსახურის მიერ არასათანადო დოკუმენტის წარდგენის ფაქტი რომ აღმოჩენილიყო ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებისას და საკუთრების უფლების რეგისტრაციისას, ბინაში აღარ გადაიხდიდა თანხას და ზარალიც თავიდან იქნებოდა აცილებული. მოსარჩელის განმარტებით, აღნიშნული თანხა წარმოადგენს მის მიერ საცხოვრებელი ბინის (ქ. თბილისი, ...ა მე-3 მ/რ, კვარტალი IV, კორპ. 60, ბინა №4) შეძენის გამო, ბინის მესაკუთრე ა. შ-ის წარმომადგენლის, კ. შ-ისათვის გადახდილ თანხას.

ამდენად, განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის მისი მო-

სამსახურის მიერ განხორციელებული ქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების დაკისრება.

სასარჩელო მოთხოვნის ამგვარი ფორმულირებისა და სარჩელის მოტივების მიუხედავად, ასევე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შეფასების გარეშე, ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა დავის ძირითადი საგანი არსებითი შეფასების მიღმა დატოვეს. იმ პირობებში, როდესაც კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე მოსარჩელემ სარჩელი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წინააღმდეგ წარმოადგინა, სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველები ძირითადად ი. ს-ის მხრიდან კ. შ-ის მიმართ მოთხოვნის წარუდგენლობას დაუკავშირა, მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველებზე კი სასამართლოს სათანადო შეფასება არ გაუკეთებია.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ უკრაინა, ...ასოლქი, ქ. ...ის ნოტარიუსის მიერ 2011 წლის 14 ნოემბერს დამონმებული მინდობილობით, ა. შ-ემ მიანიჭა უფლებამოსილება კ. შ-ეს, წარმოედგინა მისი ინტერესები, მათ შორის ერთიანი რეესტრის ორგანოებში, სა-ნოტარო ბიუროებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან მოლაპარაკებების წარმოებასთან დაკავშირებით და დოკუმენტების მომზადების საკითხებში, მის საკუთრებაში არსებული ბინის გაყიდვასთან დაკავშირებით, რომელიც მდებარეობს მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, ...ა მე-3 მ/რ, მე-4 კვარტალი, კორპ. 60, ბინა №4, რისთვისაც მიანიჭა უფლებამოსილება აწარმოოს ზეპირი და წერილობითი მოლაპარაკებები, წარადგინოს და ხელი მოაწეროს მისი სახელით განცხადებებს და სხვა დოკუმენტებს, მიიღოს ყველა საჭირო ცნობა და დოკუმენტები მის საკუთრებაში არსებული ბინის გაყიდვასთან დაკავშირებით.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, 2012 წლის 23 იანვარს ა. შ-ის წარმომადგენელმა კ. შ-ემ (გამყიდველი), რომელიც მოქმედებდა ნოტარიუს ტ.ო. პ-ის მინდობილობით, გაყიდა და ი. ს-იმ (მყიდველი) იყიდა ა. შ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი, მდებარე – ქ. თბილისი, ...ა მე-3 მ/რ, კვარტალი IV, კორპ. 60, ბინა №4. ნასყიდობის საგნის ღირებულება განისაზღვრა 26000 აშშ დოლარით, რაც მყიდველის მიერ სრულად იქნა გადახდილი. აღინიშნა, რომ ხელშეკრულების ტექსტი სრულად შეესაბამება და გამოხატავს მხარეთა ნებას, რასაც ადასტურებენ მხარეთა ხელმოწერით. ხელმოწერილია გამყიდველის და მყიდველის მიერ. ამასთან, საცხოვრებელი ბინის ნასყიდობის ხელშეკრულებაზე ხელმოწერების ნამდვილობა დამონმებულ



იქნა თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 24 იანვრის №... გადაწყვეტილებით (რეგისტრაციის შესახებ) უძრავ ნივთზე, მდებარე – ქ. თბილისი, ...ა მე-3 მ/რ, მე-4 კვარტალი, კორპ. 60, ბინა №4, საკუთრების უფლება რეგისტრირებულ იქნა ი. ს-ის სახელზე.

ა. შ-ემ, იმ საფუძვლით, რომ კ. შ-ეზე გაცემული მინდობილობით მისთვის უძრავი ქონების გასხვისების უფლებამოსილება არ მიუნიჭებია, სადავო გახადა ი. ს-ის სახელზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 24 იანვრის №... გადაწყვეტილებით განხორციელებული რეგისტრაცია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებით (საქმე №3/638-14) მოსარჩელე ა. შ-ის სარჩელი მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 24 იანვრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით (საქმე №3ბ/1108-15) აპელანტის – ა. შ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 24 იანვრის №... გადაწყვეტილება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 7 ივნისის განჩინებით (საქმე №ბს-253-251(3კ-16)) კასატორების – კ. შ-ის, ი. ს-ის და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება.

ამდენად, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 24 იანვრის №... გადაწყვეტილება.

განსახილველი დავის ფარგლებში საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს არ წარმოადგენს ა. შ-ის მიერ კ. შ-ის სახელზე გაცემული მინდობილობის შინაარსი, კერძოდ, მინიჭებული ჰქონდა თუ არა მას ა. შ-ის კუთვნილი უძრავი ქონების გასხვისების უფლებამოსილება, რამეთუ აღნიშნული შეფასებული და დადგენილია კა-

ნონიერ ძალაში შესული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით, სადაც აღნიშნული მინდობილობის შეფასებისას სასამართლო მიუთითებს, რომ „14.11.2011 წლის მინდობილობის თანახმად, მარნმუნებელს – ა. შ-ეს რწმუნებულისთვის – კ. შ-ისთვის არ მიუცია კუთვნილი საცხოვრებელი ბინის (ქ. თბილისი, ...ა მე-3 მ.რ., მე-4 კვარტალი, კორპ. 60, ბინა 4) გაყიდვის/გასხვისების დავალება, წინააღმდეგ შემთხვევაში მინდობილობის ტექსტში პირდაპირ და არაორაზროვნად მიეთითებოდა ბინის გაყიდვის დავალების შესახებ; მარნმუნებელი, 14.11.2011 წლის მინდობილობის ფარგლებში, მიზნად ისახავდა საცხოვრებელი ბინის გაყიდვისთვის აუცილებელი ნიადაგის შემზადებას – ბინის გაყიდვის მიზნით მოლაპარაკებების გამართვას, საბუთების მომზადებას/მიღებას/მოპოვებას, რაც, ასევე, მოიცავდა რწმუნებულის მიერ მარნმუნებლის სახელით განცხადებებზე და სხვა დოკუმენტებზე, მაგრამ არამც და არამც ნასყიდობის ხელშეკრულებაზე ხელმოწერის უფლებას; 14.11.2011 წლის მინდობილობის გაცემის ნამდვილ მიზანზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ თუმცა ქ. თბილისი, ...ა მე-3 მ.რ., მე-4 კვარტალი, კორპ. 60, ბინა 4 ა. შ-ეს საკუთრებაში ჰქონდა მიღებული ჯერ კიდევ 01.08.1992 წელს დადებული პრივატიზაციის ხელშეკრულების საფუძველზე, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება არ იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში და რადგან ა. შ-ე მიზნად ისახავდა, საბოლოო ჯამში, ბინის გასხისებას, პირველ ეტაპზე, აუცილებელი იყო ამ ბინის საჯარო რეესტრში დარეგისტრირება, რაც სინამდვილეში დაევალა კიდევ კ. შ-ეს 14.11.2011 წლის მინდობილობით; თუმცა, ამ უკანასკნელმა, გარდა მინდობილობით (დავალების ხელშეკრულებით) მისთვის მიცემული დავალებისა (ნამდვილი დავალებისა), განიზრახა და შეასრულა კიდევ ისეთი მოქმედებები, რომელთა შესრულების დავალება მას 14.11.2011 წლის მინდობილობით არ მიუღია მარნმუნებლისგან – ა. შ-ისგან“.

რაც შეეხება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქმედების კანონიერების შეფასებას, აღნიშნულთან დაკავშირებით საკაცო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს მიუთითებს კანონიერ ძალაში შესულ ამავე გადაწყვეტილებაზე, სადაც აღნიშნულია, რომ „2012 წლის 23 იანვარს, ანუ იმ დღეს, როცა მარეგისტრირებული ორგანოსთვის ცნობილი გახდა მხარეებს – ა. შ-ესა და ი. ს-ს შორის დასაადები ხელშეკრულების შინაარსი და მიზნები, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო, რომ მას სათანადო ცოდნით, გულისყურით და წინდახედულებით წაეკითხა 14.11.2011 წლის მინდობილობა, რა დროსაც იგი აუცილებლად მივიდოდა იმ დასკვნამდე, რომ მინდობილობა არ შეიცავდა ბინის გაყიდვის დავალებას და

რომ რწმუნებული კ. შ-ე ი. ს-თან მიმართებაში და ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების ფარგლებში არ გამოხატავდა საცხოვრებელი ბინის ნამდვილი მესაკუთრის – ა. შ-ის ნებას მასზედ, რომ მომხდარიყო ამ უძრავი ქონების წარმომადგენლის მეშვეობით გასხვისება; ამდენად, მარეგისტრირებელმა ორგანომ ისეთი ხელშეკრულების ხელმოწერი პირების ხელმოწერები დაამონა, რომლის დადების უფლებაც კ. შ-ეს არ გააჩნდა; სადავო შემთხვევაში მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა ემოქმედა სზაკ-ის 86-ე მუხლის შესაბამისად – მას კ. შ-ისთვის უნდა მოეთხოვა ნასყიდობის ხელშეკრულებაში გამყიდველი მხარის წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი, ასეთი საბუთის წარუდგენლობის შემთხვევაში მოპასუხეს უარი უნდა განეცხადებია ხელშეკრულების გაფორმებაზე (ხელმოწერების ნამდვილობის დადასტურებაზე), რითაც თავიდან იქნებოდა აცილებული უკანონო ინდ. აქტის გამოცემის შესაძლებლობა“. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ „მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ ა. შ-ის წარმომადგენელს – კ. შ-ესა და ი. ს-ს შორის 2012 წლის 23 იანვარს დადებული ხელშეკრულების დამონებებისას და შემდგომ ამ ხელშეკრულების საფუძველზე ი. ს-ის საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში დარეგისტრირებისას, ანუ 2012 წლის 24 იანვრის №... გადაწყვეტილების მიღებისას დაარღვია „ინსტრუქციის“ მე-19-20 მუხლების, ასევე, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის, ასევე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 86-ე მუხლის, ასევე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლის მოთხოვნები, რაც გასაჩივრებული ინდ. აქტის ბათილად ცნობის საფუძველია“.

ასევე აღსანიშნავია, რომ კანონიერ ძალაში შესული ამავე გადაწყვეტილებით სასამართლომ დაადასტურა ი. ს-ის კანონიერი ნდობა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 24 იანვრის №... გადაწყვეტილების მიმართ და აღნიშნა, რომ „მან დადო რა ნასყიდობის ხელშეკრულება და შემდეგ, დარეგისტრირდა რა საჯარო რეესტრში შექმნილი უძრავი ნივთის მესაკუთრედ, ამ ფაქტების გავლენით მან საკუთარი თავი დაიგულვა/მიიჩნია ნივთის (საცხოვრებელი ბინის) ნამდვილ მესაკუთრედ, 2012 წლის 24 იანვრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობით მას მიადგება ზიანი – დაკარგავს ნივთზე საკუთრების უფლებას, რომელიც მან, თანახმად 23.01.2012 წლის ხელშეკრულებისა, შეიძინა 26 000 აშშ დოლარად; ასევე, სააპელაციო სასამართლოს არ გააჩნია რაიმე საფუძველი, ფაქტი, მტკიცებულება იმისთვის, რომ ეჭვი შეიტანოს ი. ს-ის ქმედებების (ხელშეკრულების დადება, უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია-

ცია) კანონიერებაში და აქედან გამომდინარე ეჭვქვეშ დააყენოს ან საერთოდაც უარყოს სადავო შემთხვევაში ინდ. აქტის მიმართ მისი (ი. ს-ის) კანონიერი ნდობის არსებობა“.

ამდენად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, ერთი მხრივ, ბათილად იქნა ცნობილი ი. ს-ის სახელზე განხორციელებული საკუთრების უფლების რეგისტრაცია, ხოლო, მეორე მხრივ, დადასტურებულია ი. ს-ის კანონიერი ნდობის არსებობა და გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ 2012 წლის 24 იანვრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობით ი. ს-ს მიადგება ზიანი – დაკარგავს ნივთზე საკუთრების უფლებას, რომელიც მან, თანახმად 23.01.2012 წლის ხელშეკრულებისა, შეიძინა 26 000 აშშ დოლარად. ამასთან, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 1 მარტის №... გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით (რომლითაც სადავო უძრავი ქონება კვლავ ი. ს-ის სახელზე აღირიცხა) საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას მიაქცევს საქმეზე დადგენილ იმ გარემოებაზე, რომ უძრავი ნივთი, მდებარე – ქალაქ თბილისი, ...ა, მ/რ III, კვარტალი IV, კორპ. 60, ბინა №4 (68,99 კვ.მ), 2016 წლის 21 ოქტომბერს ა. შ-ეს (გამყიდველი) და დ. თ-ს (მყიდველი) შორის დადებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, დ. თ-ის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრირებული იქნა 21.10.2016 წელს. ყოველივე აღნიშნული საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას სათანადოდ არ იქნა შეფასებული ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ, რაც ადასტურებს სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საჭიროებას.

ამასთან, საკასაციო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოსთვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებისას გადამწყვეტია დადგინდეს ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისათვის კანონით განსაზღვრული აუცილებელი პირობების არსებობა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულია სახელმწიფო ორგანოებისა და მოსამსახურეების უკანონო ქმედებით დამდგარი ზიანის ანაზღაურების უფლება, კერძოდ, კონსტიტუციის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის 42.9 მუხლის (ამჟამად მოქმედი რედაქციის 18.4 მუხლი) მიხედვით, ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან. საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული უფლების

რეალიზაციას ემსახურება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავი, რომელიც უშუალოდ აწესრიგებს ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის საკითხს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის 207-ე მუხლის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. ამავე კოდექსის 208-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005.1. მუხლის შესაბამისად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს. ამავე კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად კი, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახვი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.

ამდენად, კანონმდებლობა ადგენს საჯარო მოხელის ქმედებით ან გადაწყვეტილებით მიყენებული ზიანის სახელმწიფოს მხრიდან ანაზღაურების ვალდებულებას. ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისათვის კი აუცილებელია შემდეგი პირობების არსებობა: ქმედება, რამაც ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოშვა, დაკავშირებული უნდა იყოს საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან, ამ უფლებამოსილების განხორციელების პროცესში დაშვებული დარღვევა მიმართული უნდა იყოს სხვა პირის უფლებების შელახვისკენ, მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი.

საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი სახელმწიფო ორგანოებისა და მოსამსახურეების უკანონო ქმედებით დამდგარი ზიანის ანაზღაურების უფლების რეალიზაციის პირობებში, ასევე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ი. ს-ის სახელზე განხორციელებული საკუთრების უფლების რეგისტრაციის ბათილად ცნობის საფუძველზე, ი. ს-მა უფლების რეალიზაცია მოახდინა ადმინისტრაციული ორგანოს წინააღმდეგ წარდგენილი სარჩელით, რომლის საფუძველადაც მოსარჩელე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მასზე

დაკისრებული მოვალეობის არასათანადოდ განხორციელებას მიუთითებს. ქვედა ინსტრანციის სასამართლოების შეფასება კი არ პასუხობს წარმოდგენილი სარჩელის მიზნებს. დავის ამგვარი გადაწყვეტიტ უგულებელყოფილია მხარის უფლება მოითხოვოს ადმინისტრაციული ორგანოს უკანონო ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით (2015 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №2/3/630 „საქართველოს მოქალაქე თინა ბეჟიტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“), „კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის უპირველეს მიზანს წარმოადგენს დაზარალებული პირის ინტერესების დაცვა მიყენებული ზარალის ანაზღაურების გზით. სახელმწიფო რესურსის მასშტაბის, მოცულობის და ბუნების გათვალისწინებით, სახელმწიფოს მხრიდან არამართლზომიერ ქმედებათა განხორციელება ხშირ შემთხვევებში გაცილებით მეტი საფრთხის შემცველია კერძო სუბიექტების მხრიდან განხორციელებულ ანალოგიური სახის ქმედებასთან შედარებით. ამიტომ მიყენებული ზარალის ანაზღაურების ვალდებულების დანესება ხელს უწყობს სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა თვითნებობის და ძალაუფლების უკანონოდ გამოყენების პრევენციას. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტი ზარალის ანაზღაურების უფლებას რამდენიმე წინაპირობის არსებობას უკავშირებს: 1. უნდა არსებობდეს სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა სახელით მოქმედი პირის ქმედებით პირისათვის ზარალის მიყენების ფაქტი; 2. ხსენებულ პირთა ქმედების უკანონო ხასიათი დადგენილი უნდა იყოს სათანადო წესით; 3. პირისათვის მიყენებული ზარალი გამონვეული უნდა იყოს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტში მითითებული სუბიექტების უკანონო ქმედებით და უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი უკანონო ქმედებასა და დამდგარ ზარალს შორის“.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ ი. ს-ის სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია განხორციელებულია ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო კ. შ-ემ სარეგისტრაციო სამსახურს წარუდგინა ა. შ-ის მიერ კ. შ-ის სახელზე გაცემული მინდობილობა, რაც კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მიხედვით არ შეიცავდა უძრავი ქონების გასხვისების უფლებამოსილებას. ამასთან, კასატორი სარეგისტრაციო სამსახურის წინააღმდეგ აღძრულ მოთხოვნას ასაბუთებს იმ გარემოებაზე მითითებით, რომ გარიგების რეგისტრაციისას მოპასუხე ადმინისტრაცია

ციული ორგანოს უფლებამოსილება და ვალდებულება იყო შეემონ-მებიანა გარიგების მხარის სათანადოობა, ამ შემთხვევაში რეგისტრირებული უძრავი ნივთის გამყიდველის ანუ მისი მესაკუთრის ვინაობა და რადგან გარიგებას არეგისტრირებდა წარმომადგენლის მეშვეობით, შეესწავლა წარმომადგენლობის შინაარსი და გარიგება არ დაეშვა არასათანადო მხარეებს შორის. ამდენად, წარმოდგენილი სარჩელი ეფუძნება სარეგისტრაციო სამსახურის უკანონო ქმედებას, რის გამოც მოსარჩელე სწორედ ადმინისტრაციული ორგანოსთვის ითხოვს ზიანის ანაზღაურების დაკისრებას.

ამასთან, საკასაციო სასამართლო საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას მიაქცევს სარჩელით მოთხოვნილი ასანაზღაურებელი თანხის ოდენობაზე და აღნიშნავს, რომ უძრავი ნივთის საფასური ი. ს-მა გადაუხადა კ. შ-ეს, საქმის მასალიდან კი დაზუსტებით არ დგინდება ი. ს-ის სახელზე განხორციელებული საკუთრების უფლების რეგისტრაციის ბათილად ცნობის შემდგომ, ნასყიდობის საფასური დაუბრუნდა თუ არა ი. ს-ს, თუნდაც ნაწილობრივ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ი. ს-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილითა და 412-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ი. ს-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 26 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საპროცესო ხარჯების განაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 4. მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველი

### ჯანმრთელობისათვის ჰნაზის მიყენების შედეგად დამდგარი მორალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობები

#### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-976-972(2კ-17)

17 ივლისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** ზიანისა და ადვოკატის ხარჯების ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

გ. გ-მა 2014 წლის 2 აპრილს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა მორალური ზიანის – 500 000 ლარისა და ადვოკატის ხარჯის – 2 000 ლარის ანაზღაურება.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 1995 წლიდან 2002 წლის 21 ივლისამდე მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეროვნული გვარდიის საჩხერის ... სამთო სპეციალური დანიშნულების მსუბუქი ქვეითი ბატალიონის ... ოფიცრის თანამდებობაზე, სამხედრო წოდებით კაპიტანი. 2002 წლის 21 ივლისს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოჰყვა ავტოკატასტროფაში და მიიღო მძიმე დაზიანება: კისრის მე-6 მალის მოტეხილობა, ქალატვინის დახურული ტრავმა, სახისა და შუბლის ძვლების მოტეხილობა, ზურგის ტვინის დაჟეჟილობა ც-7 დონეზე, ც-6 მალის ხაზოვანი მოტეხილობა, ზედა პარაპარეზი, ქვედა პარაპლეგია, მენჯის ღრუს ორგანოების ფუნქციის მოშლა, რის შედეგადაც დაკარგა შრომის უნარი 100%-ით, გახდა პირველი ჯგუფის ინვალიდი უვადოდ და მიეჯაჭვა ეტლს. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ ავტოკატასტროფის შედეგად მას მიადგა არამართო მატერიალური, არამედ მორალური ზიანიც, რაც უნდა ანაზღაურდეს, რადგან არაერთგზის ჩატარებული მკურნალობის მიუხედავად გ. გ-ის ჯანმრთელობის მდგო-



მარეობა არ გაუმჯობესდა, რის გამოც იგი ჩავარდა უმწეო, სასო-  
წარკვეთილ მდგომარეობაში, წაერთვა აქტიური ცხოვრების შესაძ-  
ლებლობა, შეეცვალა ცხოვრების წესი და რიტმი, დაუქვეითდა  
ცხოვრების ხალისი, გაუჩნდა არასრულფასოვნების კომპლექსი,  
მიადგა მძიმე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტკივილი, რასაც ამ-  
დაფრებდა მკურნალობისათვის საჭირო მატერიალური სახსრების  
არარსებობა. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ ავარიის შემდგომ მისი  
ოჯახის ერთადერთი შემოსავალი იყო 2003 წელს დანიშნული პენ-  
სია – 94 ლარი, რომელიც 2013 წლის 1 აპრილიდან გახდა 284 ლარი,  
რაც ვერ უზრუნველყოფს სარეაბილიტაციო და მედიკამენტოზუ-  
რი მკურნალობის ჩატარებას. გ. გ-ი მიიჩნევს, რომ მორალური ზიანის  
ანაზღაურების გონივრული და სამართლიანი ოდენობაა 500 000  
ლარი, რადგან სიცოცხლე და ჯანმრთელობა პირის აბსოლუტური  
უფლებებია, ამასთანავე, მიღებული ტრავმების შედეგად მოსარ-  
ჩელეს დაერღვა ორგანიზმის მნიშვნელოვანი ფუნქციები, რამაც  
განაპირობა შრომის უნარის სრული დაკარგვა, თვითრეალიზებისა  
და სრულფასოვანი ცხოვრების შეუძლებლობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-  
თა კოლეგიის 2014 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილებით სასარ-  
ჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, გ. გ-ს ხანდაზმულობისა და  
მიზეზობრივი კავშირის დაუდგენლობის მოტივით უარი ეთქვა სა-  
ქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის მის სასარგებლოდ მო-  
რალური ზიანის ანაზღაურების დაკისრებაზე, რაც სააპელაციო წე-  
სით გაასაჩივრა გ. გ-მა.

საქმე არაერთგზის იქნა განხილული სააპელაციო და საკასაციო  
ინსტანციის სასამართლოების მიერ და ბოლოს თბილისის სააპე-  
ლაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017  
წლის 12 ივლისის გადაწყვეტილებით გ. გ-ის სააპელაციო საჩივარი  
დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასა-  
მართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 2 დე-  
კემბრის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გა-  
დანწყვეტილება; გ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სა-  
ქართველოს თავდაცვის სამინისტროს გ. გ-ის სასარგებლოდ დაე-  
კისრა მორალური ზიანის 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარის ანაზ-  
ღაურება; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გ. გ-ის სასარ-  
გებლოდ დაეკისრა ადვოკატზე განუხლები ხარჯის 1000 (ათასი) ლა-  
რის ანაზღაურება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარ-  
ში მითითებული გარემოებები ასაბუთებდნენ გასაჩივრებული გა-  
დანწყვეტილების კანონშეუსაბამობას; სააპელაციო სასამართლოს  
მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორი სამარ-

თლებრივი შეფასება არ მისცა საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, რის გამოც არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი დასაბუთება და მიუთითა საქმეზე დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: გ. გ-ი 1995-2002 წლებში მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეროვნული გვარდიის, საჩხერის ... სამთო სპეციალური დანიშნულების მსუბუქი ქვეითი ბატალიონის (ს/ნ ... ..) ოფიცრის თანამდებობაზე, სამხედრო წოდებით – კაპიტანი. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს №... სამხედრო ნაწილის 2003 წლის 8 იანვრის №8 ცნობის თანახმად, გ. გ-ი, 2002 წლის 21 ივლისს, სამხედრო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოყვა ავტოკატასტროფაში, მიიღო ტრავმა: კისრის მე-6 მალის მოტეხილობა, ზედა პარაპარეზი, ქვედა პარაპლეგია, მენჯის ღრუს ორგანოების ფუნქციების მოშლა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კადრებისა და მთავარი სამმართველოს უფროსის 2003 წლის 4 მარტის №542 ბრძანებით კადრების განკარგულებაში მყოფი სამხედრო მოსამსახურე გ. გ-ი დათხოვნილი იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან და ჩაირიცხა რეზერვში. იგი გათავისუფლდა ზემოაღნიშნული თანამდებობიდან ავადმყოფობის გამო (საფუძველი: „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონი). საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჩხერის რაიონის სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროს 2003 წლის 16 აპრილის შემონმების აქტიდან ამონაწერით დგინდება, რომ გ. გ-ი არის პირველი ჯგუფის ინვალიდი. ინვალიდობა დადგენილია უვადოდ, რომელიც გამონევეულია სამხედრო სამსახურებრივი მოვალეობათა შესრულებისას მიღებული ტრავმებიდან.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითება მოთხოვნის ხანდაზმულობისა და მოპასუხის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის არარსებობის თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ საკასაციო სასამართლოს მითითებისა და სატრანსპორტო საშუალების მართვის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის თავისებურების გათვალისწინებით, იმ გარემოების დადგენის მიზნით, ხდებოდა თუ არა მძღოლის მიერ სატრანსპორტო საშუალების საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ნებართვით გამოყენება, საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან მოითხოვა ყველა იმ დოკუმენტის წარმოდგენა, რაც შესაძლებელს გახდიდა დადგენილიყო, არსებობდა თუ არა „ფოლკსვაგენის“ მარკის, (სახელმწიფო ნომერი „...“) ავტომანქანის ს/ნ ... ბატალიონის მეთაურის, კაპიტან გ. ო. ჩ-ისათვის მართვის უფლებით გადაცემის საფუძველი. სასამართლო დავალების საფუძველზე საქართველოს

თავდაცვის სამინისტრომ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯარების ლოგისტიკის უზრუნველყოფის სარდლობიდან, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტიდან, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ეროვნული გვარდიიდან, პოლკოვნიკ ბესიკ ქუთათელაძის სახელობის საჩხერის სამთო მომზადების სკოლიდან და სახმელეთო ჯარების აღმოსავლეთ სარდლობიდან მოითხოვა სათანადო ინფორმაციის მიწოდება. ზემოაღნიშნული უწყებებიდან ინფორმაცია წარმოდგენილი ვერ იქნა, მოთხოვნილი ინფორმაციის არარსებობის მოტივით. სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსზე მითითებით გაითვალისწინა სისხლის სამართლის საქმის №62022013 შეწყვეტის შესახებ დადგენილებისათვის პრეიუდიციული მნიშვნელობის მინიჭების შეუძლებლობა, თუმცა მიიჩნია, რომ არ არსებობს აღნიშნული დოკუმენტის მტკიცებულებებიდან ამორიცხვის საფუძველი და მასზე, როგორც ერთ-ერთ მტკიცებულებაზე დაყრდნობით მიუთითა შემდეგზე: დადგენილებაში აღნიშნულია, რომ 2002 წლის 21 ივლისს, შემთხვევის დროს, ა/მანქანა „ფოლკსვაგენს“ მართავდა გ. ჩ-ე, ა/მანქანა ეკუთვნოდა საჩხერის გვარდიის ს/ნაწილს ..., მანქანას „სისტემატიურად“ მართავდა კაპიტანი გ. ჩ-ე და 2002 წლის 21 ივლისს, შემთხვევის დროსაც, პირადად იჯდა ავტომანქანის საჭესთან. ამავე სისხლის სამართლის საქმის მასალებში დაცულია ს/ნაწილი №..., ჯ-1 გვარდიის მაიორის ი. გ-ის მიერ ქუთაისის რეგიონის სამხედრო პროკურორის სახელზე გაკეთებული განმარტება, რომელშიც აღნიშნულია, რომ 21 ივლისს ბატალიონის მეთაური გვარდიის კაპიტანი გ. ო. ჩ-ე, ლოგისტიკის ოფიცერი გვ. კაპიტანი გ. ვ. გ-ი და სპეც. დანიშნულების რაზმის „ღამის მგლების“ ... სპეც ჯგუფის პირველი ათეულის მსროლელი – კ. ბ. შ-ე იმყოფებოდნენ ბანაკში, მორიგ შემოვლაზე და გეგმით დადგენილ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად. ამავე საქმეში დაცულია მტკიცებულებები, რომლითაც დასტურდება, რომ პროექტის „თოროსანი – 2002-ის“ მატერიალური და ფინანსური დახმარება ევალებოდა ეროვნული გვარდიის ... გ. გ-ი სამთო სპეციალური დანიშნულების მსუბუქი ქვეითი ბატალიონის მეთაურს გ. ჩ-ეს. სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ა/მანქანის საჩხერის გვარდიის ...ს/ნაწილისადმი კუთვნილება, გ. ჩ-ის მხრიდან მისი მართვის სისტემატიურობა და ის გარემოება, რომ გ. ჩ-ე კონკრეტულ შემთხვევაში ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას, ასაბუთებს იმ მოსაზრებას, რომ სატრანსპორტო საშუალების გამოყენება ხდებოდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ნებართვით. სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, თუ პი-

რი სატრანსპორტო საშუალებას იყენებს მფლობელის ნებართვის გარეშე, იგი ვალდებულია მფლობელის ნაცვლად ანაზღაუროს ზიანი. ამასთან, მფლობელი ვალდებულია ანაზღაუროს მიყენებული ზიანი, თუ სატრანსპორტო საშუალების გამოყენება შესაძლებელი გახდა მისი ბრალის გამო. ამ ნაწილის პირველი წინადადება არ გამოიყენება, თუ მოსარგებლე მფლობელის მიერ დანიშნულია სატრანსპორტო საშუალების სამართავად, ან თუ ეს სატრანსპორტო საშუალება მას გადაცემული ჰქონდა მფლობელისაგან. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით ის გარემოება, რომ საჩხერის გვარდიის კუთვნილ ა/მანქანას სისტემატიურად მართავდა გ. ჩ-ე, იმ გარემოების დაშვების პირობებშიც კი, თუ დადასტურდებოდა, რომ გ. ჩ-ეს არ გააჩნდა ავტოსანტრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ვერ მოხსნის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პასუხისმგებლობის საკითხს, რამდენადაც სატრანსპორტო საშუალების გამოყენება შესაძლებელი გახდა მისი უმოქმედობის გამო, კერძოდ, სამინისტრომ არ აღკვეთა ბატალიონის კუთვნილი ავტომანქანის უკანონო გამოყენების მრავალჯერადი ფაქტი, რაც, იმავე ზემოაღნიშნული მუხლის საფუძველზე, წარმოშობს მფლობელის ვალდებულებას ანაზღაუროს მიყენებული ზიანი. საქმეში წარმოდგენილი სისხლის სამართლის საქმის №62022013 შეწყვეტის შესახებ დადგენილებიდან დასტურდება, რომ 2002 წლის 21 ივლისს, შემთხვევის დროს, ა/მანქანა „ფოლკსვაგენს“ მართავდა გ. ჩ-ე, რა დროსაც მან ვერ უზრუნველყო მოძრაობის უსაფრთხოების ზომების დაცვა, რამაც გამოიწვია ა/მანქანის გადაბრუნება, გ. შ-ის გარდაცვალება, ხოლო გ. გ-ის სხეულის მძიმე დაზიანება. სისხლის სამართლის საქმით დადგინდა, რომ გ. ჩ-ემ ჩაიდინა დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით, თუმცა ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მისაცემი პირის გარდაცვალების გამო სისხლის სამართლის საქმე შეწყდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლის ბრალეული ქმედების შედეგად მოსარჩელემ მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება, თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლის ქმედებით გამოწვეული მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევას მოჰყვა ის შედეგი, რომ მოსარჩელე გახდა პირველი ჯგუფის ინვალიდი, დაკარგა შრომის უნარი უვადოდ, არის ეტლზე მიჯაჭვული და მოკლებულია დამოუკიდებლად მოძრაობისა და გადაადგილების შესაძლებლობას. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქმეზე გამოკვეთილი ფაქტობრივი გარემოება ქმნის იმის მტკიცების საკმარის საფუძველს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მომუშავე თანამ-

შრომლის ბრალეულ ქმედებას და მოსარჩელის ამჟამინდელ მდგომარეობას შორის არსებობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, რაც სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე გამორიცხავს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პასუხისმგებლობის უარყოფის შესაძლებლობას. სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლზე დაყრდნობით სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სხეულის დაზიანება, ჯანმრთელობის მოშლა უდავოდ იწვევს არაქონებრივი (მორალური) ზიანის მიყენებას, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა და რის გამოც მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსაზრება მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე და მიუთითა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მორალური ზიანის მიყენების ფაქტი უპირობოდ არ უკავშირდება ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების მომენტს, რადგან გ. გ-ი მკურნალობის სარეაბილიტაციო კურსს გადიოდა უკრაინაში, ბურდენკოს სახელობის სამკურნალო სარეაბილიტაციო ცენტრში. საქმეზე მოწმეთა სახით დაკითხულმა პირებმა დაადასტურეს, რომ მათი შეხვედრა და ნაცნობობა გ. გ-თან 2003, 2006 და 2010 წლებში შედგა უკრაინაში, ბურდენკოს სახელობის სამკურნალო სარეაბილიტაციო ცენტრში. მოწმეთა ახსნა-განმარტებით დგინდება, რომ ყველა მათგანი, ჯანმრთელობის მდგომარეობის თვალსაზრისით, იმყოფებოდა თითქმის ანალოგიურ სიტუაციაში, თუმცა პროგრესი მათთან მიმართებაში სახეზეა. კლინიკა, მართალია არ იძლევა განკურნების გარანტიას, მაგრამ პაციენტს ეძლევა შესაძლებლობა დაძლიოს მე-3 პირზე მისი სრული დამოკიდებულება, აღიდგინოს მოძრაობები, შესძლოს ეტლის მეშვეობით დამოუკიდებლად გადაადგილება და ყოფითი და ჰიგიენური პრობლემების მე-3 პირის აქტიური ჩარევის გარეშე მოწესრიგება. 2012 წელს მოსარჩელეს, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, ქ. ერევანში ჩაუტარდა ოპერაცია და მარჯვენა ბარძაყის არემი დაუდგინდა მკვეთრი დესტრუქციული პროცესი, მოსარჩელის განმარტებით, აღნიშნულის შემდგომ, რეაბილიტაციის კურსმა დაკარგა აზრი და გახდა ცხადი, რომ პროგრესის მიღწევა ჯანმრთელობის გაუმჯობესების თვალსაზრისით იყო შეუძლებელი. სააპელაციო სასამართლო მორალური ზიანის წარმომობის ფაქტს უკავშირებს სწორედ იმ მომენტს, როდესაც მოსარჩელემ საბოლოოდ დაკარგა რეაბილიტაციის იმედი და რწმენა იმისა, რომ მკურნალობის რალაც ეტაპზე არასრულად, მაგრამ შესაძლებელი იყო რეალური შედეგის მიღება. მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მორალური ზიანის დადგომა არ უკავშირდება ცალსახად ზიანის მიყენების მომენტს და არ ქმნის ხან-

დაზმულობის მოტივით მოთხოვნის უარყოფის საფუძველს. მორალური ზიანის გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების თაობაზე სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლში გაკეთებული მითითების შესაბამისად, სასამართლო ზიანის ოდენობის განსაზღვრის პროცესში მხედველობაში იღებს ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის ხარისხსა და საქმის ინდივიდუალურ თავისებურებებს. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მორალური ზიანის ანაზღაურება ვერ უზრუნველყოფს ხელყოფილი უფლების რესტიტუციას, რამდენადაც ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება ფულადი ფორმით არის შეუძლებელი. კომპენსაციის მიზანს წარმოადგენს მხოლოდ ნეგატიური განცდების შემსუბუქება, რომელიც დაეხმარება მოსარჩელეს სულიერი წონასწორობის მიღწევაში. კომპენსაციის განსაზღვრისას სააპელაციო სასამართლო მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს არ ჰქონდა მოსარჩელისთვის ზიანის მიყენების განზრახვა, ასევე დავის განხილვის იმ ეტაპზე გაითვალისწინა მოსარჩელის განცდები, რაც უკავშირდება ხანგრძლივ სასამართლო პროცესებს და მორალური ზიანის ასანაზღაურებელი საკომპენსაციო თანხა განსაზღვრა 25 ათასი ლარის ოდენობით და მისი გადახდა დაეკისრა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს.

რაც შეეხება ადვოკატის მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, სააპელაციო სასამართლომ მოთხოვნის დაკმაყოფილებული ნაწილისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის პრინციპების გათვალისწინებით მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გ. გ-ის სასარგებლოდ უნდა დაკისრებოდა ადვოკატის მომსახურებისათვის განეული ხარჯი 1000 ლარის ოდენობით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და გ. გ-მა. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მის მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა. გ. გ-მა მის მიერ გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორი – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მიუთითებს, რომ 2002 წლის 21 ივლისს გ. გ-მა ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მიიღო სხეულის დაზიანება. აღნიშნულ ფაქტზე დაწყებული სისხლის სამართლის საქმეზე შეწყდა გამოძიება ბრალდებულის გარდაცვალების გამო. სისხლის სამართლის საქმის მასალებით და სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ დადგენილებით ირკვევა,

რომ 2002 წლის 21 ივლისს ქ. საჩხერეში ... ქუჩაზე მოძრაობდა ამავე სამხედრო ნაწილის მეთაური კაპიტანი გ. ჩ-ე, რა დროსაც მან ვერ უზრუნველყო მოძრაობის უსაფრთხოების ზომების დაცვა და ავტომანქანა გადაბრუნდა, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად გარდაიცვალნენ გ. ჩ-ე და გ. შ-ე, ხოლო მეორე მგზავრმა ... ოფიცერმა გ. გ-მა მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება. კასატორი მიუთითებს, რომ ეროვნული გვარდიის დეპარტამენტის მეთაურის – გ. ჩ-ის ბრძანებიდან ირკვევა, რომ ეროვნული გვარდიის სარდლობასთან შეთანხმებით დაკმაყოფილდა ახალგაზრდულ საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის ახალგაზრდობის რაიონული განყოფილების თხოვნა – საზაფხულო ბანაკის მოწყობის თაობაზე. ... ხეობაში ჯრუჭის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე ნაწილიდან 11 კმ-ის დაშორებით სოფ. ... ბანაკის სურსათით მომარაგება დაეწავლა ... ოფიცერს გ. გ-ს. კასატორი აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილია საზაფხულო ბანაკ ცხომარეთში „თოროსანი – 2002“ დაგეგმილი აქტივობების ცხრილი, საიდანაც დგინდება მათი ღონისძიებები, რომ ბანაკი ღამის 10 სთ-დან 11 სთ-მდე მიდის დასაძინებლად.

კასატორი მიუთითებს, რომ ბანაკი დასაძინებლად უნდა წასულიყო 11 საათზე, რაც ადასტურებს იმას, რომ ამ პერიოდისთვის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები დამთავრებული უნდა ყოფილიყო, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა ღამის 2 საათსა და 30 წუთზე, რაც დგინდება საჩხერის საგამოძიებო განყოფილების დადგენილებით სისხლის სამართლის საქმის ქვემდებარეობით გადაგზავნის შესახებ, საგზაო სატრანსპორტო შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, სადაც მითითებულია, რომ დათვალიერება დაიწყო 3 საათსა და 30 წუთზე, შემთხვევის შესახებ შეტყობინება მიღებული იქნა 2 საათსა და 50 წუთზე. სასამართლოს არ შეუფასებია ის გარემოებანი, რომლებიც ადასტურებს, რომ საზაფხულო ბანაკი მდებარეობდა სამხედრო ნაწილიდან 11 კმ-ის მოშორებით და ბანაკთან კავშირისათვის გამოყოფილი იყო მეკავშირე ავტომანქანა, მძლარი და სანვაგი, მათი უსაფრთხოებისა და მომარაგების მიზნით. სამხედრო ნაწილის მეთაურის მოვალეობას არ წარმოადგენდა გეგმა ღონისძიებაში მონაწილეობა და ბანაკის შემწეობა, ასევე მას არ ჰქონდა ამ კონკრეტულ შემთხვევაში უფლებამოსილება ემართა „ფოლკსვაგენი“ მარკის მანქანა სახ. ნომრით ..., ვინაიდან ბანაკთან დაკავშირებისა და უსაფრთხოების მიზნით გამოყოფილი იყო სხვა ავტომანქანა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მიუთითებს, რომ გენერალ-მაიორ რამიშვილის სახელობის ცენტრალური სამხედრო ჰოსპიტალი სამხედრო საექიმო კომისიის მიერ 2003 წლის 30 იანვარს შემოწმებულ იქნა გ. გ-ი და გაიცა ავადმყოფობის მოწმობა №7, სა-

იდანაც ირკვევა, რომ გ. გ-ი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცენტრალურ კლინიკაში 2002 წლის 21 ივლისიდან 2003 წლის 5 აგვისტომდე გადიოდა მკურნალობას. სამხედრო საქეიმო კომისიის დასკვნით, დავადებათა ცხრილის საფუძველზე უვარგისია სამხედრო სამსახურისთვის და 2003 წლის 4 მარტს დათხოვნილი იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან ავადმყოფობის გამო. კასატორი მიუთითებს, რომ საქართველოს შრომის, ჯამრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს საჩხერის სამედიცინო-სოციალური ბიუროს 2003 წლის 16 მარტის №30 შემონმების აქტით გ. გ-ს დაუდგინა პირველი ჯგუფის ინვალიდობა. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის ივნისის გადაწყვეტილებით გ. გ-ს დაენიშნა პენსია „სამხედრო და შინაგან საქმეთა ორგანოების სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 16 იანვრის განჩინებით გ. გ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; გ. გ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებლად და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მათი შესწავლისა და ანალიზის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივების შემონმების საფუძველზე მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. გ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია და დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ გ. გ-ი 1995-2002 წლებში მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეროვნული გვარდიის, საჩხერის ... სამთო სპეციალური დანიშნულების მსუბუქი ქვეითი ბატალიონის ... (...) ოფიცრის თა-



ნამდებობაზე, სამხედრო წოდებით – კაპიტანი. გ. გ-ი 2002 წლის 21 ივლისს მოყვა ავტოკატასტროფაში, მიიღო ტრავმა: კისრის მე-6 მალის მოტეხილობა, ზედა პარაპარეზი, ქვედა პარაპლეგია, მენჯის ღრუს ორგანოების ფუნქციების მოშლა, თავის და ხერხემლის დახურული ტრავმა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კადრებისა და მთავარი სამმართველოს უფროსის 2003 წლის 4 მარტის №542 ბრძანებით კადრების განკარგულებაში მყოფი სამხედრო მოსამსახურე გ. გ-ი დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან და ჩაირიცხა რეზერვში, ავადმყოფობის გამო. გ. გ-ი არის პირველი ჯგუფის ინვალიდი, უვადოდ. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეროვნული გვარდიის საჩხერის ... სამთო სპეციალური დანიშნულების მსუბუქი ქვეითი ბატალიონის (ს/ნ...) ... (...) ოფიცერი გ. გ-ი იღებდა სამხედრო წოდებისათვის სარგოს – 4.53 ლარს, თანამდებობრივ სარგოს – 39.24 ლარს, ნამსახურეობის პროცენტულ დანამატს – 8.75 ლარს, კვების კომპენსაციას – 59 ლარს, სულ 111.52 ლარს, საიდანაც დაენიშნა პენსია – 94.79 ლარი. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის (საქმე №3/3294-03) გადაწყვეტილებით გ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს გ. გ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ყოველთვიურად 9.33 ლარის გადახდა 2003 წლის 1 ივლისიდან, ასევე მიუღებელი საპენსიო დანამატის სხვაობა 2003 წლის აპრილიდან. 2013 წლის 1 აპრილიდან გადაანგარიშების შედეგად გ. გ-ს დანიშნული აქვს კომპენსაცია თვეში 284 ლარის ოდენობით.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემული დავა თავდაცვის სამინისტროსათვის მორალური ზიანის – 500000 ლარის დაკისრების მოთხოვნით 2016 წლის 11 მაისს განიხილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ და გამოიტანა განჩინება, რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და გ. გ-ის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. საკასაციო პალატა კვლავ მიუთითებს №ბს-710-702(2კ-15) საქმეზე მის მიერ გამოტანილ განჩინებაში მოყვანილ მსჯელობაზე, რომელის თანახმად, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ პირს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დაეკისრება, თუ არსებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მი-

სი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ამავე კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი ადგენს დელიქტური პასუხისმგებლობის დაკისრების ზოგად ნინაპირობებს, კერძოდ, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დგება, თუ სახეზეა ზიანი, ზიანი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი და ზიანის მიმყენებელს მიუძღვის ბრალი. კანონმდებლობა ზიანის ლეგალურ დეფინიციას არ იცნობს, თუმცა ზიანის ცნებაში მოიაზრება პირის სამართლებრივად დაცულ სიკეთეზე გარკვეული ზემოქმედებით გამოწვეული უარყოფითი შედეგები. განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით, კერძოდ, ტრავმის შესახებ 2003 წლის 8 იანვრის №19 ცნობით, 2003 წლის 5 თებერვალს დამტკიცებული 2003 წლის 30 იანვრის №7 ავადმყოფობის მონმობით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კადრების მთავარი სამმართველოს უფროსის 2003 წლის 4 მარტის №542 ბრძანებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2003 წლის 16 აპრილის სსებ შემომწეების აქტის ამონაწერით, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ 2014 წლის 24 თებერვლის ცნობით, სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ ქუთაისის რეგიონული სამხედრო პროკურორის 2002 წლის 20 ოქტომბრის დადგენილებით დასტურდება, რომ 2002 წელს მომხდარი ავტოავარიის შედეგად გ. გ-მა მიიღო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, რის შედეგადაც გახდა შესაძლებლობის მკვეთრად შეზღუდული სტატუსის მქონე უვადოდ, სამხედრო სამსახურისათვის უვარგისი და განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან ავადმყოფობის გამო. განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით, უდავოდ დასტურდება, რომ გ. გ-ის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება გამოიწვია ... 2002 წლის 21 ივლისს მომხდარმა ავტოსაგზაო შემთხვევამ.

საკასაციო პალატამ №ბს-710-702(2კ-15) საქმეზე 2016 წლის 11 მაისს გამოტანილ განჩინებაში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს მიერ მოცემულ საქმეზე დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე დასაადგენ ფაქტობრივ გარემოებებზე და აღნიშნა, რომ დელიქტის შედეგად დამდგარი ზიანი შესაძლოა იყოს ქონებრივი (მატერიალური) და არაქონებრივი (მორალური). სამართალდარღვევის მატერიალური შედეგი, რომელსაც აქვს ღირებულებითი ფორმა მი-

ინწევა მატერიალურ ზიანად, ხოლო პირის სიცოცხლისთვის, ჯანმრთელობისა და თავისუფლებისთვის მიყენებული ზიანი, რომელიც დაკავშირებულია პირის სულიერ ტანჯვასთან არამატერიალური ზიანია. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება, სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში. მოცემულ საქმეზე უდავოდ დასტურდება, რომ გ. გ-მა მიიღო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, რაც ქმნის მორალური ზიანის ანაზღაურების ზოგად საფუძველს, თუმცა მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე ვრცელდება კანონმდებლობით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადა.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სასამართლოსათვის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის გაადვილების, ვალდებულების შესრულებაზე კონტროლის, მოვალის დაცვის და ბრუნვის მონაწილეთა აქტიურობის სტიმულირების მიზნით კანონმდებლობა ითვალისწინებს ხანდაზმულობის ინსტიტუტს. ხანდაზმულობა არის ვადა, რომლის განმავლობაში უფლებადარღვეულ პირს ეძლევა შესაძლებლობა მოითხოვოს თავისი უფლების იძულებით განხორციელება ან დაცვა.

სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლის თანახმად, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა სამ წელს შეადგენს. ცალკეულ, საგამონაკლისო შემთხვევაში არ არის გამორიცხული მორალური და მატერიალური ზიანის განსხვავებულ მომენტებში დადგომის შესაძლებლობა, თუმცა აღნიშნული არ უარყოფს მორალური ზიანის მოთხოვნის მიმართ ხანდაზმულობის ვადის მოქმედებას. განსახილველ შემთხვევაში 2002 წლის 21 ივლისს მიღებული დაზიანებების (კისრის მე-6 მალის მოტეხილობა, ქალა-ტვინის დახურული ტრავმა, სახისა და შუბლის ძვლების მოტეხილობა, ზურგის ტვინის დაჟეჟილობა ც-7 დონეზე, ზედა პარაპრეზი, ქვედა პარაპლევია, მენჯის ღრუს ორგანოების ფუნქციის მოშლა) შედეგად გ. გ-მა 100%-ით დაკარგა შრომის უნარი და გახდა პირველი ჯგუფის ინვალიდი უვადოდ, რაც არ ტოვებდა სრულად გამოჯანმრთელების, შემდგომში სამხედრო სამსახურის გაგრძელების პერსპექტივას, შესაბამისად, არ დასტურდება მატერიალური ზიანისა და მორალური ზიანის დადგომის მომენტებს შორის სხვაობა, მორალური ზიანის სხვა, უფრო გვიანდელი პერიოდიდან ათვლის შესაძლებლობა. „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ 2001 წლის 7 დეკემბრის კანონის თა-

ნახმად, სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის წამყვან პოზიცი-  
ად ითვლება პირის სამედიცინო და სოციალური სტატუსის დარ-  
ღვევის ან მისი დაკარგვის ხარისხის განსაზღვრა, კომპენსაციურ-  
ადაპტაციური შესაძლებლობები (4.3, 52.2 მუხ.), პირის შესაძლებ-  
ლობის სტატუსის განსაზღვრას, სამედიცინო-სოციალური ექსპერ-  
ტიზის საკითხების გადაწყვეტას საფუძველად უდევს კლინიკურ-  
ფუნქციონალური, სოციალურ-საყოფაცხოვრებო, პროფესიულ-  
შრომითი და ფსიქოლოგიური მონაცემების კომპლექსური შეფა-  
სება (მე-5 მუხ.), სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზა ტარდება  
შესაბამისი სადიაგნოსტიკო-სამკურნალო და სარეაბილიტაციო  
ლონისძიებების განხორციელების შემდეგ (მე-6 მუხ.). საქმეში და-  
ცული საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური  
დაცვის სამინისტროს სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის საჩ-  
ხერის ბიუროს 2003 წლის 16 აპრილის შემონმების აქტის ამონაწე-  
რის თანახმად, გ. გ-ს დაუდგინდა ინვალიდობის პირველი ჯგუფი.  
სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროს 2003 წლის 16 აპ-  
რილის შემონმების აქტის ამონაწერით ირკვევა, რომ სამხედრო  
სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიღებული ტრავმით  
გ. გ-ს ინვალიდობა დაუდგინდა უვადოდ. ამდენად, შესაძლებლო-  
ბის მკვეთრად შეზღუდული ხარისხი, დასახიჩრების შეუქცევადი  
შედეგი, ჯანმრთელობის მოშლა ორგანიზმის ფუნქციის მყარი და  
მკვეთრი დარღვევით, აღნიშნულის შედეგად აქტიური ცხოვრე-  
ბის შეუძლებლობა, ცხოვრების წესის და რიტმის შეცვლა, ნერვი-  
ული განცდები ტრავმის მიღებისთანავე იყო ცხადი. ჯანმრთელო-  
ბის მდგომარეობის შესახებ 2014 წლის 24 თებერვლის ცნობის მი-  
ხედვით გ. გ-ი არის შესაძლებლობის მკვეთრად შეზღუდული სტა-  
ტუსის მქონე. გ. გ-ისათვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე  
პირის სტატუსის მინიჭების დროს მკვეთრად გამოხატული შესაძ-  
ლებლობის შეზღუდვის სტატუსის უვადოდ დადგენის საფუძ-  
ვლებს ადგენდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სო-  
ციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 13 იანვრის N1/6 ბრძანე-  
ბით დამტკიცებული ინსტრუქცია „შესაძლებლობის შეზღუდვის  
სტატუსის განსაზღვრის წესის შესახებ“ (მე-9 მუხ.). ამავე პერი-  
ოდში მოქმედი „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“  
კანონის 22-ე მუხლის მიხედვით, პირს იმ შემთხვევაში უდგინდე-  
ბოდა შრომისუნარიანობის 100%-ით დაკარგვა, თუ დაზარალებულს  
ჰქონდა ორგანიზმის ფუნქციის გამოხატული დარღვევა, რაც შე-  
უძლებელს ხდიდა ან აბრკოლებდა ნებისმიერი შრომის შესრულე-  
ბას, მათ შორის სპეციალურად შექმნილ პირობებშიც კი. საქართვე-  
ლოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულე-  
ბით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშა-

კის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის“ 34-ე მუხლის საფუძველზე მუშაკისათვის ტრავმით და პროფესიული დაავადების შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება ხდება სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით. აღნიშნული წესი მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით არ ითვალისწინებდა რაიმე სპეციალურ რეგულირებას. საკასაციო პალატა აღნიშნავდა, რომ სასარჩელო ხანდაზმულობის სპეციალური ვადები მხოლოდ ნორმატიულად შეიძლება განისაზღვროს. განსახილველ შემთხვევაში მოსამსახურის მოვალეობის შესრულებისას მოსამსახურის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დამდგარი მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებით ხანდაზმულობის სპეციალური ვადა გათვალისწინებული არ არის, შესაბამისად, მასზე უნდა გავრცელდეს სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლით განსაზღვრული სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა.

საკასაციო პალატის მითითებით, ხანდაზმულობის ვადის წარმოშობის საფუძველია უფლების დარღვევა, თუმცა ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყება უკავშირდება სუბიექტურ ფაქტორს, ანუ იმ მომენტს, როდესაც დაზარალებულმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლებების დარღვევის – ზიანის დადგომის და ზიანის მიმყენების შესახებ. სუბიექტურ ფაქტორს ყურადღება ექცევა იმ შემთხვევაში უკეთეს ხანდაზმულობის წარმოშობის მომენტის დადგენა ობიექტურად შეუძლებელია. საერთო წესის თანახმად, ივარაუდება, რომ დაზარალებულმა უფლების დარღვევისთანავე შეიტყო დამდგარი ზიანის შესახებ. საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს აწევს, რადგან თითოეულმა მხარემ უნდა ამტკიცოს გარემოებანი, რომელზედაც ამყარებს თავის მოთხოვნას (სსკ-ის 102-ე მუხ.). ზიანის დადგომის შესახებ მოსარჩელისათვის ცნობილი იყო ავტოავარიის შედეგად დასახიჩრების მიღების, ორგანიზმის მნიშვნელოვანი ფუნქციების დარღვევის, შრომის უნარის დაკარგვისთანავე. გ. გ-ს პირველი ჯგუფის ინვალიდობა დაუდგინდა ტრავმის მიღებიდან მოკლე პერიოდში. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჩხერის რაიონული სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროს 2003 წლის 16 აპრილის შემონმების აქტი ადასტურებს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ტრავმის მიღებას და არა კანონით განსაზღვრულ ხანდაზმულობის ვადაში სარჩელის აღძვრას. საქმის მასალების მიხედვით, სარჩელი მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ აღძრულია 2014 წლის 2 აპრილს შესაბამისად არ დასტურდება მოსარჩელის მიერ არათუ სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლით გათვალისწინებული სამწლიანი, არამედ

აგრეთვე სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ხანდაზმულობის საერთო ათწლიანი ვადის დაცვა. ამასთანავე, საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო პალატა არ უთითებდა ხანდაზმულობის ვადის ათვლის სხვა მომენტს. ამასთან, ყურადღება იქნა გამახვილებული იმ გარემოებაზე, რომ უკვე 2003 წელს გ. გ-მა სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მატერიალური ზიანის – საპენსიო დანამატის სხვაობის ანაზღაურება, ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის ივნისის №3/3294-03 გადაწყვეტილებით, „სამხედრო და შინაგან საქმეთა ორგანოების სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის საფუძველზე მისი მოთხოვნა დაკმაყოფილდა. ამდენად, მოსარჩელისათვის დამდგარი ზიანის და ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ ინფორმაცია ზიანის დადგომისთანავე იყო ცნობილი, გ. გ-ს ჰქონდა სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობა, თუმცა არ იკვეთება ხანდაზმულობის ვადის განმავლობაში მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად სასამართლოსადმი მიმართვის, ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერების, შეწყვეტის, მატერიალურ ზიანთან ერთად მორალური ზიანის ხანდაზმულობის ვადის ათვლის გამომრიცხავი გარემოება.

საკასაციო პალატამ ასევე განმარტა, რომ მოსარჩელის მიერ წარუშლელი დასახიჩრების მიღება არ გამოორიცხავს მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დაცულობას, ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებზე (პირადი არაქონებრივი უფლებები, მეანობრეთა მოთხოვნები ანაბრების გამო (სკ-ის 128.2 მუხ.)), რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს. საკასაციო პალატის მითითებით, მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლის მომენტი უნდა განისაზღვროს საქმის კონკრეტული გარემოებების შეფასების შედეგად. განსახილველ საქმეში არ დასტურდება მატერიალური ზიანის დადგომის მომენტისაგან განსხვავებულად მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ათვლის შესაძლებლობა.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ხანდაზმულობის ვადის გასვლით ისპობა სასამართლოს ან სხვა ორგანოს მეშვეობით პირის მოთხოვნის იძულებით განხორციელების შესაძლებლობა, მაგრამ არა სასამართლოსათვის ან სხვა ორგანოსათვის მიმართვის უფლება. მიმართვის უფლება რაიმე დროით შეზღუდული არ არის, ხანდაზმულობის ვადის გასვლა (სარჩელის კანონით დადგენილ ვადაში წარდგენის აუცილებლობისაგან განსხვავებით) არ აბრკოლებს

სასამართლოსადმი ან სხვა ორგანოსადმი მიმართვის უფლებას. ხანდაზმულობის ვადის გავლა სპობს უფლების იძულებითი განხორციელების შესაძლებლობას მატერიალური და არა პროცესუალური თვალსაზრისით. ხანდაზმულობის ვადის გავლის მიუხედავად მოთხოვნა განხილული უნდა იქნეს და თუ გამოირკვევა, რომ არ არსებობს ხანდაზმულობის ვადის შეჩერების (სკ-ის 132-ე, 134-ე მუხ.) ან შეწყვეტის (სკ-ის 137-ე, 138-ე, 139-ე მუხ.) საფუძვლები, მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ გ. გ-ის საკასაციო საჩივარში დასმული მორალური ზიანის ოდენობის საკითხზე მსჯელობა შესაძლებელი იქნებოდა ხანდაზმულობის საკითხის გადაწყვეტის შემდეგ. დაზარალებულის ცხოვრების პირობებს (საოჯახო, ყოფითი, მატერიალური), სუბიექტურ დამოკიდებულებას, ნეგატიური ფსიქოლოგიური გავლენების ინტენსივობას მნიშვნელობა აქვს მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისათვის, ხოლო უკანასკნელს თავის მხრივ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დაცვის პირობებში.

ზემოაღნიშნული დასაბუთებით საქმის ხელახალი განხილვისას სასამართლოს სრულყოფილად უნდა გამოეკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სწორი სამართლებრივი შეფასება მიეცა შეკრებილი მტკიცებულებებისთვის. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მის მიერ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ და „ე1“ ქვეპუნქტების საფუძველზე გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენს. რამდენადაც, სააპელაციო სასამართლომ მორალური ზიანის მიყენების ფაქტი დაუკავშირა 2012 წელს მოსარჩელის ჯანმრთელობის გაუარესების გამო, ქ. ერევანში ჩატარებულ ოპერაციას, რომლის შედეგად გ. გ-ს მარჯვენა ბარძაყის არეში დაუდგინდა მკვეთრი დესტრუქციული პროცესი და შესაბამისად, ზიანის წარმოშობის ფაქტი სააპელაციო პალატის მოსაზრებით სწორედ იმ მომენტს უკავშირდება, როდესაც მოსარჩელემ საბოლოოდ დაკარგა რეაბილიტაციის იმედი და რწმენა იმისა, რომ მკურნალობის რაღაც ეტაპზე არასრულად, მაგრამ შესაძლებელი იყო რეალური შედეგის მიღება. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლო აღნიშნულ მსჯელობას აფუძნებს მოსარჩელის ახსნა-განმარტებას და მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე დადასტურებულად მიიჩნევს გ. გ-ის მიერ 2003, 2006 და 2010 წლებში უკრაინაში, ბურდენკოს სახელობის სამკურნალო სარეაბილიტაციო ცენტრში სამკურნალო სარეაბილიტაციო კურსის გავლას, ხოლო გადიოდა თუ

არა ნამდვილად მოსარჩელე აღნიშნულ დაწესებულებაში სამკურნალო სარეაბილიტაციო კურსს და რა შედეგის მისაღწევად ხორციელდებოდა მისი ვიზიტი აღნიშნულ დაწესებულებაში არ დასტურდება რაიმე სახის წერილობითი მტკიცებულებით (სსსკ. 102.3 მუხლი). შესაბამისად, სასამართლოს დასკვნა ემყარება მოსარჩელის სუბიექტურ დამოკიდებულებას მისი ფიზიკური და სამართლებრივი მდგომარეობის მიმართ, რაც სასამართლოსათვის არ ქმნის ობიექტური გარემოებების უგულებელყოფის საფუძველს. საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ გაამაზვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ სუბიექტურ ფაქტორს ყურადღება ექცევა იმ შემთხვევაში უკეთეს ხანდაზმულობის წარმოშობის მომენტის დადგენა ობიექტურად შეუძლებელია. მოცემულ შემთხვევაში ზიანს წარმოადგენს ავტოავარიის შედეგად ხილული ჯანმრთელობის დაზიანება: დასახიჩრება, ორგანიზმის მნიშვნელოვანი ფუნქციების დარღვევა, შრომის უნარის დაკარგვა, რაც იმთავითვე იყო ცნობილი მოსარჩელისათვის. ამასთან, გ. გ-ს 100%-ით შრომის უნარის დაკარგვის გამო პირველი ჯგუფის ინვალიდობა უვადოდ დაუდგინდა ტრავმის მიღებიდან მოკლე პერიოდში. შესაბამისად, ობიექტური შეფასებით მოსარჩელის მორალური განცდები უკავშირდება სწორედ იმ დროს, როდესაც საავარიო შემთხვევის შედეგად მიიღო ჯანმრთელობის იმგვარი დაზიანებები, რომლებიც არ იძლეოდა ცხოვრების ჩვეულებრივი წესით გაგრძელების შესაძლებლობას. ამასთან, ხანდაზმულობის ვადის აღდგენის საფუძველს არ ქმნის ზიანის ფაქტის დადგომიდან ხანგრძლივი დროის გასვლის შემდეგ მკურნალობისა და ქირურგიული მანიპულაციების შედეგად ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, რამდენადაც აღნიშნული პირდაპირ კავშირშია 2002 წლის 21 ივლისის მიღებულ ტრავმასთან და გ. გ-ის იმ დროინდელი დიაგნოზი (კისრის მე-6 მალის მოტეხილობა, ქალა-ტვინის დახურული ტრავმა, სახისა და შუბლის ძვლების მოტეხილობა, ზურგის ტვინის დაჟეჟილობა ც-7 დონეზე, ზედა პარაპრეზი, ქვედა პარაპლეგია, მენჯის ღრუს ორგანოების ფუნქციის მოშლა) იძლეოდა სამომავლოდ დღეს არსებული გართულებების განვითარების პროგნოზირების საშუალებას და წარმოადგენდა სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლით გათვალისწინებული დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის სამ წლიანი ვადის 2002 წლიდან ათვლის საფუძველს. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, მაგრამ არასწორად განმარტა იგი, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის



და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად გადანყვეტილების გაუქმების საფუძველს წარმოადგენს. ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადანყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადანყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადანყვეტილება და გ. გ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ამასთანავე, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აანაზღაუროს მოსარჩელის მიერ განეული ხარჯი სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა ეკისრება მეორე მხარეს, თუ მის სასარგებლოდ იქნა გამოტანილი გადანყვეტილება. ვინაიდან არ დასტურდება სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველები, დაუსაბუთებელია აგრეთვე მოპასუხისათვის საადვოკატო ხარჯის დაკისრება. შესაბამისად სააპელაციო პალატის გადანყვეტილება უნდა გაუქმდეს აგრეთვე საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის გ. გ-ის სასარგებლოდ ადვოკატზე განეული ხარჯის – 1000 (ათასი) ლარის ანაზღაურების დაკისრების ნაწილშიც.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 12 ივლისის გადანყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა გ. გ-ის სარჩელი და ამ ნაწილში საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადანყვეტილება;
3. გ. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობა

## გადაწყვეტილება საქართველოს სასჯელით

№ბს-890(კ-19)

26 ნოემბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

### აღწერილობითი ნაწილი:

გ. ზ-მა 2018 წლის 21 ივლისს სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხეების – საქართველოს მთავარი პროკურატურისა და მესამე პირის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის გ. ზ-ის სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება 100000 (ასი ათასი) ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 20 დეკემბრის სასამართლოს მთავარ სხდომაზე დაზუსტდა მოპასუხის სახელწოდება – საქართველოს გენერალური პროკურატურა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით გ. ზ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს გენერალურ პროკურატურას გ. ზ-ის სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება 60000 (სამოცი ათასი) ლარის ოდენობით; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 16 მაისის განჩინებით საქართველოს გენერალური პროკურატურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მიყენებული ზიანის

კომპენსირების უფლება მიეკუთვნება კონსტიტუციით დაცულ უფლებათა კატეგორიას. სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტი ადგენს: ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისი სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან. ზიანის ანაზღაურების თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენცია, რომლის მე-7 ოქმზე მიერთებით საქართველოს სახელმწიფომ დაადასტურა საკუთარი ნება მოქმედი კანონმდებლობის ან დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, უზრუნველყოს ყველა იმ პირის კომპენსირება, რომელიც მსჯავრდებულია სისხლის სამართლის დანაშაულისათვის, თუმცა შემდგომში მისი ეს მსჯავრდება გაუქმდა ან პირი გათავისუფლდა სასჯელის მოხდისაგან, რამდენადაც ახალმა და ახლად გამოვლენილმა გარემოებებმა ცხადყო, რომ მართლმსაჯულება განხორციელდა არაჯეროვნად. საქართველოს კონსტიტუციისა და ევროპული კონვენციის მოთხოვნათა პარალელურად, ასევე მნიშვნელოვანია ის საკანონმდებლო დანაწესი, რომელიც ადგენს პირის უფლებას უკანონო მსჯავრდების/ბრალდების პირობებში დაექვემდებაროს კომპენსირებას.

სააპელაციო პალატამ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე და 208-ე მუხლებზე მითითებით განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილი ადგენს: რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ან გაუსვლელობის ხელწერილის უკანონოდ გამოყენების, პატიმრობის, ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებული ზიანი ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტი ადმინისტრაციული ორგანოს პოზიცია ზიანის ანაზღაურების გამომრიცხავი გარემოებების არსებობის თაობაზე და მიიჩნია, თავისთავად ის გარემოება, რომ გ. ზ-ის მიმართ აღკვეთი ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობა, ხოლო შემდეგ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა განხორციელდა ფორმალურად კანონიერი საპროცესო აქტების საფუძველზე, არ ნიშნავს იმას, რომ სახეზე არ არის

პირის მარეაბილიტირებელი გარემოებები. რეაბილიტაციის საფუძველს ქმნის არა ცალკეული საპროცესო დოკუმენტი, არამედ მათი ერთობლიობით დამდგარი შედეგი – პირის უკანონო ბრალდების და მსჯავრდების ფაქტი, რაც ამ შემთხვევაში სახეზეა. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, უსაფუძვლოა აპელანტის მოსაზრება ბრალის სავალდებულოობის თაობაზე და მიიჩნია, რომ წარმოდგენილი პოზიცია ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის შინაარსს. მითითებული მუხლის ნორმატიული დანაწესი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას არ უკავშირებს ბრალის არსებობას, რაც ნიშნავს იმას, რომ ზიანის ანაზღაურების იურიდიულ საფუძველს ქმნის არა ცალკეული მოხელის ბრალეულობა, არამედ გამამართლებელი განაჩენი, რომელიც ადასტურებს, რომ პირმა გაუმართლებლად განიცადა ის ზემოქმედება, რაც უკავშირდება სისხლის სამართლებრივ დევნას. მითითებული მუხლის საფუძველზე სახელმწიფო ვალდებულია აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც დაკავშირებულია რეაბილიტირებული პირისათვის უკანონოდ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემასთან და სასჯელის დანიშვნასთან, მიუხედავად ზიანის მიმყენებლის ბრალისა. გ. ზ-ის მარეაბილიტირებელი გარემოება დადგენილია კანონიერ ძალაში შესული თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 31 მაისის განაჩენით და „განაჩენში არსებული ბუნდოვანება – უზუსტობის აღმოფხვრის თაობაზე“ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 20 ივნისის განჩინებით, რომლითაც გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 ივლისის განაჩენი გ. ზ-ის მიმართ. გ. ზ-ი უდანაშაულოდ იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და აღნიშნულ ბრალდებაში იგი გამართლდა. ამასთან, გ. ზ-ი შეყვანილია „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის დადგენილებაში. ასეთ პირობებში თბილისის სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი შეფასებები და მიიჩნია, რომ პირს, რომლის მიმართაც დადგა გამამართლებელი განაჩენი, უნდა მიეცეს შესაბამისი კომპენსაცია სახელმწიფოს მხრიდან მის უფლებებში გაუმართლებელი ან/და გადაჭარბებული ჩარევისათვის. სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 413-ე და მე-18 მუხლების საფუძველზე მიუთითა, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო თავისი

შეხედულებით სასარჩელო მოთხოვნის საფუძველზე. მორალური ზიანი გულისხმობს ფიზიკურ და ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ ტანჯვას, რასაც პირი განიცდის ამა თუ იმ სიკეთის, უმეტესწილად, არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფით და მის ანაზღაურებას აკისრია სამი ფუნქცია: დააკმაყოფილოს დაზარალებული, ზემოქმედება მოახდინოს ზიანის მიმყენებელზე და თავიდან აიცილოს პიროვნული უფლების ხელყოფა სხვა პირების მიერ. მორალური ზიანის შეფასებისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულება ასეთი ზიანის სიმძიმის მიმართ, ასევე, ობიექტური გარემოებები, რითაც შეიძლება მისი ამ კუთხით შეფასება. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება დადგინდეს მორალური ზიანის არსებობა და მისი გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების კრიტერიუმები. კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილის, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევა, რომელიც ეხმარება დაზარალებულს სულიერი განონასწორების მიღწევაში, სოციალურ ურთიერთობებში ჩართვაში, რაც მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების სატისფაქციურ ფუნქციას შეადგენს.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიმართ უკანონოდ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის და სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენს პირისთვის მორალურ ზიანის ანაზღაურების საფუძველს, სახეზეა მიზეზობრივი კავშირი სახელმწიფო ორგანოს ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ზიანის ანაზღაურების მოცულობასთან დაკავშირებით სასამართლო განმარტავს, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების კონკრეტული შემთხვევა ინდივიდუალურია, განპირობებულია მრავალი სხვადასხვა ფაქტორით. ამასთან, მორალური ზიანის მოცულობა სასამართლოს მიერ ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად განისაზღვრება, როგორც დამდგარი ზიანის სიმძიმის, ისე ბრალის ხარისხის მიხედვით. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მოსარჩელეს 5 (ხუთი) წლის მანძილზე თავისუფლება ჰქონდა აღკვეთილი. სააპელაციო სასამართლომ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა, აღკვეთის ღონისძიების მოქმედება და თავისუფლების აღკვეთა არ არის ჩვეულებრივი და რიგითი მოვლენა ადამიანის ცხოვრებაში. ის დაკავშირებულია გარკვეულ ნეგატიურ განცდებთან, სტრესსა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან.

მოსარჩელე არ იყო ვალდებული ეთმინა უკანონო სისხლისსა-

მართლებრივ დევნასთან დაკავშირებული დისკომფორტი, რაც გამოიხატებოდა თუნდაც მთელი რიგი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის შეუძლებლობას ან შეზღუდვაში. ამასთან, მნიშვნელოვანია სისხლისსამართლებრივი დევნის მიმდინარეობის ხანგრძლივობა და გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების, ხოლო შემდეგ დადგენილი სასჯელის სახე და სიმძიმე. ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მოსარჩელისათვის მიკუთვნებული თანხის ოდენობა 60 000 (სამოცი ათასი) ლარი გონივრულია და ამდენად, არ არსებობდა გენერალური პროკურატურის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 16 მაისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოსარჩელისათვის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, რეაბილიტირებული პირისთვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენების, ადმინისტრაციული პატიმრობის, დისციპლინური პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებულ ზიანს აანაზღაურებს სახელმწიფო, გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. განზრახვისას ან უხეში გაუფრთხილებლობისას ეს პირები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს. აქედან გამომდინარე ნათლად ჩანს, რომ პირს ზიანი უნდა მიადგეს ქმედების განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობის ფორმით. ამასთან, მიზეზობრივი კავშირი უნდა არსებობდეს განხორციელებულ ქმედებასა და დამდგარ შედეგს – ზიანს შორის. ადგილი უნდა ჰქონდეს სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან უკანონო მოქმედების ფაქტს, რამაც პირისთვის ზიანი გამოიწვია. მოცემულ შემთხვევაში კი საქართველოს პროკურატურის მხრიდან ამგვარ ქმედებებს ადგილი არ ჰქონია.

კასატორი განმარტავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 32-ე თანახმად, პროკურატურა სისხლისსა-

მართლმადიდებელი დევნის ორგანოა. ამ ფუნქციის შესრულების უზრუნველსაყოფად პროკურატურა ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას. პროკურატურა ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, სრული მოცულობით ატარებს დანაშაულის გამოძიებას, სასამართლოში მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას. ამავე კოდექსის 33-ე მუხლის თანახმად კი, პროკურორი თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს სახელმწიფოს სახელით. სასამართლოში პროკურორი არის სახელმწიფო ბრალმძებელი, მას ეკისრება ბრალდების მტკიცების ტვირთი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, განაჩენი – პირველი ინსტანციის, სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაა, რომელიც ბრალდებულს ცნობს დამნაშავედ დანაშაულის ჩადენაში ან ამართლებს მას. ამავე კოდექსის მე-19 მუხლის თანახმად, სასამართლო სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთი ორგანოა, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს მართლმსაჯულება, განიხილოს სისხლის სამართლის საქმე, გამოიტანოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენი.

კასატორი აღნიშნავს, რომ 2007 წლის 12 დეკემბერს დააკავეს გ. ზ-ი და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 23 მაისის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის პირველი ნაწილით და მიესაჯა 3 წლით თ/აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის თანახმად, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 20 მარტის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი (თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 20 მარტის განაჩენით გ. ზ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სასჯელის ზომად განესაზღვრა 5 წლით თ/აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 63-64-ე მუხლების თანახმად, გ. ზ-ს აღნიშნული სასჯელი ჩაეთვალა პირობითი იმავე გამოსაცდელი ვადით. საქართველოს სსკ-ის 41-42-ე მუხლების საფუძველზე, გ. ზ-ს დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა 3 000 ლარის ოდენობით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, გ. ზ-ის მიმართ ახლად დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი 5 წელი და საბოლოოდ, მას განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 14 ივლისის განაჩენით უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 23 მაისის განაჩენი, ხოლო, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 23 იანვრის განჩინებით გ. ზ-ის საკასაციო საჩივარი არ იქნა დამკვეთი

განსახილველად.

გ. ზ-მა სასჯელალსრულების დაწესებულებაში გაატარა 5 წელი და 5 დღე და პატიმრობიდან გათავისუფლდა 2012 წლის 17 დეკემბერს მუდმივმოქმედი კომისიის გადაწყვეტილებით პირობით ვადამდე 2 წლით, 11 თვით და 12 დღით ადრე.

კასატორი საგულისხმოდ მიიჩნევს, რომ 2017 წლის 15 ნოემბერს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის პროკურორმა, რომელმაც ახლადგამოვლენილ გარემოებათა გამო, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტზე მითითებით ითხოვა მსჯავრდებულ გ. ზ-ის მიმართ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 ივლისის განაჩენის გადასინჯვა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 31 მაისის განაჩენით, პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 14 ივლისის განაჩენი გ. ზ-ის მიმართ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.

კასატორის მოსაზრებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარება მიუხედავად ზიანის მიმყენებლის ბრალისა. ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ კომპენსაციის ოდენობა ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ მდგომარეობას, შესაბამისად, ოდენობა უნდა გამომდინარეობდეს გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების კრიტერიუმებიდან.

კასატორი მიუთითებს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 8 აპრილის საქმე №ბს-972-936(3კ-08) განჩინებაში ჩამოყალიბებული განმარტების შესაბამისად, მორალური ზიანის მოცულობას (რომელსაც არ გააჩნია მატერიალური გამოხატულება) განსაზღვრავს სასამართლო გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით, რაც გულისხმობს ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის ხარისხის, დაზარალებულის განცდების სიღრმისა და ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინებას. მორალური ზიანის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს დაზარალებულის სუბიექტურ დამოკიდებულებას მორალური ზიანის მიმართ და ობიექტურ გარემოებებს. ამ გარემოებათა შორისაა, დაზარალებულის ცხოვრების პირობები (საოჯახო, ყოფითი, მატერიალური, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასაკი და ა.შ.), ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგო-



მარეობა და სხვა. რაც სასამართლოს მიერ მხედველობაში მიღებული არ ყოფილა. მორალური ზიანის საკითხის განხილვისას თბილისის სააპელაციო სასამართლოს, მსგავსად პირველი ინსტანციისა მხედველობაში არ მიუღია ის გარემოება, რომ გ. ზ-ის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვა, რომლის საფუძველზეც მოსარჩელემ საპატიმრო დაწესებულებაში გაატარა 5 წელი და 5 დღე, მოხდა საქართველოს პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე და აღნიშნული შუამდგომლობის საფუძველზე დადგა გამამართლებელი განაჩენი. ასევე, სასამართლოს მიერ მხედველობაში არ ყოფილა მიღებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოსთან მიმართებაში დადგენილი პრაქტიკა და საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკა, რომელთაგან საორიენტაციოდ ასახელებს რამდენიმე მათგანს. კერძოდ: „ჯანიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ, ბრალდებულისათვის წინასწარი პატიმრობის დაუსაბუთებლად გამოყენებისათვის, ევროპულმა სასამართლომ მომჩივანს მიანიჭა კომპენსაცია 600 (ექვსასი) ევროს ოდენობით (მომჩივანი წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა 1 წელი, საბოლოოდ, მას ბრალი მოერიხსნა)“. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილებით (№ბს-648-623(2კ-13) საქმეზე გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში, რომლითაც საქართველოს პროკურატურას ლ. ა-ს სასარგებლოდ დაეკისრა 10 000 ლარის გადახდა (ლ. ა. გორის რაიონული სასამართლოს განჩინებით ცნობილ იქნა დამნაშავედ და პატიმრობაში გაატარა თითქმის 1 წელი) საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ევროსასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით, მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად გონივრული თანხაა 7 500 ლარი. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 25 მაისის №1/380-12 გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს მთავარ პროკურატურას რ. ხ-ს სასარგებლოდ დაეკისრა 7 500 (შვიდი ათას ხუთასი) ლარის გადახდა. მოსარჩელე რ. ხ-მ პენიტენციურ დაწესებულებაში გაატარა 1 წელი და 13 დღე. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 1 აპრილის კანონიერ ძალაში შესული 3/3906-14 გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით მორალური ზიანის ანაზღაურება განისაზღვრა 7 000 (შვიდი ათასი) ლარით (სოლიდარულად დაეკისრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს პროკურატურას) მოსარჩელე ბ. ი-მ პენიტენციურ დაწესებულებაში გაატარა 05 თვე, შემდგომ შეეფარდა გირაო, 6,5 წლის განმავლობაში იყო ძებნაში, სს საქმე იხილებოდა

7 წლის მანძილზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 25 ივლისის №3/780-16 გადაწყვეტილება (გადაწყვეტილება უცვლელად იქნა დატოვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით), რომლის მიხედვითაც მორალური ზიანის ანაზღაურება განისაზღვრა 10 000 ლარით (სოლიდარულად დაეკისრა შსს-ს და საქართველოს პროკურატურას) რ. ხ-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა მიმდინარეობდა 19 წლის მანძილზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 03 ოქტომბრის №3/3692-16 გადაწყვეტილებით, რაც უცვლელად იქნა დატოვებული ზემდგომი სასამართლო ინსტანციების მიერ, მორალური ზიანის თანხა განისაზღვრა 7 800 ლარით, მოსარჩელე ს. კ-მ პატიმრობაში გაატარა 1 წელი და 6 დღე. კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 24 იანვრის №3/4355-16 გადაწყვეტილებით მორალური ზიანის თანხა განისაზღვრა 11 400 ლარით. მოსარჩელე გ. ც-მ პატიმრობაში გაატარა 1 წელი 06 თვე და 15 დღე. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 14 აგვისტოს №3/110-17 გადაწყვეტილება, რომელიც უცვლელად იქნა დატოვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 15 მარტის №3ბ/2274-17 გადაწყვეტილებით, მორალური ზიანი განისაზღვრა 9 600 ლარით, მოსარჩელე ზ. გ-მ პენიტენციურ დაწესებულებაში გაატარა 01 წელი 03 თვე და 03 დღე. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 16 იანვრის №3/5200-17 გადაწყვეტილებით, რაც უცვლელად იქნა დატოვებული ზემდგომი სასამართლო ინსტანციების მიერ, მორალური ზიანის თანხა განისაზღვრა 10 800 ლარით, მოსარჩელე რ. ა-მ პატიმრობაში გაატარა 1 წელი და 6 თვე.

კასატორი აღნიშნავს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, გ. ზ-მა სასამართლო განაჩენის საფუძველზე პატიმრობაში გაატარა 5 წელი და 5 დღე. შესაბამისად, საქართველოს პროკურატურისათვის მის სასარგებლოდ დაკისრებული 60 000 (სამოცი ათასი) ლარი, ფაქტობრივი გარემოებების, სამართლებრივი ნორმებისა და მითითებული სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით შეუსაბამოდ მაღალ ოდენობას წარმოადგენს და არ გამომდინარეობს გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების კრიტერიუმებიდან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 10 სექტემბრის განჩინებით საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასა-

ციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურის საკაცო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომლითაც ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გ. ზ-ის სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილებისა და მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ 60000 (სამოცი ათასი) ლარის დაკისრების შესახებ. სარჩელის დაკმაყოფილებას საფუძვლად დაედო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 20 მარტის განაჩენით გ. ზ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 (ხუთი) წლის ვადით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-64-ე მუხლების თანახმად, გ. ზ-ს დანიშნული სასჯელი ჩათვალა პირობითად და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 5 (ხუთი) წელი. ასევე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 41-42-ე მუხლების საფუძველზე, გ. ზ-ს დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. გ. ზ-ს სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალა პატიმრობაში ყოფნის დრო 2007 წლის 17 თებერვლიდან 2007 წლის 1 მარტის ჩათვლით – 13 (ცამეტი) დღე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 23 მაისის განაჩენით გ. ზ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ინკრიმინირებულ ბრალეულ ქმედებაში და სასჯელის სახედ და ზომად შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 3 (სამი) წლის ვადით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის თანახმად გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 20 მარტის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გ. ზ-ის მიმართ ახლად დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 5 (ხუთი) წელი და საბოლოოდ, მას განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 (რვა) წლის ვადით. მსჯავრდებულ გ. ზ-ს სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო დაკავების მომენტი-

დან – 2007 წლის 12 დეკემბრიდან. მასვე, სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალა წინა სისხლის სამართლის საქმეზე პატიმრობაში ყოფნის დრო 2007 წლის 17 თებერვლიდან 2007 წლის 1 მარტის ჩათვლით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 ივლისის განაჩენით უცვლელად დარჩა აღნიშნული განაჩენი.

გ. ზ-ი სასჯელალსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლდა 2012 წლის 17 დეკემბერს „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის №76-IX დადგენილების საფუძველზე. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 31 მაისის განაჩენით და „განაჩენში არსებული ბუნდოვანება – უზუსტობის აღმოფხვრის თაობაზე“ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 20 ივნისის განჩინებით გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 ივლისის განაჩენი გ. ზ-ის მიმართ. გ. ზ-ი უდანაშაულოდ იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და აღნიშნულ ბრალდებაში იგი გამართლდა.

აღსანიშნავია, რომ კასატორი სადავოდ არ ხდის ზემოაღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებს და ისინი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსთვის. ამავე დროს, საკასაციო განაცხადის ძირითადი ნაწილი ეხება იმის მტკიცებას, რომ გ. ზ-ის მიერ უკანონო პატიმრობაში გატარებული 5 წელი და 5 დღე საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების, სამართლებრივი ნორმებისა და სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით არ ქმნიდა საქართველოს პროკურატურისათვის 60 000 (სამოცი ათასი) ლარის დაკისრების საფუძველს, რასაც საკასაციო პალატაც იზიარებს და მიიჩნევს, რომ მოსარჩელისათვის მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მიზნით დაკისრებული 60000 (სამოცი ათასი) ლარი საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით არის შეუსაბამოდ მაღალი და არ გამომდინარეობს გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების კრიტერიუმებიდან.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სახელმწიფო ორგანოთა და მოსამსახურეთა მიერ უკანონოდ მიყენებული ზიანის სახელმწიფო სახსრებიდან ანაზღაურება აღიარებული და გარანტირებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტით – „სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ინფორმაციული თვით-

გამორკვევისა და საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებები“, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით – „თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება“ და ამავე კონვენციის №7 ოქმის მე-3 მუხლით – „კომპენსაცია უსწორო მსჯავრდებისათვის“. აღნიშნული პრინციპი განმტკიცებული არის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლში, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, პირს უფლება აქვს, სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მოითხოვოს და მიიღოს უკანონოდ ჩატარებული საპროცესო მოქმედებისა და უკანონო გადაწყვეტილების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მითითებული მუხლი წარმოადგენს ზოგადი ხასიათის ნორმას, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს ვალდებულებას უკანონოდ დაკავებულ, დაპატიმრებულ ან მსჯავრდებულ პირს შეუქმნას იმის სამართლებრივი შესაძლებლობა, რომ ამ უკანასკნელმა საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს კომპენსაციის მოთხოვნისა და მიღების უფლების განხორციელების ეფექტური და რეალური სამართლებრივი ნორმები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების მიერ მიყენებული ზიანისათვის დადგენილია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავის დებულებებით. ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, შესაბამისად, კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამოწვევის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული. ამასთან, აღნიშნული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის მიერ ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ, სახელმწიფო (მუნიციპალიტეტი) ან ის ორგანო, რომელშიც აღნიშნული მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი. განზრახვის ან უხეში

გაუფრთხილებლობის დროს სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე სახელმწიფოსთან (მუნიციპალიტეტთან) ერთად, სოლიდარულად აგებს პასუხს; ხოლო აღნიშნული მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენების, ადმინისტრაციული პატიმრობის, დისციპლინური პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებულ ზიანს ანაზღაურებს სახელმწიფო, გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. განზრახვისას ან უხეში გაუფრთხილებლობისას ეს პირები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს. ამასთან, ამავე კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს, მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა ხორციელდება მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა, ხოლო თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურებაც. ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში, უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებაც. ამასთან, მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისგან დამოუკიდებლად. საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მორალური ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ანაზღაურებას ექვემდებარება არა ყოველგვარი მორალური ზიანი (სულიერი ტანჯვა), თუნდაც ეჭვს არ იწვევდეს მისი ანაზღაურება, არამედ მხოლოდ ისეთი, რომლის ანაზღაურებასაც პირდაპირ ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა. ამასთან, ზიანი ანაზღაურდება რეალურად არსებული, დამდგარი საზიანო შედეგისათვის, აუცილებელია ზიანის მიმყენებელ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის პირდაპირი მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობის დადგენა, ანუ ქმედება უშუალო წინაპირობას უნდა წარმოადგენდეს დამდგარი შედეგისათვის.

საკაცაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 8 აპრილის №ბს-972-936(3კ-08) საქმეზე ჩამოყალიბებულ განმარტებაზე, რომ „არაქონებრივი უფლებები წარმოადგენს სამოქალაქო

სამართლის იმ ობიექტს, რომელსაც გააჩნია მისთვის დამახასიათებელი თავისებურებები. არსებითი განსხვავება მდგომარეობს არაქონებრივი უფლების ხელყოფის შედეგად დამდგარი ზიანის შინაარსში. სამოქალაქო სამართლის აღნიშნული ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით მისი ხელყოფის შედეგად დამდგარ ზიანს ქონებრივი ეკვივალენტი არ გააჩნია. ამდენად, არაქონებრივი ზიანის მოთხოვნის წარმოშობისათვის საკმარისია არსებობდეს არაქონებრივი უფლების ხელყოფის ფაქტი, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა. მორალური ზიანის მოცულობას (რომელსაც არ გააჩნია მატერიალური გამოხატულება) განსაზღვრავს სასამართლო, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით“. „სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლში მითითება მორალური ზიანის გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების თაობაზე გულისხმობს ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის ხარისხის, დაზარალებულის განცდების სიღრმისა და ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინებას. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს, მოპასუხეების მიერ მატერიალური ზიანის ანაზღაურების ფაქტს, ასევე დაზარალებულის სუბიექტურ დამოკიდებულებას მორალური ზიანის მიმართ და ობიექტურ გარემოებს. ამ გარემოებათა შორისაა დაზარალებულის ცხოვრების პირობები (საოჯახო, ყოფითი, მატერიალური, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასაკი და ა.შ.), ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა და სხვა კარემოებები. მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში არ ხდება ხელყოფილი უფლების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია. შეუძლებელია ფულადი ფორმით ჯანმრთელობის შეფასება, კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამონვევა, რომელიც ეხმარება დაზარალებულს სულიერი განონასწორების მიღწევაში, სოციალურ ურთიერთობებში ჩართვაში, რაც მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების სატისფაქციურ ფუნქციას შეადგენს“.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებებზე, რომ მოსარჩელე მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველად მიუთითებს მის 5 წლიან უკანონო მსჯავრდებას/პატიმრობას, რომლითაც დაერღვა ცხოვრების ჩვეული წესი და გაუუარესდა ჯანმრთელობის მდგომარეობა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელემ მის მიმართ განხორციელებული უკანონო მსჯავრდების გამო ნამდვილად განიცადა მორალური ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიმართ სისხლისამართლებრივი დევნისა და მსჯავრდების პროცესში განხორცი-

ელებული საპოლიციო ღონისძიებებისა და სამართალწარმოების პროცესში მიღებული ემოციური განცდებით, 5 წლის მანძილზე სოციალური ურთიერთობებისგან მოწყვეტითა და ყოველდღიური ცხოვრების წესის დარღვევით. ამასთან, სახეზეა მიზეზობრივი კავშირი, სახელმწიფო ორგანოების ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, რადგან მოგვიანებით დადგინდა, რომ გ. ზ-ის მიმართ უფლების შემზღუდავი მთელი რიგი ღონისძიებები განხორციელდა უკანონოდ. კერძოდ, გ. ზ-ი სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლდა 2012 წლის 17 დეკემბერს „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის №76-IX დადგენილების საფუძველზე. გ. ზ-ის მარეაბილიტირებელი გარემოება დადგენილია კანონიერ ძალაში შესული თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 31 მაისის განაჩენით და „განაჩენში არსებული ბუნდოვანება – უზუსტობის აღმოფხვრის თაობაზე“ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 20 ივნისის განჩინებით, რომლითაც გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 ივლისის განაჩენი გ. ზ-ის მიმართ. გ. ზ-ი უდანაშაულოდ იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და აღნიშნულ ბრალდებაში იგი გამართლდა.

რაც შეეხება ზიანის ანაზღაურების მოცულობას, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველ ნაწილზე და განმარტავს, რომ არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება, შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. კანონი არ ადგენს მორალური ზიანის ოდენობას, რამდენადაც მორალური ზიანის ანაზღაურების კონკრეტული შემთხვევა ინდივიდუალურია, განპირობებულია მრავალი სხვადასხვა ფაქტორით. ამასთან, მორალური ზიანის მოცულობა სასამართლოს მიერ ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად განისაზღვრება, როგორც დამდგარი ზიანის სიმძიმის, ისე ბრალის ხარისხის მიხედვით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაშია მისაღები, რომ კომპენსაციის ოდენობა არ უნდა იყოს უსაშველოდ გაზრდილი და არ უნდა მოწყდეს რეალობას. მართალია, მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე, მაგრამ ეს მოთხოვნა მხოლოდ მოსარჩელის მოსაზრე-



ბაა და ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს მიხედულებით უნდა გადანყდეს. შელახული სიკეთის ხასიათიდან გამომდინარე და სულიერი ტანჯვის ხარისხის ზუსტად განსაზღვრის შეუძლებლობის გამო, უფრო მართებულია ზიანის კომპენსაცია, რამდენადაც ეს შესაძლებელია საერთოდ. როგორი დიდიც არ უნდა იყოს კომპენსაცია, იგი მაინც ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას. მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრეს მიზანს არ წარმოადგენს ხელყოფილი უფლებების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია და შეუძლებელია მისი სრულად აღდგენა.

საკასაციო სასამართლო ასევე საგულისხმოდ მიიჩნევს, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ევროსასამართლოს პრაქტიკა არ არის ერთგვაროვანი და ევროსასამართლოს მიერ არამატერიალური (მორალური) ზიანის თანხის ოდენობის განსაზღვრა ხორციელდება თითოეულ საქმეში ინდივიდუალურად, საქმის ფაქტობრივი გარემოებების, მორალური ზიანის მიმართ დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულების, ობიექტური გარემოებების (დაზარალებულის საოჯახო, ყოფითი, მატერიალური, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასაკი და ა.შ.) და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით (Patsuria v. Georgia; Nikolaishvili v. Georgia; Jashi v. Georgia).

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ გ. ზ-ის სასარგებლოდ მორალური ზიანის ასანაზღაურებლად განსაზღვრული თანხის ოდენობა მაღალია. საგულისხმოა, რომ მოსარჩელე მის მორალურ განცდებს ასევე უკავშირებს იმ გარემოებას, რომ უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ აღმოაჩნდა უამრავი დაავადება, მათ შორის C ჰეპატიტი, რომლის გამოც დღემდე აღრიცხვაზეა და მკურნალობს. თუმცა, მისი დაავადების არსებობისა და ამ დაავადების უკანონო პატიმრობაში ყოფნის პერიოდში შეძენის შესახებ მტკიცებულებები მოსარჩელის მიერ სამართალწარმოების არც ერთ ეტაპზე არ არის წარმოდგენილი. ამგვარად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით დადგენილი წესით მტკიცებულებების წარმოუდგენლობის პირობებში, ასანაზღაურებელი თანხის ოდენობის განსაზღვრისას არ არსებობს მოსარჩელის მიერ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მითითებული გარემოების გათვალისწინების შესაძლებლობა. ამდენად, უტყუარად არ დგინდება, რომ მოსარჩელის უკანონო პატიმრობამ მისი ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესება, კერძოდ, რაიმე დაავადების წარმოშობა ან უკვე არსებულის გართულება გამოიწვია.

საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს მოსარჩელის მიმართ განხორციელებული იძულების ფორმების სიმძიმეს, კერძოდ, მას 2007 წლის 12 დეკემბრიდან 2012 წლის 17 დეკემბრამდე თავისუფლება ჰქონდა აღკვეთილი, რაც არ არის ჩვეულებრივი და რიგითი მოვლენა ადამიანის ცხოვრებაში. ის დაკავშირებული არის გარკვეულ ნეგატიურ განცდებებსა და სტრესთან. მოსარჩელე არ იყო ვალდებული, ეთმინა პატიმრობასთან დაკავშირებული დისკომფორტი, რაც გამოიხატებოდა თუნდაც მთელი რიგი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის შეუძლებლობაში ან შეზღუდვაში. თუმცა, საკასაციო პალატა ასევე ყურადღების მიღმა ვერ დატოვებს იმ გარემოებას, რომ სახელმწიფომ 2012 წლიდან არაერთი სამართლებრივი ღონისძიებით მოახდინა დაზარალებული მოსარჩელის უფლებების რესტიტუცია, კერძოდ, გ. ზ-ი შეყვანილ იქნა „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის №76-IX დადგენილების №1 დანართით გათვალისწინებულ სიაში, რის საფუძველზეც პირობით ვადამდე 2 წლით, 11 თვით და 12 დღით ადრე გათავისუფლდა პატიმრობიდან. მოგვიანებით, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის პროკურორ – ა. ა-ის 2017 წლის 15 ნოემბრის შუამდგომლობის საფუძველზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 31 მაისის განაჩენით დადგინდა გ. ზ-ის მარეაბილიტირებელი გარემოება, იგი უდანაშაულოდ იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და აღნიშნულ ბრალდებაში იგი გამართლდა. ამდენად, საკასაციო სასამართლო უკანონო მსჯავრდების გამო მოსარჩელის მიერ განცდილი მორალური ტანჯვის ინტენსივობის, ჩარევის ინტენსივობის, დამდგარი შედეგისა და სახელმწიფოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით მიიჩნევს, რომ განსახილველ შეთხვევაში მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად გონივრული თანხა – 40000 (ორმოცი ათასი) ლარია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, სახეზეა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღების მატერიალურ-პროცესუალური წინაპირობები, რომლითაც საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობ-

რივ, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება, გ. ზ-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და საქართველოს გენერალურ პროკურატურას გ. ზ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს მორალური ზიანის სახით – 40000 (ორმოცი ათასი) ლარის ანაზღაურება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 16 მაისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. გ. ზ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. საქართველოს გენერალურ პროკურატურას გ. ზ-ის სასარგებლოდ მორალური ზიანის სახით დაეკისროს 40000 ლარის ანაზღაურება;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6  
ტელ.: (995 32) 298 20 75  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)